9

1967 1967

124

გამოცემის მეთერთმეტე წელი

9

სექტემბერი

1967

თბილისი

◆

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ÜDVÖZÖLJÜK KEDVES MAGYAR VENDÉGEINKET!

მოგესალმებით ძვირფასო უნგრელო სტუმრებო!

*

სექტემბერში ჩვენი რესპუბლიკის ძვირფასი და სასურველი სტუმრები არიან უნგრეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილენი. საქართველო მასპინძლობს მამაცი და გმირი ხალხის შვილებს, მადიარების ქვეყნის შვილებს და კიდევ უფრო ახლოს ეცნობა მათ ეროვნულ კულტურასა და სულიერ საგანძურს.

ქართველ კაცს ბევრი რამ სმენია ამ ქედმოუხრელ და შეუდრეკელ ერზე და მის წარსულზე. მადიარების წარსული, ისევე როგორც ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი წარსული, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაა ჯერ თურქი დამპყრობლებისა და ჰაბსბურგების, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული ჩაგვრისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. ციხეებისა და მონასტრების კედლებს, ბუდაპეშტისა და ჩეპელის ქარხნების კედლებს ახლაც ატყვია ამ თავგანწირული და სისხლიანი ბრძოლების კვალი.

ამიტომ, ქართული მწერლობის მსგავსად, ნაციონალური ერთიანობის იდეა უფდამ იყო უნგრეთის მწერლობისა და ლიტერატურის ძირითადი იდეა. ბალინტ ბალაშიდან მოყოლებული უნგრელ ლირიკოსებს მუდამ აღელვებდათ და აღაფრთოვანებდათ ეროვნული თვითშეგნება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამის უდიდესი მაგალითია შანდორ პეტეფის ბრწყინვალე პოეზია და ბიოგრაფია, მისი ლექსების რევოლუციური მგზნებარება და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ბარიკადებზე პოეტის ტრაგიკული სიკვდილი.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს უნგრული ლიტერატურისა და ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს. მათი ქართულ ენაზე ამეტყველების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს. ქართულ ენაზე თარგმნილია მრავალი უნგრელი კლასიკოსი და თანამედროვე შემოქმედი. მომავალში უფრო მეტია გასაკეთებელი, მკითხველმა უნდა გაიცნოს ახალგაზრდა უნგრელი მწერლების შემოქმედება. ეს ჩვენი ახალგაზრდული ჟურნალის პირდაპირი და საპატიო მოვალეობაა.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დეკადა ემთხვევა დიად თარიღს — საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან ორმოცდაათ წლისთავს. უნგრეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ახლო გაცნობა კიდევ უფრო განამტკიცებს უნგრელი და საბჭოთა ხალხების ცეცხლსა და შრომაში ნაწრთობ მეგობრობას, ახალ, დიდ წვლილს შეიტანს კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

შანდორ პეტეფი

სამშობლოში

აი, ჩემი სამშობლო, ეს ალფელდის ტრამალი,
სადაც ჩემი ოცნება აფრენილა ფრთამალი,
სადაც მიწას აჩნია ჩემი ნატერფალები,
ბავშვობის მოგონებას აქ ვერ დავემალები.
ისევ მღერის, შორს მღერის ჩემი კარგი გადია:
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

მე აქედან წავედი, ბალღი ვიყავ პატარა,
ასლა კაცი ვბრუნდები, ბედმა სად არ მატარა!
ოცი წელი გავიდა სიხარულის, ნაღველის,
ოც წელს არა ვყოფილვარ ამ მიდამოს მნახველი.
ოცი წელი რა არის, ერთი წამის დარია!
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

სად ხართ ჩემი ტოლები, ჩემი სოფლის ბიჭები,
ჩემთან შესაგებებლად რად არ გამოიჭრებით!
აღარ გვითამაშნია, რაც დაგშორდით მას აქით,
მოდით, ისევ ვიცელქოთ, დავივიწყოთ ასაკი.
ოცდახუთი წლისა ვარ, მაგრამ არ მიხარია...
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

როგორც ტოტზე ტოტიდან დაფრინავენ ჩიტები,
ფრენენ ჩემი ფიქრებიც, რომელს გავეკიდები?!
როგორც მინდვრის ყვავილებს თავს ეხვევა ფუტკარი,
მოგონება მეხვევა სხვისი და საკუთარი.
რომელ ერთზე შევჩერდე, თითქმის მთელი ჯარია!
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

აი, პაწაწინა ვარ, მინდორში ვართ ყველანი,
ტირიფის ჯოხს მოვახტი, გავაქროლე მერანი,
მიჰქრის ცხენი, არა აქვს არც ფაფარი, არც ძუა,
წყლის დალევა მოუნდა გახურებულ აჩუას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაქანე წყاროსკენ, წყალი ბლომად დალია.
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

მწუხრზე ზარის დარეკვა მესმის ძიძის ძახილად,
მომყავს ცხენი დაღლილი, ცხენოსანიც დაღლილა.
ძიძა მუხლზე დამისვამს, ლექსი იცის რამდენი!
ძილისპირულს დამმღერის ჩემი კარგი გამდელი.
ვუსმენ, მაგრამ არც ვუსმენ, ნახევრად სიზმარია:
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

ანჯაღ გიდაში

მიყვარს ზაფხული...

მიყვარს ზაფხული...
თიბვა სამყურის...
მიყვარს, როდესაც მზისა და მიწის
კოცნით ჩათქმული და ჩასახული
ნაყოფი იწყებს ბალღივით სიცილს.

თეთრი ცაცხვები დაბანგულ სივრცეს
ეფერებიან ათასი ხელით,
შემკრთალ ფოთლებში ყვითელი სიცხე
თვლემს, როგორც ვნება მძაფრი და ცხელი.

მაგრამ დადგება ნოემბრის ჯერი
და ეს ხეები განიძარცვება,
ღაენანებათ ზაფხულის ფერი
და მოიწყენენ ჩემი ცაცხვები.

იშჯვან შიმონი

აკაკის ყვავილები

ქათქათა მტევნებს ატოკებს ზანტად
და სივრცეს თეთრი მოჰყვება ზოლი,
ასე გგონია — ეს რთვილმა, ანდა
ფანტელთა ჯარმა დაფარა მოლი.

ძროხის ცურივით ჩამოქნილ მტევანს
გაბრუებული საღამო წველის,
დამჭკნარ ყვავილთა არ არის ტევა,
სულ გადათეთრდა ბოძები ძველი.

გადაგიქროლებს თავზე ღამურა,
წყარო ყურს უგდებს ფოთლების ნანას;
საღამო მშვიდი და საამური...
ამ სიჩუმეში ხეები დგანან.

ღრუბლიდან მთვარის გამოჩნდა ნავი,
ახალი მთვარის ვუმზერ ხეტიალს...
ვხედავ უთვალავ თოვლისფერ ყვავილს, —
ყრმობისას კბილით რომ მიკვნეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან ჭიჭინაძე

ჩემი ოდა

1. დილა

შემზარავად, თავგამოდებით აწკრიალდა მაღვიძარა. თვალი გავახილე: პატარა, თერთმეტქვიანი მაღვიძარა სიბრაზისაგან ხტოდა ჩემს საწოლთან მდგარ სკამზე. გამეტებით დავარტყი ხელი, გავაჩუმე. დილის შვიდი საათია. ისევ დავხუჭე თვალები. მერე ცალი თვალი გავახილე და დავრწმუნდი: საათი კიდევ მუშაობდა — უკვე რვის ნახევარი იყო. ულმობელია დრო.

— უხ, შენი... — ვთქვი გუნებაში და საწოლის თავთან ჩამოკიდებულ ძაფს დავწიე.

„ბრა“ ტკაცანით ჩაირთო და ჩემი ოთახი გაანათა.

დიახ, მე საკუთარი ოთახი მაქვს. დიდი არ არის, მაგრამ რატომღაც ორი კარი აქვს, ორი ფანჯარა და, მაშასადამე, არც ერთი მთლიანი კედელი. ის, რაც ფანჯრებს და კარებს გადაურჩა, თამბაქოსფრადაა შეღებილი. ჭერი — თეთრად, კარები და ფანჯრები — კრემისფრად. განზრახული მაქვს ჩემი ოთახი თანამედროვე სტილით მოვაწყო, მაგრამ ვერა და ვერ მოვიცალე. განათების მხრივ კი კარგადაა საქმე. კედელზე ორნათურიანი ბრაა, რომელზედაც უკვე მოგახსენეთ, საწერ მაგიდასთან — ტორშერი, მაგიდაზე — შესანიშნავი ლამპა, თეთრი, ლამაზად გაღუნული — ჩემი სიამაყე. ოთახის კუთხეში, ერთი კარიდან მეორე კარამდე პატარა კარადა დგას, კარადაზე — წიგნების თარო, სხვათა შორის, ჩემი საკუთარი წიგნებით სავსე. და კიდევ სამი სკამი, ერთი თავთან — საათისათვის, მეორე ფეხებთან — საშინაო ტანისამოსისათვის და ერთიც მაგიდასთან — თითქმის გამოუყენებელი. ფიქრი და წიგნების კითხვა მე მხოლოდ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში შემიძლია. ბებიაჩემი მპირდება, მხედველობას გაიფუჭებო. უკვე ოცდამეშვიდე წელიწადში ვარ გადასული და შესანიშნავად ვხედავ ყველაფერს: სამი ნაბიჯიდან შემიძლია გავარჩიო გვარები, სახელები და მამის სახელები, რომლებსაც გაზეთი „თბილისი“ თავის უკანასკნელ გვერდს უთმობს. ისე კი, არც ბევრი ფიქრით და არც ბევრი კითხვით აქამდე თავი არ შემიწუხებია. და მაინც ასე მგონია, ეს კი თანდაყოლილი გრძნობა უნდა იყოს, თითქოს ყველაფერი ვიცი და ყველაფერი მნიშვნელოვანი წაკითხული მაქვს.

მეორე თვალი გავახილე — ახლა ორივე თვალით შევხედე სკამქვეშ დაგდებულ, მტვრის სქელი ფენით დაფა-

რულ სამკილოიან ჰანტელებს. ამ ჰანტელებით ყოველ დილით ვვარჯიშობ, რადგან დილის ვარჯიში აკაქებს სხეულს; ჯანსაღ სხეულში კი ჯანსაღი სულია, მაგრამ დღეს, სწორედ დღეს დილით, თავს ვერ ვგრძნობ კარგად, მგონი, ცოტა გაციებულიც ვარ, და, აი, სამსახურშიაც მაგვიანდება... რა დამემართა?!. ნახევარი საათის წინ უნდა ავმდგარიყავი!..

გავიზმორე, საბანი გადავიხადე, ფეხები ფლოსტებში ჩავყავი და აბაზანისაკენ გავიქეცი.

— ვახ, გამარჯობა შენი! — მივესალმე მამაჩემს, რომელსაც აბაზანის კარებთან შევეფეთე. მამას ჩაიდანი მოჰქონდა სამზარეულოდან. მამამ არ მიპასუხა, ჩაიდანი ჩემკენ გადმოხარა, თითქოს ერთადერთი ვაჟიშვილის დამდუღვრას აპირებდა. ხუმრობდა.

— ვაიმე, ნელა! — ავყევი მეც და აბაზანაში შევვარდი.

ამ ბოლო დროს უცნაური რამ დამჩემდა: ყოველდღე ვიწმენდ ფეხსაცმელს და თან ვფიქრობ, საჭიროა თუ არა ფეხსაცმლის გაწმენდა? მაგრამ მაინც ვწმენდ, სანამ ლივლივს და ლაპლაპს არ დაიწყებს. ალბათ, ყოველი მამაკაცის ცხოვრებაში არის ისეთი პერიოდი, როცა ფეხსაცმელების წმენდა გსიამოვნებს.

ხელები დავიბანე და ელექტროსაპარს „ნევათი“ გავიპარსე პირი. ამასობაში მამაჩემმა თხლად დაჭრა ძეხვი, ორ ჭიქაში დაასხა ჩაი, შაქარი ჩაყარა — თავის ჭიქაში სამი კოვზი, ჩემსაში — ოთხი.

სასადილო ოთახში გამოვედი, ჩემს ადგილზე დავჯექი და მამაჩემს ვუთხარი:

— ვერ გაავსებ ამ ჭიქას ბარაქიანად? წყალი გენანება?

მამამ არ მიპასუხა, ჩაის წრუპავდა და ხშირ ულვაშზე მარცხენა ხელის ცერს ისვამდა.

— დღესაც არ მოგირევია? ყველაფერი მე უნდა გავაკეთო ამ ოჯახში? — განვაგრძე და ხმაურით მოვურიე.

— ჩუმად, შე მამაძაღლო! — დაბალი ხმით მითხრა მამამ, — ბავშვს გააღვიძებ.

ბავშვი ჩემი უმცროსი და მაიკოა. ჩემზე ცამეტი წლით პატარაა და ჯერ სკოლაში სწავლობს; გაკვეთილები მეორე ცვლაში ეწყება და ამიტომ სძინავს. სძინავთ ჩვენი ოჯახის დანარჩენ წევრებსაც — დედას და ბებიას. ბებია, დედაჩემის დედა, დამსახურებული პედაგოგი და პერსონალური პენსიონერი, მუდამ გვიან წვება დასაძინებლად და გვიან დგება. დედაჩემი, თითქმის დამსახურებული პედაგოგი და მუსიკის მასწავლებელი, გვიან მხოლოდ ზამთრობით იღვიძებს და ახლა სწორედ ზამთარია.

ჩვენს სამივე ქალს სძინავს. მამამ მითხრა, ბავშვი არ გააღვიძოო და მეც ხმადაბლა ვღიღინებ:

— „ჟღურტ-ჟღურტ-ჟღურტულებენ ჩიტ-ჩიტ-ჩიტუნები...“

მამამ საუზმე გაახვია ქაღალდში: ორი თხელი ნაჭერი კარაქიანი პური და ყველი. ყველი ზუსტად იმდენია, რომ პურის ზედაპირს ფარავს. მამაჩემი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია და განყოფილების გამგე ინსტიტუტში. ოჯახში ყველა ადამიანს გარკვეული მოვალეობები აკისრია. ჩვენს ოჯახში ეს მოვალეობები ძირითადად განაწილებულია დედასა და მამას შორის. ბებიას სადილის შემდეგ ჭურჭლის დარეცხვა ევალება. მე და მაიკო ბავშვები ვართ და ბევრი არ მოგვეთხოვება...

— სულ კარგად, სულ ჯანმრთელად,— ვუთხარი მამას და გასასვლელისაკენ გავემართე.

— ვაჟა, ვაჟა, — მომესმა დედაჩემის ხმამაღალი ჩურჩული.

ფეხაკრეფით შევედი დედის ოთახში. მაიკოს ისე ლამაზად ჰქონდა თავი გადმოწეული, არ შემეძლო შუბლზე არ მეკოცნა. დავიხარე მაიკოსკენ, ვიგრძე-

---

ამირან ჭიჭინაძე
ჩემი დღე

ნი, რომ ყელში რაღაც მომებჯინა და თვალები ამეწვა.

— დღეს მაინც არ დაგავიწყდეს, ვაჟა, აუცილებლად უთხარი, ან შენვე მოიყვანე... — ჩურჩულებდა დედა.

— პირველ ყოვლისა, დილა მშვიდობისა.

— არ დაგავიწყდება?

— როდის იყო, რამე დამვიწყებია. არ მცალიაო, მეუბნება.

დედას შევპირდი, ქარხნიდან ზეინკალს მოვიყვან, აბაზანიდან სამზარეულოში ცხელ წყალს გამოგვიყვანს და ამით ბებიაჩემის შრომით მაჩვენებლებს ორმოცდაათი პროცენტით გავზრდიმეთქი.

— დღეს ძალით წამოვათრევ.

ჭავჭავაძის პროსპექტამდე სირბილით ჩავედი, მოსახვევთან შევჩერდი და ნელი, დარბაისლური ნაბიჯით განვაგრძე გზა. თავი მაღლა მაქვს აწეული, მხრები გაშლილი, ხელებს არ ვიქნევ. ერთი სიტყვით, ლამაზად მივდივარ. მიყვარს პროსპექტზე გასეირნება. ყველაფერი მიყვარს, რაც მეხერხება...

ტრამვაის გაჩერებაზე ბევრს ვიცნობ. ზოგი ჩემი უბნელია, ზოგი — ნაცნობი. ზოგს ხელს ვუქნევ შორიდან, ზოგს — თავს ვუკრავ, ზოგის წინ ოდნავ წელშიაც ვიხრები, ზოგს — ხელს ვართმევ.

ვაიმე! ის, რა ოქმა უნდა, უკვე აქ არის — მოშორებით დგას და მიღიმის ბევრად უფრო ტკბილად, ვიდრე თანამშრომელს შეეფერება. ჩვენი ტექნოლოგი, თინა, პატარა ჩამრგვალებული ქალია. დიდი, ყვითელი, ნაქსოვი ქუდი ახურავს. ხუთი თვეა, რაც ჩვენს ქარხანაში დაიწყო მუშაობა და ხუთი თვეა ტრამვაით ერთად ვმგზავრობთ.

ღმერთო ჩემო, სად ქსოვენ ასეთ ქუდებს?

მეგობრულად გავუღიმე თინას და ხელგაშლილი წავედი მისკენ. თინამ შუბლი შეიჭმუხნა, ეტყობოდა, რომ რაღაც უნდა მოეფიქრებინა და გონება დაძაბა. ვიცოდი, რამე მნიშვნელოვანს მეტყოდა, ისიც აუცილებლად რუსულ ენაზე.

— კაკოი სეგოდნია ხალოდნი პაგოდა, ა ვი ვსიო ბეზ შაპკა ხოდიტე.

აჰა! ხომ ვთქვი. ისევ მეგობრულად გავუღიმე და მხრები ავიჩეჩე: „რა ვქნა, ასეთი ვარ, სიცივის არ მეშინია“, — ამ აზრს გამოხატავს ჩემი მოძრაობა.

— არ მოსულა?—ვგულისხმობ თორმეტ ნომერ ტრამვაის.

— არა, არ გამოჩენილა. ხომ არ დაგვაგვიანდება, ა-ა? — თინამ პოლონური ჟურნალი „ეკრანი“ მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენათი პალტოს სახელო აიწია და ბრტყელ საათს დააცქერდა.

ხუთი თვეა ერთად ვმგზავრობთ მე და თინა. ხუთი თვეა ტრამვაის ბილეთს ვუღებ. როდისმე უნდა დავითვალო, რამდენი ფული დავახარჯე.

2. ტრამვაი

ვაგონში ავედით თუ არა, თინამ საფულეში დაიწყო ქექვა.

— არავითარ შემთხვევაში! — ავღელდი, — რა არის, ბოლოს და ბოლოს, თინა?! ნება დამრთეთ, ასე იოლად მაინც გცეთ პატივი.

— ძალიან გთხოვთ, — გამიძალიანდა, — ვერაფრით ვერ მივეჩვიე ამ ამბავს.

თბილად გავუღიმე თინას და თან გავიფიქრე, ნორმალური ადამიანისათვის ჩვევის ან თუნდ რეფლექსის გამოსამუშავებლად ხუთი თვე საკმაოდ დიდი დროა-მეთქი.

„ხუთი თვე კი არა, ხუთ წელიწადს გატარებ ტრამვაით, ოღონდ ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ნუ დამიწყებ საუბარს...“

თინამ შუბლი შეიკრა, — უკვე მზად არის პირი დააღოს... მე თვალებში არ ვუყურებ, ხელს ვკიდებ და წინ, შუა ვაგონისაკენ მიმყავს.

— ბოდიში, ბოდიში, გაგვატარეთ, თუ შეიძლება! — ზრდილობა ყველგან ჭრის, ტრამვაიშიც კი.

გაგვატარეს. ტრამვაი გაჩერდა. ჩემზე ინერციის ძალა საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს. უკან დავიხიე, კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისაკენ გავიხედე, დათო დავინახე,— ამ გაჩერებაზე უნდა ამოსულიყო და ამოვიდა კიდეც.

— ო-ო, დათუნია! — აღფრთოვანებით დავიყვირე და მოუბოდიშებლად უკანა ბაქნისაკენ გავიწიე. კეფით ვგრძნობ მწველ მზერას, რომელშიაც ბევრი გამოუთქმელი აზრია თანამედროვე ხელოვნებაზე.

მე და დათომ ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოვართვით.

— როგორა ხარ? — მეკითხება დათო.

— გმადლობთ, რა მიჭირს... შენ როგორ?

ჩვენ შეგვიძლია თამამად ავუაროთ გვერდი ყოველდღიურ საუბარს ერთმანეთის ჯანმრთელობაზე, მაგრამ რას იზამ? ასეთია ჩვევის ძალა.

— ცოლის მოყვანას არ აპირებ? — ზანტად, უხალისოდ, ასჯერ გამეორებული გაკვეთილივით დაიწყო დათომ.

— ჯერ არა, ვერ მოვიცალე.

გუშინაც იგივე მკითხა, გუშინწინაც... დათოს მეგობრულად დავარტყი მხარზე ხელი.

— შენ რაღას უცდი? ჩემზე უფროსი ხარ, ძმაო.

— ვინ უნდა მოიყვანოს კაცმა ცოლად, ვინა? — მერე ნდობა გამომიცხადა, — აი, მითხარი, ვინ შევირთო და, მეორე დღესვე ვითხოვ!

— ეჰ, დათუნი! მართლაც ვინაა ცოლად მოსაყვანი!..

— ისე, კაცმა რომ თქვას, — ნაწყენი კილოთი განაგრძო დათომ, — ბინა კარგი მაქვს, ოჯახში არაფერი არ გვაკლია. ერთ-ორ ბავშვს ჩვენები გამიზრდიან... ახლა აუცილებლად „ვოლგა“ ხომ არ უნდა მყავდეს! ხომ მართალს ვამბობ?

— ასეა, მანქანა უარესი წვალებაა.

— რაზე უარესი? — დათოს ყველაფრის დაზუსტება უყვარს.

— რაზე? — ეს უკვე ახალი შეკითხვა იყო და დავიბენი, — რაზე და, საერთოდ, საერთოდ არის მანქანა წვალება.

— ჰოო... — გამიგო დათომ.

ამგვარად ამოვწურეთ ჩვენი საუბრის აუცილებელი პროგრამა და გავჩუმდით. ტრამვაიმ კი ლენინის ქუჩაზე შეუხვია. დავიღუნე, მინდოდა საათისათვის შემეხედა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, დავაგვიანე. ტრამვაიდან საათის ნახვა და ამინდის პროგნოზის მოსმენა ჩემი ორი აუსრულებელი ნატვრაა. მუდამ ვიტრუნები, როცა ტელევიზორში იწყება „ამინდი ხვალ“ და ნაცნობი მელოდია გაისმის. სხვებსაც ვაჩუმებ. გულდასმით ვისმენ, როგორი ამინდი იქნება დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში, მთაში, ბარში, ღამით და დღისით, მაგრამ როგორც კი თბილისამდე მივა საქმე, ჩემი ყურადღება უნებურად ითიშება და თბილისში ხვალისათვის მოსალოდნელ ამინდს ვერასოდეს ვერ ვიგებ წინასწარ.

ტრამვაი მირიხინებს თავდალმართში. მე და დათო დროგამოშვებით ნაცნობებს ვესალმებით. დილით თორმეტ ნომერ ტრამვაის თითქმის უცვლელი მგზავრები ჰყავს. ვესალმები შუა ხნის გამხდარ ქალს, შეღებილ მტაცებელ ფრინველს რომ წაგავს.

— გამარჯობათ, გენაცვალე, — გადაჭარბებული სიხარული იხატება ქალის სახეზე.

ამ ქალს ერთხელ ადგილი დავუთმე და ერთმანეთს მას შემდეგ ვესალმებით. იმ მზიან დილით გამომიტყდა, შენმა საქციელმა ლენინგრადი გამახსენაო. ალბათ, ახალგაზრდობისას ლენინგრადში მივლინებით იყო და ამით თუ ამაყობს.

ცირკთან ამოვიდნენ: ჩემი თანასკოლელი, სამი სტუდენტი — პრაქტიკაზე რომ არიან ჩვენს ქარხანაში და ჩვენი ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ნანობაშვილი. ხუთივეს მივესალმე: ორს პერსონალურად, სტუდენტებს — საერთო სალმით. სტუდენტებიდან ორი გოგონაა და ერთი ბიჭი. ბიჭმა ორშაურიანი გაუწოდა კონდუქტორს, მერე ფარული მოძრაობით დაჭ-

მუჭნა ბილეთები — კაპიკიანის აღმოჩენის იმედი დღესაც გაუცრუვდა...

— თენგიზას უკვე ორი შვილი ჰყავს, — ამოიოხრა დათომ.

— ნუ იტყვი, ძმაო... ბიჭი მალე სკოლაში წავა.

— გადის დრო, ა? ვბერდებით...

— უნდა ვიჩქაროთ, დათუნი...

დათომ გასასვლელისაკენ გაიწია, ხელი დამიქნია გამოთხოვების ნიშნად და მძიმედ ჩახტა ტრამვაიდან. დათო ბადროს მტყორცნელია და, ამასთანავე, „დინამოს“ სტადიონის ექიმი.

შოთა ჭელიძის მოტოროლერმა გაგვისწრო. უკან ჩემთვის უცნობი გოგო ეჯდა.

მომდევნო გაჩერებაზე აუარება ხალხი მოაწყდა ტრამვაის. მე კუთხეში მივდექი და თავდასხმის მოლოდინში მუცლის კუნთები მოვადუნე. ტრამვაი გაჩერდა და დიდუბისაკენ მიმავალმა ხალხმა იერიშით აიღო ვაგონები. ტრამვაი გატენილი იყო, მგზავრები კი მაინც ამოდიოდნენ. ერთი ხელის კვრითა და სიბრაზისაგან დამანჭული სახით ამოდიოდა, მეორე — მხიარულად, მაგრამ ხელის კვრით ან „მიწოლით“. სხვადასხვაგვარად მოქმედებდა ჭეჭყვა-ჭიდილი ადამიანებზე — ზოგს აღიზიანებდა ხალხის სიმრავლე, ზოგს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მხიარულ გუნებაზე აყენებდა.

მერე ტრამვაი დაიძრა და ხალხი თითქოს მიწყნარდა. მე კირში ამოგანგლულ მშენებლებთან ვდგავარ ჩემს კუთხეში და ნაცნობებს ვადევნებ თვალყურს. მაინტერესებს, დღეს რა შედეგი ექნება საზეინკლო საამქროს უფროსის — სერგო ქანაშვილისა და გალვანური საამქროს ოსტატის თამარ ბუცხრიკიძის შეხვედრას. სერგო ზის და თავგამოდებით კითხულობს გაზეთს. შლიაპა თვალებზე ჩამოუფხატავს, ვითომც და ვერავის ვერ ვხედავო. იქვე კი ასორმოცკილოიანი თამარ ბუცხრიკიძე დგას, დგას და უბედური სერგოს მხარს აწვება. ვხედავ, როგორ გაუწითლდა ყურები ქანაშვილს. ღონიერი კაცი არ არის და ცხადია, დიდხანს ვერ გაუძლებს გაზეთის კითხვას.

„ერთი, ორი, სამი, ოთხი“, — გუნებაში თვლა დავიწყე. საზეინკლო საამქროს უფროსმა თავი ასწია, თანამშრომელი ქალის დანახვისას სახე გაუბრწყინდა, შლიაპაზე მოიკიდა ხელი, დატყვევებული მხარი გაითავისუფლა და ნემსნაჩხვლეტივით წამოხტა. თამარმა გვერდზე მიაყენა, მაგრამ არაფერი არ ატკინა. ქანაშვილმა მოახერხა, თავი დაიღწია და გაზეთი კვლავ სახეზე აიფარა, ალბათ ცრემლის დასამალავად. თამარი დაჯდა მის ადგილზე და ფანჯარაზე ააკრა მეზობელი. „რვით ორი“, კარგად დავიხსომე: „რვით ორი“. ორჯერ ქანაშვილის ნებისყოფამ აჯობა უხეშ ფიზიკურ ძალას.

უალკოჰოლო სასმელების ქარხანასთან ვაგონი იცლება. ჩვენს ტრამვაის საბურავების ტყლაშუნით ინჟინერ ოსიპოვის „ფორდმა“ ჩაუქროლა. ფორდს ტენტი მოხსნილი აქვს — წელიწადის დროთა ცვლას მისი პატრონი ყურადღებას არ აქცევს. მანქანა სავსეა გადამხაზავი გოგოებით. მათი კივილი ტრამვაიში ისმის.

ახლა ამოვა გოგო, რომელსაც მე მოვწონვარ. აი ისიც: პატარა, თეთრთავსაფრიანი, შავთვალება გოგონა. ვითომ ვერ ვამჩნევ, ქუჩაში ვიცქირები. ის კი, დარწმუნებული ვარ, მიყურებს. სამ დღეში ერთხელ მეც გადავხედავ ხოლმე, რომ გულცივობით არ დავაფრთხო და თაყვანისმცემელი არ დავკარგო. დღეს არ ვაქცევ ყურადღებას. გუშინ შევხედე ორჯერ. გოგონამ კიდევ შემომხედა და რაღაც უთხრა თავის ამხანაგს. იმან არასასიამოვნოდ ჩაიკისკისა. პირობას ვიძლევი, რომ გოგოს, რომელიც ასე კისკისებს, არასოდეს არ შევირთავ ცოლად!

ჩასვლის დროა. უკანა ბაქნიდან ჩავდივარ. ფეხსაცმელს ვათვალიერებ, — მხოლოდ ქუსლებს ეტყობა დილანდელი წმენდის კვალი. ჩვენ, ტრამვაიდან ახლად ჩამოსულები, შესასვლელისაკენ მიმავალი ხალხის ნაკადს ვუერთდებით.

ჯიბე მოვისინჯე — საშვი თანა მაქვს. საყვირის ხმა გაისმა. ნაბიჯს ავუჩქარე.

— სალამი უფროსს, — მივესალმე მცველს და საშვი გავუწოდე.

3. შრომა

თანამშრომელთა მღელვარება მეც გადმომედო. თითქმის სირბილით ავედი მესამე სართულზე. ბნელ დერეფანში შევუხვიე; უკან წვრილი ქუსლების აჩქარებული კაკუნი მომდევდა. საკონსტრუქტორო განყოფილების კარი შევაღე და დიდ, ნათელ დარბაზში შევირბინე. დარბაზის ორივე მხარეს სახაზავი დაზგებია ჩამწკრივებული. კონსტრუქტორები იმ დაზგებშუა მივრბივართ. ნაწილი პირდაპირ გარბის, ნაწილი მარცხნივ უხვევს, — ლაბორატორიის უფროსების მაგიდებთან მისვლას ვჩქარობთ. ორი ლაბორატორიაა ჩვენს განყოფილებაში, ორი ლაბორატორიის უფროსი და ორი ჟურნალი, რომელშიაც ჩვენ მოსვლისას და წასვლისას ხელს ვაწერთ. გვარების სია თანამდებობების მიხედვითაა შედგენილი. მეცხრე კაცი სიაში გახლავთ მეორე კატეგორიის ინჟინერი ვაჟა ლოლაძე, ესე იგი, მე. ჟურნალთან რიგი იდგა.

— ვინ არის ბოლო? — ვკითხე შოთა ჭელიძეს.

— მე გახლავართ, ჩემო ბატონო. გოგი არ მობრძანებულა?

— ჯერ არა, ღრმად პატივცემულო.

— თქვენ მოაწერეთ მის მაგივრად ხელი.

— თუ ნებას დამრთავთ...

— შენ კარგად გამოგდის.

ორივემ გავუღიმეთ ლაბორატორიის გამგეს — კოტე ჩაჩიბაძეს. შოთამ ხელი მოაწერა და კალმისტარი გამომიწოდა. გამორთმევა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ეთერ ხომერიკმა, მეორე კატეგორიის უფროსმა ინჟინერმა, გამომგლიჯა ხელიდან და თავის გვარს ქშენით დაუწყო ძებნა. ეთერის გვარი სიაში მესამე ადგილზეა, მაგრამ პოვნა უჭირს. ეს ან ახლომხედველი თვალების ბრალია ან აგზნებულობისა. ეთერი ღელავს: საყვირი უკვე იყო, ხელი კი არ მოუწერია. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა ხელის მოწერა და კოტეს გაუღიმა:

— იმდენი ხალხი იყო დღეს ტრამვაიში... — მობოდიშების კილოთი დაიწყო ეთერმა, თან კალმისტარს ხელს არ უშვებდა, ცდილობდა პალტოს ჯიბეში ჩაედო.

— გამარჯობათ, ქალბატონო ეთერ, — მივესალმე.

— აჰა, გამარჯობა, როგორ შემაშინე, — ეთერი, როგორც ყველა დიდი სპეციალისტი, დაბნეულია და მხოლოდ ახლა შემამჩნია.

— მე ათი წუთის წინათ მოვედი. სულ ცარიელი იყო ტრანსპორტი, — თქვა კოტემ ეთერის გასაგონად.

— ათი, — თვალების ხამხამით დაითვალა ეთერმა, — ათი და თხუთმეტი... შვიდს გამოვაკლოთ ოცდახუთი... რვას მივუმატოთ ცამეტი... ხო, დიახ, მაშ, ასე...

— კალმისტარს თუ... ა-ა?.. მაპატიეთ, — თითქმის ჯიბიდან ამოვართვი კალმისტარი.

შოთა მაგიდასთან მიცდიდა და, როგორც კი დაინახა, კალმისტარი ხელთა მქონდა, კოტეს გასაგონად ჩაახველა:

— კონსტანტინ ივანიჩ, ერთი წუთით... გუშინ ხომ არ ყოფილხართ იქით?..

— სად?

— სადა და, ჩვენ რომ ვიცით.

— რა ვიცით ჩვენ, ჭელიძე? — გაწითლდა კოტე.

— როგორ გითხრათ ახლა...

ამასობაში მე ხელი მოვაწერე გოგის მაგივრად, მერე ჩემს მაგივრად და კალმისტარი ჟორას გავუწოდე.

— რას მეუბნები, ჭელიძე, არაფერი არ მესმის?!

— თქვენ ისე მელაპარაკებით, პატივცემულო კოტე, რომ ქალბატონი ეთე-

---

ამირან ჟიჟინაძე
ჩემი დღე

რი, რომელიც აქ ბრძანდება და ყურს გვიგდებს, რამე ცუდს იფიქრებს.

— ცუდი რა უნდა იფიქროს ქალბატონმა ეთერმა? — ჩუმად იკითხა კოტემ.

— ეგ მე აღარ ვიცი, კონსტანტინ ივანიჩ... მე უბრალოდ გკითხეთ, იქ თუ იყავით-მეთქი გუშინ.

— სად იქ?! — ხმა აიმაღლა კოტემ.

— სადა, და, ჩვენ რომ ვიცით.

— რა ვიცით ჩვენ? გამაგებინეთ... ტაკ?

— ა-ა, ვაჟა, შენ უკვე მოხვედი? — შოთა ჩემკენ მოტრიალდა, — გამარჯობა. სადა და, ზემელზე — ტექნიკური წიგნის მაღაზიაში.

ლაბორატორიის გამგემ შვებით ამოისუნთქა.

— არა, შოთა, არ ვყოფილვარ. არის რამე საჩვენო?

— იყო გუშინ. ხვალ გაჩვენებთ, — მშრალად დაპირდა შოთა და უფროსის მაგიდას მოშორდა.

მე და შოთა ჩემს მაგიდასთან შევჩერდით, საჩქარო აღარაფერი გვქონდა.

— მობრძანდით! — შევიპატიჟე.

— არა, გმადლობთ. თუმცა, ხუთიოდე წუთით... — და შოთა ჩემს სამუშაო კუთხეში შემოვიდა.

ჩემი ადგილია — მაგიდა ორ სახაზავ დაზგას შორის და ორი სკამი; ერთი მაგიდასთან, მეორე — დაზგასთან.

უკანა დაზგა ნელიკო ხუნდაძეს ეკუთვნის, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტს. დაზგას ჩემი მხრიდან დიდი ქაღალდი აქვს ჩამოფარებული, რომ ნელიკოს მუხლებმა საქმეს არ მომაცდინოს.

ჩვენ სამნი ერთ რიგში ვსხედვართ — გოგი, შოთა და მე, სამთავენი თითქმის ერთდროულად მოვედით განყოფილებაში, ერთნაირი თანამდებობები გვიკავია და დაახლოებით ერთი ჭკუისანი ვართ.

— დაბრძანდით, — შევთავაზე შოთას.

— იყავი შენ თუ არა? მითხარი გულახდილად, — მკითხა შოთამ და ჩემს დაზგასთან დაჯდა.

— არა, ტელევიზორში ვუყურე.

— აბა, შენა ხარ! რა ცირკი იყო! ისე ვისიამოვნეთ! არა, მართლა არ იყავი, თუ ხუმრობ?

მე თავი ისე დავიჭირე, რომ შოთა ვერ მიხვდა, მართლა არ ვიყავი ორი თვის წინათ სტადიონზე თუ ვხუმრობდი.

გოგიმ შემოიხედა:

— განვაგრძო გზა თუ დავრჩე? — ესე იგი, ჩემს მაგივრად ხელი თუ მოაწერეთო.

— ყველაფერი რიგზეა, — დაამშვიდა შოთამ.

— ჩემზე იყოს პატივისცემა, — გოგი ნელიკოს დაზგაზე ჩამოჯდა.

— მოკვდა ბიჭი, მეხუთეზე ძალა აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც იკისრა, ა?! — განაგრძო შოთამ.

— კიდევ ათი თვის წინანდელ ამბავს ყვები? — ჰკითხა გოგიმ.

— ათი თვის წინანდელი კი არა, ისტორიაში ჩასაწერი მატჩია. მალადეც, ილო, ხუთი მაინც რამ გაატანინა. რა ოფსილის პატრონია! ეუსებიოს მეტი კი არ გაუტანია!

— დაიცა, ძმაო, გაუმართლა რაღაც,— ჩავერიე მე.

— მესმის, ერთხელ გაგიმართლოს, ორჯერ გაგიმართლოს, მაგრამ ხუთჯერ?!.

— მოითმინეთ, ედიკა უნდა მოვიყვანო, — გოგიმ თეთრი ხალათი გადაიცვა და ედიკ არზუმანოვის მოსაყვანად წავიდა.

ჩემს დაფასთან ხალხი მოგროვდა. მეორმოცეჯერ ვისმენ ჩვენი „დინამოს“ და ერევნის „არარატის“ თამაშის გარჩევას. ჩემს დაფაზე იხაზება და იშლება სქემები, იწერება გოლის გატანის მანძილები, აღინიშნება მდგომარეობები, რომლიდანაც ილო დათუნაშვილმა ხუთი ბურთი გაიტანა.

— ვინ მეძახდა? შენ მეძახდი? რა გინდოდა? — გოგიმ მეზობელი ლაბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატორიიდან ედიკა მოიყვანა და შოთას წინ დააყენა.

— მე რა უნდა მინდოდეს, ედიკჯან, შენ ხომ არაფერი გწყენია ამ დღეებში?

— იცი რა-ა? მორჩით რა, რა მოგვიდათ! ერთხელაც თბილისის „დინამომ“ მოიგო, ვერ მოისვენეთ? საქმე ნახეთ, რაღა!

— შენ ახლა უფროსი კაცი ხარ და არ გეწყინოს, მაგრამ რავარია პიატნოლ, ა?!

— ეხლა ერთი ერევანშიც ვნახოთ სკოლკო ნოლ იქნება.

— ერევანში გუნდი არ წავა! — განაცხადა შოთამ.

— არა, შენ და შენი ლაბორატორიის უფროსი წახვალთ და მოიგებთ, არა? — გაცხარდა ედიკ არზუმანოვი.

რამდენიმე ბიჭი მოწყდა ადგილიდან; დაფებს შორის კოტე ჩაჩიბაძემ შემოიხედა.

— კმარა, კმარა, რა ამბავია? ოცი წუთი გავიდა, ლაპარაკს უნდებით, — კოტემ კიდევ ერთხელ დახედა საათს და თავის მაგიდასთან დაბრუნდა.

— ედიკ, შენ კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ არ ხარ მართალი, — დაასკვნა შოთამ და ნაღვლიანი თვალებით შეხედა ედიკას.

— იცოდე, მაგ საქმეზე აღარ დამიძახო, — უსაყვედურა ედიკამ გოგის.

— ხვალაც და მერე აღარ, — დაჰპირდა გოგი.

ედიკამ გაიცინა, ხელი ჩაიქნია, რა ენდა გელაპარაკოო...

მარტო რომ დავრჩი, უჯრებიდან სახაზავი იარაღები, ფანქრები, საშლელი და ლანცეტი ამოვიღე, დაფაზე სუფთა ფურცელი გავაკარი და ფანქრების თლა დავიწყე. ეს ნელი, მშვიდი პროცესია და ადამიანისგან ერთგვარ ცოდნასა და გემოვნებას მოითხოვს. მე ფანქრებს წვერი ზუსტად ისე წავუთალე, როგორც ამას „სმს“ — „სამხაზველო მეურნეობის სისტემა“ — წიგნი პირველი — მოითხოვს. წვერწათლილი ფანქრები დაფაზე დავაწყვე.

მცირე ყოყმანის შემდეგ ნელიკოს დაფის იქით გადავყავი თავი:

— ესე იგი, არა? ცივი უარი! არ მოველოდი, დამწვი, დამდაგე... — ვუთხარი ნელიკოს, როცა ელექტროსქემებს თავი გაანება და შეშინებულმა ჩემკენ გამოიხედა.

— არავითარ შემთხვევაში!

— უკანასკნელი რიგი, ოცდამეოთხე და ოცდამეხუთე სკამი, ოცდამეექვსე კედელია.

— ეგ ფილმი მე არ მაინტერესებს. მე სასაცილო სურათები მიყვარს.

— მე შენ უფრო სერიოზული გოგო მეგონე.

— თქვენ სცდებით, ახალგაზრდავ, — უგულოდ მიპასუხა ნელიკომ და ვიგრძენი: უკვე მობეზრდა თამაში.

მე დიდიხანია იმ იტალიურ ფილმზე ვპატიჟებ, რომელიც არსად არ გადის. ეს ბრწყინვალე აზრი თავში ერთი კვირის წინ მომივიდა.

— მაშასადამე, არ გიყვარვარ?!

— კარგი რა, ვაჟა, ეს სქემა თუ არ დავამთავრე, ეთერი მომკლავს.

— მაშ ჩვენს შორის ეთერი ამოვიდა ეკლად? მოვკლავ!

— მოკალი, ოღონდ ცოტა ხანს მაცალე. ისეთი არეული სქემაა. ოცდათვრამეტი 3423-ია, ხუთი სახელწოდების კონდენსატორი...

— არ გამაგიჟო! საკმარისია!

ნელი ნახაზს დაუბრუნდა, ბუტბუტი დაიწყო.

— კარგად დაფიქრდი, — მეგობრული რჩევა მივეცი ნელიკოს და თავი დავანებე.

ალბათ საათზე მეტი გავიდოდა, რაც მუშაობა დაიწყო. მეზობლების პანტოგრაფების დისკები ამოძრავდა. ეტყობა, კოლეგები ხაზვას შეუდგნენ. დაფაზე ჩემი კვანძის ესკიზი გავაკარი. სუფთა ფურცელზე პირველი ხაზი გავავლე.

ამირან ჟიჟინაძე
ჩემი დღე

ჩვენს საქმეში მთავარი დაწყებაა; მერე თავისით მიდის...

მიყვარს ხაზვა. ვხაზავ ლამაზად, ყველა წესსა და სახელმწიფო სტანდარტს ვიცავ.

მე, როგორც მეორე კატეგორიის ინჟინერი, მხოლოდ კვანძებს ვხაზავ, დეტალების მუშა ნახაზებს კი ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით ორი ტექნიკოსი და ერთი მხაზველი ასრულებენ. ასრულებენ ნელა, აუჩქარებლად: ხათრიანი უფროსი ვარ.

ნახაზს ჩრდილი დაეცა. შევტრიალდი და ჩემი ტექნიკოსი გაიოზ გოგავა დავინახე.

— აჰა, შენი დეტალები, — საკმაოდ უხეშად მომმართა გაიოზმა და ნახაზების გროვა მაგიდაზე დამიყარა.

— მორჩი? — ალერსიანად შევეკითხე.

— ნახე რა! მანდ არ არის?!

— ასე უცებ, კაცო?

გაიოზი უკვე ორი კვირა ხაზავდა ათიოდე დეტალს.

— აბა რა, ნემსისოდენა რაღაცებია. ზომების დასმით გავწვალდი. ტვინი ამემღვრა. მოვკვდი, აღარ შემიძლია. სულ მასშტაბებში ვხაზე.

— შენც ნუ იკლავ თავს. აი, კიდევ ერთი კვანძია გასადეტალებელი...

— დაიცა რა, ვაჟა, სულის ამოთქმა მაცალე. დღეს ხომ პარასკევია?

— პარასკევია, — დავეთანხმე.

— ხვალ ხომ შაბათია?

— ხვალ? — დავფიქრდი მე, — კი, ხვალ შაბათია.

— მოკლე დღეა შაბათი, — დაასკვნა გაიოზმა.

— ნამდვილად, გაიოზ, ნამდვილად.

— მართლა, აი რა: არ გეწყინოს და ორშაბათიდან დავიწყებ. რამდენი დეტალია?

— თვრამეტამდე.

— უსინდისო ვიყო, ერთ დღეში გაგიკეთებ.

— სამ დღეში იყოს, ნუ აჩქარდები, — დავამშვიდე.

— არა, ერთ დღეში გაგიკეთებ. შენ ხომ იცი, არა? გაიოზი თუ მოინდომებს...

სამწუხაროდ, ვიცი. ამიტომ ყველაზე იოლ და არასასწრაფო სამუშაოს გაიოზს ვაძლევ.

— რად უნდა მაგას ლაპარაკი!.. შენ ოღონდ კარგად დაისვენე!..

— მერე აი, მართლა, ვაჟა, ყველაზე ძნელ კვანძებს მე გიკეთებ, ხომ მართალია?!

— კი, შენ ძველი სპეციალისტი ხარ.

— ახლა მთლად ძველი არა, მაგრამ ჩემი საქმე ვიცი. მე ისე არ მიყვარს, სხვებივით. თუ მოვინდომე, დაფიდან თავს არ ავწევ. ძალიან გატაცება ვიცი, სხვათა შორის.

— წადი ახლა, დაისვენე, დაიმსახურე, ძმაო.

— მიყვარს საქმე, ასეთი კაცი ვარ. ლაპარაკი არ მეხერხება, თორემ...

— არა, ლაპარაკი არ გეხერხება, — დავეთანხმე.

— ეჰ, ვაჟა, შენ გესმის ჩემი. მე რომ ლაპარაკი მეხერხებოდეს... ა-ა? არ მოცემდნენ ამდენ ხანს ინჟინრის ხელფასს? — ეჭვის თვალით შემომხედა.

— როგორ არ მოგცემდნენ, — ვანუგეშე, — გამოცდილი კაცი ხარ...

— მე რომ მოვედი, აქ სულ სამი კაცი მუშაობდა. შენ არ გეწყინოს და, მე შენზე ორი წლით ადრე დავიწყე ეს საქმე. ა! ხუმრობა საქმეა?

— რაა საწყენი! არ აფასებს კოტე ხალხს.

— ე-ეხ! მაგან რა უნდა დამაფასოს. მაგი თვითონ არაა თავის ადგილზე, სხვათა შორის.

— აჰ!.. შენც სუ, მეც სუ...

— კარგი აბა. მე წავალ ახლა...

— გმადლობთ, გაიოზ, გმადლობთ.

— ეგ არაფერი, ვაჟა, რითაც შემიძლია, ყოველთვის დაგეხმარები.

მე ისევ ჩემს კვანძს მივუბრუნდი. ვცდილობ, არ გავიხედო გაიოზის ნახაზებისკენ... საჭმლით დასვრილი, შეცდომებით სავსე, თავიდან გადასახაზ ნახაზებისკენ...

უჯრიდან უკანასკნელ დღეებში დაგ-

როვილი ნახაზების დასტა ამოვიღე; ზემოთა მარჯვენა კუთხეში აუცილებელი წარწერა გავუკეთე ყველას: „ზომები, დაშვებების აღუნიშნავად, მეშვიდე კლასის სიზუსტით“, „ზომები, დაშვებების...“ სპეციფიკაციის მიხედვით დავაწყვე და კოტეს მაგიდასთან მივედი.

კოტე ჩაჩიბაძის სახაზავი დაზგა დარბაზის ბოლოს დგას, მაგიდა — გასასვლელში, ისე, რომ პანტოგრაფების მოძრაობას თვალყური ადევნოს. მოძრაობს დისკო — მუშაობს დაზგის პატრონი. კოტეს, ეთერს და საშა ოსიპოვს ყველაზე დიდი და ზუსტი სახაზავი დაზგები აქვთ — ფირმა „რეისი“. რაც უფრო დიდი თანამდებობა აქვს კონსტრუქტორს, მით უფრო დიდი დაფაა მასზე მიმაგრებული. „რეისის“ პატრონები თითქმის არასოდეს არ ხაზავენ — ისინი მხოლოდ მზა ნახაზებს ამოწმებენ. დიდი დაფები მათი ცოდნისა და გამოცდილების სიმბოლოა.

ჩემი მიახლოვებისთანავე კოტემ ნაჩქარევად შესწია მაგიდის უჯრა; ალბათ, სპასკ-ფიშერის პარტიას არჩევდა. იგი ჭადრაკის დიდი გულშემატკივარია.

უჯრიდან ფიგურის დაცემის ხმა მოგესმა. კოტე შეკრთა.

— ბატონო კოტე, ერთი გადახედეთ, — ვუთხარი მოკრძალებით და ნახაზები მაგიდაზე დავუწყვე.

— სკამი მოსწიე, ვაჟა, — კოტემ ფანქარი და საშლელი მოიმარჯვა, — მაშ ასე...

პირისპირ დავუჯექი და სიგარეტს მოვუკიდე.

— ტაკ: აქედან აჭერს, ჩადის, ედება, მერე ირთვება... ჯერ ეს წყვილი, მერე ეს... გადადის აქეთ. მერე... იკვრება... ტაკ.

— როგორც შევთანხმდით, ბატონო კოტე, ხომ გახსოვთ?..

— მახსოვს. ერთი წუთით, ვაჟა. ტაკ: ვაჭერთ აქედან, ხომ? ტაკ...

— დიახ.

— აქ ჩადის. ზამბარა მუშაობს?

— აბა რას იზამს?

— პირველი წყვილი ჩაირთო, ხომ?

— ჩაირთო.

— მერე მეორე ჩაირთო, ხომ?..

— ტაკ... ჩაირთო.

— ტაკ. რკალი შეიკრა. დენი წავიდა, ტაკ? კონტაქტები რა, ლითონისაა?

— თითბრის, ბოლოში ვერცხლი აქვს მირჩილული.

— ვერცხლი? რად გინდა ვერცხლი?

— დიდი ხნით ირთვება, ხახუნი, საკმაოდ დიდი დენი...

— ტაკ... იფიქრე, ვაჟა. ვერცხლი, ხომ იცი, მაინც... ვერცხლი ძვირფასი ლითონია.

— მე პლატინის კონტაქტები მინდოდა, მაგრამ... პლატინა!.. პლატინა ძვირფასი ლითონია...

— ზნაჩიტ ტაკ... კარგად დაფიქრდი, ვაჟა. მე თორმეტი წელიწადი წარმოებაში ვმუშაობდი. ვინ მოგვცემდა მაშინ ვერცხლს? აბა, იმან რა იცის წარმოების, — კოტე გულისხმობდა მეორე ლაბორატორიის გამგეს, — იმას სულ ქაღალდებთან აქვს საქმე... იმას ჰგონია, დახატავს და გაუკეთებენ. ჩვენ ხუდოჟნიკები ხომ არა ვართ! ყველაფერზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ, აბა, როგორ! ასეთი კვანძი აპარატში შვიდია, ტაკ? თორმეტი წყვილი კონტაქტი... თორმეტჯერ შვიდი ოთხმოცდაოთხი. ოთხმოცდაოთხი წყვილი... მერე სერიაში წავა... ნახე, რამდენი გამოდის? — უხარია კოტეს, — ჩვენ თუ არ დავთვალეთ, მერე ვინ დათვლის? იტყვიან, ამდენი ვერცხლი სად წავიდაო, ტაკ? იმას რომ მიუტანო, განა რამეს გეტყვის? ხელის მოწერა უხარიათ მაგათ. გინდა ბრილიანტები დაუყენე... ჩვენ ინჟინრები ვართ...

მოთმინებით ვუსმენ კოტეს. ვიცი: ბოლოს და ბოლოს ყველა ნახაზზე მომიწერს ხელს.

— ზნაჩიტ ტაკ. შენ კიდევ იფიქრე, ჯერჯერობით ხელს მოგიწერ. შენ ისე, დათვალე, ყველაფერი აწონ-დაწონე. ჩვენ იმათსავით ხომ არ ვიმუშავებთ...

კოტემ კვანძის ნახაზი გვერდზე გადა-

ამირან ჟიჟინაძე
ჩემი დღე

დო და მუშა ნახაზებს დაუწყო შემოწმება.

— „ზომები, დაშვებების აღუნიშნავად, მეშვიდე კლასის სიზუსტით“... სწორია! ტაკ...

ის დიდხანს ჩურჩულებდა რაღაცას. ქაღალდზე ზომებს იწერდა, ამოწმებდა დაშვებებს. მერე გადამრთველის ნახაზზე კატეგორიულად მითხრა:

— ტა-აკ. ესე არ წავა. ვერ გაუძლებს. ამას ხომ უნდა დავაწვეთ, არა?

— თითით, ბატონო კოტე.

— შენ — თითით, მუშა — ხელით. გაგიტეხს. სამჯერ გადასწევს, ხუთჯერ გადასწევს, მერე გადატყდება. სამი მილიმეტრით უნდა გავასქელოთ. გამიგე? ეს, ვაჟა, მუშა დეტალია. ამაზეა მთელი დაწოლა.

გადამრთველზე არაფერი დაწოლა არ იქნება. მისი მობრუნება ძალას არ მოითხოვს, მაგრამ მე არ ვეკამათები კოტეს. მას თავისი შეხედულებები აქვს გამძლეობის მარაგის კოეფიციენტზე. წარმოება, სადაც კოტე მუშაობდა თორმეტი წლის განმავლობაში, ტრაქტორებს უშვებდა და ამიტომ ჩემთვის გასაგებია მისი სიმპათიები სქელი და ტლანქი დეტალებისადმი.

— გავასქელოთ, ბატონო კოტე, თქვენი ნებაა.

— ტა-აკ... მაშინ ეს ზომაც წავა. ეს გაიზრდება. აი ასე. ახლა კარგია. ნაჯახიც რომ დაარტყა, იმუშავებს.

— დიახ, ტრაქტორივით იმუშავებს,— დავეთანხმე და იმის აღსანიშნავად, რომ უკვე ხელის მოწერის დრო იყო, ფეხზე ავდექი.

კოტემ მაგიდაზე გაფანტული ფურცლები მოაგროვა, ჩაახველა და ხელის მოწერა დაიწყო. ორი ასო „კ“ და „ჩ“ გადაბა და გადაბმულები მრუდე რკალში მოაქცია. ასევე აწერს ხელს კოტე ქარხნიდან გასასვლელ საშვზეც და ამიტომ ბევრჯერ მეც მიხდება „კ“-ს და „ჩ“-ს გადაბმა...

კოტეს ხელმოწერილ ნახაზებიანად მეოთხე სართულზე ავედი, სადაც სამხაზველო ნორმების კონტროლიორები სხედან. ნორმების კონტროლის ჯგუფში ოთხი ადამიანია. თავაზიანად მივესალმე ოთხივეს და რუბენ კაზარიანთან მივედი. რუბენი ერთადერთი მამაკაცია კონტროლიორებში და წვრილმან დარღვევებს ყურადღებას არ აქცევს.

— ძია რუბენ, სასწრაფო ნახაზებია!

რუბენ კაზარიანი სათვალის ზემოდან მიყურებდა წყლიანი შავი თვალებით; უხმოდ მომაწოდა სიგარეტი. იცოდა, რომ ცოტა ხანში მაინც გამოვართმევდი. ძია რუბენს არასოდეს სიგარეტის მოცემა არ ენანება და ჩვენ, ახალგაზრდა სპეციალისტები, მუდამ ვსარგებლობთ ამით.

— შენ მუდამ სასწრაფო მოგაქვს. დაჯე, მოსწიე, დაისვენე.

— სადა მაქვს დაჯდომის დრო, ძია რუბენ! წარმოება გვახრჩობს.

— ჯეელი ბიჭი ხარ, შენ ვინ დაგახრჩობს. დაჯე, ცოტა ვილაპარაკოთ.

დავჯექი და ნახაზები გავშალე.

— „ზომები, დაშვებების აღუნიშნავად, მეშვიდე კლასის სიზუსტით...“ ეს სწორია...

— ძია რუბენ, გუშინ ერთ ქალთან დაგინახეთ.

— ქალთან? — გაკვირვებით ასწია ხშირი წარბები ძია რუბენმა.

— რა გაგიკვირდათ? ვითომ ჯერ არ გაგივლიათ ქალთან?..

— კარგი ქალი იყო? „დაიფაროს რუხი ფერის გლიფტალის ემალით 4. 2062“...

— სამოცდათვრამეტი კილო, ვარდისფერი ლოყები. ყველაფერი რიგზე ჰქონდა...

— აქ დაუმუშავებელს სტოვებ? უნდა აჩვენო... ახალგაზრდა იყო?

— ლეტ სოროკ პიატ...

— აქაც ეს ხაზი ბოლომდე მიდის... არა, ეგ სხვა ვინმე დაგინახავს.

— ახალგაზრდა ქალები გიყვართ, რუბენ ოვანესოვიჩ? — კეკლუცად შეეკითხა ძია რუბენს ტატიანა ნემსაძე.

— ვა, თუ მნახა, ბარემ ახალგაზრდასთან მნახოს, ის არ მირჩევნია?!

— კი გირჩევნიათ, მაგრამ ს-ა-დ ა-რ-ი! — უთხრა ნინა კოპტინამ.

ძია რუბენმა ბოლო ნახაზს მოაწერა ხელი.

— სხვა დროს არასაჩქარო ნახაზები მომიტანე, ვილაპარაკოთ... ახლა გაიქე, არ დაგაგვიანდეს!

ისევ მესამე სართულზე ჩავედი.

თხუთმეტი ქალიდან თორმეტი მხიარული ყიჟინით შემხვდა:

— ა-ა, ვაჟიკო, პრივეტ!

— ვინც მოვიდა, ჩვენი სალამი!

— სადა ხარ, ვაჟა! აღარ გამოჩნდი, თავი მოგვანატრე...

გადამხაზველების ოთახში ვიმყოფები.

— დაჯე, გვიამბე რამე, — მითხრა მედიკომ, — გული გაგვიხარე.

— აქეთ არ მოიხედო! — კარადის იქიდან მომესმა სვეტას ხმა.

— მოიხედოს, თორემ ბრიჯიტ ბარდო არ დაინახოს! — თქვა რიტამ.

— შოკოლადს რომ შეგვპირდი, შე უსინდისო? — მისაყვედურა გენრიეტამ.

— იქნება, ყველაფერი იქნება, ლუდიც და კაკაოც. ჯერ საქმე.

— იმ შენი გაიოზის ნახაზები არ მომეცე და რასაც გინდა გაგიკეთებ. — მითხრა მედიკომ.

მედიკოს გაკეთებულ საქმეს გაიოზის გაფუჭებული მირჩევნია. ვცდილობ, მედიკოს არასდროს არ ჩაუვარდეს ხელში ჩემი ნახაზები.

— როგორაა საქმე, გოგოებო? ბევრი ფული გამოგიწერათ კატომ?

გადამხაზველები გამომუშავებაზე არიან. ფულს ბრიგადირი კატო უწერთ — ერთ-ერთი იმ სამ ქალთაგანი, აღტაცება რომ არ გამოუხატავს ჩემს დანახვაზე.

— ეგ რამეს გამოგიწერს? — თქვა რიტამ, — რაც კარგი სამუშაოა, თავის დაქალებს ურიგებს. აი ნახე, მე სულ სქემები მომცა...

— ნუ იცი უსამართლო ლაპარაკი, — ჩაერია ლიდა, — ყველას ერთნაირი სამუშაო გვაქვს.

ვიგრძენი, რომ ახლა მდგომარეობა გამწვავდებოდა, ნახაზები კატოს მაგიდაზე დავაწყვე და კარებისაკენ წავედი.

— შენ ჯერ მუშაობა ისწავლე და მერე რთული ნახაზები მოითხოვე, — თქვა გენრიეტამ.

— მე-ე? იქნებ შენ მასწავლო! — გაცხარდა რიტა.

— გოგოებო, ბოდიში, გტოვებთ!

— რა მოგივიდათ! გააქციეთ კაცი! — სტუმართმოყვარეობის პოზიციები დაიცვა მედიკომ.

— არა უშავს! თქვენ გააგრძელეთ, — ვთქვი მე, მაგრამ ყურს აღარავინ მიგდებდა.

ხმაურით გაბრუებული გავედი ოთახიდან.

დერეფანში რობერტმა გამაჩერა. რობერტიც კონსტრუქტორია, უფროსი ინჟინერი, მეორე ლაბორატორიის დედაბოძი. რობერტმა გამაჩერა და ხალათის თასმაში მომკიდა ხელი.

გავჩერდი და ვუცდიდი, რას მეტყოდა.

— ორი გოგონა რომ მიდის, ხედავ?

დერეფანში ხელიხელგადახვეულნი მისეირნობდნენ ტექნოლოგები — ნუნუ და ლია.

— ვხედავ.

— კარგად დააკვირდი.

მე დავაკვირდი ნუნუს და ლიას. მიდიოდნენ, საუბრობდნენ. მე მშვენივრად ვიცნობდი ორთავეს, მაგრამ რობერტის ხათრით ვაგრძელებდი დაკვირვებას.

— გამოცდილების ამბავია, ვაჟიკო,— რობერტი ჩემზე ხუთი წლით უფროსია, — შენ ახალგაზრდა ბიჭი ხარ. ყველაფერს უნდა დააკვირდე. შენი მთავარი მიზანი ახლა უნდა იყოს ცოლის მოყვანა. ამიტომ გოგონებს უნდა დააკვირდე პირველ რიგში. არ უნდა შეცდე. მე ახლა რომ მყავდეს ცოლი მოსაყვანი, არაფერში არ მოვტყუვდებოდი.

მე ვიცი, რომ ნუნუ და ლია გათხოვილები არიან. ნუნუს ორი შვილი ჰყავს, ლიას — სამი.

კარებშიაც არ გამიშვა ხელი. ძლივს გავეტიეთ.

ამირან ჭიჭინაძე
ჩემი დღე

რობერტის დიდ დაფასთან მივედით. რობერტი მაინც არ მიშვებდა ხელს.

— მე წელან რომ გითხარი, ახლა არ შევცდები-მეთქი, შენ სხვანაირად ხომ არ გამიგე?

— არა, რატომ უნდა გამეგო სხვანაირად?

— ჩემი დალი ძალიან პატიოსანი ქალია, ყველაფერში. მე ძალიან პატივსა ვცემ მას. ასე რომ არ იყოს, შვილი არ მეყოლებოდა; ახლაც...

— მართლა? — სიხარული გამომეხატა სახეზე.

— კი, უკვე მეექვსე თვეშია. სხვათა შორის, ძალიან ტკბილი ოჯახი გვაქვს. შენ რომ მოხვიდე ჩვენთან, ნახავ, რა კარგია ოჯახი. არაფერი არ ჯობია ოჯახს. ოჯახი სხვაა, ქალები სხვაა. შენ ვისთანაც გინდა იარე, დრო ატარე, მაგრამ ოჯახს არ უღალატო! დამიჯერე, ვაჟა, შენ ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ და გამოცდილება გაკლია.

— მჯერა, როგორ არ მჯერა, მე ვეცდები...

— შენ მართლა გამოიარე. დავსხდეთ, ვისაუბროთ: ჩემს ცოლს უყვარს კულტურულ ახალგაზრდებთან საუბარი. ჩემს გოგოსაც ნახავ.

— გამოვივლი აუცილებლად, — რობერტმა ხელი გამიშვა. უკან მოუხედავად წავედი, რომ მისამართის შემოჩეჩება არ მოესწრო.

მეზობელ ლაბორატორიაში გადმოსული გოგი ირაკლი ბარბაქაძეს ელაპარაკებოდა. დამინახა და ხელით მანიშნა, მოდიო.

— ა-ა, ვაჟა, კარგია, რომ თქვენც მობრძანდით, — მითხრა ირაკლი ნიკოლაევიჩმა, მეორე კატეგორიის უფროსმა ინჟინერმა.

ირაკლი ნიკოლაევიჩი სამუშაო დროს რაციონალიზაციასა და გამომგონებლობას ანდომებს.

— როგორ ბრძანდებით, ირაკლი ნიკოლაევიჩ? — ვკითხე.

— არა უშავს, გმადლობთ. ახლა სწორედ თქვენს მეგობარს ვესაუბრებოდი... იცით, რომ დღესაა შესვენების შემდეგ?

ვიცოდი, მაგრამ მაინც ვკითხე:

— რა არის დღეს, ირაკლი ნიკოლაევიჩ?

— აი, ხომ ხედავთ, არც სცოდნია, — მიუბრუნდა გოგის ირაკლი ნიკოლაევიჩი.

—ვახ, არ იცოდი, ხომ!.. — დამტუქსა გოგიმ.

გაოგნებული სახე მივიღე. პირი დავაღე.

— დღეს, შესვენების შემდეგ, ჩემო ბატონო, იქნება. რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს სხდომა.

— დღე-ეს? — კიდევ უფრო გამიკვირდა.

— პრემიების ამბავი დღეს უნდა გადაწყდეს. სამი პრემია იქნება. 75, 50 და 30 მანეთის რაოდენობით.

— ჩვენ მაინც რა, ჩვენ არაფერი, — ამოიოხრა გოგიმ.

— არა, რატომ? ყველაფერი შესაძლებელია. გავიგე, თქვენ ორი წინადადება წამოგიყენებიათ, ოსიპოვმა მითხრა. თანაავტორები ხართ, ხომ?

— დიახ, ირაკლი ნიკოლაევიჩ, — მივუგე.

— კარგია, მეგობრულად მუშაობას რა სჯობია. საინტერესოა, ძალიან საინტერესო...

— პრემიები თქვენი იქნება, ბატონო ირაკლი! — უთხრა გოგიმ.

— მაგას რად უნდა ლაპარაკი, — კვერი დავუკარი.

ირაკლი ნიკოლაევიჩმა მორცხვად დახარა თავი.

— კვეხნით არ ვიტყვი და ძალიან ბევრი ვიმუშავე. ორმოცამდე სამუშაო ნახაზი შევადგინე. დღესვე შეუძლიათ წარმოებაში ჩაუშვან, თუ მოისურვებენ, რასაკვირველია.

— მოისურვებენ, **რას არ** მოისურვებენ! — ვუთხარი მე.

— რასაკვირველია, — თქვა გოგიმ.

ირაკლი ნიკოლაევიჩის დაფა ორი ლაბორატორიის საზღვარზე დგას. ჩვენი მხრიდან ეთერ ხომერიკის დაზგა ამაგრებს მისადგომებს. იქიდან ქალბა-

ტონ ეთერის უკმაყოფილო ჩახველება და სქემების ნერვიული შრიალი მოისმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხმამაღალი საუბარი ხელს უშლიდა მის შემოქმედებით მოღვაწეობას.

ირაკლი ნიკოლაევიჩმა ტუჩებზე მიიფარა ხელი, ეთერისკენ გვანიშნა, მაგის ყბაში ნუ ჩამაგდებთო, მერე ჩურჩულზე გადავიდა:

— თვის ბოლოს, ამბობენ, პრემიები იქნებაო, პრემიები. კვარტალური. ჩვენც გვერგება ორ-ორი კაპიკი. ხე-ხე-ხე.

ახლა ირაკლი ნიკოლაევიჩი ვირთხას მაგონებდა.

— მიაუ! — ხმადაბლა ჩავიკნავლე მე.

— გაგიხარდა? — გაუბრწყინდა თვალები ირაკლი ნიკოლაევიჩს. — ახალგაზრდა კაცი ხარ და ზოგი რამ ხომ იცი... არ გეწყინოს, მამაშვილურად გეუბნები, — თითით მანიშნა, ჩემკენ ყური მოსწიეო და ჩამჩურჩულა: — წეღან რობერტს ელაპარაკებოდი, ხომ მართალია? გიცინოდა, გეხუმრებოდა... იცი, ვისი ბრალია, წინა პრემია ცოტა რომ მოგცეს? ჰო, და იცოდე!.. „მაგას არ სჭირდება, ცოლ-შვილი არა ჰყავსო". რა ვუყოთ, რომ არა გყავს? ახალგაზრდა კაცი ხარ, უნდა ისეირნო, დრო ატარო. ახლა გინდა ჯიბის ფული...

— მართალი ბრძანებაა, — დაეთანხმა გოგი; ისიც ირაკლი ნიკოლაევიჩისაკენ დაიხარა და ყურს უგდებდა.

— ასეთია ცხოვრება. პირში ერთს ამბობს ხალხი, ზურგს უკან — მეორეს. უცოლშვილოაო! რა მაგის საქმეა, კაცო?!

— ნამდვილად არ არის მაგის საქმე, — კვერი დავუკარი, მერე მრისხანე გამომეტყველება მივიღე, — არ შევარჩენ, დედას ვუტირებ!

— აპ-პ! — შეეშინდა ნიკოლაევიჩს,— არ უთხრა არაფერი, თუ ძმა ხარ. როგორც შვილს, ისე გითხარი. გაგიღიმებს, შენც გაუღიმე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება...

— გასაგებია!

— ჰო, მასე! ჭკუით უნდა საქმის გაკეთება, ჭკუით!

— გმადლობთ, ბატონო ირაკლი, არ დავივიწყებ თქვენს ამაგს.

შოთა შემოგვიერთდა.

— ბიჭებო, როგორ არა გრცხვენიათ, აცდენთ პატივცემულ ირაკლი ნიკოლაევიჩს! წამოდით ჩემთან.

— ეგ არაფერი, ხუმარა ბიჭია! — ნაძალადევად გაიცინა ირაკლი ნიკოლაევიჩმა.

შოთა წინ გაგვიძღვა და დარბაზიდან გაგვიყვანა.

— გაგიჟდით? უკვე ათი წუთი აკლია შესვენებას! — გვითხრა შოთამ და ხალათის ქვემოდან მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნები დააძრო...

განიერ დერეფანში ორი მაგიდა დგას. ხალხი უკვე შეგროვილიყო — ბადეებს ჭიმავდნენ. ჩვენ შავი ჩეხური მაგიდისაკენ გავწიეთ. მეორეზე „ჭ" ჯგუფის მოთამაშენი ხვდებიან ერთმანეთს— ლიპიანი ტიპები და ქალები.

— რა ამბავია? — იკითხა შოთამ, — შესვენება ჯერ არ დაწყებულა და უკვე აქა ხართ? დასწრებაზეა?!.

— ვინც გინდათ, მოდით, — დაატრიალა ჩოგანი ქარხნის ყველაზე ლამაზმა ყმაწვილმა, გადამხაზველი გოგოების კერპმა, ტექნოლოგმა ვახტანგ ბერიშვილმა.

ჩვენ სამმა ერთმანეთს გადავხედეთ.

— დამითმობთ? — მოკრძალებით ვიკითხე.

გოგიმ და შოთამ არაფერი არ მიპასუხეს და მე მაგიდის მეორე მხარეს დავდექი.

ვახტანგმა ბურთი მომაწოდა. მოთელვა დავიწყეთ.

— რა მომდის, კაცო, ვერ ჩავდექი ფორმაში... — ამბობს ვახტანგი, როცა მისი მოწოდებული ბურთის აღებას ვახერხებ.

ბოლმით ვივსები. ერთი მომაგებინა, მეტი არაფერი მინდა...

— დავიწყოთ? — ვეკითხები მშვიდად.

აპირან ჭიჭინაძე
ჩემი დღე

— შენი ნებაა...

გაისმა ზარის ხმა. ეს იმას ნიშნავს, რომ შესვენება დაიწყო.

4. შესვენება

ხმაურით გამოცვივდნენ გადამხაზველები. ჩვენს მაგიდასთან ჩამწკრივდნენ და აღტაცებული თვალები მიაპყრეს ვახტანგ ბერიშვილს. ვახტანგის მიხრამოხრას პლასტიურობა მოემატა. ლამაზად დახტის, წარბებს მაღლა სწევს და მომხიბლავად იღიმება.

— ეს თამაშია?! დაარტყამ თუ არა ბოლოს და ბოლოს? — გავცხარდი მე.

— ითამაშე, გენაცვალე. ეს სპორტია.

ვარტყამ — იღებს. ვარტყამ და კიდევ იღებს. თან იღიმება. დიდი სიამოვნებით გავუშლიდი თავში ამ ჩოგანს...

— დაარტყი რა! — თითქმის ვიყვირე.

— ნუ ღელავ, წყნარად... — მამშვიდებს ვახტანგი, — ნერვები გაქვს აშლილი, გენაცვალე?

— შენ გენაცვალეს თავი დაანებე და დროზე მიაწოდე, — უთხრა შოთამ.

— შენც ანერვიულდი? — ღიმილით ჰკითხა ვახტანგმა; თან ბურთის მოწოდებას არ ჩქარობდა.

გადამხაზველმა გოგოებმა გადაიკისკისეს.

ვახტანგმა მოაწოდა. დავარტყი. ვახტანგმა უკან დაიხია და შორიდან აიღო ბურთი. კიდევ დავურტყი. კვლავ აიღო. ბურთი ბადეს მოხვდა და ჩემს ნახევარზე დაეშვა... მომიგო.

— ესეც თუ მოგებაა, — თქვა გოგიმ გადამხაზველთა გასაგონად.

— შემდეგი! — გაიბღინძა ვახტანგი.

მინდოდა მაგიდაზე დამეხეთქებინა ჩოგანი, მაგრამ თავი შევიკავე და ფრთხილად მივაწოდე შოთას.

— ბუფეტში თუ არ ვიქნები, კომბინატის სასადილოში გადმოდით, — ვუთხარი შოთას.

— მაგას სანამ არ მოვუგებ, არ წამოვალ, — ჩუმად მიპასუხა შოთამ.

გოგიც, ალბათ, ამასვე აპირებდა:

— ჩვენთვისაც წამოიღე რამე...

— რა გინდათ? — ვკითხე, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ სოსისებს მოვუტანდი.

— რასაც შენთვის აიღებ, — მიპასუხა გოგიმ.

— ჩემთვის კუჭმაჭს და ბატკნის მწვადს ავიღებ.

— კარგია, ჩვენთვისაც იგივე, — დამიყვირა შოთამ და შეეცადა მისწვდომოდა ვახტანგის დარტყმულ ბურთს.

რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ჩვენი ქარხნის სასადილოს რეკონსტრუქცია დაიწყო. ახლა მხოლოდ ბუფეტიღა მუშაობდა. ბუფეტში ძალიან ბევრი ხალხი იყო და მეზობელი კომბინატის სასადილოში გავიქეცი. უპალტოოდ ვიყავი გამოსული და იმიტომ გავრბოდი.

კომბინატის უშველებელი სასადილო თითქმის ცარიელი იყო. სამიოდე კაცი იდგა სალაროსთან. რიგში ჩავდექი და ყოველ შემთხვევისათვის მენიუ შევათვალიერე.

ყვითელპალტოიანი და მწვანეშლიაპიანი წითელცხვირა კაცი ჩემს წინ დადგა. მე ჩავახველე. კაცმა უაზრო თვალებით შემომხედა და მთქნარებით მიაბრუნა პირი. ჩემი რიგი მოვიდა, მაგრამ შლიაპიანმა მშვიდად მიაწოდა მოლარეს მანეთიანი.

— მეც ვდგავარ, ბატონო, რიგში, — ზრდილობიანად მივმართე მოქალაქეს.

— კი დგახარ, ბიძიკო, მარა, მე ახლა გხედავ პირველად!

— ახლა ხომ მხედავთ, ბატონო! — წყნარად ვუპასუხე.

— ვინაა, კაცო, ეს? — გაბრაზდა მოქალაქე.

— ასეთი საუბარი ქუჩაში! — ამომხედა მოლარე ქალმა. ორმოცდაათი წლის იქნებოდა. თმები შავად ჰქონდა შეღებილი. — ახალგაზრდავ, ასე ქუჩაში ილაპარაკეთ, — განაგრძო მოლარემ და შლიაპიანს მიმართა, — რა მოეთხოვებათ ახლანდელ ახალგაზრდებს. ერთი ყური დაუგდეთ, როგორი კილოთი ლაპარაკობს!

მე ხმა არ ამომიღია. ისე ვუყურებდი

მოლარეს, თითქოს მისი ნათქვამი მე არ შემეხებოდა. შლიაპიანი თანაგრძნობამ გაამხნევა:

— ეს რა ხალხია, კაცო? ვერც დაილაპარაკებს ხეირიანად. არ იციან ოჯახური საუბარი. ხარჩო, გენაცვალე, კატლეტები და ლუდი.

— სხვა დროს არ დაგელაპარაკებოდით, ბატონო, — ძალიან ზრდილობიანად ვუთხარი მე.

— ერთი შეხედეთ, რამდენს ბედავს, — აღშფოთდა მოლარე, — თქვენ ხარჩო გნებავთ?

— ხარჩო, კატლეტი, ლუდი. სულ წავიდნენ ხელიდან.

— კატლეტი არა გვაქვს.

— ბივშტექსი?

— ბივშტექსიც არა გვაქვს. აიღეთ ღორის ოტბივნოი.

— აპ-პა-პა-პა!.. ნამეტანი ქონიანი იქნება.

— მაშინ ცხვრის ჩახოხბილი.

— ჯანდაბას, ჩახოხბილი იყოს, — დიდხანს ითვალა ხურდა.

— ნუ აყოვნებთ, თუ შეიძლება, — ვუთხარი მე.

კაცმა სიბრაზისაგან დამანჭული სახე მოაბრუნა:

— რას ჩამაცივდი, კაცო, შენ?! ვინ ხარ შენ?! ვისი გაზრდილი ხარ შენ?! რა არის ეს ბოლოს და ბოლოს!

მე ყურადღება არ მივაქციე მის აღშფოთებას:

— ნუ ხმაურობთ, ბიძიკო, ხალხს მადას დაუკარგავთ.

მოქალაქე გაცოფდა, ჯერ უხმოდ გაშალა ხელები, ტუჩებით შეიგინა, მერე ხელი ჩაიქნია, რა უნდა გელაპარაკოო.

— ქართულად ველაპარაკები და არაფერი არ ესმის, კაცო!

მე უკვე სალაროში მქონდა თავი შეყოფილი და მეგობრულად ვეჩურჩულებოდი მოლარეს:

— მოქალაქეს ჰგონია, რომ რუსთაველის ენით გვატკბობს. სამი მოწოწლიკი და სამი ყავა, თუ შეიძლება.

ქალი ახლა რატომღაც აღარ მიბღვერდა. დედობრივი მზრუნველობით დამიწყო დარიგება:

— კი მარა, მაინც შენზე უფროსია, რაც არ უნდა იყოს; თითქმის მამად გეკუთვნის.

— ბოდიში, მე არ ვიცოდი, რომ თქვენთან რიგი უფროსობითაა.

— კარგი ახალგაზრდა ბრძანდები, გენაცვალე, და მაინც არ ვარგა, — გამიღიმა მოლარემ და ქვითარი მომაწოდა. თუ რა არ ვარგოდა, ის აღარ მითხრა.

სამი ულუფა სოსისი და, რატომღაც, სამი ყავა ავიღე. თვალით კარგ ადგილს დავუწყე ძებნა და ჩემკენ მობრუნებული მშვენიერი სახე დავინახე. დაუფიქრებლად, მგონი, ჩემდა უნებურად, წავედი იქით, მექანიკურად დავდე მაგიდაზე ალუმინის სადგამი და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ყვითელპალტოიანი წითელცხვირაც ამ მაგიდასთან იჯდა. მწვანე ველურის შლიაპა ეხურა. წამსვე ვისარგებლე ამით და ქალიშვილს მივმართე:

— ბოდიში, რომ უშლიაპოდ ვჯდები, შეიძლება?

გოგომ გაიცინა და ჩანგლით მანიშნა, დაჯექიო.

მოქალაქე წამოხტა.

— ლაწირაკი, თავხედი, — ჩაიჩურჩულა და თავისი პურ-მარილი სხვა მაგიდაზე გადაიტანა.

მე არ ვაქცევ ყურადღებას არც მის ჩურჩულს, არც ჩემს სოსისებს — გოგოს ვუყურებ და ვტკბები მისი სილამაზით. გოგომ თავი დახარა, უხერხულად განაგრძო ჭამა. მე გამოვერკვიე და დანის მოსატანად წავედი. დანა ვერ ვნახე. ჩანგალი მოვიტანე და ორი ჩანგლით დავიწყე ჭამა. ერთით ვამტვრევ სოსისს, მეორით მდოგვში ვაწებ და პირში ვიტენი. გოგომ ჩემს სამ ყავას გადახედა და თვალებში მხიარული ნაპერწკლები აენთო. რა ვქნა? ყავაზე ჩამოვუგდო საუბარი? ისეთი იერი აქვს,

---

ამირან ჭიჭინაძე
ჩემი დღე

რომ ჩვეულებრივ ხუმრობას ვერ ვკადრებ. დახრილ შუბლზე თმა ჩამოეშალა და ერთი თვალი დაუფარა. ძლივს ვიკავებ თავს, მინდა, ხელი გადავწიო და თმა გავუსწორო; მეტი არაფერი, მხოლოდ თმა გავუსწორო. ახლა გაათავებს ჭამას და წავა. უნდა ვუთხრა რამე. რა ცხარეა ეს მდოგვი... ალბათ ბევრი მომივიდა.

რას ვეუბნები ხოლმე გაცნობისას გოგოებს? გოგოებს კი, მაგრამ ამას რა ვუთხრა?

„— როგორ ბრძანდებით?

— თქვენ გიყვართ სამი ყავა?

— საერთოდ აქ დადიხართ შესვენებაზე?

— მუსიკა უფრო გიტაცებთ თუ ფერწერა?

— მე დღეიდან ამ სასადილოში ვივლი.

— მე მქვია ვაჟა. აქვე ვმუშაობ, ქარხანაში.

— ღორმუცელა არ გეგონოთ, ეს ჩემს ამხანაგებს ავუღე.

— სად ცხოვრობთ? რატომ აქამდე არ მინახავხართ?

— რა ხუთი ბურთი შეაგდო ილო დათუნაშვილმა!

— მე ბავშვობაში ლექსებს ვწერდი, თქვენ?

— მე პატარა და მყავს, მაიკო...“

ყველაფერი უსუსურად მეჩვენება. ვერაფერს ვერ ვეტყვი. ის ახლა ადგება და წავა. ხვალ კიდევ მოვა. უნდა მოვიდეს, აბა, სად უნდა ისაუზმოს შესვენების დროს? მოვალ ხვალ და მივესალმები. მხოლოდ ერთ ულუფა სოსისს და ერთ ყავას ავიღებ. ბიჭებიც მოვიყვანო? უფრო გაბედულად ვიგრძნობ თავს. არა, მარტო მოვალ, მოვალ და ისევ მის მაგიდასთან დავჯდები...

ისიც უხერხულად გრძნობს თავს. ოდნავ მოსვა ყავა და ადგა, ერთი წამით შემომხედა და თმები გაისწორა. მე თავი დავღუნე. მესმის მისი ნაბიჯების ხმა. უკვე გასასვლელთან იქნება მისული. ავიხედე: უკვე კარებშია. სასადილოში შოფრების ჯგუფი შემოდის და იმათ უცდის. ჩემკენ არ იხედება. თეთრი, ფაფუკი სვიტრი აცვია. ქუსლებზე რომ დადგეს, ჩემი სიმაღლე იქნება. შეხედავენ თუ არა შოფრები? ხელების სრესით ჩაუარეს გვერდი, არც შეუმჩნევიათ. გავიქცევი, კარებს გავუღებ... თვითონ გააღო, ქუჩაში გავიდა... განიერი, მსუბუქი ნაბიჯი აქვს. ხვალამდის...

დერეფანში რობერტი რომ შემხვდეს, პანღურს ამოვარტყამ...

დარჩენილ სოსისებს მდოგვი წავუსვი და პურის ნაჭრებში ჩავდე. ფეხზე მდგარმა გადავყლაპე ყავა.

ჩემი ქარხნისაკენ გავიქეცი. შორიდან მომესმა ზარის ხმა — ჩვენი განყოფილების შესვენება დამთავრდა.

5. კვლავ შრომა

გოგი და შოთა შუა ჭამაში იყვნენ, როცა ირაკლი ნიკოლაევიჩმა გადმოლახა ლაბორატორიების საზღვარი და ჩემთან შემოიხედა.

— რასა შვრებით? არ წავიდეთ, ყმაწვილებო?

— წავიდეთ და გავიმარჯვოთ! — ვუპასუხე მე.

— მ-მუ, — თქვა გოგიმ.

— მეც მოვდივარ, — თქვა შოთამ,— პრემიის ათი პროცენტი... თანაგრძნობისათვის...

— კონსტანტინ ივანიჩი გააფრთხილეთ: უფროსმა უნდა იცოდეს სადა ხართ, — დაგვარიგა ირაკლი ნიკოლაევიჩმა.

გოგიმ ფრთხილად დაახვია ორი დიდი ფურცელი და ღრმაზროვნად გაუღიმა ბატონ ირაკლის.

— ნახაზები თქვენც დაამზადეთ? — გაუკვირდა ირაკლი ნიკოლაევიჩს და იღლიაში ამოდებული ფურცლების უზარმაზარი გროვა გაისწორა.

— ისე, საერთო ხედებია, — ვანუგეშე მე.

— ესენი შვიდი თვეა მუშაობენ, — თქვა შოთამ.

— ხი-ხი-ხი, — ჩაიხითხითა ირაკლი

ნიკოლაევიჩმა, — შვიდთვიანი პროექტი გაქვთ?

— ბოლო ხელი უნდა მომეგო, 26:24. კინაღამ ვიტირე, — მითხრა გოგიმ.

— მაგან თამაში არ იცის, ვგიჟდები, როგორ გვიგებს.

— ბალერინაა... — თქვა შოთამ.

— ხე-ხე-ხე, — გაიცინა ირაკლი ნიკოლაევიჩმა, — ბალერინა!.. ვახტანგზე ხომ არ ამბობთ? ლამაზ-ლამაზი ბიჭი რომაა?..

ჩვენი ქარხნის რაციონალიზატორები და გამომგონებლები ტექნიკური განყოფილების უფროსის — ნანობაშვილის კაბინეტში შეიკრიბნენ. ნანობაშვილი დილით ტრამვაიში ვნახე. მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, კიდევ ერთხელ მივესალმე.

რაციონალიზატორები ნერვიულობენ. ოთახი პაპიროსის ბოლითაა სავსე, საფერფლე — სიგარეტების ნამწვავებით.

გრძელ მაგიდასთან სხედან რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს წევრები.

ნანობაშვილი საქმიანი კაცია, საათს დასცქერის და იწყებს:

— კარი მიხურეთ, თუ შეიძლება!

მუშა-რაციონალიზატორმა ბორის პეტროვმა დახურა კარი.

— ბიუროში ჩვიდმეტი რაციონალიზატორული წინადადება შემოვიდა, — განაგრძობს ნანობაშვილი, — გამოგონება — ერთი. ბიურომ წინასწარ გაარჩია ეს წინადადებები, გაეცნო ავტორიტეტულ პირთა აზრს. ჩვენი აზრით, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა დარჩეს ცხრა რაციონალიზატორული წინადადება. გამოგონება, კერძოდ, ინჟინერ ბარბაქაძის ახალი მუფტა, ჩვენ გამოგონებად არ მივიჩნიეთ, რადგან მასში პრინციპულად ახალი არაფერია.

— როგორ თუ არაფერია! — შეაწყვეტინა ირაკლი ნიკოლაევიჩმა, — ფოლადის თითები რეზინის მაგივრად, ჰა!

— კაცო, ჯერ ფოლადის თითებით იყო მუფტები, მერე რეზინზე გადავიდა!.. — ჩაერია საშა ოსიპოვი.

— მე ოცი წელიწადია ვმუშაობ და ვიცი, რაზე გადავიდა და როგორ გადავიდა!.. — გაცხარდა ირაკლი ნიკოლაევიჩი.

— ბატონო ირაკლი! თქვენ შეგიძლიათ გაგზავნოთ თქვენი გამოგონება პატენტთა ბიუროში. იქ ყველაფერს გამოირკვევენ, — მშვიდად უთხრა ნანობაშვილმა, — შეიძლება თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენი საერთო აზრი ასეთია. თქვენ ხომ კიდევ გაქვთ რაციონალიზატორული წინადადებები?

— არა უშავს, — ირაკლი ნიკოლაევიჩმა ნახაზებზე დაირტყა ხელი, — აქ მაქვს ყველაფერი, რა თქმა უნდა! თქვენ გააგრძელეთ.

— მაშ დარჩა ცხრა რაციონალიზატორული წინადადება, რომლებშიაც ქარხნისთვის საჭირო აზრებია გამოთქმული. ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რომ დეტალურად განვიხილოთ ეს წინადადებები და გადავწყვიტოთ, ვის მივაკუთვნოთ პრემიები.

— აქ მაქვს მთელი ნახაზები. ორმოცდაორი მუშა ნახაზი. დღესვე შეიძლება წარმოებაში ჩაშვება! — თქვა ირაკლი ნიკოლაევიჩმა.

— ერთი წუთით, ბატონო ირაკლი!— ნანობაშვილმა სათვალე გაიკეთა, — მუშა-რაციონალიზატორ პეტროვის წინადადება, ინჟინერ ოსიპოვის ორი წინადადება, ამხანაგ ბარბაქაძის სამი წინადადება...

— ოთხი, — გააწყვეტინა ირაკლი ნიკოლაევიჩმა და ნახაზების გაშლა დაიწყო.

— დამაცადეთ, თუ შეიძლება! — მკვახედ შეაჩერა ნანობაშვილმა, — ჩვენ აქ სამი გვაქვს, ბატონო, და თქვენ კიდევ რა გააკეთეთ, არ ვიცი.

— სულ სამი პრემიაა! ნუ ღელავთ,— დააწყნარა ირაკლი ნიკოლაევიჩი შოთამ.

— ორი წინადადება ეკუთვნით ინჟინრებს — სულხანიშვილსა და ლოლა-

ძეს და ერთი — საზეინკლო საამქროს უფროსს ამხანაგ ქანაშვილს. რიგრიგობით განვიხილოთ, ამხანაგებო. პეტროვის წინადადება ეხება... ჰო, მართლა, წინასწარ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქარხნის რაციონალიზატორები კარგად ამჩნევენ წარმოების სუსტ მხარეებს და ცდილობენ წვლილი შეიტანონ მათ გამოსწორებაში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამი წინადადება ეხება ერთსა და იმავე საკითხს, კერძოდ, ტრანსფორმატორების რკინის ფხაურის გასუფთავებას, რაც ჩვენთან ხელით სწარმოებს. ქანაშვილის, ბარბაქაძისა და სულხანიშვილ-ლოლაძის წინადადებაა შეიქმნას სპეციალური დაზგა ამ მიზნისათვის. ესე იგი, რაციონალიზატორთა აზრი სამი მიმართულებით მუშაობდა და ჩვენ აქ დავადგენთ, რომელი მიმართულებაა მისაღები.

ბარბაქაძე და ქანაშვილი ჩვენკენ იხედებიან. გოგიმ თვალი ჩამიკრა. შოთამ დოინჯი შემოირტყა.

— მოვუსმინოთ ამხანაგ პეტროვს, — თქვა ნანობაშვილმა.

ბორის პეტროვი ადგა. თავის მეგობარს, ვანო სოსელიას, ანიშნა, მომყევიო. ისინი დერეფანში გავიდნენ, ფოლადის უშველებელი ნაწარმი შემოიტანეს და მაგიდაზე დადეს.

— აი, — თქვა პეტროვმა, დაჯდა და პირში პაპიროსი ჩაიდო. ვანომ მოუკიდა.

— ეს არის, ამხანაგებო, ახალი პრესფორმა, — განმარტა ნანობაშვილმა, — უნივერსალური პრესფორმა ხუთი სახელწოდების დეტალებისათვის. რამოდენიმე დამატებითი ჩასადგამის შეცვლით პრესფორმა საშუალებას გვაძლევს ხუთივე დეტალი მივიღოთ. ამრიგად, ეს ერთი ხელსაწყო შეცვლის ხუთს. უკვე არსებულს. გვეზოგება დროც, რაც პრესფორმების მოხსნისა და დაყენებისათვისაა საჭირო. ხომ ასეა, ბორის ალექსანდროვიჩ?

პეტროვმა თავი დაუქნია, ასეაო.

— სხვათა შორის, ძალიან კარგად მუშაობს, — თქვა ვანო სოსელიამ და გაწითლდა.

— კარგი რამეა, ჩტო ნადო! — დაადასტურა საშა ოსიპოვმა.

— შეკითხვები ხომ არ გაქვთ? — მოგვმართა ნანობაშვილმა.

— არა, — ყველას მაგივრად უპასუხა შოთამ.

პეტროვმა და სოსელიამ ოთახიდან გაათრიეს პრესფორმა.

— არ წავიდეს, დააბრუნეთ, — უთხრა ნანობაშვილმა ოსიპოვს, რომელიც კარებთან იჯდა.

ოსიპოვმა შემოიყვანა ბორის ალექსანდროვიჩი.

— ამხანაგო პეტროვ, სად იპარებით? ჯერ არ დაგვიმთავრებია.

— სამუშაო მაქვს, სანდრო, — უთხრა პეტროვმა.

— კონკურსის შედეგი არ გაინტერესებს?

—მერე შემოვივლი, წნეხი მაქვს დაშლილი, ავაწყობ და მოვალ.

ნანობაშვილი საათს დააცქერდა.

— ერთ საათში, საათ-ნახევარში მოვრჩებით.

პეტროვმა თავი დაუქნია, ამოვალო.

ოსიპოვის პირველი წინადადებაა: შეიცვალოს ერთ-ერთი ხელსაწყოს სახელურები ავტომობილ „მოსკვიჩის“ სახელურებით, რომელთა ყიდვა ბევრად უფრო იაფი დაგვიჯდება. მეორე: ხელსაწყო შეიღებოს აწყობილ მდგომარეობაში, განიკელირებული დეტალების ზეთით დაფარვის შემდეგ, რაც დაიცავს ამ დეტალებს საღებავისაგან და მოგვცემს დროისა და საღებავის დიდ ეკონომიას.

— ორივე წინადადება საქმიანია, — თქვა ნანობაშვილმა, — ჩვენ ერთიც და მეორეც მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

— ეგ რა რაციონალიზაციაა, ხე-ხე!— წაიჩურჩულა ჩემს ყურთან ირაკლი ნიკოლაევიჩმა.

საშა ოსიპოვი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა, სადაც 1938 წელს გამოშვებული „ფორდი“ ეყენა.

— გაიხედა, საბურავები არ დახსნან, — იხუმრა სერგო ქანაშვილმა.

ყველამ გავიცინეთ. საშა ოსიპოვის

მანქანის ხსენება მუდამ მხიარულებას იწვევს ჩვენს საზოგადოებაში.

— აბა, სერგო, — მიმართა ნანობაშვილმა ქანაშვილს, — მოგვიყევი შენი დაზგის ამბავი.

სერგომ ჯიბიდან რვეულის ფურცლები ამოიღო და ნანობაშვილის წინ მაგიდაზე დააწყო.

— ასე იქნება, რა. აქედან ჩავდებთ რკინებს; ცილინდრი ტრიალებს, მეორე ცილინდრი აჭერს... აქაც ქვები იქნება დამაგრებული. ქვები ფხაურს მოხსნის... ამ კოლოფში ჩაეშვება რკინა. ასეთი ძრავა გვაქვს საამქროში. დავაყენებთ. ცილინდრს სახარატოში გამოვაჩარხინებ. ამ ოთხ კბილანა ბორბალსაც... ასე წავა, რა...

ბარბაქაძე სარკასტულად იღიმებოდა და თავმომწონედ უყურებდა ნანობაშვილს.

ნანობაშვილმა შეამჩნია მისი ღიმილი და ჰკითხა:

— რას იტყვით, ბატონო ირაკლი?

— მე რა უნდა ვთქვა? სხვანაირად შეიძლება გამიგოთ...

— არ გაგიგებთ სხვანაირად, — შეჰპირდა შოთა, — ბრძანეთ.

ბარბაქაძემ ნანობაშვილს შეხედა.

— ბრძანეთ, ბრძანეთ, — ნება დართო ნანობაშვილმა.

— მე არ ვიცი, როგორი სურვილები აქვს ჩვენს სერგოს... საამქრო მის განკარგულებაშია. შეიძლება ააწყოს დაზგა. არ ვიცი, შეიძლება იმუშაოს დაზგამ, სერგო ქანაშვილი გამოცდილი ინჟინერია, მაგრამ წარმოდგენილი მ-მ... ნაშრომი... მე ამ ფურცლებს ვერავითარ შემთხვევაში ნახაზად ვერ ჩავთვლი. წარმოდგენილი ნაშრომი არ იძლევა ამის საფუძველს. ეს არის, ბოდიში ამ სიტყვებისათვის, თვითშემოქმედება. არც ერთი ზომა, არც ერთი ზუსტი ადგილი სქემაში. პრინციპი, სხვათა შორის, მეც ასეთი ავირჩიე და სწორი პრინციპია, მაგრამ პრინციპს საინჟინრო გადაწყვეტა უნდა, რასაც მე აქ ვერ ვხედავ. მე გავათავე, ამხანაგო ნანობაშვილო...

— რად მინდა მე პრინციპი-მრინციპი. მუშას ვეტყვი, ასე გამიკეთე-მეთქი და ასე გამიკეთებს. რად უნდა ამას ნახაზები და ქაღალდები? — განაცხადა ქანაშვილმა.

— თქვენს წინადადებებზე გადავიდეთ, ამხანაგო ბარბაქაძე, — თქვა ნანობაშვილმა და საათს დახედა.

„ვცდილობ გავიხსენო, რა ფერის თვალები აქვს და ვერ ვიხსენებ. ლამაზი ფერის. რომელია ლამაზი ფერი?.. შავი, ლურჯი, თაფლისფერი... მგონი, თაფლისფერი. შავი წარბ-წამწამი. იქნებ მწვანე თვალები აქვს? თაფლისფერი უნდა ჰქონდეს. რა ბედი მაქვს, — მაღალია. თითქმის ჩემი სიმაღლეა. წითელი ფერიც ლამაზია, ღია წითელი. რა შუაშია წითელი ფერი?.. წითელი ფერის თვალები!.. რამდენი ბოლია ოთახში, თავი მიბრუის“...

— რამდენი ხანია გვაქვს, შვიდი თვე იქნება, — სიცილი ვერ შეიკავა სერგო ქანაშვილმა, — ისიც და ისიც. ტექნოლოგებმა გაგვიკეთეს ნახაზები, ჩვენ დავამზადეთ...

— სადაა თუ არის? ჩემს ხელსაწყოს როცა ვამზადებდი, არ იყო და მოქლონებზე ავაწყვეთ, — ბარბაქაძეს დაბნეულობა დაეტყო.

— წამო, ახლავე გაჩვენებთ. მარჯვნივ გვიდგას, კუთხეში. უკვე ნახევარი წელიწადია ვამუშავებთ, — ქანაშვილი საბოლოოდ გამხიარულდა.

— წამოდით, ვნახოთ, — წამოდგა ბარბაქაძე, — ეს შეუძლებელია, მე ვკითხე წინა კვირას მუშას და მითხრა, ძველებურად ვაკეთებთო.

— მუშამ რა გითხრათ, არ ვიცი. ის იქნებ ისე აკეთებს, როგორც თვითონ გაუხარდება. ჩემთვის გეკითხა და გეტყოდი. ეს არ წავა; არც ერთი არ გვჭირდება.

— მე ორი თვეა ვმუშაობ ნახაზებზე, გამოხაზული მაქვს ყველა დეტალი... — დაიწყო ბარბაქაძემ.

— თქვენ იქნებ გსიამოვნებთ ხაზვა,

ამირან ჟიჟინაძე
ჩემი დღე

ეგ რა ჩვენი საქმეა! — თქვა ქანაშვილმა.

— ამხანაგო ბარბაქაძე, ეს ნახაზები დაგვიტოვეთ, ჩვენ გავარკვევთ ამ საკითხს, — თქვა ნანობაშვილმა, — დაზგაზე გადადით.

— დაზგაზე? მაგრამ მე ყველა ნახაზი გავაკეთე, კიდევ მესამე წინადადება მაქვს და გთხოვთ გაეცნოთ...

— დაზგის ნახაზები, თუ შეიძლება,— შეაწყვეტინა ნანობაშვილმა.

— კი, ბატონო, აი ჩვიდმეტი ნახაზი, სამი საკვანძო, ცამეტი დეტალი და საერთო ხედი.

— საერთო ხედი, თუ შეიძლება, — ნანობაშვილი საათს დააცქერდა.

— საერთო ხედი, საერთო ხედი, — ბარბაქაძე ნერვიულად იქექებოდა ნახაზებში, ბოლოს იპოვა, — როგორც ვთქვი, პრინციპი ისეთივეა, როგორც ამხანაგ ქანაშვილის სქემაში. ასევე ორი ცილინდრი, ერთ მათგანს აბრუნებს კილოვატიანი ძრავა. მარტო კბილანები საკმარისი არ აღმოჩნდა და ღვედური გადაცემაც ვიხმარე. რკინის ჩაშვებისას მეორე ცილინდრიც დატრიალდება ხახუნის ძალით... — ბარბაქაძე დიდხანს და დაწვრილებით ყვებოდა თავისი დაზგის შესახებ, იმეორებდა ნათქვამს და ჩემზე და ალბათ ყველა შეკრებილთაგანზე უინტერესო, შეზღუდული და ბრიყვი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს მართლაც ასე იყო.

როგორც იქნა, ირაკლი ნიკოლაევიჩმა დაამთავრა ახსნა-განმარტება და მუშა ნახაზების გახსნა დააპირა.

— არა, არ არის საჭირო, — სთხოვა ნანობაშვილმა.

— საქმე გვაქვს ყველას, — თქვა საშა ოსიპოვმა.

კარებში ბორის პეტროვმა შემოიხედა.

— შემოდი, ბორის ალექსანდროვიჩ! — შეეპატიჟა ნანობაშვილი.

— მერე მოვალ, — უთხრა პეტროვმა და დაამატა: — მე ის მეხმარებოდა, ამხანაგი სოსელია.

— თქვენ თვითონ მორიგდით ერთმანეთში, — თქვა ქანაშვილმა.

— გმადლობთ, — თავი დააქნია ბორისმა და კარი მიხურა.

— ახალგაზრდებს მოვუსმინოთ, ახალგაზრდებს, — აჩქარდა საშა ოსიპოვი.

— აბა, ბიჭებო, ოღონდ ლაკონიურად მოგვახსენეთ, — ისევ დახედა საათს ნანობაშვილმა.

მე და გოგიმ ერთმანეთს გადავხედეთ.

— შენ მიდი, — მითხრა გოგიმ.

— რა განსხვავებაა, შენ დაიწყე, — ვუპასუხე.

მერე, როგორც წინასწარ გვქონდა გადაწყვეტილი, ორივენი წამოვდექით და კედელზე ნახაზები გავაკარით. ჩვენი ნახაზები შეუდარებლად უფრო ლამაზად არის შესრულებული, ვიდრე ბარბაქაძის წაშლილ-გადაშლილი, ნაწვალები ფურცლები. ეფექტური რომ ყოფილიყო, ფერადი ფანქრებიც ვიხმარეთ და ახლა ჩვენვე ვტკბებით მათი მშვენებით.

— აი, ეს მესმის! — ხმამაღლა თქვა შოთამ და თვალები მოჭუტა.

მე ფანქარი მიჭირავს და მოკლე განმარტებებს ვიძლევი. ჩვენი დაზგის უპირატესობა ყველასათვის ცხადი ხდება. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს მუშაობა სხვადასხვა სისქის რკინაზე, დაცული გვაქვს უშიშროების ნორმები, დაზგას აქვს თანამედროვე ფორმები და სხვა და სხვა.

— წარმოვადგენთ აგრეთვე ორი მთავარი კვანძის ყველა ზომის ნახაზს, „ზომები, დაშვებების აღუნიშნავად, უნდა შესრულდეს მეშვიდე კლასის სიზუსტით“, — ვამთავრებ მე და ადგილზე ვჯდები.

— მეორე წინადადებაზე მე მოგახსენებთ, — განაგრძო გოგიმ.

მეორე წინადადება ჩვენს დაზგაზე გასუფთავებული რკინის ავტომატურ შეღებვასა და გაშრობას ეხება.

გოგიმ მოკლედ ილაპარაკა იმაზე, თუ რა საწარმოო ეფექტი ექნება ჩვენ მიერ წარმოდგენილი ხაზის დანერგვას წარმოებაში.

— რას იტყვით, ამხანაგებო? — იკითხა ნანობაშვილმა, — მე მგონი, ორივე წინადადება მისაღებია და ტექნიკურად მაღალ დონეზეა დასაბუთებული...

ყველა დაეთანხმა ნანობაშვილს. ზოგი — თავის ქნევით, ზოგი — ჩახველებით.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — გვითხრა შოთამ.

— მუშა ნახაზები... — დაიწყო ბარბაქაძემ, მაგრამ მას არავინ არ უგდებდა ყურს.

ნანობაშვილი რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს წევრებისაკენ დაიხარა. გაიმართა ხანმოკლე, ხმადაბალი თათბირი. ნანობაშვილი ლაპარაკობდა: სხვები თავს უკრავდნენ.

— მაშ ასე, ამხანაგებო, — განაცხადა თავმჯდომარემ, — ბიურომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: პირველი პრემია არ მიეცეს არავის. მეორე პრემია, 50 მანეთის რაოდენობით, მიეცეს მუშა-რაციონალიზატორ პეტროვს, ორი მესამე პრემია 30-30 მანეთის რაოდენობით თითოეული, მიეცეს რაციონალიზატორებს სულხანიშვილ-ლოლაძეს, ერთი წამახალისებელი პრემია 15 მანეთის რაოდენობით — ინჟინერ ოსიპოვს. დანარჩენ ამხანაგებს ბიურო დიდ მადლობას უხდის ჩატარებული მუშაობისათვის.

— ი-ი! — გაკვირვებით თქვა ირაკლი ნიკოლაევიჩმა, — მადლობა? აკი სამი პრემია იქნებაო?.. ვერაფერს გაიგებ კაცი...

— თუმან-ნახევარიც ფულია, — თავი დაიმშვიდა ოსიპოვმა.

მე და გოგიმ ნახაზები დავახვიეთ.

— თქვენ დაგიტოვოთ? — შევეკითხე ნანობაშვილს.

— ჰო, რა თქმა უნდა, აი იქ დადე, კარადაზე.

ირაკლი ნიკოლაევიჩი პირველი გავიდა ოთახიდან, სცადა კარები მოეჯახუნებინა, მაგრამ ვერ გამოუვიდა — ნახაზების გროვამ შეუშალა ხელი.

გოგი, შოთა და მე დავემშვიდობეთ ნანობაშვილს.

— ღირდა ექვსი თუმნისთვის ამდენი წვალება? — იკითხა გოგიმ.

— ნამდვილად არ ღირდა, — დავეთანხმე.

— რა არის ექვსი თუმანი? არაფერი... ერთი სამკაციანი პურ-მარილი „ინტურისტში“, — თქვა შოთამ.

— ან სამი ორკაციანი, — თქვა გოგიმ.

— არა, ორი კარგი სამკაციანი პურმარილი ბერძენ მიშასთან, — ვთქვი მე.

— გაზაფხულზე, იქ ღია დუქანია, — მასწავლა გოგიმ.

— აბა გაზაფხულამდე ფულს ვინ მოგცემს? — დავამშვიდე მე.

— ტაქსი ჩემზე იყოს, — დაგვპირდა შოთა.

ჩვენი განყოფილების მუშაკთა საწარმოო ვარჯიში ალბათ სულ ნახევარი საათის დამთავრებული იყო, რადგან ქალბატონი ეთერი, ვარჯიშის შემოღების ინიციატორი და აქტიური მოვარჯიშე, ძლივს ითქვამდა სულს.

— დაამთავრეთ, ქალბატონო ეთერ?— ვკითხე მე.

— ეს-ეს-ეს არის, — მიპასუხა ეთერ ხომერიკმა და ელექტროსქემა მარაოსავით მოიქნია.

— ახ, დაგვაგვიანდა... სამწუხაროდ. სამივენი ვწუხდით, მაგრამ ნანობაშვილმა არ გამოგვიშვა.

ეთერს ლაპარაკის ღონე არა ჰქონდა და თავი გავანებე.

— ვისია ეს ნახაზი, ნახე, თუ კაცი ხარ! — მომესმა ხმა დარბაზის ბოლოდან, — ჰა, ვისი? ვინაა ლოლაძე? სადა ზის?

მე დაფებიდან გამოვედი და ზეინკალი ზურა დავინახე,—ჩემკენ მოდიოდა.

— მე მეძებ, ზურა? — ვკითხე.

— არა, ლოლაძეს. აქ რაღაც დაუხაზავს. მინდა ვკითხო...

— მე ვარ ლოლაძე.

ნახაზი დავათვალიერე: „კონსტრუქტორი: გოგავა, შეამოწმა: ლოლაძემ“. ეტყობა, ვერ შევამოწმე.

ამირან ჭიჭინაძე
ჩემი დღე

— წამო, საამქროში ვნახოთ, რაღაც არ გამოდის. ან აქაა ჭმევა, ან მე შემეშალა... — მითხრა ზურამ.

საზეინკლო საამქროში ბევრი ნაცნობი მყავს. გაიოზის წყალობით ხშირად მიხდება ჩასვლა.

ზურას დაზგასთან ნახაზი დავკეცე ვიცოდი, რომ შეცდომა ნახაზში იყო.

— უნდა ჩაჯდეს, არა ჯდება... — მითხრა ზურამ, თან ცდილობდა ორი დეტალი შეეერთებინა. — ესე შემოვატრიალებ, ნახვრეტი გვერდზე რჩება. ან აქეთ უნდა გამეხვრიტა, ან ეს ტრუ-ლა-ლა იქით დამემაგრებინა. ნახაზზე როგორც იყო, გავაკეთე. გავაკეთე, ვაჯენ, — არ ჯდება. თუ გინდა, ზომები შევამოწმოთ, მაიტა ნახაზი.

— თავი დაანებე ნახაზს. უნდა ჩაჯდეს? არა ჯდება! შენც აიღე და აქეთაც გახვრიტე. დიამეტრი სამ-ნახევარი.

— სამ-ნახევარს მე კი გავხვრიტავ, მაგრამ მე ამ ნახვრეტს რაღა ვუყო?

— მოქლონი გაჭედე, გაასუფთავე, კაციშვილი ვერ გაიგებს.

— გაგებით ვინ გაიგებს, შეიღებება. ისე მაინც, მე ხომ სწორი ვარ?

— სწორი ხარ, ზურა, რად გინდა ლაპარაკი. ასე გააკეთე. ორი წუთის ამბავია.

— შენი ხათრი მაქვს, თორემ ორი წუთი რა არის. შენ ნახაზი მაინც გამისწორე. შეკვეთის დახურვის დროს რამე ლაპარაკი არ მოხდეს...

მე კალმით გავასწორე ზომა და ხელი მოვაწერე.

— სალამი უფროსს, — მომესალმა ზეინკალი სოსო, — ერთი საქმე მაქვს შენთან.

სოსო მუდამ რაღაცეებს მეკითხება. მცდის თუ მართლა აინტერესებს ჩემი რჩევა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ზრდილობიანად ისმენს ჩემს პასუხებს და არ მეკამათება.

— გამარჯობა შენი, — კიდევ ერთხელ მომესალმა სოსო, როცა მის დაზგას მივუახლოვდი.

— გაგიმარჯოს, ააწყვე შენი მაგნიტოფონი? — ჩვენი წინა საუბარი მაგნიტოფონს შეეხებოდა.

— არა, ბიჭო, ძრავა ვერ ვიშოვე ჯერ. კინემატიკა სულ მაქვს გამოჩალხული. ძრავა ერთი მაქვს. ორძრავიანი სქემა არ მირჩია?..

— კი, ორძრავიანი, — დავეთანხმე.

— ახლა რა არის, იცი, აქვარიუმი უნდა გავაკეთო.

— აქვარიუმი? — გამიკვირდა მე.

— დედაჩემს, სხვათა შორის, თევზები უყვარს ძალიან. მირჩია ერთი, თუ კაცი ხარ, როგორი გავაკეთო. მინდა დედაჩემს ვაჩუქო.

— ჩვეულებრივი აქვარიუმი გააკეთე.

— ჩვეულებრივი სამი აქვს სახლში. ისე მინდა, ხომ იცი, რაღაც განსხვავებული რომ იყოს.

— ჩამოსაკიდი გააკეთე. ბრტყელი აქვარიუმი, კედელზე ჩამოკიდებ ცოცხალი სურათივით, — მე თვითონ მომეწონა ჩემი აზრი.

— ა? დასადგამები არ უნდა მაშინ?

— რაღად უნდა, კედელზე თუ ჩამოკიდებ.

— წყალს როგორ ჩაასხამ მერე შიგ?

— სკამზე დადგება, ან დაბლა ჩამოკიდებ, — ვიცავდი ბოლომდე ჩემს აზრს.

— კარგი რამე მითხარი, ხომ იცი... გაუხარდება, არა?

— გაუხარდება რომელია!..

— გმადლობთ, აბა, გაჩვენებ, გაკეთებას რომ დავიწყებ.

— აუცილებლად...

რაღაც საქმე მქონდა საზეინკლო საამქროში და ვერაფრით ვერ გავიხსენე.

სერგო ქანაშვილი შემომხვდა და ნიშნის მოგებით გავუღიმე. ქანაშვილმაც გამიღიმა და მითხრა:

— ხომ იცი, მაინც ჩემებურად გავაკეთებ იმ დაზგას. თქვენ დაჯექით და ხაზეთ.

— მაგაზე ხვალ ტრამვაიში ვილაპარაკოთ, — ვუთხარი, — თამარმა თუ არ გაგჭყლიტათ...

მუშაობის დამთავრებამდე ნახევარი საათი დარჩა. სახარატო საამქროში ჩა-

ვედი. ნაცნობ მუშებს მივესალმე. არკადის ჩარხთან შევჩერდი. სიამოვნებით ვუყურებ არკადის მუშაობას. საათობით შემიძლია ვუყურო. არკადიმ შემამჩნია. თვალი ჩამიკრა. მეც თვალი ჩავუკარი.

საამქროში ხმაურია, ჩარხების ხმაური. ფოლადის ბურბუშელა გროვდება არკადის ჩარხთან. ბეტონის იატაკიდან ლურჯი ხვია ავიღე და რკინის ყუთში ჩავაგდე...

ჩვენს განყოფილებაში უჯრების რაჩუნი და ქაღალდის შრიალი გაძლიერდა. კონსტრუქტორები შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. ნელიკომ ტრიკოტინის პალტო ჩაიცვა.

— მაშ, რვას რომ ხუთი დააკლდება, „ამირანთან“, — ვუთხარი ნელიკოს.

— კარგი, „რუსთაველთან“. ცხრის ჩეთვერზე, — მიპასუხა ნელიკომ.

— ნუ მაცდევინებ, როგორც ყოველთვის, — შევეხვეწე.

— ხუთი წუთი რომ დამელოდო, არაფერი არ მოგივა.

— ამხანაგი არ წამოიყვანო. მხოლოდ მე და შენ.

— რა თქმა უნდა. ბოლო რიგი აიღე.

— ეგ თავისთავად.

განყოფილება დარბაზის კარებში ელოდება ზარს. აი ზარიც.

კიბეზე ნანობაშვილს შევხვდი, კიდევ მივესალმე. მანაც მიპასუხა. ქარხნიდან შოთას მოტოროლერით მივდივარ ხოლმე. შოთას ჭავჭავაძის პროსპექტამდე მივყავარ, მერე კი, ჩემს ქუჩაზე ფეხით ავდივარ.

შოთამ მოტოროლერი ქარხნის ეზოდან ქუჩაში გამოაგორა. მოტოროლერი დიდხანს არ დაიქოქა. საშა ოსიპოვმაც კი მოახერხა თავისი „ფორდის“ დაძვრა.

ბოლოს მთელი თავისი ხუთი ცხენის ძალით აკაკანდა შოთას „ვიატკა“. მე უკან დავჯექი და ადგილიდან დავიძარით. გავუსწარით ყვითელქუდა თინას, გადამხაზველ გოგონებს, გოგის. წერეთლის პროსპექტზე მივქრიოვართ.

— დღეს დილით ვინ გეჯდა? — დავუყვირე შოთას.

— რა შენი საქმეა, — მიპასუხა შოთამ.

— მე არ ვიცნობ.

— არცაა საჭირო.

მოტოროლერმა გმირთა მოედანს წრე შემოავლო და ვარაზის ალმართზე შევარდა. ჩვენს წინ ტროლეიბუსი მიდიოდა, ნახევრად წითელი ტროლეიბუსი და ტროლეიბუსის უკანა ფანჯრის მინაში ის დავინახე. წელში მოხრილიყო და ჩვენ გვიყურებდა. აქედან მისი თვალების ფერი არ ჩანდა.

— შოთა! თუ ძმა ხარ! დააწექი, — დავიყვირე მე, — ტროლეიბუსს უნდა დავეწიოთ. აუცილებლად, გესმის?!

შოთამ არ მიპასუხა. გაზს მოუმატა. მოტოროლერი ლურჯ ბოლს უშვებდა და ტროლეიბუსს ნელ-ნელა ეწეოდა. მე ხელი დავუქნიე მას. სიჩქარე სითამამეს მმატებდა. მომეჩვენა, თუ მართლა გამიღიმა?

— მიდი, შოთა, დააწექი! — დავუყვირე შოთას.

მოტოროლერი ასრიალდა, ნახტომი გააკეთა და გაჩერდა. გადმოვხტი და ტროლეიბუსს გავეკიდე. პალტო მიშლიდა სირბილს. მისი სახე უკვე გაურკვევლად მოჩანდა. ტროლეიბუსმა ჭავჭავაძის პროსპექტზე შეუხვია. ახლა გაჩერდება და დავეწევი. პროსპექტამდე ავაღწიე. ტროლეიბუსი იდგა. უკანა ფანჯრის მინასთან, სულ ახლოს იყო მისი სახე. ორთქლი მოედო მინას. ტროლეიბუსი დაიძრა. მე ძალა მოვიკრიბე და დავეწიე. მან წითელი ხელთათმანით გაწმინდა მინა. მე მივწვდი იმ ადგილს, სადაც ხელი ედო. მან ხელთათმანი მეორე ხელში გადაიტანა და ხელისგული მოადო ფანჯარას. ჩვენს ხელებს შორის მხოლოდ მინა იყო. ტროლეიბუსმა სიჩქარეს უმატა და მე უკან დავრჩი. ხელი დავუქნიე. იმანაც დამიქნია. მართლა დამიქნია. ამჯერად

არ მომჩვენებია — მან ხელი დამიქნია.

— ე-ე-ე! — დამიყვირა მანქანიდან მძღოლმა და მუშტი მომიღერა.

მე გავუცინე, თუმცა მივხვდი, რომ შემაგინა.

სირბილით დავბრუნდი შოთასთან. მან უკვე მოახერხა მოტოროლერის დაქოქვა.

— ვინ იყო? — მკითხა შოთამ.

— ჩემი გოგოა! — ვუპასუხე მე.

— როდის გაიცანი?

— რა შენი საქმეა.

— ყოჩაღ, ძმაო!

— აბა როგორ!

აუჩქარებლად მივყვებოდი ჩემი ქუჩის აღმართს. ვცდილობდი გამეხსენებინა, რა ფერის თვალები ჰქონდა ჩემს გოგოს...

6. ოჯახი

ჩემი გასაღებით გავაღე კარი. მსიამოვნებს კარის გაღება და ჩვენს ბინაში შესვლა. ჩუმად ვღიღინებ მხიარულ მელოდიას; თან ვამახინჯებ — ეს ჩემი ცუდი სმენის ბრალია.

პალტო გავიხადე და როიალის ხმა მომესმა; დედაჩემის კაბინეტიდან გამოდიოდა; — გამას უკრავდნენ.

ჯერ ბებიასთან შევედი. ბებიაჩემი დიდ, ძველებურ სავარძელში იჯდა და ფრანგულ წიგნს კითხულობდა. ბებიაჩემის სპეციალობა ფრანგული ენაა.

— ბონჟურ, გრან მა, — შუბლზე ვაკოცე ბებიას, — კომან პორტე ვუ?

— პოღტე! პოღტე ვუ! — გამოთქმა გამისწორა ბებიაჩემმა, — თამბაქოს სუნით ხარ გაჟღენთილი, უფ!

— პაღდონ, პაღდონ! — მეტისმეტად ფრანგულად ვუთხარი და ფეხის წვერებზე შემდგარმა უკან დავიხიე.

დედის კაბინეტის კარი შევაღე. პატარა ოთახს დიდი როიალი ავსებს. „ბეკერი“ № 8035.

დედაჩემის მოწაფე, რვა წლის ცირა, უკრავს გამას. ცირას თითები ეშლება [illegible] დედა მოთმინებით ამეორებინებს. ამეორებინებს და თვითონაც გამას ამღერებს. დედას ასეთი ჩვეულება აქვს, — სიმღერით ეხმარება თავის მოწაფეებს.

მე მამაჩემის სმენა გამომყვა და ამიტომ ჩემს მუსიკალურ განათლებაზე არ უზრუნიათ. ეტყობა, არც ცირასაგან გამოვა დიდი მუსიკოსი... ანგელოზის მოთმინება აქვს დედაჩემს.

მისალმების ნიშნად ხელი დავუქნიე დედას. იმანაც ხელი ასწია და გამის რიტმში დამიკრა თავი.

— სი-დოო! — განაგრძო სიმღერა.

მისასალმებელი აღარავინ დამრჩა. სასადილო ოთახში ტახტზე წამოვწექი და გაზეთების თვალიერება დავიწყე.

მაიკო დაბრუნდა სკოლიდან — შეუჩერებლად რეკავს ზარი; თავს გაუვიდა. სირბილით მომიხდა კართან მისვლა.

— სალამი! — მითხრა მაიკომ და ჩანთის ტრიალით შემოვიდა.

— როცა კარებს გიღებენ, მადლობა უნდა თქვა.

— ყოველ დღე მადლობის თქმა არ გამიგია, — მაიკომ პალტო გაიხადა.

— დღესაც არ გაუძახიხართ?

— რას ჩამაცივდი, ნეტა ვიცოდე?

უკვე თვეზე მეტია მაიკო არც ერთ საგანში არ გაუძახიათ. ამას წინათ დღიურიც დაეკარგა... ყველაფერი ეს ძალიან აღელვებთ ჩვენი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით, დედას.

ექვსის ნახევარია — საცაა მამაც მოვა. ისევ დედას კაბინეტის კარი შევაღე. ვიცდი, როდის შემომხედავს დედა.

— ა-ხლა-ვე და-ვა-მთა-ვრებ! — მღერის დედა.

გაზეთების კითხვაში გავერთე და ვერ შევამჩნიე, როდის შეწყდა როიალის ხმა, როგორ შემოვიდნენ სასადილო ოთახში ხელიხელგადახვეული დედა და მაიკო და როდის დამადგნენ თავზე.

— უთხარი, ვაჟა? — მკითხა დედამ.

— რა ან ვის?

— კიდევ დაგავიწყდა?

— ა-ა!.. — გავიხსენე მე და მშვიდად განვაგრძე, — გალოთდა ის მამაძაღლი. არ დადის ქარხანაში.

— ნუთუ სხვას არავის შეუძლია?..—

გაუკვირდა დედას, — ვეღარ ვეღირსეთ სამზარეულოს მოწყობას...

— ხვალ ძალით მოვიყვან. ლოთი რომ არ იყოს... ისე, ძალიან კარგი ოსტატია.

— ხვალ კიდევ გაგახსენებ, — დედა სამზარეულოში გავიდა.

— მაგიდა გააწყვე! სადილის დროა!— ვუბრძანე მაიკოს.

— შენ არ ისადილებ?

— მერე, რა იყო?!

— აიღე და შენ თვითონ გააწყვე...— მაიკოს აღზრდაში ნამდვილად ჩემი ჩარევაა საჭირო...

— ჯერ ერთი, შენ უმცროსი ხარ, — ტკბილად დავიწყე მე, — მეორეც, — გოგო.

— სად სწერია, რომ მაგიდა უმცროსმა გოგომ უნდა გააწყოს?

— სწერია, თორემ ყველაფერი წაკითხული გაქვს, სულ კითხვით იკლავ თავს!..

— ერთი შენ იკლავ...

არა, ასე არაფერი არ გამომივა. მაიკო უპატივცემლობას ვერ იტანს. დროა შევურიგდე.

— მე ისე გითხარი... ხომ არ მიბრძანებია? — ალერსიანად ვეუბნები, — გთხოვ... რა მოგივა, რომ გააწყო?..

— არაფერი არ მომივა! წვენი გვაქვს?

— არ ვიცი, დედაშენს ჰკითხე, — ვუთხარი და მხარი მოვინაცვლე. მაიკოს არ სიამოვნებს, როცა მუშაობის დროს უყურებს ვინმე.

მესმოდა, როგორ გავიდა და ისევ შემოვიდა მაიკო. მესმოდა საინების წკრიალი. ეტყობა, სადილად წვენი გვაქვს, — მაიკო ღრმა საინებს ახმაურებს.

კიბეზე მამას ნაბიჯების ხმა მომესმა. დატვირთულია და მძიმედ მოდის — მამას სურსათ-სანოვაგე მოაქვს. დედა საჭმელს ამზადებს, ბინას ალაგებს, თავის ვუნდერკინდებს და მაიკოს ამეცადინებს. ბებია წიგნებს კითხულობს და სადილის შემდეგ ჭურჭელს რეცხავს. მაიკო ზარმაცობს. მე ვმუშაობ...

ჩვენი ოჯახი სუფრას შემოუსხდა. მხოლოდ მე განვაგრძობ გაზეთის კითხვას.

— მოდი, ვაჟა, გაცივდა ყველაფერი, — მეუბნება დედა.

რას იზამ, ასეა, სადილად მაშინ უნდა ამაყენონ, როცა რამე საინტერესო წასაკითხს მივაგნებ.

— ახლავე, ერთი წუთით.

— იქნებ არ უნდა ჭამა? — იკითხა მამაჩემმა.

— მოვდივარ, ხო! რა მოგივიდათ? — ავდექი და გაზეთიანად მივედი მაგიდასთან.

— ნუ იძენ მავნე ჩვევებს, — გამაფრთხილა ბებიამ, — სისხლი ჭამის დროს კუჭს უნდა მიეხმაროს.

— სისხლი იმდენი მაქვს!.. — ვთქვი მე, მაგრამ გაზეთი მაინც ტახტზე დავტოვე. არ მინდოდა კიდევ გაგრძელებულიყო მავნე ჩვევებზე საუბარი.

ერთხანს ყველანი მადიანად და უხმოდ ვჭამთ. მერე დედა ამბობს:

— არ ვიცი, რა ეშველება ამ ბავშვს, არაფერს არ ჭამს.

მაიკო მართლაც უხალისოდ ჩიჩქნის ჩანგლით რაღაცას. ბებიამ საიდუმლო გამომეტყველება მიიღო და ფრანგულ ენაზე დაუწყო ჩურჩული დედას. ბებიასა და დედას გარდა ფრანგული არც ერთმა არ ვიცით, მგონი, უთხრა ყურადღებას ნუ მიაქცევ, თვითონ ჭამსო.

— „უანს ტუ ფრენდს ჰენრი ენდ ჯორჯ...“ — გავიხსენე ერთი ადგილი ინგლისური ენის სახელმძღვანელოდან.

— „უენ ტტუ ე ფორესტ ტუ გეტ ბერის ენდ მაშრუმს“, — განაგრძო მაიკომ, რომელსაც წელს, ისევე როგორც მე — ცამეტი წლის წინათ, ეს მოთხრობა დააზეპირებინეს.

ოჯახის უფროსებმა ინგლისური არ იციან.

— არა გრცხვენია! რეებს ამბობ ჭამის დროს, — ვუთხარი მე და აღშფოთებულმა თავი გავიქნიე, — უთხარი, დედა, რამე!

ამირან ჭიჭინაძე
ჩემი დღე

— შენ უარესი თქვი. დედა, საშინელი რაღაც თქვა თქვენმა ვაჟმა!

ბებიას მრისხანე მზერა ერთი შვილიშვილიდან მეორეზე გადააქვს. დედა იღიმება. მამა უხმოდ განაგრძობს ჭამას. უსაგნო ლაპარაკი არ აინტერესებს.

ბებიამ სამარილისკენ გაიწოდა ხელი და ვერ მისწვდა. მე მივაწოდე და ნაძალადევად გავუღიმეთ ერთმანეთს. ასეთი რწმენაა ჩვენს ოჯახში დამკვიდრებული: მარილის გადაწოდებისას ერთმანეთს თუ არ გაუღიმებთ, უთანხმოება ან წყენა მოგელით. ამ ტრადიციას მარტო მამაჩემი არ იცავს.

— ვაჟა, მარილი მომაწოდე, თუ შეიძლება, — თავაზიანად მომმართა მაიკომ.

მარილი მივაწოდე და პირი ხელოვნურ ღიმილში გავჭიმე. მაიკო კმაყოფილია, მხიარულად კისკისებს, სამარილეს კი არ მართმევს და მე იძულებული ვარ ჩამოვუშვა გაწვდილი ხელი.

— ეს ძვალი მაინც გადაიღე, — უთხრა მაიკოს დედამ. მაიკოს ძალიან უყვარს ძვლების გამოხვრა.

— ბებია, მადაზე რა ანდაზა აქვთ ჩვენ ფრანგ მეგობრებს? — ვეკითხები ბებიას.

— საწყალი ჩვენი ბიჭი!.. სამი სიტყვა ვერ დაიხსომა... — თქვა ბებიამ.

— არა მართლა, ფრანგული გამოთქმა მიჭირს.

— ლ'აპტი ვ'ენ ამაჟან, — თქვა ბებიამ.

— როგორ, როგორ, როგორ? — იკითხა მაიკომ.

— ლ'აპტი ვ'ენ ამაჟან, — ცხვირში გაიმეორა ბებიამ.

— ლაპტი ვენ არაჟან? — ვიკითხე მე.

— ღმერთო ჩემო, — ყურებზე დაიფარა ხელები ბებიაჩემმა, — გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს. ნუთუ სამი სიტყვა ვერ გადაგიბამს?

— გადაბმა არ იცის, ხაზვა იცის, — „იოხუნჯა“ მაიკომ და ჩაიკისკისა.

— ნუ აქცევ ყურადღებას. სულელობენ რაღაცას... — თქვა დედამ.

— მითხარი, — ვეუბნები დედას, — რას ნიშნავს „სკერცო?“

— ნეტა როდის მოჭკვიანდები?

— მე კი ვერ მოვესწრები, — ამოიოხრა ბებიამ.

— თვითონაც ვერ მოესწრება, — თქვა მამამ.

ვგრძნობ, რომ ბოლო დროს მამა უკმაყოფილოა ჩემით. ვერ ვხვდები, რა არის ამისი მიზეზი. ალბათ იმედები ვერ გავუმართლე... იქნებ უნდა, რომ ასპირანტურაში შევიდე და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გავხდე, ან უბრალოდ ფიქრობს, რომ ცოლის შერთვას ვაგვიანებ? გაუგებ რამეს?.. თქმით არაფერს არ მეუბნება...

— გმადლობთ, ბებიაჩემო, გმადლობთ, დედაჩემო, — ვთქვი და ავდექი.

— გმადლობთ, დედაჩემო, გმადლობთ, ბებიაჩემო, გმადლობთ, მამაჩემო, დიდი მადლობა ყველას, — განავითარა ჩემი აზრი მაიკომ.

დედა და ბებია სუფრის ალაგებას შეუდგნენ. მამამ ტახტზე გაბნეული გაზეთები აკრიფა, სათვალე მოიმარჯვა, ჩაახველა და კითხვას შეუდგა. მე შუშაბანდში გავედი, ფრთხილად ჩავეშვი დამტვრეულ შეზლონგში და სიგარეტი გავაბოლე. მაიკო, რა თქმა უნდა, უკან გამომყვა. ვიწრო ტახტზე მოიკალათა და ეზოში გადაიხედა. საუბრის გაბმა სურს.

— უფ, როგორ გააბოლე!

არ ვუპასუხე და განაწყენებულმა ისევ ეზოსკენ იბრუნა პირი.

ბებიამ ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანა. დაბრუნებისას მითხრა:

— დროა ჩავრთოთ, ჩემო კარგო.

— ჰო, ახლავე. არაფერი რომ არ ჩანს?!

— ხომ იცი, მე და საწყალი დედაშენი ვერსად ვერ ვახერხებთ გასვლას. ყველაფერს ვართ მოწყვეტილები, — დაიწყო ბებიამ და ხელი მარაოსავით გაიქნია ცხვირთან — ჩემი სიგარეტის ბოლს იშორებდა.

ტელევიზორის ჩართვა და გამორთვა

ჩემი მოვალეობაა, — ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს ოჯახში მხოლოდ მე მაქვს უმაღლესი ტექნიკური განათლება.

ტელევიზორი ჩავრთე. ვცდილობ, გავასწორო დიქტორის დამახინჯებული სახე, შევაჩერო ციმციმი.

— კარგია, კარგი, ვაჟიკო, — ბებიას ეშინია, სულ არ გაქრეს გამოსახულება.

ბებია ტელევიზორის პირდაპირ დაჯდა, ხალათის ჯიბიდან ამოღებული თეატრალური დურბინდი მოიმარჯვა და ტკბებოდა იმ დიქტორის მზერით, გადმოცემათა პროგრამას რომ კითხულობდა.

ზარი დარეკეს — სამი მოკლე და ერთიც გაბმით. ასე რეკავს ჩვენი ოჯახის მეგობარი, ქალბატონი ქეთევანი. ქალბატონი ქეთევანი მარტოხელა ქალია და ყოველდღე მოდის ჩვენთან ტელევიზორის საყურებლად.

მაიკომ წამოიკვნესა და კარის გასაღებად გაიქცა.

ქალბატონ ქეთევანს ყოველთვის დიდი თავშალი აქვს მოხვეული. ოთახში ცხელა, მაგრამ ქალბატონი ქეთევანი არასოდეს არ იძრობს თავშალს.

ფეხაკრეფით შემოვიდა, უხმოდ დაუკრა ყველას თავი და ბებიას გვერდით მოთავსდა. ბებია და ქალბატონი ქეთევანი კოცნიან ერთმანეთს, მერე კი ტელევიზორის ეკრანს აღარ აშორებენ თვალს. ტელეხედვაში გაწაფული ადამიანი მიხვდება, რომ ბალეტ „შოპენიანას“ გადმოსცემენ — მოცეკვავის გამრუდებული ფეხები მოჩანს.

— რა მშვენიერია! — ამბობს ქალბატონი ქეთევანი.

— რამდენი ლირიულობაა! — ეთანხმება ბებია.

ქალბატონი ქეთევანი თავის ჩანთას ხსნის და შრიალით იქექება ქაღალდებში.

ახლა წერილს ამოიღებს. ბებიას უნდა წაუკითხოს. მთელ კავშირთან აქვს მიწერ-მოწერა... წერს, იღებს პასუხებს, და ამ პასუხებს თავის მეგობრებს უკითხავს. კორესპონდენტებს გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არჩევს: „მივიღე წერილი შუა აზიელისგან“, ან „ჩელიაბინსკელისაგან“, „გუდაუთელისაგან“, „ვარშაველისაგან“.

ბებიას მღელვარება დაეტყო.

— მაია, გამორთე სინათლე, გენაცვალე!

მამამ რისხვით შეხედა ბებიას. მამა გაზეთს კითხულობდა.

— მამა კითხულობს, — თქვა მაიკომ.

— იქ ხომ სწერია, გადაცემების დროს სინათლე უნდა ჩააქროთო! — თავი გაიმართლა ბებიამ.

მამამ უკმაყოფილოდ ჩაახველა და იკითხა:

— სად სწერია?

— მე მოგიტანეთ, ახლავე წაგიკითხავთ, — განაგრძობს ძებნას ქალბატონი ქეთევანი, — შუა აზიელისგან მომივიდა დღეს დილით. ავიათი გამოუგზავნია. თქვენ ხომ მოგწონთ მისი სტილი, ქალბატონო ნინო?

— ძალიან სასიამოვნოდ წერს, დახვეწილად. მაგრამ მე თვითონ წავიკითხე ამას წინათ... სკლეროზი მაქვს ნამდვილად. ვერ გავიხსენე სად წავიკითხე, რომ ძალიან მავნეა ნათელ ოთახში ტელევიზორის ყურება.

— პირიქით, გეთაყვა, მუდამ უნდა ენთოს სინათლე! — ამბობს ქალბატონი ქეთევანი, — ამას წინათ გადმოსცეს, სხვანაირად არც უყუროთო.

— მეც გამახსენდა, — ეღიმება მამას, — გუშინ უკანასკნელ ცნობებში გადმოსცეს.

— რა გადმოსცეს? — კითხულობს ბებია.

— არ შეიძლება სინათლის ანთება, ჩააქრე, მაიკო, მე სხვა ოთახში გავალ.

მაიკო სინათლეს აქრობს.

— სად ჩავდე ის წერილი... — სიბნელეში უჭირს ძებნა ქალბატონ ქეთევანს.

— ჩემთვის ნუ სწუხდებით, — აწყნარებს ბებია, — მე მოვითმენ... მერე

ამირან ჟიჟინაძე
ჩემი დღე

წამიკითხეთ. უყურეთ, უყურეთ, ქალბატონო ქეთევან! დაფრინავს!

ტელევიზორის ყურება შეუძლებელია. არც მინდა ტელევიზორის ყურება.

ჩემს ოთახში გავდივარ და კარებს ვხურავ. მაგიდის ლამპას ვრთავ. ცოტა ხანს მაგიდას ვუზივარ, მერე კი ისევ ვაქროჭ სინათლეს და გულაღმა ვწვები დივანზე. ჩემი თვალები სიბნელეს ეჩვევა, ბუნდოვნად მოსჩანს თეთრი ჭერი. ჩემს ოთახთან დერეფანში გამოტანილი სტაბილიზატორი ხმამაღლა ღმუის.

„ბოლო ხანებში მარტო ვეღარ ვძლებ. თითქოს სამსახურის შემდეგ მარტო ყოფნა უნდა მინდოდეს — იქ იმდენ ხალხთან მაქვს საქმე, იმდენ ხმაურთან... იქნებ მივეჩვიე ბევრ ხალხს და ამიტომაა, რომ უკვე მიჭირს მარტობა? მიჭირს კი არა, მგონი, აღარც შემიძლია. ძაღლი ხომ არ ვიყიდო? გოგის ბინა ძაღლის ბეწვითაა სავსე. ვიყიდი უბეწვო ძაღლს. ერთთვიან ლეკვს... ჩემს მაგიდასთან, ქეჩის საფენზე მოიკალათებს... ხელს ჩავწევ, ცივ ცხვირს მოვადებს, თითებზე ენას ამისვამს. ღამით სასეირნოდ გავიყვან. დილითაც, ვარჯიშის შემდეგ...

ახლა სად წავიდე? თენგიზის ცოლთან ლაპარაკის თავი არა მაქვს. მერაბთან რომ მივიდე, რა ვაკეთო? ნარდის თამაში მაინც მიყვარდეს...

ტელეფონი მაინც დაგვიდგან დროზე. ვისაც ტელეფონი აქვს, იმათ უცნობი გოგოები ურეკავენ — „ურევენ“... დავურეკავდი თენგიზს. ვკითხავდი: „როგორ ბრძანდება შენი მეუღლე, ხომ კარგად?.. გმადლობთ, მეც კარგად ვარ. არა, სხვა დროს გამოვივლი. ცოლს ვითხოვ და ორივენი მოვალთ: მე და ჩემი ცოლი; ოჯახური ვიზიტით... „ქალები ერთმანეთს გაართობენ. მე და თენგიზი წყნარად ვისაუბრებთ, შავ ღვინოს დავლევთ, ან არაყს, სულ პატარა ჭიქებით, ვერცხლის სათითურებით — მე და არჩილმა ქორწილში რომ მივართვით თენგიზს“.

დივანზე წამოვჯექი. მაგიდიდან სკამზე გადავდგი საფერფლე და სიგარეტს მოვუკიდე.

„ასე თუ გაგრძელდა, მგონი, ისევ ნელისთან წავალ... მართლა ხომ არ წავიდე?.. მივალ და ყველაფერი თავიდან დაიწყება. ნეტა შეიძლებოდეს, მივიდე და არაფერი არ დაიწყოს თავიდან. ჯერ ხმას არ გამცემს. ისე მოიქცევა, რომ უხერხულად ვიგრძნობ თავს და მე თვითონ დავიწყებ. ხვალ კი ვინანებ, რომ დავიწყე; დღესვე ვინანებ...

ის სულ არ ჰგავს ნელის. ბავშვია ნელისთან შედარებით. ჩემთან შედარებითაც ბავშვია. ხელი დამიქნია... ხვალ მივესალმები. არ შეიძლება, არ მიპასუხოს. თავშეკავებულად, უბრალოდ მივესალმები და რატომ არ მიპასუხებს...

მაინც კარგია, რომ ჩემი ოთახი მაქვს. შემიძლია მარტო ვიწვე სიბნელეში და ვიფიქრო...

ახლა უნდა გავიდე სახლიდან, არჩილთან მივალ. გარედან დავუძახებ და ქუჩაში გამოვიყვან...“

ადგომა დავაპირე, როცა ჩემს კარებთან მერაბის ხმა გაისმა.

7. მეგობრები

— რა დროის ძილია? ამდენს მუშაობს, კაცო?! — ხმამაღლა თქვა მერაბმა.

— მე კაცი არა ვარ, — უპასუხა მაიკომ.

— ვაჰ, აბა ქალი ხარ: რამდენი ორიანი მიიღე?

— მერაბი კი არა ვარ, აბესაძე.

— მერაბი? მე ვერცხლის მედალზე დავამთავრე, ბავშვო.

— ვერცხლის არა, ბრილიანტის...

— არა გჯერა? შენს ძმას ჰკითხე.

მე თვალები დავხუჭე, თავი მოვიმძინარე. კარი გაიღო და ოთახში შუაბანდიდან სინათლე შემოვიდა.

— ვაჟა! — მოურიდებლად მეძახის მერაბი, — ვაჟა, მართლა გძინავს?

იძულებული ვარ, ისე მოვიქცე, ვითომ ეს-ესაა გამეღვიძა. ძაფს ჩამოვკარი ხელი. ბრა ტკაცანით აინთო. მე-

რაბმა ქშენით გაიხადა პალტო და სკამზე გადაკიდებულ ახალ დაუთოებულ პერანგს დაადო.

— მაიკო! — დავიყვირე, — მაიკო! მერაბის პალტო ჩამოკიდე.

— ერთი ჭიქა წყალიც გამოაყოლე, შენს გაზრდას, — უთხრა მერაბმა.

— თქვენთან არ მოდის? — იკითხა მაიკომ.

— წყალი გენანება, გოგო? რა მოგივიდა?

დივანზე წამოვჯექი და გულმოდგინედ შევუდექი თვალების ფშვნეტას. ვდუმვართ.

— არჩილს დავურეკე, თენგიზს გაუვლის და მოვლენ, — დაარღვია სიჩუმე მერაბმა.

— მერე?

— მერე არაფერი.

მაიკომ წყალი შემოიტანა.

— მაცივრიდანაა? გაიზარდე დიდი გოგო, — ცივ წყალს წრუპავს მერაბი.

— კიდევ გინდა? — ჰკითხა მაიკომ.

მერაბი წყალს სვამდა. ხელი გაიქნია, აღარ მინდაო.

— ასეა საქმე, — ვთქვი იმიტომ, რომ რამე მეთქვა.

— შენ წამოწექი, თუ გინდა, — მითხრა მერაბმა.

— როგორ გეკადრებათ...

მერაბმა გულის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, დიდხანს შლიდა და გულმოდგინედ იხოცავდა ცხვირს. მერე დაკეცა და ისევ გულის ჯიბეში ჩაიდო.

— უფროსი როგორა გყავს? — მკითხა მერაბმა.

— გმადლობთ, კარგად...

— ახალი არაფერია?

— მოსწიე, არ გინდა? — სიგარეტი მივაწოდე მერაბს.

მერაბმა სიგარეტი არ გამომართვა. ჯიბიდან ამოიღო „ყაზბეგის“ კოლოფი:

— არ შეურიგდი ნელის?

— არა. აღარ შემიძლია, ძმაო, გავასწორეთ ანგარიში.

— ისე არ იყო ცუდი გოგო. ნამდვილად არ იყო ცუდი გოგო.

— „იყო“ რა, კი არ მომკვდარა.

მერაბმა ტუჩები დაიმრგვალა — ცდილობდა პაპიროსის ბოლი რგოლებად გამოეშვა.

— ვინ ამბობს მკვდარიაო? მე ვთქვი, მკვდარია-მეთქი? — გაუკვირდა მერაბს.

— როდის მოვალო, რა თქვა არჩილმა? — სხვა თემაზე გადავიტანე საუბარი.

მერაბმა რამდენიმეჯერ აანთო და ჩააქრო მაგიდის ლამპა. სანამ არ მოშლის, არ მოეშვება!..

— გამოვდივარო. პალტოს ჩავიცვამ და გამოვალო...

— ჰო-ო? მერე სადაა აქამდე? — ახლა ვეტყვი, რომ თავი დაანებოს ლამპას.

— რა ვიცი... — როგორც იქნა შეეშვა გამომრთველს და სკამის საზურგეს მიეყრდნო, საზურგეზე კი ჩემი პერანგი იყო გადაკიდებული.

— ტელევიზორში რა არის? — იკითხა მერაბმა დუმილის შემდეგ.

— ერთი... არ მუშაობს კარგად.

— ჩემი საათივით მუშაობს, — გამოცოცხლდა მერაბი, — მხოლოდ ერთხელ გაგვიფუჭდა. 1964 წლის ოქტომბერში.

— ბედი გაქვს, ძმაო...

ისევ გავჩუმდით.

— ვაჟა! ვაჟა! — გაისმა ქუჩიდან.

ორივემ შვებით ამოვისუნთქეთ. წამოვხტით და ფანჯარას ვეცით.

ქუჩიდან თენგიზი და არჩილი გვიქნევდნენ ხელს. ჩვენც ხელი დავუქნიეთ...

კიდევ ორი ჩემი მეგობარი შემოიყვანა მაიკომ ოთახში.

— მანანა რატომ არ წამოიყვანე? — ვკითხე თენგიზს, თუმცა მიხაროდა, რომ მარტო მოვიდა და საყვარელი მეუღლე, როგორც იქნა, შინ დატოვა.

— დღეს ძალიან დაიღალა. მთელი პინა დაალაგა, — მიპასუხა თენგიზმა და მერაბს მიმართა: — მოდი, ბულკო, ჭადრაკში უნდა დაგანგრიო.

ამირან ჟიჟინაძე
ჩვეი დღე

— ვისი დამნგრევი ხარ? ვაჟა, ჭადრაკი მოიტანე.

— მაიკო!

— არაფერი არ მოგივა, თვითონ რომ მოიტანო, — მითხრა არჩილმა.

— მაიკო!

— რა გინდა, რა გამიწყალეთ გული! — ოთახში მაიკომ შემოიხედა.

— ჭადრაკი მოიტანე, შენი ჭირიმე,— სთხოვა თენგიზმა.

— ერთი ჭიქა წყალიც გამოაყოლე,— უთხრა არჩილმა.

ჩემი და უკმაყოფილოდ დაიმანჭა და წავიდა.

— ჩვენ რა თქვენ გიყურეთ, — თქვა არჩილმა — „კინგი“ დავცხოთ.

— თხუთმეტ წუთში გავუსწორდები ამ ტრაბახას და მერე, — უთხრა მერაბმა.

„ჩვენ ოთხნი და კიდევ თამაზი. ხუთნი ვართ. ხუთი მეგობარი. თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს. ვერთობით, ვსაუბრობთ. მუდამ ვსაუბრობთ. მეორე დღეს ვერ ვიხსენებ, რაზე ვლაპარაკობდით. უცნაურია, მაგრამ მნიშვნელოვანი საუბარი არც კი გვქონია. სხვებთან, სულ უცხო ადამიანებთან მქონია — მატარებელში, ქუჩაშიაც. ამათთან არა...

ესენი ჩემი სკოლის მეგობრები არიან. მერაბი — საბავშვო ბაღიდან. ახალი მეგობრები, ალბათ, აღარც გვეყოლება. რაღა დროის ახალი მეგობრებია! ძმაკაცობის ცხრილი შეივსო. მთელი ჩვენი დრო უკვე არსებულ ურთიერთობას, ცხოვრებით დადგენილ განრიგს მიაქვს. ორშაბათიდან — ორშაბათამდე. ახალ ნაცნობს არც გავუმჟღავნებ სიმპათიას, ძალიანაც რომ მომეწონოს, ჩემს მეგობრებზე მაღლაც რომ დავაყენო. ბედმა უკვე მარგუნა მეგობრების განსაზღვრული, სრული რაოდენობა. მე მყავს ოთხი მეგობარი. ღირსებით და ნაკლით სავსე ოთხი ადამიანი. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. ახლა სხვა გზაც არა გვაქვს — ერთმანეთს უნდა გავუვეთ ბოლომდე. ესენი და მე და კიდევ თამაზი: ჩვენ ხუთნი. რაც იმათ მორჩება, — სხვებს. არაფერი არ მრჩება სხვებისთვის...“

მაიკოს თხილი მოუტანია. სამივე თხილს ახრამუნებს.

— დღეს ერთი გოგო ვნახე, — ვთქვი მე.

— მე — ორი, — თქვა არჩილმა.

— მე — სამი, — თქვა თენგიზმა.

— მე — უამრავი, — თქვა მერაბმა.

— არა, მე მართლა კარგი გოგო ვნახე, — ვთქვი მე.

— არც ის ორი გოგო იყო ცუდი, — თქვა არჩილმა.

— ის ძალიან კარგი გოგოა, — დავიჯინე.

— გვჯერა, ძმაო, ვინ გეკამათება? — მითხრა თენგიზმა.

— რა უთხარი მერე? — მკითხა მერაბმა, — ხელი გაუშვი პაიკს!

— არაფერი არ მითქვამს.

— ყოჩაღ, ცოლად მოგყავს? — მკითხა თენგიზმა.

— ვერ გავბედე ვერაფრის თქმა, — განვაგრძე მე.

— ის გაბერილი არ მოვა? — იკითხა არჩილმა.

— „კინგის“ თამაში თუ გინდა, სჯობს, არ მოვიდეს, — უთხრა მერაბმა.

„რა ჭკვიანური ღიმილი აქვს. შოფრებმა არც კი მიაქციეს ყურადღება. თმა უვარდება და შუბლს უფარავს. ჩამოშლილ თმას გავუსწორებ; მეტი არაფერი, მხოლოდ თმას გადავუწევ შუბლიდან...“

— ბაკურიანში მეც სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ მანანას რა ვუყო?— განაგრძო საუბარი თენგიზმა.

— ერთ კვირას გაძლებს უშენოდ, — უთხრა მერაბმა, — ეს პაიკი მე.

— ცხენსაც გაჩუქებ, რა გიხარია, შე უბედურო, — გაბრაზდა თენგიზი.

ზარმა დარეკა და თამაზის რიხიანი ხმაც გაისმა:

— მაიკოს კარგი გამარჯობა! ბებია, გამარჯობათ! ოჰ, ქალბატონ ქეთევანს ვახლავარ! როგორ გიკითხოთ, ქალბატონო ქეთევან? ფრიად საინტერესო გადმოცემაა! ხელს არ შეგიშლით. ში-

ნაა ოჯახის მარჩენალი? ბოდიში, გტოვებთ...

თამაზი ერთმანეთზე მიყოლებით, სულმოუთქმელად აფრქვევდა სიტყვებს, სიბნელეში სკამს დაეჯახა და ძიძე ნაბიჯებით ჩემი ოთახისკენ გამოსწია. ჩვენთანაც ხმაურით შემოვიდა:

— არჩილთან დავრეკე, მითხრეს, იქ არიანო. კამპანიას გაუმარჯოს! ლოთობთ? აბა, ვაჟა, „ტანთ ჩაიცვი საჩქაროზე და გავიდეთ თავის დროზე“.

— რა გაუვირებს, რა მოგვიდა?! — უთხრა თენგიზმა.

თამაზმა ჭადრაკის ფიგურები ააყირავა დაფიდან.

— გაგიჟდი? — წამოხტა მერაბი, — მოგებული მქონდა.

— დეგენერატია ამხელა კაცი! — დაასკვნა თენგიზმა. — ვის ჰქონდა, ბიჭო, მოგებული?

თენგიზი და მერაბი პოზიციის აღდგენას შეეცადნენ.

— გამაგრდით, ძმებო! — ხმადაბლა გვითხრა თამაზმა, — ლევან მაისურაძეს ბებია გარდაეცვალა.

— მართლა? — იკითხა არჩილმა.

— არა, ვხუმრობ! რა სახუმაროა, ბიჭო, ადამიანის სიკვდილი.

— როდის? — იკითხა მერაბმა, — მერე მე ასე ვითამაშე.

— გუშინ ღამე გარდაცვლილა, — უპასუხა თამაზმა, — ხუთშაბათს ასაფლავებენ.

— საცოდავი, — თქვა თენგიზმა, — მე ეტლი გადავითამაშე...

— დღეს მივიდეთ? — ვკითხე თამაზს.

— აბა როგორ? — გაუკვირდა თამაზს, — ჩვენზე ახლობელი ძმაკაცები ვინ ჰყავს ლევანს.

— მერე მე ასე წავედი, — თქვა მერაბმა, — ავიღე პაიკი.

— მე ასე... — თქვა თენგიზმა.

— მერე მე შემოვედი და გავაკეთე ასე, — აროხროხდა თამაზი და დაანგრია აღდგენილი პოზიცია...

●

ჩვენს სახლთან ველოდებით მანქანას.

— საბურთალო! საბურთალო! — ვუყვირით მძღოლებს, მაგრამ არც ერთი არ გვიჩერებს.

„ოთხნი რომ ვიყოთ, გაგვიჩერებდნენ, ბევრი უარყოფითი მხარე აქვს ხუთი ადამიანის მეგობრობას. აი, მანქანაში არ გვსვამენ. „კინგს“ ვერ ითამაშებ; ვერც დომინოს... რესტორანში მეხუთე სკამი უნდა მიუდგა მაგიდას... წვალებაა...“

როგორც იქნა, გაგვიჩერეს მანქანა. თამაზი მძღოლთან მოსალაპარაკებლად გაძუნძულდა.

— მოდით, ლომებო! — დაიყვირა თამაზმა და მძღოლთან დაჯდა, — აბა, ერთი პლეხანოვზე გაგვიყვანე!..

8. პანაშვიდი

ლევანის სადარბაზოსთან ხალხი არ იდგა.

— ხომ არ გეშლება რამე? — ჰკითხა თამაზს არჩილმა.

— ამობრძანდი და თვითონ დარწმუნდები...

წინ თამაზი გავუშვით და კიბეზე ავედით. ლევანის ბინის კარი ღია იყო, მაგრამ ისე ფართოდ არა, როგორც პანაშვიდის დღეს შეეფერებოდა. თამაზმა ხელით გვანიშნა, მომყევითო. წინა ოთახში ორი უცნობი ახალგაზრდა მიყრდნობოდა კედელს. თამაზმა, ყოველ შემთხვევისათვის, ხელი ჩამოართვა მათ, თანაგრძნობა გამოუცხადა.

კარგად განათებულ დიდ ოთახში შევიხედეთ. კედლების გასწვრივ სკამები ეწყო, შუა ოთახში დაბალ ტახტზე მიცვალებული ესვენა. თეთრი ზეწარი ეფარა ლევანის ბებიას.

— აჰა, ძმაო, — ნიშნის მოგებით თქვა თამაზმა.

— არავინაა სახლში? — ჩურჩულით ჰკითხა თამაზმა ერთ-ერთ ახალგაზრდას.

მან რატომღაც გაუღიმა თამაზს და გვერდით ოთახისკენ წაუძღვა. ბიჭს ზურგი ჰქონდა გასვრილი და მე დავასკვენი, რომ კედელს არ უნდა მივყუდებოდი.

ლევანის დედ-მამა, მათი რამდენიმე ახლობელი და თვითონ ლევანი წყნარად საუბრობდნენ, როცა ჩვენი ჯგუფი ოთახში შევიდა. უფროსებს სათითაოდ ხელი ჩამოვართვით. ლევანი ხუთივემ გადავკოცნეთ.

— მოზიარე ვარ თქვენი მწუხარების, — ყველას მაგივრად თქვა თამაზმა.

ლევანმა პატარა შუშაბანდში გაგვიყვანა:

— დღეს არ იქნება პანაშვიდი, — გვითხრა.

— ხომ არ გეწყინა ჩვენი მოსვლა?— ჰკითხა თენგიზმა.

— რატომ შეწუხდით-მეთქი...

— „ოდეს კაცსა გაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი...“ — თქვა არჩილმა.

— მაშ გარდაიცვალა, ლევან, ნატო ბებია? — იკითხა მერაბმა და ამოიოხრა.

— ჰო, შენ წარმოიდგინე, რომ გარდაიცვალა.

— სერიოზულად გეკითხები... — ნაწყენი კილოთი უთხრა მერაბმა.

— მეც სერიოზულად გპასუხობ, სავსებით სერიოზულად. ღამის ოთხ საათზე გარდაიცვალა.

— რისგან მოკვდა? — განაგრძო მერაბმა.

ლევანმა მხრები აიჩეჩა:

— ოთხმოცდაშვიდი წლის იყო. გაიგე?

— ავადმყოფობდა? — განაგრძო მერაბმა.

— არა, იცი, სულ არ უავადმყოფია, — უთხრა ლევანმა, — ძალიან ჯანმრთელი ქალი იყო.

— მაინც მოკვდა, კაცო? — გაუკვირდა მერაბს, — რისგან მოკვდა?

— მათემატიკაში რა გყავდა? — ჰკითხა მერაბს თამაზმა.

ლევანს გაეღიმა.

— რას იცინი? რა არის, ბიჭო, სასაცილო? — გაბრაზდა მერაბი, — შენი ბებია მოკვდა, ჩემი ხომ არა.

— ბოდიში, ჩემო მერაბ, — თავი შეიკავა ლევანმა, — ეს სიმწრის ღიმილი იყო.

სიგარეტებს მოვუკიდეთ და გავაბოლეთ. მერაბმა თავის „ყაზბეგს“ დაუწყო ფშვნა.

შემოგვიერთდა ნოდარი, ლევანის უახლოესი მეგობარი და ჩვენი სკოლის ამხანაგი. გადაგვკოცნა ყველანი — დიდი ხანია, არ გვენახა ერთმანეთი. მოვიკითხეთ: „როგორა ხარ?“ „სადა ხარ“, „რასა იქმ“... ასე ოციოდ წუთი ნოდარის გამოკითხვით გავერთეთ.

— აი გუშინ ვიყავი ლევანთან და ნატო ბებია ცოცხალი იყო, — ლევანის ხათრით თქვა ნოდარმა.

— აბა ყოველ დღე ხომ არ გარდაიცვლებოდა საცოდავი, — უთხრა თამაზმა.

სულელურად გავიღიმეთ შვიდივემ.

ლევანმა თენგიზი გვერდზე გაიხმო, ოთახში გაიყვანა. ალბათ, ფოტოების ასარჩევად. ბებია ნატოს ფოტოებიდან თენგიზი გადააღებინებს ყავისფერ პორტრეტს, რომელსაც დასაფლავების დღეს მანქანის რადიატორს მიაკრავენ, ხოლო მერე — კედელზე, ლევანის დედის საწოლთან.

დერეფანში დარჩენილები თამაზის გარშემო შევგროვდით.

— უნდა მოვიფიქროთ რამე, ბიჭებო, — დაიწყო თამაზმა, — რა დარჩა გასაკეთებელი?

— პოლიკლინიკა, მმაჩის ბიურო, კუბოს შეკვეთა... ამას მოვრჩით, — უთხრა ნოდარმა, — გაზეთში ერთი განცხადება გავაკეთეთ, ოჯახის წევრებისაგან...

— კარგი, — თქვა თამაზმა, — ესე იგი, დარჩა „სასახლის“ მოტანა, სასაფლაოზე კარგი ადგილის გაშანსვა, პანაშვიდების ორგანიზაცია, ავტობუსების გამოწერა... ყინული არ დასჭირდება, სიცივეა... ქელეხი ექნებათ, ხომ არ იცი?

— მგონი, აპირებდნენ რაღაცას, სოფლიდან ჩამოვაო ხალხი...

— ჩასაფენი მიუტანეთ? — იკითხა

მერაბმა, — გარედან უკეთებთ შავ ნაჭერს?

— შეღებილი იქნება, — უპასუხა ნოდარმა, — 37 მანეთიანი.

— გადასაფარებელი მაინც უნდა, — თქვა მერაბმა, — თეთრი აბრეშუმი, ან შტაპელი; მეტრანახევარი.

— ნეკროლოგი რომ მოგვეხერხებინა!.. — იმედით თქვა ნოდარმა.

—პერსონალური პენსიონერი იყო?— იკითხა არჩილმა.

— არა, არც ჰქონია პენსია...

— აბა როგორ? შეუძლებელია, — თქვა არჩილმა.

— არ უჭირთ, მაგრამ ჩვენი მხრიდან... — დაიწყო მერაბმა, — თუმანთუმანი მაინც დავდოთ...

— ახლა კაპიკი არ მაქვს, — თქვა არჩილმა.

— ბებიაშენი რომ მომკვდარიყო, ერთ თუმნიანს ხომ იშოვნიდი? — ჰკითხა თამაზმა, — ჰოდა, ახლაც მოახერხებ.

კიდევ რამდენიმე ბიჭი მოვიდა. ჩვენ ყველას ვიცნობთ. უმრავლესობა ჩვენი სკოლის ამხანაგები არიან. ზოგი ლევანის თანამშრომელია. ჯუმბერი, სევდიანი, მელოტი ახალგაზრდა, ჩვენს პარალელურ კლასში სწავლობდა.

— საწყალი, აბა, ბიჭო, — თქვა ჯუმბერმა, — რა ქალი იყო მერე...

— კარგი ქალი იყო, — დაეთანხმა თამაზი.

ჯუმბერს შევატყვე, გაბოროტულში იყო.

— არა, თქვენ არ იცით რა ქალი იყო, — გვიმტკიცებს ჯუმბერი, — იმიტომ რომ თქვენ შეიძლება არც გაგიგიათ...

— რა არ გაგვიგია? — ჰკითხა არჩილმა.

— მეხუთე კლასში რომ ვიყავით... ქვეყანა სიცხით იწვებოდა, თუ გახსოვთ...

— როგორ არ გვახსოვს, — უთხრა თამაზმა, — მე, მაგალითად, მახსოვს,

— მე საერთოდ ასე ვიცი, — სიცხეში ცხვირიდან სისხლი მდის ხოლმე... გაგიგონიათ, ალბათ?..

— კი, როგორ არ გაგვიგონია, — უთხრა თამაზმა.

— მოვდივარ, ბიჭო, ქუჩაში და არ წამსკდა ცხვირიდან სისხლი...

— უჰ-უჰ-უჰ! — შეიცხადა თამაზმა, — მერე, მერე?

— სისხლი მდის... მთელი პერანგი დამესვარა. ქუჩაში სიცხვილია გავლა. მოვდივარ და ამ დროს მხვდება ლევანის ბებია... ხელად სახლში წამიყვანა, ბიჭო, დამბანა, პერანგი გამირეცხა... ისე, ყველა არ იზამს მასე. მაშინ რა ვიყავი? ერთი ციცქნა ბალღი და მაინც... ა? პატივი მცა. არა, ანგელოზივით ქალი იყო, ბიჭებო, რომ გავიგე გარდაიცვალაო, ცუდად გავხდი. ნამდვილად, ვერ ვიგრძენი თავი კარგად...

— ჩვენ გაგვიგია ეგ ამბავი, — უთხრა თამაზმა, — ის, ბიჭო, ნოდარის ბებია იყო, ქალბატონი სალომე...

— ჰო-ო? მართლა ბებიაშენი იყო?— ჰკითხა ნოდარს ჯუმბერმა.

— კი, — უთხრა ნოდარმა, — ნამდვილად ბებიაჩემმა გაგირეცხა მაშინ პერანგი.

— იქნებ რამდენიმე ბებიამ სცა პატივი? — იკითხა არჩილმა.

— დაიცა, — შეაჩერა ჯუმბერმა, — პატარა ქალი, გამხდარ-გამხდარი, დიდცხვირიანი...

— ჰო-ჰო-ჰო! — უთხრა თამაზმა, — ეგ, ბიჭო, ნოდარის ბებიაა.

— ანგელოზივით ქალია, — თქვა ჯუმბერმა, — როგორაა ბებიაშენი, ნოდარ?

— შარშანწინ დავკარგეთ, — უპასუხა ნოდარმა.

ჯუმბერმა შუბლში იკრა ხელი.

— ვიყავი მე პანაშვიდზე?

— ზაფხული იყო, პაპანაქება სიცხე, იმ სიცხეში, ვინ გაჩერდებოდა ქალაქში...

— ბოდიში რა, ნოდარ... — უთხრა ჯუმბერმა, — ისეთ პატივს ვცემდი ბებიაშენს... თუ გამიგებ...

ამირან ბიბინაძე
ჩემი დღე

ლევანის შუშაბანდი ხალხით გაივსო. თენგიზიც გამოვიდა, ჯიბეზე დაირტყა ხელი და თვალი ჩამიკრა.

— მაგნიტოფონი არა გაქვთ? — ჰკითხა ლევანს მერაბმა.

— მეზობლებს აქვთ, გელაშვილებს...

— გამოვართვით, ჩავრთოთ და ბარემ პანაშვიდიც იქნება. ნახე, რამდენი ხალხი შეიკრიბა.

— ხვალისთვის გადავწყვიტეთ პანაშვიდის გამართვა, — თავს იცავდა ლევანი.

— რა უნდა მაგას? ერთი მაგნიტოფონი და მისი ჯანი. ჩანაწერებს მე გიშოვნი, — არ მოეშვა მერაბი, — გამოვართმევ მაგნიტოფონს გელაშვილებს...

ლევანმა ხელი ჩაიქნია, იცოდა, მერაბი მაინც არ მოეშვებოდა.

— შენ სადაც წახვალ, ყველგან პანაშვიდია, — უთხრა მერაბს თამაზმა.

მერაბმა ყურადღება არ მიაქცია მეგობრის სიტყვებს, მოქმედების სურვილს შეეპყრო. თითქმის გაიქცა შუშაბანდიდან. ვიცოდი, ცოტა ხანში სმენას მწუხარე ჰანგებით დაგვიტკბობდა.

ჩემს ირგვლივ საუბარი გაჩაღდა. ლევანის ბებია დროებით დავიწყებას მიეცა. ვლაპარაკობდით სპორტზე, პოლიტიკაზე, ნაცნობებზე, ვერთობოდით...

მერაბმა ნახევარ საათში მოირბინა. დააყენა მაგნიტოფონი, დინამიკები მაგნიტოფონთან შეაერთა და ჩართო. მხოლოდ მაშინ მოისვენა, როცა კავარადოსის არიამ აავსო მაისურაძეების ბინა.

— ახლა კი წასვლის დროა, — ჩურჩულით მითხრა თამაზმა.

ჩვენ, ხუთმა მამაკაცმა, ერთმანეთს გადავხედეთ და გასასვლელისაკენ დავიძარით.

— ხვალ დილით მოვიდეთ, — გვითხრა კიბეებზე მერაბმა.

— მე შაბათამდე ძალიან დაკავებული ვარ, — თქვა თენგიზმა, — კიდევ ეს პორტრეტი უნდა გავაკეთო!..

— ხუთშაბათს ასაფლავებენ, ხუთშაბათს, — თქვა არჩილმა.

— დღეს ოცდასამია? ოცდაათამდე საშინლად დაკავებული ვარ, — დაიჩივლა თენგიზმა, — მანანაც ისეთ მდგომარეობაშია...

— ოცდასამია? — წამოიყვირა თამაზმა, — ეს როგორ დამავიწყდა?! აბა, ლიასთან, ჩქარა!

— მართლა, — გამახსენდა მეც, — დღეს ხომ ლიას დაბადების დღეა...

9 სტუმრად

— მოგვილოცავს, მოგვილოცავს, მოგვილოცავს! — ვკოცნით ლიას.

— ყოჩაღ, ბიჭებო, რომ მოხვედით,— გვითხრა ლიამ, — სწორედ ახლა ვაპირებდი დარეკვას...

— ვახ, რა ლამაზი ხარ დღეს! — უთხრა თამაზმა, — შამპანიურიც კი ვერ ვიშოვეთ.

— მოგცლიათ ერთი... — თქვა ლიამ, — აქ დააწყეთ.

ჩამოსაკიდი პალტოებითაა სავსე. გავიძრეთ ჩვენი პალტოები, სკივრზე დავაწყეთ.

— ბავშვისთვის მაინც მოგვეტანა რამე, — ჩურჩულით თქვა თენგიზმა.

— არ უჭირთ! — ჩურჩულითვე უპასუხა თამაზმა.

დიდ ოთახში ბევრი ხალხია. ყველას ვიცნობთ. ჯგუფიდან ჯგუფში გადავდივართ. ზოგს პირზე კოცნით ვესალმებით, ზოგს — ვაუკაცური ხელის ჩამორთმევით. ოთახის შუაგულში ბავშვები თამაშობენ. ახალგაზრდა მშობლების ყურადღება მათკენაა მიქცეული.

— თქვენი ჭირიმე! გამარჯობათ, ყვავილებო! — ყველას გასაგონად ყვირის თამაზი და ლიას ბავშვს ხელში იყვანს,— ვისი ბიჭი ხარ შენ? დედიკოს რამდენი წელი შეუსრულდა, თუ იცი?

ბავშვმა თამაზს სილა გააწნა. თამაზმა საჩქაროდ ძირს დასვა ბავშვი და ღიმილი განაგრძო:

— რა დეგენერატია! ნახე, რამხელა თავი აქვს! — მითხრა ჩუმად.

— შენა ხარ დეგენერატი! შენი რა იქნება, იმასაც ვნახავთ! — ვუპასუხე მე.

ვახშმის დაწყებამდე როგორმე უნდა გავერთოთ...

ბავშვებთან ჩავცუცქდი. ახლა ერთი სიმაღლისა ვართ — ბავშვები და მე.

„აქ ვართ ყველანი. ჩვენი „წრე". ჩვენი ბიჭები, ჩვენი გოგოები, მათი მელოტი ქმრები. ახლა ესენიც შემოგვიერთდნენ — მათი შვილები. გაიზრდებიან და, ალბათ, ერთად იქნებიან ესენიც. „ერთმანეთს არ დაკარგავენ" მშობლებივით. შეიკრიბებიან დაბადების დღეებზე. ამ ბიჭს შეიძლება ეს გოგო შეუყვარდეს. ამხანაგ ბიჭებთან ერთად მის სკოლასთან ჩაივლის. „მოზარდიდან" მიაცილებს სახლამდე. მერე, როცა ცეკვების დრო მოვა, ყველა გოგოსთან იცეკვებს რიგრიგობით. მხოლოდ ამას მოერიდება. პაპიროსს მოუკიდებს ხველებით და თავმომწონედ გადახედავს მხოლოდ ამას, სხვას არავის. და ყველას ეცოდინება, რომ მათ უყვართ ერთმანეთი. იქნება ამაზე ლაპარაკი... ცალკე გოგოებში, ცალკე ბიჭებში. მერე მობეზრდებათ. ლაპარაკი მობეზრდებათ. მერე ერთმანეთთან ყოფნა. მაგრამ „ერთმანეთს არ დაკარგავენ". არავითარ შემთხვევაში! დაბადების დღეებზე ისევ შეიკრიბებიან; ყველანი ერთად. გოგო მოიყვანს თავის მელოტ მეუღლეს. მეუღლესაც ეცოდინება, რომ აი, იმას, როცა პატარა იყო, უყვარდა მისი ცოლი — ბავშვური სიყვარულით... „მოზარდიდან" აცილებდა სახლამდე. ერთხელ მისი გულისთვის იჩხუბა კიდეც. და იქნებიან სამივენი ერთად, ერთ დიდ ოთახში, ეს ბიჭი უკვე დავაჟკაცებული, მისი პირველი სიყვარული გაუღიმებს „რა კარგია, რომ მოხვედი, გია, ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას" და აკოცებს. ნეტა მაშინ ეკოცნა!.. ქმარი ვაჟკაცურად ჩამოართმევს ხელს. და იქნებიან სხვებიც. ყველანი... ყოფილი გოგოები და ბიჭები, თავისი ცოლებით და ქმრებით და შვილებით. ეცდებიან, როგორმე დრო გაატარონ ვახშმის მოლოდინში. ეცდებიან არ მოიწყინონ ერთმანეთთან... სუფრა, ალბათ, ლოჯშია გაშლილი. ნეტა როდის დაგვიძახებენ სუფრასთან... არ მშია, არც დალევა მინდა. კარგია, როცა გარკვეული, ჩვეული საქმით ხარ დაკავებული. ჭამ და სვამ. და ყველას იცნობ, ყველა გიცნობს და არავინ არ გაქცევს ყურადღებას..."

ჩემს გარშემო კი ლიას სტუმრები საუბრობენ:

სამი ახალგაზრდა ქალი, წითელ დივანზე ჩამომსხდარნი:

— ჩვეულებრივი ბანლონის კოსტუმია. ფერი აქვს სასიამოვნო.

— ამანათი მიიღე თუ საწყობიდან გამოიტანე?

— ზურას მეგობარმა მიშოვა რიგაში. საკომისიოში იყიდა.

— ორი ფერი კარგად არის შეხამებული. შენს თმასაც უხდება.

— ახლა ჯვალოს კაბებია მოდაში.

— ნუნუს რომ აცვია, იმდაგვარი.

— ნუნუსი ისეთი უხეში არ არის. უფრო მსხვილი ძაფი უნდა იყოს, ტომარასავით.

— ვარდისფერი ვნახე ერთ ქალზე, ჭკუას დაკარგავდი!

— გორში ყოფილა წინა კვირას. გოგის ვთხოვ და წაგვიყვანს.

— სად წავალ ორი შვილის გადამკიდე! სულ ვერ ვიცლი ჩემთვის. რაც მაქვს, სულ ზურას ნაყიდია.

— აბა ვახტანგი გიყიდის რამეს... სულ არ ეხერხება. მოსკოვიდან ქოლგა ჩამომიტანა, მოკვდებით სიცილით.

ორი ქალი და ერთ-ერთის ქმარი ოთახის კუთხეში. ქმარი — სავარძელში, ქალები — სკამებზე:

— პატარა ტანისაა, მაგრამ პროპორციულია. ლამაზი ხელები აქვს...

— ძალიან კარგი ვიღაცაა. ხმაც მომეწონა. მაგრამ მე ასე მგონია, რომ რაღაცას გიმალავს, რაღაცას არ გეუბნება.

— რას უნდა მიმალავდეს?

— არ ვიცი, მე ასე მომეჩვენა. აი,

ამირან ჟიჟინაძე
ჩემი დღე

კოტიკოც მიმალავდა რაღაცას, სანამ არ გამოვტეხე.

— რას გიმალავდი, ერთი შენც...

— რატომ არ მოიყვანე ლიასთან?

— არ ვიცი, მოეხათრა თვითონაც. ძალიან მორცხვია და არ უყვარს ხალხში ყოფნა.

— კარგია, რომ არ მოიყვანე. ჩვენი ბიჭების ამბავი ხომ იცი? ვინც არ უნდა იყოს, ისეთ რაღაცას იტყვიან, რომ...

— ბოლო ხანებში ძალიან მომაბეზრეს თავი. ნერვებს მიშლიან.

— აბა რა იქნება. სულ ერთი და იგივე ხალხი...

— წადი, ჰკითხე ლიას, — ამბობს ქმარი, — ჩქარა იქნება პურ-მარილი?

— დამაცადე ერთი! საჭმელად მოხვედი?

თენგიზი, არჩილი, მერაბი და კიდევ სამი ახალგაზრდა როიალთან:

— ჰოკეის გულშემატკივარი არა ვარ, ხელბურთის არ იყოს, მაგრამ როცა ფეხბურთის სეზონი მთავრდება, სხვა გზა არ არის.

— ჰოკეი კი არა, ფეხბურთზედაც ამიცრუვდა გული.

— ფეხბურთი მაინც ფეხბურთია!

— მსოფლიო პირველობის შემდეგ ველარ ვუყურებ, ძმაო. თამაშს არ ვაცდენ, მაგრამ გული აღარ მიმდის.

— ილომ რა იკისრა მაინც, ა? ორ თამაშში დაეწია ბიშევეცს.

— ბიშევეცი ტყუილია მაინც. მხეცივით თამაშობს. ილო ძალიან ცდილობს, თავს იკლავს. ძალიან ბევრს დარბის.

— მიშა და სლავა ასე რომ დარბოდნენ...

— ირბინა მიშამ, რა გინდა, კუიბიშევთან რამდენი იმოძრავა.

— ის რა იყო, ხუთ კაცს რომ აჭამა და მერე ერთს ველარ აუხვია.

— სულ უბრალო ფინტი იყო საჭირო. გვერდზე გაეგდო და გოლი იყო. დამცველი თვითონ მოტყუვდებოდა. ხტოდა აქეთ-იქით.

— მომავალ სეზონში რაღაც მოხდება.

— კიევის „დინამოა“ მაგარ ფორმაში, მოსკოვის „დინამომაც“ წამოიწია.

— ჩვენებმა პირველი ადგილი რომ აიღეს, აი, ის იყო ფორმაც და შინაარსიც.

— ყოველ წელს ძნელია. ვერც გაამტყუნებ.

— სამხრეთის ტემპერამენტი მაინც თავისას აკეთებს. სტაბილურად ვერ თამაშობენ ჩვენი ბიჭები.

— აუ, ეუსებიო რა იყო. მართლა ფენომენია!

— ერთ თვეში აბონემენტზე უნდა ვიზრუნო...

— ათი სრულდება. დროა, მე მგონი, მაგიდას მივუჯდეთ, ა?!.

ლიას ნათესავები. ორი ქალი და მოხუცებული კაცი:

— თმას ხომ ყველა იღებავს. ვერ გაიგებ კაცი, ვინ ქერაა და ვინ შავი.

— ასეთი მოდა აქვთ ახლანდელებს.

— საზღვარგარეთ მწვანედ იღებავენ, თეთრად, ყვითლად.

— იქ უარესსაც შვრებიან, მაგრამ ეს ჩვენი გოგოები რამ გააგიჟა?!

— ამ ზაფხულს ვნახე გოგო. თვალებს არ დავუჯერე. რა იყო მაინც... ფეხის თითები ჰქონდა იასამნისფრად შეღებილი.

— შენ პედიკურზე ლაპარაკობ, პავლე. კი, იციან მაგიც.

— ჰიგიენისთვის კარგია, მაგრამ ნუ გამოაჩენ, ბატონო.

— იასამნისფერია კარგი, ქალო?! აქაო და ხალხს გავაკვირვებო.

— კიდევაც გაუკვირვებიხარ.

— გავუკვირვებივარ კი არა, ჩემიანი რომ ყოფილიყო, მე ვიცი, რა დღეს დავაყრიდი!..

— მივხედავ ერთი მაროს, იქნებ მიხმარება უნდა.

— შენ იცი, აბა, დატრიალდით... ისე, მეცნიერები ამტკიცებენ, ადამიანი მშიერი თექვსმეტი დღე ძლებსო...

დათო მოვიდა ჩემთან, გვერდით ჩა-

მიცუცქდა. დათოს ახალი კოსტუმი აცვია. ყელსაბამი უჭერს.

— როგორა ხარ, ვაჟა? — ზანტად მკითხა.

— ისე რა... შენ როგორ, დათუნი?

— ნუ იტყვი... გამოვიპრანჭე, ვიფიქრე, იქნებ უცხო მოვიდეს-მეთქი ვინმე. ისევ ჩვენი გოგოები არიან თავიანთი ქმარ-შვილით.

— სად იყავი? რომ შემოვედით, თითქოს არ იყავი ოთახში?

— აივანზე გავედი. მომბეზრდა ეს ამბავი.

— არა უშავს. ჩქარა ცოლს შეირთავ. ბინა კარგი გაქვს, — ვანუგეშე.

— ბინა კი მაქვს... ვის შეირთავ, ძმაო, არავინ თუ არ გაიცანი?.. — ამოიოხრა დათომ.

— დღეს ვერავის. ეს ნაღდი ამბავია, — ვუთხარი მე.

— აბა ხვა-ალ?

— სტადიონზე არ დადიან კარგი სპორტსმენი გოგონები?

— ჩემთან მაშინ მოდიან, როცა ფეხს მოიტეხავენ. ფეხმოტეხილი ცოლი რად მინდა?..

— ფეხმოტეხილი არ ვარგა, — დავეთანხმე.

— სუფრასთან მაინც დაგვიძახონ დროზე, — ოხრავს დათო, — ხვალ დილით სამსახურში ვარ წასასვლელი.

ოთხი გოგო, ერთ-ერთის ქმარი და თამაზი:

— ჩვენს ლიას ბედმა გაუღიმა. პროფესორი ქმარი, თან თითქმის ახალგაზრდა.

— მართლაც რომ „თითქმის“.

— ხო, მაგრამ ლიას ისე უყვარს!

— რატომაც არ ეყვარება? ყველაფერი აქვს, რასაც კი მოისურვებს.

— ერთი შენ რა გაკლია, სულ რომ წუწუნებ?

— მე ვიცი, რაც მაკლია!

— ეგ ყველამ იცის.

— აბა, სიძე, ჩემს დაიკოს ნუ აწყენინებ, — უთხრა თამაზმა, — მე გამომყევით რომელიმე. სამნი ხართ, ერთმანეთზე უკეთესები. თქვენ ვინ დაგტოვათ, საკვირველია და განსაცვიფრებელი.

— შენგან რა ხეირია, რომ გამოგყვეთ.

— რატომ, მხიარული ბიჭია, არ მოიწყენთ...

— როდის დაგვსვამს ნეტა? ბავშვს პირველ საათამდე ხომ ვერ გავაჩერებ!

— მობრძანდით! შიმშილით დაგხოცეთ, არა-ა! — გაისმა ლიას ხმა.

ერთი წამით ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ბავშვები განაგრძნობდნენ მოდუნებულ წრიალს.

— გთხოვთ, მეგობრებო, ნუ დააყოვნებთ! — მიიპატიჟა ამხანაგები თამაზმა, — დღეს არ არის შაბათი და ხვალ არ არის კვირა!

ხმაურით დავიკავეთ ადგილები. ბავშვები დედებმა პატარა მაგიდასთან მოათავსეს.

ყველამ ვიცით, რას რა უნდა მოჰყვეს. ასე იყო არა ერთხელ და ათჯერ. ოჯახის უფროსი თამაზს სთხოვს თამადობას. თამაზი დიდხანს უარზე იქნება: „დავიღალე, ველარ ვსვამ, ადრე ვარ წასასვლელი, ერთხელ სხვა იყოს და მე გამართოს...“ მერე, რა თქმა უნდა, დაითანხმებენ თამაზს... „მაშინ, სმენა იყოს და გაგონება, კამპანია — ბატონო!“ — წამოიძახებს თამაზი და თვალებს დაგვიბრიალებს. თავის სამადლობელს არ დალევს. „არა, ბატონებო, წესი ასეთია, ბოლოს! ბოლოს გეახლებით!“ კიდევ კარგი, რომ მის გვერდით არ ვზივარ, ყურს მატკენდა ყვირილით... გადაიღებს კუჭმაჭს თამაზი, გაასუფთავებს საინს და ყანწს მოითხოვს. ადგება. იდაყვში მოხრილ მკლავს მხრის სიმაღლეზე ასწევს, გაიჭიმება. იტყვის ლიას სადღეგრძელოს. „პატივცემული იუბილარი“... იტყვის, რომ ლიას დღეს თვრამეტი წელი შეუსრულდა და უკვე მეჩვიდმეტეში გადავიდა... იტყვის: „პატივცემულ მეუღლეს, ბატონ პროფესორს, ჩვენ ლიასაგან არ გამოვყოფთ“, — რაზედაც

ყველა გაიცინებს, თვითონ თამაზისა და პროფესორის თანამშრომლის გარდა. იტყვის: „მე პატარა ბავშვსაც კი ვერ გამოვყოფ“ და სუფრა მოკვდება სიცილით. მერე შეიძლება ახალსაც იტყვის რამეს ლიასთან დაკავშირებით. დაამთავრებს ამდაგვარად: „ჩვენ ყველას გვიყვარს ლია ლამაზი, გკოცნის შორიდან შენი თამაზი“... ან სხვა ასეთივე ხარისხის ექსპრომტით. ყოველ შემთხვევაში, ორ სიტყვას „ლამაზს“ და „თამაზს“ გვერდს ვერ აუვლის... გემრიელი ხაჭაპურები იცის ლიას დედამ... მერე ლიას მშობლების სადღეგრძელოს წარმოსთქვამს თამადა, ლიას შვილის, ლიას ნათესავების, ლიას ქმრის სადღეგრძელოს. „კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და ძალიან შეგვიყვარდით ყველას, როგორც უფროსი ძმა“. მერე ჩვენს მშობლებს ადღეგრძელებს თამაზი: „ჩვენ იმათ ამაგს ვერასოდეს ვერ გადავიხდით და არცაა საჭირო“, „ცოცხლებს ჯანმრთელობა ვუსურვოთ, ვინც ამ ქვეყნად აღარაა — ხსოვნა და არდავიწყება მარადჟამს“, „პერსონალური“ სადღეგრძელოების დროს გაიხსენებს ძველ ამბებს. ჩვენც ავყვებით. უდღეგრძელებელს არ დავტოვებთ ერთმანეთს. თამაზი დიდხანს ილაპარაკებს. ის გაიმეორებს თავის ძველ, ასჯერ ნათქვამ ხუმრობებს, მაგრამ მაინც ჩვენ ბევრს ვიცინებთ. ჩვენ ბევრს შევჭამთ, ბევრს დავლევთ, ბევრს ვიმღერებთ და ბევრს ვიცინებთ. მერე კი, ვახშმის ბოლოს, როცა ახალი წესის თანახმად, რატომღაც მოხარშულ ბეჭს შემოიტანენ და როცა სუფრასთან აღარ იქნებიან ჩვენი დაოჯახებული მეგობრები, ჩაის ჭიქებით ვადღეგრძელებთ ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალს, საქართველოს მდინარეებს... ეს ყველა ჩვენგანმა კარგად იცის. ძალიან კარგად. უკვე ბევრჯერ ყოფილა ასე... ხვალ ვეღარ გავიხსენებ, როგორ დავბრუნდი სახლში...“

ბროლის ჭიქა ავწიე:

— ჩვენს თამაზს მივულოცოთ თამადობა. გაგიმარჯოს, თამაზ!

— დაიცა, თუ ძმა ხარ! შენც დამიწყე ახლა?

— არა, ნამდვილად, თამაზ — ბატონო! სხვანაირად არ შეიძლება, — უთხრა ლიას მამამ, — გთხოვთ, თამაზ, აბა, არ გვახვეწინო!

— ვერ დავლევ, ძია შალვა, დღეს სხვა აირჩიეთ. აი, თქვენი საყვარელი სიძე.

— გთხოვ, თამაზ, რა მოგივიდა? — უთხრა ლიამ.

— აი, იუბილარიც გთხოვს, — ვუთხარი მე.

— შენ რა ამბავში ხარ, ვაჟა? ზურგში მცემ ლახვარს?!

— გაგიმარჯოს, თამაზ! აბა, შენ იცი! — უძახიან თამაზს აქეთ-იქიდან.

თამაზი ჯერ უარზეა, სამსახურში ადრე ვარ წასასვლელიო, თამადად ერთხელ სხვა დადგესო, გართობა მეც მინდაო, მაგრამ მერე მაინც თამადის ადგილს იკავებს და ლიას ანიშნებს, მომიახლოვდიო. რაღაცას ყურში ჩასჩურჩულებს და ხელებს კმაყოფილი შლის. ჰკითხა, რამდენი ღვინო გაქვსო. ეს როგორ გამომრჩა! თამაზი პირველ რიგში იმას გაიგებს ხოლმე, თუ რამდენი ღვინოა ოჯახში. ღვინის რაოდენობაზეა დამოკიდებული სასმისების ზომა და სადღეგრძელოების რიცხვი.

თამაზმა ტუჩები ხელსახოცით გაიწმინდა და ფეხზე ადგა...

— კამპანია — ბატონო! — დაიწყო თამაზმა.

— ბოლოს ექსპრომტი უთხარი ლიას, — შევაწყვეტინე მე.

— შენ დღეს რა მოგივიდა? მერაბმა ხომ არ დაგკბინა? — იკითხა თამაზმა.

ყველამ გაიცინა. ყველა მერაბს უყურებს. მერაბი კი — თამაზს. მერაბს საჭმლით აქვს პირი გატენილი და ვერ პასუხობს.

— ბიჭო, ვისი ხარ ლამაზი? — ეკითხება თამაზი მერაბს. ისევ იცინის ყველა.

თამაზი დანას ურტყამს საინზე, გამხიარულებულ საზოგადოებას ამშვიდებს.

— ყანწი, თუ შეიძლება! ვისაც ღვი-

ნის დალევა არ შეუძლია, ყურძნად მი-ირთვას! ეს თქვენ გეხებათ, გოგონებო, თქვენ, ჩემო მერაბ, და თქვენც, პატივ-ცემულო პროფესორო...

თამაზმა ყანწი ღვინით ააავსო, იდაყვი მხრის სიმაღლეზე ასწია, მკერდი გაშა-ლა. თამაზი ლიას სადღეგრძელოს ამ-ბობს.

— რატომ ხარ მოწყენილი? — მე-კითხება ლალი.

— არა ვარ მოწყენილი, — ვერკვევი მე, — რა მოგაწოდო?

— აი, რაღაც თევზი რომ დევს. ხო, ხო, ეგ. რამდენი ხანია არ მინახავხარ.

— მეც არ მინახავხარ კარგა ხანია.

— მერე რატომ არ გამოივლი ერთ-ხელ? თქვენ სულ დამივიწყეთ. გოგოე-ბიც იშვიათად მოდიან.

— მოვალ აუცილებლად. დეიდა ლე-ნა როგორ არის?

— კარგადაა, მოდი და ნახე. ჩემი ბი-ჭის ნახვა არ გინდა?

— როგორ არ მინდა! მოვალ აუცი-ლებლად.

— და ბოლოს ვიტყვი მჭექარე „ვა-შას“, მერე ალავერდს გადავცემ ვა-ჟას! — დაამთავრა სადღეგრძელო თა-მაზმა და დაჯდა.

უფროსებმა ტაშისცემით დააჯილდო-ვეს თამადა.

— გაგიმარჯოს, ჩემო ლია! ქმარ-შვი-ლით. კარგად იყავით, ბედნიერად, ჯანმ-რთელად, — ვთქვი და ყანწი გამოვცა-ლე.

სუფრის წევრებმა ადღეგრძელეს ლია. ბევრი არ ულაპარაკიათ. თამაზის შემდეგ ვერაფინ ბედავდა ლაპარაკს.

ვადღეგრძელეთ ლიას მშობლები, ყვე-ლა მშობლები, შვილები, დედმამის შვი-ლები.

ღვინო მომეკიდა.

— მე გატყობ, რომ შენ ირაკლი არ მოგწონს, — მეუბნება ლალი.

— შენი ქმარი შენ უნდა მოგწონ-დეს.

— არა, ვაჟა, მითხარი, რითი არ მოგ-წონს?

— იმით, რომ კრეტინია, — რატომ-ღაც ვეუბნები მე.

— სულ არ არის კრეტინი, — რა-ტომღაც არ წყინს ლალის, — თქვენ-თან არ არის ხოლმე თავისუფლად. შენ თავის ამხანაგებში უნდა ნახო. საზო-გადოების სული და გული.

— სული, გული და კუჭმაჭი, რა ვქნა, ასეთი მეჩვენება.

— მეჩვენება! მეჩვენება! შენ ცუდად იცნობ და იმიტომ გეჩვენება ასე.

— არც მინდა, რომ კარგად გავიც-ნო. საკუთარი კრეტინები არ მეყოფა?!

— იცი, რა ნაკითხი კაცია. ისე არ ეტყობა თითქოს, მაგრამ ძალიან განვი-თარებული და ნაკითხია.

— რას ჩამაცივდი? ეგრე ძალიან თუ მოგწონს, მიუჯექი და საჭმელი გადაუ-ღე. ნახე, როგორ იცინის! კრეტინია, აბა რა არის!

ლალის სწყინს. ლალის აღარ უნდა ჩემთან ლაპარაკი.

რატომ? რატომ უნდა ვაწყენინო ლა-ლის? იქნებ მართლა არ არის კრეტინი მისი ქმარი? რა ვიცი. სულ არ ვიცნობ ლალის ქმარს. ცუდი კაცი არ უნდა იყოს. პირიქით. ნეტა რას ჩამაცივდა? აღარ უყვარს? ოთხი წელიწადია, რაც გათხოვდა. უკვე აღარ უყვარს?

— ლალი! ლალი! — ვეძახი ლალის.

ლალიმ არ მოიხედა.

— ლალი! პირიქით... ძალიან სიმპა-თიური კაცია. სრულებით არ სტოვებს კრეტინის შთაბეჭდილებას. მე ცოტა დავთვერი... მაგარი ღვინოა. ხომ იცი, როცა მთვრალი ვარ, სისულელეებს ვლაპარაკობ. მე დიდ პატივს ვცემ შენ ქმარს. გინდა, ახლა მივალ და ვაკოცებ?

— არ მინდა. საცივი მომაწოდე.

— არავინ არ ჭამს საცივს. საცივი მუდამ რჩება სუფრაზე. ძნელი საჭმე-ლია შენ მაინც ჭამე, არ დაიზარო. რო-მელი ნაჭერი გადმოგიღო? ბარკალი? ნახე, რა ბარკალია!

— ერთი წუთით, ამხანაგებო! —

ამირან ჭიჭინაძე
ჩემი დღე

რიხიანად ამბობს თამაზი, — მორიგი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ!.. ვაჟა, ერთი წუთით!..

— გისმენ, ბატონო.

ლალის ვეტყვი. ლალი გათხოვილია. რატომ არ შეიძლება, რომ ლალის ვუთხრა? ლალი ყველაფერს გაიგებს. გოგოებს ყოველთვის ყველაფერი ესმით... მაინცდამაინც ლალის უნდა ვუთხრა? რატომაც არა. სწორედ ლალის ვეტყვი...

— ლალი! მისმენ?

— გისმენ, ვაჟა.

— იცი როგორი გოგოა! მე არაფერი არ მინდა. თმა მინდა მხოლოდ გავუსწორო. შუბლზე ჩამოუვარდება ხოლმე თმა. მხოლოდ გადავუწიო მინდა. არ ვიცი, რა ვქნა, ლალი, რა ვუთხრა ხვალ? მითხარი რა ვუთხრა.

— არაფერი არ უთხრა. თმა გაუსწორე.

— რომ ეწყინოს?

— რატომ უნდა ეწყინოს? პირიქით...

— მართლა იცი, რომ არ ეწყინება?

— მართლა.

— გმადლობთ, ლალი. შენ კარგი გოგო ხარ. შენც ჩამოგივარდა თმა. გაგისწორო?

— გამისწორე.

თმა გადავუწიე შუბლიდან ლალის.

— რა ამბავში ხართ მანდ! — იცინის მაგიდის მეორე მხრიდან ლალის ქმარი, — ძველი ამბები ხომ არ გაიხსენეთ?

— ა-ა, ირაკლი! მე თმა გავუსწორე შენს ცოლს. შენ ხომ არ გწყინს?

— შენ ოღონდ მაგას თმა გაუსწორე! მუდამ აჩეჩილი აქვს...

ამ კაცისათვისაც გავიდა ოთხი წელიწადი. ორივესათვის ოთხი წელიწადი გავიდა. შეიძლება თავიდან არ იყო არაფერი. არც ერთი წელი არ ყოფილა...

ქეიფი გრძელდება. გრძელდება სიმღერა. მეც ვმღერი.

— თავი შეიკავე, ვაჟა! — ყვირის არჩილი.

ჩემდაუნებურად ვაჟა არ იკავებს თავს — სიმღერას განაგრძობს.

ნელ-ნელა აიშალა სუფრა. პატარები წაიყვანეს დედებმა. მერე ლიას ნათესავებიც აიშალნენ. სმა მაინც გრძელდება... ვაჟა ჩაის ჭიქას ცლის. ვინ არის ვაჟა? მგონი, მე ვარ...

●

ვაჟა თავის ბინის კარებთან იდგა. დიდხანს ეძებდა გასაღებს. ბოლოს გააღო კარი. ცდილობდა, ფეხაკრეფით გაეარა. საწოლ ოთახში სინათლე ენთო. დედას ეძინა. საწოლთან წიგნი ედო — ალბათ კითხულობდა და ჩაეძინა. სძინავს მაიკოს. თვალებდახუჭული წევს ვაჟას მამა. ვაჟა მძინარე დისკენ დაიხარა, აკოცა. მამა ცალი თვალით უყურებდა ვაჟას. ვაჟამ სინათლე ჩააქრო; თავისი ოთახისკენ წავიდა. ბებიას კაბინეტში შეიხედა. ბებია მაგიდას უჯდა და წერდა. ვაჟას ფეხის ხმაზე მოტრიალდა.

— ჯაჭვზე დაკეტე? მაღვიძარას დაქოქვა არ დაგავიწყდეს.

ვაჟამ თავი დაუქნია, ყველაფერი გავიგეო, და სამზარეულოში შევიდა. მაცივრიდან მაწონი გამოიღო და პირდაპირ ქილიდან შეუდგა სრუპვას. მერე ისევ მაცივარში შედო ნახევრად დაცარიელებული ქილა. თავის ოთახში შევიდა. კედელზე ხელის ფათურით იპოვა ძაფი. ბრა ტკაცანით ჩაირთო და ოთახი გაანათა. ვაჟამ მაღვიძარა დაქოქა და სკამზე დადო საწოლის თავთან. ვაჟამ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. ერთხანს იწვა დაფიქრებული, მერე გაიღიმა. ხელი გადასწია, გამომრთველი იპოვა და ქვევით დასწია. ბრა გამოირთო. ოთახში დაბნელდა და ახლა მხოლოდ საათის ტიკტიკიღა ისმოდა.

10. სიზმარი

მესიზმრება ფერადი სიზმარი. სიზმარშიაც მიკვირს, რომ ფერად სიზმარს ვხედავ. მთის ფერდი რუხი ფერისაა. იქით მზის უკანასკნელი სხივებით განათებული დაბალი ბორცვები მოჩანს. მე დიდ, თეთრ დაფასთან ვზივარ. ნახაზს ვერ ვხედავ. მაგრამ ვგრძნობ, დაფაზე

ლამაზი ნახაზია გაკრული. ჩამოშვებულ ხელებზე სისხლის ძარღვები მაქვს დაბერილი. „კარგად ვიმუშავე და ახლა ვისვენებ“, — ვფიქრობ მე. შზეზე ვთბები. ბებია ვაშლს მაწვდის, ბებიას თეთრწინწკლებიანი შავი კაბა აცვია. თმა სულ მთლად გასთეთრებია. ბებიას ძალიან უხდება თეთრწინწკლებიანი კაბა.

— აიღე, დილით სასარგებლოა, — მეუბნება ბებია, — ვაშლში შვიდი ვიტამინია.

არ მინდა ვაშლის ჭამა. მე არ მიყვარს ასეთი ვაშლი. ვიცი, რომ ვაშლი გამომშრალია. მაინც გამოვართვი ბებიას ვაშლი და დაზგაზე დავდე.

ჩემს გარშემო რუხი ფერის დიდ, უხეშ ტილოს სტენდებს ამაგრებენ. თანდათან ბნელდება თეთრ დაფაზე. ვიცი, თუ სტენდებს შორის გამომაწყვდიეს, ჩემს დაზგაზე რომ მჭრელი ლანცეტი ბრწყინავს, იმას წამოვავლებ ხელს, ტილოს გავჭრი და გარეთ გამოვალ! სუნთქვა კი მიჭირს...

— დაჯექი, დაჯექი, — მეუბნება თეთრხალათიანი კაცი და რკინის ღუმელთან მსვამს დაბალ ოთხფეხა სკამზე.

საბავშვო სკამია. ყვითლად შეღებილი. მგონი, წებო აქვს გარედან წასმული. ვჯდები და უხერხულობას ვგრძნობ. ღუმელს გვერდი გამონგრეული აქვს. წითელი ნაღვერდლები მოჩანს. მცხელა.

მატარებლის ხმა მესმის. დიდ და ბნელ სატვირთო ვაგონში მე ვზივარ. ვაგონის ორივე კარი ღიაა და მთვარის შუქი ორად ჰკვეთს ვაგონის სიბნელეს. ჩემს ირგვლივ ხმაურიანი ხალხია. სულ მამაკაცები არიან. იქით, სიბნელეში, ჩემი გოგო ზის. ჩექმები აცვია და შავი ბერეტი ახურავს. თავი დაუხრია, ხალაცას კერავს და თეთრი ტილო უქათქათებს მუხლებზე. მატარებელი ხმაურით მიჰქრის. შავი ბოძები თვალწინ აელვარდებიან ხოლმე და უჩინარდებიან.

— მაგან ნავთის ლამპის ანთებაც არ იცის, — ჩურჩულით მეუბნება ბარბაქაძე, — აბა გამოსცადე.

მე ყურადღებას არ ვაქცევ ბარბაქაძეს. დარწმუნებული ვარ, ჩემმა გოგომ მშვენივრად იცის ნავთის ლამპის ანთება.

რამდენიმე კაცი შემოვიდა ვაგონში. ორს ყვითელი ფარანი აქვს ხელში. ვიცი, მე მეძებენ, მაგრამ არ მეშინია. ჩემს გოგოს შემოეხვივნენ. მე ვიცი, რომ ის უკვე ჩემი ცოლია. ზის ხის გრძელ მაგიდაზე შუა ვაგონში და თეთრი ტილოს პერანგს არშიით აწყობს. თავი დაბლა აქვს დახრილი. თმა ჩამოშლია შუბლზე და ცალ თვალს უფარავს. ჩემი ცოლი ყურადღებას არ აქცევს მათ.

და მე, ხმაურით სავსე ვაგონის ბნელ კუთხეში მიმწყვდეულ უმწეო ადამიანს, მეუფლება უცნაური სიმშვიდის გრძნობა. მე მჯერა, რომ ჩემმა ცოლმა ყველაფერი იცის, რომ ის ურყევია და მართალი. რომ ვუყვარვარ...

უსაზღვროდ მჯერა ამ ადამიანისა და უცებ, სიზმარში, უბრალოდ ვპასუხობ იმ შეკითხვაზე, რაზედაც ფხიზელს პასუხის გაცემისა მეშინოდა. ვაჟა ლოლაძე, შეგიძლია თუ არა სიყვარული?

დიახ, შემიძლია.

შემზარავად, თავგამოდებით აწკრიალდა მაღვიძარა. მე თვალი გავახილე.

ემზარ კვიჭაიშვილი

მამულის მთებო

მამულის მთებო,
ვიდრე ჩვენი სუნთქვა გეხლება,
ჩვენი ფრთის ქარი თავს გევლება
მსუბუქ ზვირთებად,
მანამ, იცოდე, რკინის გული
არ დაგეღლება,
იცოდე, —
მანამ არაფერი გაგიჭირდება.

მკერდით დაგიცავთ,
აგარიდებთ გრიგალებს მზარავს...
უშფოთველ ძილით იძინებენ
მამა-პაპანი.
სულ იშრიალებს,
დროშასავით ენთება მარად
შენი კალთები
იმ უძველეს მზეში ნაბანი.

გურია, 1966

რა გასაოცრად ყვავიან ბლები,
ღელემ წაიღო ყინულის ძვლები,
ლურჯად და თეთრად კამკამებს ბინდი,
ნეტა საფლავში რა გულით ძლებენ.

თვალს ვერ გაშორებთ, ცის ბინადარნო,
ცაზე აგანთოთ თქვენ ზესთა ზესმა,
რად აწრიალდით,
რად შეკრთით ასე,
იქნება ჩემი ყმუილი გესმათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალშეუდგამი მაწევს სიშორე,
სიშორე მაწევს მკერდზე და მხუთავს,
თქვენი მორჩილი და მოშიშარი,
თქვენი ერთგული დავრჩები მუდამ.

ქვებზე ნახეხი და დალეწილი,
ღელემ წაიღო ყინულის ძვლები...
გაჩერებული ფიფქების მსგავსად
სამოთხის ფერით ყვავიან ბლები.

და მინდა — დიდხანს, ძალიან დიდხანს
ამ მიწას ჩემი ლანდი ეხატოს,
სულს შერჩენოდეს ეს სილამაზე,
ეს სიყვარული გადამეხადოს.

* * *

თვალები ნისლით რად მებურება,
რისთვის დამჩემდა ცაში ყურება,
იქნებ გამოჩნდნენ... ოქროსფერ გუნდად
გადაიარონ მოლაღურებმა.

მინდა უბრალო გალობა მათი
მზეზე გაბრწყინდეს თაფლის წვეთებად;
წამსვე გაქრება ზაფხულის ხვატი,
დაღალულს მუხლი მომეკვეთება.

შენ გაგიხსენებ ისევ და ისევ,
მომელანდები შემკრთალი სახით,
სადა ხარ ახლა... მოწყენით ვისმენ
დავიწყებული მინდვრების ძახილს.

გ ა ბ რ ა

სოველ, განძარცულ მაღალ ხეებზე,
საწვიმარ მილზე, თვალი ცურდება,
წამით ჩნდებიან და ენთებიან
მოგონებათა თეთრი ბურთები.

ქუფრით გალესილს და მოქანაგეს,
სილის ტალღებზე გაწოლილ ბარკასს
უმზერ, ტყვიისფრად აწვიმს სანავეს,
აწვიმს და თვალი სიშორეს კარგავს.

ახლა არავის შეეცოდები,
გახედავ ქალაქს სახურავახდილს,
ვეღარ გფარავენ მძლავრი ტოტები,
წვრილი საფანტი გუბეში დახტის.

ნიჟარის წკარუნს და ქვიშის ჩხრიალს
შორდები ელვით დანაფეთები
და გუბეებში გულაღმა ყრია
დაობებული ცის ნაფლეთები.

თ ე ვ ზ ი

შენ ხარ ძალიან ლამაზი თევზი,
შენ შეგიძლია მიაღწიო დიდ ოკეანეს
და შეგიძლია აქვე დარჩე,
ამ მდინარეში.

ნელა ირწევა შენი კუდი,
შენი ფარფლები.
ტანზე აგისხამს
ცისარტყელას შვიდივე ფერი
და ისე ელავ.
მიაპობ ტალღას,
გელანდება ტყეები მარჯნის,
თეთრი კენჭები გელანდება
და ნიჟარები.
და მეოცნებეს და გაოცებულს
მზე ჩამავალი გეფერება,
გემშვიდობება...
მზე ჩამავალი აბრჭყვიალებს
შენს ლამაზ სხეულს.
შლამიან ფსკერზე დაძირული
გაკრთობს სიბნელე,
ღია თვალებით ეგებები
სიბნელეს უძრავს.
ვუყურებ მე შენს რხევას და კანკალს
და ლაყუჩები არც გაჩნია,
ისე მშვიდი ხარ.

შენ ხარ ძალიან პატარა თევზი,
შენ შეგიძლია ოკეანე იხილო დიდი
და შეგიძლია აქვე დარჩე,
ამ მდინარეში.

* * *

არ დამაძინა დღემ შფოთიანმა,
საფეთქლებს შერჩა გუგუნი მისი,
არ დამაძინა შუაღამის სუნთქვამ
და გაწოლილი მთვარისფერ ზოლად
სიგრილე შთანთქეს ცხელმა ტერფებმა...
მალე ლითონის ცივი შეხება
იგრძნეს თითებმა და ონკანიდან
დატყვევებული გავუშვი წყალი;
თავქვე წავიდა ნაკადი სუსტი,
გულისფიცარზე დაეშვა თითქოს,
თითქოს ჩემს ნეკნებს ხრავდა და დრეკდა.
დუმილი ტყვიად აწვა თაროებს
და ალუმინის გრძელი ქვაბები
ჩახუთულ ბინდში იწყებდნენ რწევას.
დამძიმებული, დღისით, წვივები
უხმოდ ჩაცურდა ფიცრის კიდეზე,
ბნელს შეერია და აქანავდა.
...და დატრიალდა ირგვლივ ყოველი,
განლაგებული, გონების მიღმა,
უსაზღვროება მოაწყდა ფანჯრებს...
და ვარსკვლავებმა ბურთულებივით
იწყეს ტრიალი აღგზნებულ ტვინში
და მათ გარშემო თეთრი გარსის ქვეშ
დატანებული დრო გუბდებოდა
და, შეუმჩნევლად, მღვრიე სივრცეში,
ანაწილებდა არყოფნის ჩრდილებს.
და შემეშინდა მე იმ სიჩუმის,
დაურღვეველი იმ სიმარტოვის
და მთელი ღამე კედლებზე, ჭერზე,
თეთრად გარინდულ ირმის ნახტომზე
დაძრწოდა ჩემი ვეება ლანდი,
ყალყზე დგებოდა და იშლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავეჯიქ ისააკიანი

წიგნიდან «სიმღერები და ჭრილობები»

* * *

ვიხილე სიზმრად: უდაბნოში მიირხეოდნენ
აქლემები და საამურად რეკდნენ ეჟვნები,
ჩნდებოდნენ, ისევ ეფარვოდნენ ქვიშის ხეობებს
აქლემები და საამურად რეკდნენ ეჟვნები.

ვიხილე: სატრფო მხიარული იჯდა აქლემზე,
ძვირფასად მორთულს საქორწილო ედგა გვირგვინი,
დავემხე მის წინ, ჩემს ვედრებას არად აქნევდა
და ქარავანმა გადმიქროლა გულზე სირბილით...

გულგასენილი მარტოსული გზად მტვერში ვიწექ,
უსასოობის მომეახლა მე კაეშანი
და შორით, შორით საამურად მესმოდა ისევ:
უდაბნოდ მავალ ქარავანის რეკდა ეჟვანი...

* * *

შავი არწივი ღრუბელთ დასიდან
დამაცხრა, მძლავრ ფრთას ფრთაზე იცემდა:
მკერდი მიმტვრია, გული აზიდა
და მიაშურა შორთა სივრცეთა.

სად სავანეა მუდმივი თოვლის,
ეხროლა გული დიდებულ მთათა
და შემდგომ იმ დღის მარად და ყოვლით
მესმის შუგილი არწივის ფრთათა...

* * *

მივიწყებული ერთი სიმღერა,
ძველ კარგთა დღეთა, წასცდა ბაგეთა,
ძველებურ ღელვით გულმა იღელვა,
დამჭრალი გული ისევ აფეთქდა.

გულმა ზღვისპირას გავლა ინება,
კაცთაგან შორს და ზღვასთან მახლობლად
ველურ ნაპირზე მარტო დამხობა
და უსასოო აქვითინება...

* * *

ეჰა, ნეტავი არ ვშობილიყავ,
რომ არ მესმინა:
მაღალი მთების მწყემსთა ტკბილი ხმა
და წმინდა სიტყვა ნეტარის მშობლის.
რომ არ მეხილა:
ლამაზი სახე ჩემი დედოფლის,
ის საოცარი მშვენება სოფლის,
ოცნებებით რომ ზეცად აგიყვანს.
ეჰა, ნეტავი არ ვშობილიყავ,
არრა მესმინა, არრა მეხილა,
არ მოვმკვდარიყავ...

* * *

სადა ძევს ახლა, სადა ძევს ნეტავ,
სად ასვენია ლოდი, რომელიც
საფლავზე უნდა დამადგან სვეტად, —
ჩემი სამარის შესამკობელი;
დღეს აქ ვაღამებ, ხვალ სხვაგან ვათევ,
ამა სოფელში მწირად დავდივარ,
რა იცის კაცმა, ეგების სადმე
იმ ლოდზე ვმჯდარვარ და მიდარდია...

* * *

ცხოვრების ომში უთვალავი აღმდგარა ხალხი,
დგანან პირისპირ და ლესავენ ულმობელ მახვილს.

მოზიდულ მახვილს დაბლა დავხრი, ჰოი, განვედ, მორჩი:
არ შემიძლია უსამართლო ბრძოლა და შუღლი,
რომ პირით ლუკმა გამოვტაცო მაშვრალს და მორჩილს
ან ამოვშანთო მწარე ოფლით ტანჯული შუბლი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახვილს მოზიდულს დაბლა დავხრი, ჰოი, განვედ, მორჩი,
არ შემიძლია ჩემთვის შესვლა ცხოვრების ომში!..

* * *

მდუმარე ღამის უკუნეთში ფიქრით და დარდით
შემოვიკრიბე მეგობართა ჩემთა ლანდები:
მკვდარია ზოგი, ზოგიც იქნებ ამ ქვეყნად დადის
და განაცოცხლა სულმა ჩემმა, ჰოი, რამდენი...

თვალდაშრეტილნი მოდგნენ ლანდნი ამ ბნელ ღამესა,
ჩამხედეს გულში, არ უგავდათ თვალნი ჩირაღდნებს,
როგორც ჭრილობა ძალზე მძიმე, გული გამეხსნა
და მეგობარნი გულსა შიგან გაუჩინარდნენ...

სომხურიდან თარგმნა **გივი შაჰნაზარმა**

გურამ დოჩანაშვილი

...ეს ბუნება ჩვენი წილი

1

ვახომ ტელევიზორი ჩართო და ტახტზე ჩამოჯდა. სანამ ეკრანი აციმციმდებოდა, სასიამოვნო სიმღერა გაისმა. ვახოს მოეჩვენა, რომ ამ სიმღერას პირველად არ ისმენდა. რატომღაც გაახსენდა გადასასვლელი რომელიღაც კინოთეატრთან, ამასობაში გამოსახულებაც გამოჩნდა და ვახომ დაინახა ქალი, ძალზე პოპულარული კინომსახიობი რომ იყო ამ რამდენიმე წლის წინათ, ახლა კი აღარავის ახსოვდა — ახლა სხვანაირი ქალები მოსწონდათ, ის ქალი კი დაბერდა და სულ გადაივიწყეს. ვახოს გაახსენდა ის საყოველთაო აღტაცება, ამ მსახიობმა რომ გამოიწვია, დაინტერესდა, უფრო მოხერხებულად მოკალათდა ტახტზე და ეკრანს შეაცქერდა.

იმ ქალს თეთრი, ნახევრადგამჭვირვალე კაბა ეცვა და მღეროდა, ცეკვავდა და თანაც, რაც მთავარია, მომხიბვლელად იღიმებოდა. ოცდაათამდე გამოცდილი მამაკაცი — მონადირე უტრიალებდა იმ ქალს, მაგრამ უდარდელი არსება მათ ცეკვა-ცეკვით გვერდს აუვლიდა ხოლმე და, თავისი საქციელით კმაყოფილი, მშვენივრად მღეროდა. ყოველივე ეს ხდებოდა სცენაზე, ლოჟებში კი დურბინდები მოემარჯვებინათ და სუნთქვაშეკრულნი თვალს ადევნებდნენ მომღერალს. ჩუმი აღტაცება დაუფლებოდა ხალხს, მხოლოდ ორკესტრი ხმიანობდა. ვახო თოთხმეტი წლისა იქნებოდა, პირველად რომ ნახა იგი. უცნაურად მოსწონდა ეს ქალი — გულწრფელად, წმინდად და თანაც ამ მოწონებაში რაღაც დიდი საიდუმლოც იყო...

მშვენივრად მორთულ და გაჩირაღდნებულ სცენაზე უამრავი მსახიობი ირეოდა, მაგრამ სხვებს არავინ უყურებდა: ამ ზღვა ხალხში იმედივით დაფარფატებდა ეს თეთრი ქალი. ფარდა მძიმედ დაეშვა, ტაშმა იგრიალა, უცებ ეკრანზე საგანგებოდ თმადავარცხნილი დიქტორი გამოჩნდა და გამოაცხადა: „ახლა კი ნახეთ ნაწყვეტი პოპულარული კინოფილმიდან...“

ვახო წამოდგა და ტელევიზორი გამორთო. ერთხანს უმოძრაოდ იდგა და, წარბშეჭმუხვნილი სმენად გადაიქცა — სიბნელეში ასე იხედებიან.

თითქოს გადაუარა კიდეც დარდმა— ორიოდე საათის წინ გოგიმ აწყენინა. ახლა იგი იხსენებდა იმ ქალის ხმას, მოძრაობას, მაგრამ მისი სახე ვეღარ აღიდგინა და გაუკვირდა. სინათლე აანთო, მიმოიხედა და უცებ აშკარად წარმოიდგინა ქალი — ის იღიმებოდა. უნებურად ტელევიზორს შეაცქერდა და უცებ ძალიან მოენატრა თავისი ნამეზობლარი, ლევანი, ვახოზე ათი წლით

უფროსი ახალგაზრდა კაცი. ყოველთვის, როცა ვინმე გააჯავრებდა, ვახო იფიქრებდა, იდარდებდა, და ბოლოს ლევანი გაახსენდებოდა ხოლმე. ვახოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ლევანი უალრესად კარგი ადამიანი იყო. უფრო მეტიც — იგი ლევანს თვლიდა ისეთ კაცად, რომელსაც პატარა ნაკლი რომ პატარა ნაკლია, ისიც კი არა ჰქონდა. ამიტომ ვახოს საოცრად ამშვიდებდა მასთან საუბარი და ახლოს ყოფნაც კი. ცუდი ის იყო, რომ ლევანი ძალიან შორს, ავჭალაში ცხოვრობდა.

დედა შინ არ იყო. ვახომ პალტო ჩაიცვა და მაგიდაზე ბარათი დატოვა— „მე წავედი. ახლა შვიდი საათია, თერთმეტამდე მოვალ“.

კიბეზე მაინცდამაინც აკაკი შეხვდა. ვახოს არ სიამოვნებდა მასთან ლაპარაკი, მაგრამ ვიწრო კიბეზე გვერდი ვეღარ აუქცია. აკაკიმ, როგორც ყოველთვის, მაშინვე დააყარა:

— რავა ხარ, ბიძია?

— კარგად, მადლობთ.

— იცოცხლე, იცოცხლე, გენაცვალე, იშვიათია შენისთანა კარგი ბიჭი, სინდისს გეფიცები.

საოცარი კაცი იყო, ვახოსაც კი ფეხქვეშ ეგებოდა: რა იცი, იქნება მერე კაცი გამოვიდესო.

— ხომ კარგად სწავლობ, ბიძია?

— ისე, საშუალოდ.

— საშუალოდ კი არა, კარგად სწავლობ, — სახეში შესცინა აკაკიმ — ვიცი მე...

ვახომ აღარ იცოდა, როგორ დამშვიდობებოდა.

— თქვენი რექტორი რა გვარია? რამდენი აქვს, თუ იცი, ხელფასი?

— არ ვიცი... საიდან ვიცი! — გაბრაზდა ვახო.

— რა მოხდა, რომ არ იცი, რა მოხდა, მერე რა... ისე, კაი კაცია?

— ალბათ, არ ვიცნობ.

— მესამე კურსზე არა ხარ?

— დიახ.

— მერე, ამდენ ხანს ვერ გაიცანი?

— ვერა, ბატონო.

— ჰოო... შენთან რო ბიჭი იყო გუშინ, მაღალ-მაღალი, ლურჯკოსტუმიანი, რა ქვია?

— გოგი.

— კაცო, ერთ ადამიანს ძალიან გავს ეგ ბიჭი, ხო არ იცი, მამამისი სად მუშაობს?

— ექიმია.

— მართლა? ძალიან კარგია, ძალიან... მშვენიერი დარგია... ოპერაციებს თუ აკეთებს?

— არა, არ აკეთებს, თერაპევტია.

— რას მელაპარაკები?! ძვირფასი ადამიანი ყოფილა, გენაცვალე. დოცენტია?

— არა, ბატონო, არა!

— რატო მიწყრები, ბიძია, ისედაც დაჩაგრული კაცი ვარ. ჩემო კარგო, რკინისგზელობაშიაც რომ იყოს დოცენტობა, ხო გავხდებოდი აქამდე? რაც მე ოფლი დამიღვრია, დოცენტი კი არა... ექიმი უნდა გამოვსულიყავი, ან ისტორიკოსი, ადვილად იცავენ ხარისხს...

— ახლა არდადეგები ხომ არა გაქვს?

— არა.

— ძალიან კარგია, ძალიან, კეთილ სწავლა-განათლებას ვისურვებ, სულ გახარებულს გევლოს.

— დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად იყავი, კარგად, ჩემო ბიძია.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, გენაცვალე, სულ გამარჯვებული ყოფილიყავი.

— ნახვამდის... „ვახ!“

ქუჩაში არ ციოდა, არავის ახსოვდა, ზამთარი რომ იდგა. ვახომ დალმართში ნაბიჯს აუჩქარა. სიამოვნებდა, პალტო გაღეღილი რომ ჰქონდა. ტრამვაიში ჩაჯდა და მოუთმენლობამ ააფორიაქა — ორი ტრამვაი უნდა გამოეცვალა, შემდეგ კი ფეხით გაივლიდა დაახლოებით კილომეტრნახევარს — ასე შორს ცხოვრობდა ლევანი. რა იქნებოდა, ცოტა ახლოს რომ გადასულიყო, ამსიშორეს სიარული არ გინდა? თანაც

ერთ დროს კარის მეზობელი მაინც არ ყოფილიყო. ჰოდა, უცებ აიღო და... თუმცა, ლევანი რა შუაშია, მისმა მშობლებმა უკეთესი ბინა მიიღეს. ეს კია, ცოტა შორსაა მისი სახლი ქალაქის ცენტრიდან... „ისე, სიმართლე რომ ითქვას, მაინც კარგია, ავჭალაში რომ ცხოვრობს“, თავი ინუგეშა ვახომ... „ხომ შეიძლებოდა, ლევანი რომელიმე სხვა ქალაქში დაბადებულიყო, ანდა სოფელში, ვთქვათ... ხაშურში. იქნებოდა მაშინ ვახო თბილისში, ლევანი კი იქ და“...

ამგვარი მსჯელობა ზედგამოჭრილი იყო ჩაქჩაქა ტრანსპორტისათვის. მეორე ტრამვაიშიც ასევე ფიქრობდა. მთელი საათი მიიზლაზნებოდა ტრამვაი, ვახოს გული გაუწყალა რიხინმა — „ეჰ, დეიდაჩემთან უნდა გამევლო, ტაქსით წამოვიდოდი“. დეიდა ხშირად აძლევდა ფულს, მისი ქმარი „კარგ ადგილას“ მსახურობდა.

ტრამვაიდან რომ ჩამოვიდა, გაუკვირდა — კარგა მაგრად დაღამებულიყო. ბნელ ქუჩას აუყვა და საათს დახედა — ცხრა სრულდებოდა. ლევანის სახლი ტრამვაის გაჩერებიდან შორს იყო. ქუჩაც ისეთი ბნელი და უკაცრიელი იყო, რომ ვახოს ცოტათი შეეშინდა და შეყოყმანდა, მაგრამ უკან დაბრუნებისა შერცხვა. ერთხანს იარა, მერე ფეხისხმა შემოესმა და უკან მიიხედა. ასე, თხუთმეტ-ოც ნაბიჯში ვიღაც მოჰყვებოდა. ვახომ თვალები მოჭუტა და ბნელში ძლივს გაარჩია, რომ იმ ვიღაცას იღლიაში უშველებელი ტომრები ამოედო და ისე თავისუფლად მოაბიჯებდა, ვითომც არაფერი. ალბათ, ძალიან ღონიერი თუ იყო... მსუბუქად მოაბიჯებდა და სწრაფად უახლოვდებოდა. ვახოს ნაბიჯის აჩქარებისა შერცხვა და სულ გაჩერდა, ხელისგულით მიეყრდნო კედელს. ღონიერიც შეჩერდა, ბნელოდა, ძალიან უყურებდნენ ერთმანეთს. მერე ვახომ დაიხია, რამდენიმე ნაბიჯი უკან-უკან გადადგა და შემდეგ საყოველთაოდ მიღებულ სიარულზე გადავიდა. ერთი კი მიატრიალა თავი — ტომრებიანი ისე გაჭიმული იდგა კედელთან, თითქოს ქვაში ამოკვეთილი კერპიაო. ოცი-ოდე გრძელი ნაბიჯის შემდეგ ისევ მიიხედა — უცნობი უძრავად იდგა.

ერთხანს ყოჩაღად მიაბიჯებდა და ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა. როგორც იქნა, ცოტათი დამშვიდდა. ლევანის სახლთან შეჩერდა და უკან მიიხედა — ღონიერი ისევ დაინახა, მაგრამ ახლა მათ შორის ორმოცამდე ნაბიჯი იყო. სადარბაზოში შესვლას აგვიანებდა — აქ ისე არ ბნელოდა, თანაც აინტერესებდა, საით წავიდოდა ტომრებიანი; მაგრამ როცა უცნობი ისევ მიუახლოვდა, საჩქაროდ აუყვა კიბეს.

ლევანი საკმაოდ მაღლა — მეექვსე სართულზე ცხოვრობდა. როცა ვახომ მესამე სართულს მიაღწია, ქვემოდან მჭახე ხმა შემოესმა — თითქოს რევოლვერი დატენესო. ოფლმა გამოჟონა შუბლზე, ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა მეექვსე სართულს და სწორედ მაშინ, როცა ლევანის კარამდე ათიოდე საფეხური რჩებოდა, უცებ ისევ ის ხმა მოესმა, ოღონდ ზემოდან. კინაღამ ჩაიკეცა — კიბის თავში ტომრებიანი იდგა და უყურებდა.

სანამ შიში თავით-ფეხამდე დაუვლიდა, ვახომ ძლივს გაარჩია, რომ იმ უცნობს იღლიაში ტომრები კი არა, ნაჭრის ფუტლარში გამოხვეული ორი ვიოლონჩელი ამოედო. ამ უწყინარი საკრავების დანახვამ მაშინვე ძალა შემატა, თანაც ვახოს გამოჩენაზე უცნობმა ისე საჩქაროდ დარეკა ზარი, რომ ვახო ცოტათი დამშვიდდა. ამასთანავე, ვიოლონჩელოებიანი ღონიერი კი არა, საკმაოდ სუსტი ყმაწვილი ჩანდა.

ვახო ნაძალადევი სიდინჯით ავიდა მეექვსე სართულზე და ლევანის კარზე დააკაკუნა, შემდეგ დარეკა. კიდეც ზურგშექცევით იდგნენ, კარის გაღებას ორივე მოუთმენლად უცდიდა. მერე ერთდროულად შემობრუნდნენ. და კი-

---

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

ნაღამ არ მიესალმნენ ერთმანეთს. ვახო ჯერ კიდევ საკმაოდ იყო შეშინებული და გაოგნებული — მაინც როგორ გაჩნდა უცნობი მეექვსე სართულზე, ანდა რას ნიშნავდა ის მჭახე ხმა?

ამასობაში ლევანის დედამ კარი გააღო:

— ოო! ვის ვხედავ, ვახო, მოდი, გენაცვალე, როგორა ხარ, გამარჯობა, ვიორგი...

— გამარჯობათ, ქალბატონო რუსუდან, — ზრდილობიანად დაუკრა თავი ვიოლონჩელოებიანმა და თავისი ზარის ღილაკს ისევ დააჭირა თითი. კარს არავინ უღებდა.

ლევანის დედა ცოტა არ იყოს გაკვირვებით შესცქეროდა მეზობელს. მანაც იგრძნო ეს, ცოტათი გაწითლდა და თითქოს თავი გაიმართლა:

— ეს მეორე ვიოლონჩელი ამხანაგმა გამომატანა. აქვე, ახლოს ცხოვრობს, მწვანე სახლში... საცოლეს უნდა შეხვედროდა და... ხვალ გამოივლის და წაიღებს.

ამ სიტყვებზე კარიც გაიღო:

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო რუსუდან.

— ნახვამდის, გენაცვალე.

— ნახვამდის, — თავი დაუკრა ვახომაც.

— სხვა, როგორა ხარ? დედა როგორ არის?

— გმადლობთ, კარგად, ლევანი შინაა?

— რა თქმა უნდა, ლევანი საღამოობით ყოველთვის შინაა. ლევან! ნახე, ვინ მოვიდა?

მეორე ოთახიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, დაკვირვებით შეხედა სტუმარს და გაუღიმა:

— გამარჯობა, ვახო.

— გამარჯობა, ლევან.

— მობრძანდი, ძალიან გამეხარდა შენი ნახვა, ჩამოჯექი, სხვა, როგორ შეეჩვიე უნივერსიტეტს?

— კარგად.

— ო, ეს ძალიან კარგია.

— ა? კარგია, კი.

ვახო დაუდევრად პასუხობდა, რადგან ისევ ფიქრობდა, თუ როგორ გაჩნდა უცნობი მეექვსე სართულზე. ლევანს ეუცხოვა სტუმრის დაღვრემილობა:

— როგორ არიან დედა, მეზობლები?

— უი! — ვახომ ისე შემოიკრა ხელი შუბლზე, რომ ლევანი შეკრთა — თქვენ სახლს ლიფტი აქვს?

— კი, ახლახანს აამუშავეს.

— აჰა! ამ დღეებში, არა?

— ჰო.

ვახოს გულზე მოეშვა, ღრმად შეისუნთქა ჰაერი:

— მეც არა ვთქვი?!

— რა?

— არა, არაფერი, — ვახომ საათს დახედა — ოჰ, ათის ნახევარია უკვე.

ლევანმაც შეხედა მაღვიძარას და თავი დაიქნია:

— სწორი ხარ, ათის ნახევარია.

— მე წავალ, თორემ დედას შეეშინდება.

— რას ამბობ, ვახო, ახლა არ მოხვედი?

— არა, უნდა წავიდე, — უთხრა ვახომ და გაუცინა.

ლევანი ჯერ იმასაც ვერ მიმხვდარიყო, რამ დააყენა სტუმარი კარგ ხასიათზე.

— მოიცადე, ხილს გამოვიტან.

— არა, ხომ იცი, დედაჩემს შეეშინდება.

— ოო, — დანებდა ლევანი, — დედაშენს თუ შეეშინდება, მაშინ წადი.

— ნახვამდის.

— დაიცა, ვახო, ვაშლს გაგატან, გზაში გაერთობი.

— ნუ წუხდები, ნუ, ლევან.

— რა შეწუხებაა, მაგას როგორ ამბობ.

— არა, არ მინდა, ისე...

— მეწყინება, იცოდე.

— ჰე! — მორიდებულად ჩაიცინა ვახომ და ორი ვაშლი აიღო — გმადლობთ.

— აბა, შენ იცი, ხშირად გამოგვია-

რე, ყოველთვის გამეხარდება შენი ნახვა.

— აუცილებლად გამოვივლი, ნახვამდის, ქალბატონო რუსუდან.

— რა გეჩქარება, ვახო?

სადარბაზოდან გამოვიდა თუ არა, თავისუფალ ტაქსს მოჰკრა თვალი. ცოუნება დიდი იყო, „სცციუ“, — შეუძახა ვახომ. მანქანა გაჩერდა, შოფერი ხაზგასმული გულგრილობით შეხვდა მგზავრს, თავიც არ მიუტრიალებია. ვახო გვერდით მიუჯდა და ისე ფრთხილად მიხურა კარი, რომ ვერც დაკეტა— ფული ჯიბეში რომ არა ჰქონდა, უხერხულად გრძნობდა თავს. შოფერმა მრიცხველი ჩართო თუ არა, ვახოს მშვენიერი აზრი მოუვიდა და მაგრად მიიჯახუნა კარი — „დეიდასთან გავივლი, ყველაფერი რიგზე იქნება“. თუმცა, ხომ შეიძლებოდა, დეიდა თეატრში ანდა სტუმრად ყოფილიყო წასული. მაშინ დედა მისცემდა ფულს, მაგრამ ნაღდად დააყვედრებდა. დეიდა კი სულ „შენი ჭირიმეთი“ გამოისტუმრებდა. წესითა და კანონით დეიდა ამ დროს შინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვახომ ყოველი შემთხვევისათვის გადაწყვიტა, შოფერთან კარგი დამოკიდებულება დაემყარებინა და ჰკითხა:

— ბოდიში, პაპიროსი... ახლა მარცხნივ... ხომ არა გაქვთ?

— არა, არა მაქ, — ცივად უპასუხა შოფერმა და დაამატა: — მე რა, გიჟი კი არა ვარ, ჩემი ფულით ჩემი თავი რომ მოვიკლა.

— სწორია, — დაეთანხმა ვახო, — არც მე ვეწევი, ისე, ათასში ერთხელ თუ გავაბოლებ...

— ეგ კი არა, — გამოცოცხლდა შოფერი, — ორმოცდათვრამეტის აგვისტოდან არაყი არ დამილევია.

— ძალიან კარგადაც მოქცეულხართ,— გაამხნევა ვახომ, — მე მგონი, ხალხი რომ იძახის, მეტრო რომ აშენდება, ტაქსს მგზავრი გამოელევაო, მე მგონი, ტყუილია, ახლა მარჯვნივ.

— ტყუილია, აბა რა, — შოფერმა სიჩქარეს მოუმატა,—ტაქსს თავისი მუშტარი ჰყავს, მეტროს თავისი, გემს თავისი... მართლა, „მეტრო“ რასა ნიშნავს?

— მეტრო? — ვახო ცოტათი დაიბნა, მაგრამ მაინც მოიფიქრა: — მეტრო ნიშნავს... მ-მასკოვსკი, ე-ელექტრო, ტ-ტრიუმფალნი, რ-რუჩნოი, ო-ოკრუგ.

— ვახ, არ მიკვირდა?

— ახლა აქეთ გაუხვიეთ... ცოტა წინ, ცოტაც... ოო, აქ გააჩერეთ, მე ახლავე მოვალ.

შოფერმა ნაღვლიანად შეხედა:

— ჩქარა მოხვალ?

— ამ წუთში.

ვახომ სწრაფად აირბინა კიბე. სამსამ საფეხურს ახტებოდა, — „დამ-ხვდება, დამ-ხვდე-ბა“. კარი მართლაც დეიდამ გაუღო და აქოშინებული ვახო რომ დაინახა, შეეშინდა:

— რა იყო, ბიჭო?

— არაფერი, ტაქსი მიცდის!

— შენ რა გითხარი, გული გამიხეთქე! — ხალათის ჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო, — გეყოფა?

— კი.

ოთახიდან ხმაური გამოდიოდა, ვახომ გაკვირვებით შეხედა დეიდას.

— ტაქსი გაისტუმრე და დაბრუნდი. იცოდე, იმდღეანდელივით რომ არ ამოხვიდე, ძალიან მეწყინება.

— რატომ?

— სტუმრები გვყავს. მიშიკო თვითონ თამადობს, არ გაინტერესებს?

— ვინ არიან?

— ვინ იქნებიან... მიშიკოს ამხანაგებია.

— რა მინდა მერე მე...

— რა გინდა კი არა, რომ არ ამოხვიდე, დამკარგავ, იცოდე, —ხმას აუწია დეიდამ. სახეზე სიწითლემ გადაუარა, ისე გაბრაზდა.

— ახლავე ამოვბრუნდები, დეიდა.

შოფერს თავი საჭეზე ჩამოედო და ეძინა.

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

— აბა, გენაცვალე, — დაუძახა ვახომ, — აჰა, ორი მანეთი აიღე.

— მადლობთ, — მუჭში დაამთქნარა შოფერმა და სამმანეთიანი გაუწოდა.

ვახო დინჯად აუყვა კიბეს. გადაწყვიტა, მშვიდად და ღირსეულად შესულიყო იმ ოთახში, სუფრა რომ იყო გაშლილი. საერთოდ, მორცხვი ბიჭი იყო, ახლაც შეეშინდა, არ დაბნეულიყო. დეიდა კართან შეხვდა, ხელი მხარზე გადახვია და ისე შეიყვანა ოთახში:

— ნახე, მიშიკო, ვინ გვესტუმრა...

— აუჰ, შენი ჭირიმე, შენი, — ფეხზე წამოდგა მასპინძელი და გულში ჩაიკრა, — როგორა ხარ, ბიჭო, დავაჟკაცებულხარ, მართლა, თამარა, აღარ შემოიტან ბეჭს?

— კი, გენაცვალე, შემოვიტან, რატომ არ შემოვიტან.

— რა ვიცი, შენ რომ გკითხოს კაცმა, ყველაფერი...

— რა უნდა მკითხოს... ა? — დეიდამ ისე კეკლუცად გაუღიმა ქმარს, რომ ვახოს ეუხერხულა და სუფრას მოავლო თვალი. საჭმლით სავსე მათლაფები ერთმანეთზე ელაგა, მაგიდა სიმძიმისაგან იზნიქებოდა. ჯერ ვერაფერი გაარჩია, მერე კი ამ ღირსშესანიშნავი საჭმელებიდან მაინცდამაინც ბოლოკი ეცა თვალში.

მაგიდას თხუთმეტამდე კაცი უჯდა, ღრიანცელი იდგა ოთახში.

— ეს ჩემი თამარას დიშვილია, — დაიყვირა მიშიკომ, — კაი ბიჭია!

— გაუმარჯოს!

— იცოცხლე, ბიძია...

— აწი იწყება ქეიფი!

— რამე გადაიღე, ბიძიკო...

ვახომ ისევ გადახედა სუფრას. რა უნდა ამოერჩია, რისთვის მოეკიდა ხელი? კიდევ კარგი, მიშიკო დაეხმარა:

— ხიზილალა ჭამე, ბიჭო, ნოყიერი მაინცაა...

ვახოს ცოტათი არ მოეწონა „ბიჭო“, მაგრამ მაშინვე დარწმუნდა, კეთილი გულით იყო ნათქვამი. ხიზილალა თხლად წაუსვა ლავაშზე და ჩაკბიჩა. თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს, კიდევ კარგი, ვიღაცამ ყველას გასაგონად ლაპარაკი წამოიწყო. ყვირილით ამბობდა:

— ამას წინათ ნიკო ვნახე სტადიონზე! შენ გგონია, ჩვეულებრივად უყურებდა თამაშს? კი, აბა! დურბინდი მოემარჯვებინა გორგასალ ვახტანგივით და ისე უჭვრიტინებდა მინდორს!

— დიდი უცნაური კაცია, დიდი!

ვახომ ბადრიჯანი გადაიღო და ჭადიც მოიტეხა.

— ოო, დიდი კვიმატი კაცია, დიდი.

— მერე, რა მოხერხებულია, ა? ჩვენ რო მოხერხებულობა გაგვიკვირდება, რა უნდა იყოს...

— მე შენ გეტყვი, რამე გაუჭირდება!

— ამხანაგებო! — ფეხზე წამოდგა მიშიკო, — ნიკოს ხსენებაზე ჩვენს მეგობრებს გაუმარჯოს.

თამადას თიხის ტოლჩა ეკავა, ომახიანად ლაპარაკობდა; ყველა გაჩუმდა და სერიოზული სახე მიიღო.

— კაცი ამხანაგებით ფასდება. ასეა. რაც არ უნდა კაი ბიჭი იყო, თუ დაჯექი სახლში კიკოსავით, შაურია შენი ფასი. ფულის ქონა ერთია, მოხმარება— მეორე. მე რომ ფულს დავაჯდე კრუხივით, რა გამოვა? ფული იმის ფულია, რომ დაიხარჯოს. ასეა, ჩვენს მეგობრებს და ჩვენს მეგობრობას გაუმარ...

— ჯოოს! — შესძახეს სტუმრებმა. ზოგმა ვერ მოასწრო — საჭმელს ღეჭავდა.

— არ ვარგა! გაუმარ...

— ჯოოს!!! — დასჭექეს მოქეიფეებმა და მიშიკო გაიბადრა, — კარგი იყო, კარგი...

— ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს!— ფეხზე წამოდგა თამადის მოადგილე: — მე თუ მკითხავთ, მეგობარი უფრო მეტია, ვიდრე ძმა. ეს იმიტომ, რომ ძმა ბუნებრივია, იგი ძალაუნებურად ძმაა, მეგობარი კი შენი სულითა და გულით ამორჩეული ადამიანია. გაუმარჯოს მეგობრობას!

— გაგიმარჯოს, სანდრო, გაგიმარჯოს!

— ქართველი ხალხი ყოველთვის მოქეიფე ხალხი იყო, — წამოდგა შემდეგი, — დავით აღმაშენებელს მეგობრები რომ არა ჰყოლოდა, აბა მითხარით, რას გახდებოდა? — იკითხა მთქმელმა და შეიცადა.

— ვერაფერს გახდებოდა, ჩემო შალვა.

— მეც მანდა ვარ. მეგობრობას გაუმარჯოს.

— მოკლედ და კარგად თქვა, — ჩაილაპარაკა ვახოს მეზობელმა.

ყველამ შესვა სადღეგრძელო. ვახომაც ადღეგრძელა სუფრის წევრების მეგობრები, დალია და სკამზე ჩამოჯდა. მერე ქათამს ფრთა მოაგლიჯა და გაწიწკნა.

უეცრად ვახოს მეზობელი მიუტრიალდა და ზედიზედ დააყარა:

— რამდენი წლისა ხარ? ოცდაერთის? ვაჰ, შენც სტუდენტი ხარ? მესამე კურსზე? სტიპენდია რამდენი გაქვს? აუჰ!

დეიდამ ბეჭი შემოიტანა, რამაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

— იფ, იფ...

— აწი იწყება ქეიფი!

მოულოდნელად ერთ-ერთმა სტუმარმა შუბლი მაგიდაზე დადო და მხრები აუცახცახდა. გულამოსკვნილი ტიროდა, შემოესივნენ, რა იყო, მიტო, რა მოხდაო, ჰკითხეს. მიტომ თავი ასწია, მიმოიხედა. ცხარე ცრემლით ტიროდა ამოდენა ვაუკაცი კაცი. ძლივს ამოილუღლუღა:

— ჩემი რამაზი, ჩემი ძმა, ჩემი საცოდავი რამაზი...

ყველა მიხვდა ტირილის მიზეზს. თამადა შეეცადა, თავი დაეძვრინა:

— მიტო, მიტო, შემომხედე, ხომ იცი, მე ისეთი კაცი ვარ, რომ ძვირფასი სადღეგრძელოების თქმა ბოლოში ვიცი ხოლმე. მე მგონი, ვერ მეტყვი, რამაზი დაგავიწყდაო.

— არა, მაგას არ გეტყვი, არა, — ღირსებით წარმოთქვა მტირალმა.

— ჰოდა, ბოლოში მინდოდა მაგის თქმა, მაგრამ... ახლა ვიტყვი! გამოვსე ერთი... ამხანაგებო! მე მინდა გულისტკივილით შევსვა იმ ძვირფასი კაცის სადღეგრძელო, ვინც ამ ექვსიოდე თვის წინათ ჩვენთან იყო, მაგრამ დღეს აღარ არის ჩვენთან! მე მინდა... — ხმას აუწია მიშიკომ, — შევსვა რამაზის სადღეგრძელო! ადამიანის, ვინც ჭირშიაც იცოდა მხარში ამოდგომა და ლხინშიაც. ჩვენ რა დაგვავიწყებს იმას, რა დაგვავიწყებს... მე ბოლოში ვიცი ძვირფასი სადღეგრძელოების თქმა... იგი ჩვენთან იჯდა სუფრაზე; უფრო მეტიც— როგორც ძველები იტყოდნენ, ხშირად სუფრის თავს იჯდა! გაუმარჯოს რამაზს! სადაც არის, იქ გაუმარჯოს, მე ასე ვსვამ მის სადღეგრძელოს! — მიშიკომ კაიხელა ყანწი მიიყუდა, მადიანად, დიდი ყლუპებით გამოსცალა, მერე ხელი ჩამოუშვა და გემრიელად ამოიქშინა. დეიდა აღტაცებით შეჰყურებდა. მიშიკომ ყანწი გადმოაპირქვავა და ცერის ფრჩხილზე დააკაკუნა. ერთადერთი წვეთი კოპივით ამოიბურცა ფრჩხილზე. ცერი პირთან მიიტანა, თვალები დახუჭა და ის წვეთიც ხარბად შეისრუტა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, — გაისმა აქეთ-იქიდან. ამ გამამხნევებელმა შეძახილებმა ცოტათი შეასუსტა სამგლოვიარო განწყობილება. მერე საქმე განაგრძეს — ყველამ გულაჩუყებით შესვა სადღეგრძელო.

ვახოს ჯერიც დადგა. სანამ წამოდგებოდა, მეზობლისაკენ გადაიხარა და ჰკითხა:

— ბოდიში, ძია მიტოს ძმა რითი გარდაიცვალა?

— არა, რას ამბობ, რა გარდაცვლის იმას, მოხსნეს...

ვახო წამოდგა და ძია მიტოს ჩუმად უთხრა:

— გაუმარჯოს თქვენს ძმას...

— გმადლობთ, გენაცვალე, დიდი მადლობა.

— კაი კაცი იყო, კარგი...

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

— გული მაინც არ უნდა გავიტეხოთ, მიტო!

— არა, არა, მაგრად უნდა ვიყოთ.

— რა თქმა უნდა.

— რასაკვირველია... ერთი სიმღერა ხომ არ გვეთქვა?

— ვთქვათ, ვთქვათ, აპა ჰე!

— მოიტაცეს თამარ ქალი-ი...

— აწი იწყება ქეიფი!

2

ვახო თავის ტკივილმა გამოაღვიძა. ნამთვრალევი იყო და თვალის გახელაც კი გაუჭირდა. იშვიათად დაულევია ღვინო, ალბათ ამიტომ სტკიოდა ისე ძალიან თავი. გონებაამღვრეულს, წამოჯდომაც კი გაუჭირდა — ყოველ განძრევაზე თითქოს მტკივნეულად ეწელებოდა ტვინი.

ერთ ხანს თავჩაქინდრული იჯდა და წუხანდელი ქეიფი და შინ დაბრუნება ნაწყვეტ-ნაწყვეტ ახსენდებოდა. განსაკუთრებით რომელიღაც სტუმრის ცეკვა ჩარჩა გონებაში. მერე ბუნდოვნად გაახსენდა ისიც, თავისი სახლის წინ დიდხანს რომ იდგა და, ყალბი აღტაცებით შეპყრობილი, საზეიმოდ შესცქეროდა სამსართულიან შენობას. ღამის სამ საათზე მხოლოდ მის ფანჯარაში ენთო სინათლე და სინაზემორეულმა ვახომ სახლი შეადარა „ცალთვალა, მაგრამ კეთილ გოლიათს“, რამდენადაც ახსოვს. ამ წყალწყალა შედარებამ ისეთ მშვენიერ ხასიათზე დააყენა, რომ კარგა ხანს სახლისათვის თვალი არ მოუცილებია და დაჟინებით ცდილობდა, მართლა წარმოედგინა გოლიათი. როგორც კი შეისრულა საწადელი, სახლში ავიდა და მაშინვე დაიძინა, ძლივს მოასწრო ტანსაცმლის გახდა.

— როგორ ბრძანდებით, ხომ კარგად გამოიძინეთ? — ჰკითხა დედამ. ასე იცოდა, როცა ვახოზე გაბრაზდებოდა, პირველ წინადადებას „თქვენობით“ იტყოდა ხოლმე.

— კარგი რა... ხომ გითხრა ელიკომ, დაიგვიანებსო.

— ჯერ ერთი, ეგ რა ზრდილობაა — თერთმეტ საათზე მეზობელს დაურეკე და გააღვიძე.

— აბა რა მექნა?

— მობრძანებულიყავი შინ!

— კარგი რა... არ გამომიშვეს და რა მექნა, — ვახომ გაუღიმა — შენმა დამ არ გამომიშვა.

— ძალიან ჩაგაცივდნენ?

— კი. აბა რომელი მსმელი ვარ მე?

— ვიცი, რომ არა ხარ, გენაცვალოს დედა.

— ბორჯომი დამალევინე, რა.

დედამ გაუღიმა:

— ბორჯომის ღირსი ხარ?

ვახომაც გაუცინა და დედა საკუჭნაოში გავიდა. სანამ „უკვდავების წყალს“ მოუტანდნენ, ისევ მოაგონდა თავისი სახლი. წუხელ, სიბნელეში, ძლივს არჩევდა კედლებს, იქ კი, სადაც ნათურა სახლის ნომერს ანათებდა, მკვეთრად გამოირჩეოდა ხუთიოდე აგური. ჩაშავებული სახლის გახსენება არ სიამოვნებდა; მაინც აგურის კედელი ედგა თვალწინ, მერეც, ბორჯომი რომ დალია, თავისი სახლი ახსენდებოდა.

პირი არაფრისათვის დაუკარებია, ისე გამოვიდა ქუჩაში. გოგის სახლს ფრთხილად ჩაუარა — არ დამინახოსო. გარეთ ცოტათი ციოდა და გამოცოცხლდა, თავიც ისე ძალიან აღარ აწუხებდა. ჯერ ფართო პროსპექტზე მიაბიჯებდა, მერე რატომღაც მარჯვნივ აუხვია, თავი დაადო და აღმართი აიარა. „მრგვალ ბაღში“ შევიდა, მტკრიან მერხს სული შეუბერა და დაჯდა.

საოცრად უკვირდა გუშინდელი დღის ამბები, უცნაური ცვლილება შეატყო საკუთარ თავს. ჯერ ერთი, დათვრა; მძღოლს ისე ელაპარაკებოდა, თითქოს გოგი იყო — როგორ მოატყუა „მეტროს“ სახელწოდებაში... ის უცნაური შემთხვევაც გაახსენდა, ვიოლონჩელოებიანთან...

თავისტკივილი საბოლოოდ რომ გამქრალიყო, ვახომ ნაძალადევი ინტერესით დაიწყო ყველაფრის თვალიერება—

ბუჩქებს გადახედა, ურნას შეაცქერდა, ხეებს ააყოლა თვალი. მაღალი შენობის კუთხეში დიდულვაშა მეეზოვე საქმიანად გვიდა ვიწრო ქუჩას; რატომღაც შეჩერდა, ალბათ ვინმეს უნდა გამოეგლო.

მოსახვევიდან ორი კაცი გამოვიდა, ერთი თეთრწვერიანი მოხუცი იყო, მეორე — შუახნისა, არაფრით გამოირჩეოდა. იმათ უკან ახალგაზრდა ქალი მოდიოდა, ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა. ქალის გვერდით მაღალ-მაღალი, ქუდიანი კაცი მოაბიჯებდა, ძალიან გულგრილი სახე ჰქონდა. უკან ორი დედაკაცი მოსდევდა, ერთს ფრთა გაერჭო ქუდში, მეორეს ტუჩ-ნიკაპზე შემოეჭდო თითები და რაღაცას ფიქრობდა.

მეეზოვე მშვიდად იდგა, ეტყობოდა, კიდევ მოდიოდა ხალხი, რადგან ქუჩის დაგვას აღარ აპირებდა. ცოცხისაკენ აღარც იხედებოდა, არაფრისმაქნისი, დაცლილი თოფივით ეკავა ხელში.

მოსახვევიდან ისევ გამოდიოდა ხალხი — სათვალიან კაცს პატარა ბიჭისათვის ჩაეჭიდა ხელი, ბავშვი სათამაშო მანქანას ხრიალით მოაპროწიალებდა. მათ უკან მომავალ პორტფელიან მამაკაცს ეშინოდა, უნებურად მანქანაზე ფეხი არ დაედგა და ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა თანამგზავრს — მაღალ, ჩამოქნილ ქალს, რომელსაც ზურგიდან აღტაცებით ათვალიერებდა ვიღაც ხელჯოხიანი კაცი.

ვახოს ამასობაში შეცივდა და პალტოს ჯიბეში ჩაიყო ხელები. უცხო სხეული მოხვდა თითებში, ხელი ამოიღო — ვაშლი... მეორე ვაშლი... ჰო, მართლა, ლევანი. მაშინვე კარგ ხასიათზე დადგა, ისე გამოუკეთდა გუნება, რომ მოშივდა კიდეც. უნებურად ჩაკბიჩა ვაშლი, ესიამოვნა. ფეხი ფეხზე გადაიდო, მერხს ზურგით მიაწვა, არხეინად შეექცეოდა ვაშლს და ხალხს უყურებდა.

ხელჯოხიანის გვერდით აჩაჩულ-დაჩაჩული ყმაწვილი მოდიოდა, მის გასვრილ ზურგს საყვედურით შესცქეროდა ხანშიშესული ქალი, ალბათ დედა თუ იყო მისი. ქალს ორი მამაკაცი მოჰყვებოდა ფეხდაფეხ, ამაყად ეჭირათ თავი, დინჯად გაჰყურებდნენ წინ მიმავლებს. იმ დარბაისელი კაცების უკან კი ვიღაც ყმაწვილი ისე უთავბოლოდ იქნევდა ხელებს, რომ ვახოს გაეღიმა კიდევაც. ყმაწვილი ხანდახან ხვდებოდა, ნამეტანი რომ მოსდიოდა და ხელებს ისე აღარ იქნევდა, სამაგიეროდ, ამ დროს ძალდატანებისაგან უფრო გაჯგიმული მოაბოტებდა; მალე ისევ ავიწყდებოდა ყველაფერი — მხრებს ჩამოყრიდა, მოეშვებოდა და ხელებიც ნება-ნება ქანაობდნენ. მის უკან ორი გოგო მოდიოდა და ზუსტად ვახოსავით ეღიმებოდნენ — იმ ყმაწვილს აშკარად კი არ დასცინოდნენ, უბრალოდ, ეღიმებოდათ.... იმ გოგონებს პატარა, დალეული, მუჭისოდენა დედაბერი მოსდევდა, წელში გაღუნულიყო საცოდავი. ძლივს ადგამდა ფეხს. მის უკან ორი კაცი მოდიოდა, — ერთი — მაღალი, გამხდარი, მეორე — მაღალი, მსუქანი...

მეეზოვემ ცოცხი მოიმარჯვა და თავისი საქმე განაგრძო.

ვახოს გული დაწყდა — მოსახვევიდან აღარავინ გამოდიოდა. ისევ ის ხალხი შეათვალიერა, უყურა, უყურა და უეცრად აფორიაქდა. ვაშლის ჭამა შესწყვიტა, ფეხები მერხქვეშ შეაწყო და ცოტათი წინ გადაიხარა. ერთ ხანს ხალხს უყურებდა, მერე გაკვირვებით მიმოიხედა. ისევ ზურგით მიეყრდნო მერხს, ახლა უკვე მშვიდად ფიქრობდა— ნეტავ, სად მიდიოდა ის ხალხი, ნეტავ, ერთმანეთის რა იყვნენ, ან რამ შეჰყარა ყველა ერთად? ანდა, ამ ხალხის დანახვაზე რატომ იგრძნო რაღაც არაჩვეულებრივი, უჩვეულო? ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად აფორიაქდა. რამდენიმე კაცმა ჩაიარა, მერე რა?

ხალხი ბევრგან და მრავალჯერ უნახავს ვახოს... არასოდეს არ უგრძვნია არაფერი, დღეს რა მოეჩვენა?

გურამ დოჩანაშვილი
ზენი მწვანე და

ისევ გაიხედა — მოგრძო და ფერადი, ოღროჩოღრო ნავი შორს, ვიწრო ქუჩაში მიცურავდა. ყოველი ნიჩაბი არათანაბრად, არეულ-დარეულად მოძრაობდა, განსაკუთრებით კი ერთი — ეს იმ ყმაწვილის მოქანაგე ხელი იყო...

3

იმ ფანჯრის დარაბა ყოველთვის დაკეტილი იყო, სხვა ფანჯრებიდან შემოსული სინათლეც ჰყოფნიდა ოთახს. ხანდახან, საღამოობით, ათასში ერთხელ, ვახო დარაბას გამოაღებდა ხოლმე და იყურებოდა.

ფანჯრიდან პატარა, დანგრევის პირას მისული აუზი ჩანდა. აუზის შუაგულში ნაჩვრეტებიანი ქვა იდო, რომელზედაც მწვანედ შეღებილი ქალი იჯდა. სამთითი მოემარჯვებინა ცალ ხელში, მეორით ქვას ეყრდნობოდა და თითქოს მღვრიე წყალში იცქირებოდა.

ეს მიტოვებული, ყოველი მხრიდან შემოღობილი კუთხე ერთ დროს საზაფხულო რესტორანს ეკუთვნოდა. რესტორანი ახლაც იყო, ღობის გადაღმა. ვახოს სახლი რომ ააშენეს, ერთი წლის შემდეგ რესტორანი შემოღობეს და პატარა აუზი ბაღს გარეთ დარჩა. ეს ღობე აღარც იყო საჭირო, იქითა მხარეს ყველამ დარაბები ააკრა ფანჯრებს. არავის სიამოვნებდა ხმაჩახლეჩილი მომღერლებისა და კლარნეტის ჭყვიტინის მოსმენა. ახლაც, ვახო ფანჯარას რომ გამოაღებდა, მაშინვე რომელიმე სულელური სიმღერა შემოიჭრებოდა ოთახში. ყოველთვის რაღაც ამდაგვარს მღეროდნენ:

ჩემი გული შენ მოგიკლავს, შენ გენაცვალე,
სხვისი გაგიხარებია, შენ გენაცვალე.

დარჩა აუზი ყველასაგან მიტოვებული, ნახევრადმწყურვალი, წვიმის წყლის ანაბარად დარჩენილი. ერთ დროს კი გამჭვირვალე წყალი პირამდე იყო აუზში, ოქროსფერი თევზები ზანტად და ლამაზად იქნევდნენ ბრჭყვიალა სხეულს; ხურდა ფულს ჰყრიდნენ აუზში, თითქოს მრგვალი, სამათხოვროდ გაწვდილი პეშვი მიეკოწიწებინათ მიწაზე. საგულდაგულოდ დაფხვნილი წითელი აგურით იყო მოფენილი იქაურობა; როგორ არ უხდებოდა ეს სულელური პუდრი იმას, ვისაც შეეძლო დალოცვილი ყანა და ვაზი გამოეკვება. წითელი და მწვანე ნათურები აბრჭყვიალებდნენ ქვაზე მშვიდად ჩამომჯდარ, მაგრამ ხელმოღერებულ ქალს. ის საგანგებოდ გაენათებინათ, მაგრამ ქალი მწვანე იყო და მისი სიშიშვლე არ იგრძნობოდა.

რაღაცას წააგავდა ეს ქალი, რომელიღაც კარგ ცნებას; ქანდაკება კი არა, ნივთებიც ყოველთვის ჰგვანან რაღაცას, ოღონდ ხანდახან მიხვედრა ჭირს ხოლმე.

ეს მწვანე ქალიც საოცრად წააგავდა რაღაცას. ჩაფიქრებული, ქვაზე ფეხებმოკეცილი, დაფიქრებული იცქირებოდა მღვრიე წყალში და სამთითი მოემარჯვებინა. თითქოს რაღაცას ეძებდა, ფიქრობდა რაღაცას. ასეთი იყო იგი ყოველთვის — მაშინაც, როცა საგანგებოდ ანათებდნენ ნათურები და ახლაც, როცა ბაყაყიც კი არ შემორჩა ოქროსფერი თევზების ნაცვლად.

ვახო ათი წლისა იქნებოდა, ეს ღობე რომ ამოაშენეს, მეზობლების დაჟინებული საჩივრების მერე. მანამდე დიდ პატივში ჰყავდათ ეს ქალი, მერე კი ასე დარჩა. მაშინ ამ დარაბააკრული ფანჯრისაკენ ხშირად გაურბოდა თვალი ვახოს. ათი წლისა რომ იყო, სარკით მზის სხივს იჭერდა და იმ ქალს ანათებდა თვალებში. სხივი ცელქობდა ქალის სახესა და გლუვ მხრებზე, დამსკდარ საღებავს აჩენდა, პატარა მკერდზე ელამუნებოდა, სამთითში სხლტებოდა, თავაწყვეტილი ეთამაშებოდა მთელ მის მწვანე სხეულს, მაგრამ ქალს თავისი საიდუმლო ჰქონდა და დაფიქრებული დასცქეროდა წყალს.

მზის სხივი კი არა, თვით მზეც ვერ შეაცბუნებდა. ცხელ ზაფხულში, როცა ყველაფერი იწვოდა, იგი ისევე მშვიდად მოკალათებულიყო გავარვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულ ქვაზე. უსულო საგნის ამტანობით უმკლავდებოდა სიცხეს, ეს კი იყო — საღებავი გაუხუნა მზემ და კანიც დაუხეთქა.

ჩვეული სიდარბაისლით გადიოდა დრო, ერთმანეთს დინჯად მოჰყვებოდა ოთხი გოლიათი... მძიმე ნაბიჯით გადადიოდნენ ისინი მწვანე ქალის თავსა და მხრებზე, სიცივე ამკვრივებდა მის სხეულს, სიცხე დადნობით ემუქრებოდა, მკვდარი ფოთლები შემაშფოთებელი მაგალითივით დაფარფატებდნენ მის ირგვლივ და შხაპუნა წვიმა როკავდა მის სხეულზე. ასეთი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი, ამ ოთხი გოლიათის დინჯ სვლას მინდობილი. ჯერჯერობით ვერც ერთმა ვერ დაამარცხა ეს პატარა ქალი — მთებს ეფარებოდა დაღლილი მზე, მძიმე წვეთები იმსხვრეოდნენ ქალის მხრებზე და მის ფერხთით, გუბეში ცვიოდნენ, თოვლიც დნებოდა. ერთმანეთს აძევებდნენ გოლიათები, ერთ წრედ შეკრულნი, ზურგზე გრძნობდნენ ერთმანეთის ცივ და ცხელ სუნთქვას. მათ დინჯ ჭიდილში გადიოდა დრო, ქალს კი საღებავი გაუხუნდა მხოლოდ, ისევ მშვიდად იჯდა ქვაზე.

ერთი, ერთადერთი საიდუმლო იცოდა ამ ქალმა, მაგრამ ძლიერი და დიდმნიშვნელოვანი საიდუმლო. წყალსა და თევზებს არ დასტრიალებდა მისი მზერა, ზაფხულობით, როცა აუზი მშრალი იყო, ისევ ისე იცქირებოდა — რაღაც დიდი საიდუმლო იცოდა ამ მწვანე ქალმა...

„რაებს ვფიქრობ!“

შემკრთალი ვახო ფანჯარას შორდებოდა, ფრთხილად ჯდებოდა ტახტზე. „ალბათ ძალიან დიდი სისულელეა, ამ ქალზე ამდენს რომ ვფიქრობ...“ სიწითლე ერეოდა ვახოს და თავის თავს ტუქსავდა—„როგორ არა გრცხვენია — მსგავსი სისულელე ქართული საესტრადო სიმღერების ტექსტშიაც კი არ თქმულა... დიდი ამბავი, ზის თავისთვის ერთი პატარა, გახუნებული ქანდაკება, მერე რა... გოგომ რომ გაიგოს, რასაც ვფიქრობ, ხომ გადაბქირდა სიცილით... არასოდეს არ უნდა გაიფიქრო ის, რისი თქმაც შეგრცხვება, ამას კი, ამას განა იტყვი სადმე?“

ეს კი ზედმეტი იყო: „ათასი რამის გაფიქრება შეგიძლია... რა მოხდა, მერე რა, მე რაღაცით მომწონს ის ქალი. რასაც მინდა, იმას გავიფიქრებ, ფიქრი იმისია, რომ არ ილაპარაკო...“

თითქოს დამშვიდებული, მაგრამ ოდნავ დარცხვენილი ვახო ამ დროს ენერგიის საოცარ მოჭარბებას გრძნობდა და მაშინვე რაიმე ახირებული ნატვრა მოსდიოდა — მას ახლა უნდოდა, რომ სადმე გაეფანტა ეს ენერგია, რომ დიდხანს ექროლა ჟღარუნა მარხილით თოვლიან ველზე და ალეწილ სახეზე ზამთრის სუსხი ეგრძნო, მერე, ხალხის დანახვაზე, მარხილიდან გადმომხტარიყო, ამ უცხო ხალხში ციბრუტივით დატრიალებულიყო და მარჯვედ ჩაებუქნა, მერე კი, დაღლილი და ბზრიალისაგან ცოტათი თავგზააბნეული, მარჯვედ დასობილიყო ცალ მუხლზე და ცეკვის დამთავრების ნიშნად ბეწვიანი ქუდი ღონივრად დაებერტყებინა გაყინულ თოვლზე და მაშინვე მხიარულ შეძახილებთან ერთად გაოფლილ საფეთქლებზე დასტაკებოდა სუსხი.

4

ვახოს კურსზე ორმოცდაათამდე სტუდენტი სწავლობდა. თავდაპირველად ვახო არავის იცნობდა, გოგის გარდა. მერე თანდათანობით დაახლოვდნენ — ერთმანეთის გვერდით ისხდნენ და ლექციებს ისმენდნენ, აუდიტორიებიდან ერთად გამოდიოდნენ, მელანი თუ გამოელეოდათ, მეზობლებს ავტოკალამს გაუშვერდნენ და ეტყოდნენ: „ცოტა გადმოიმისხი, რა...“ ხანდახან კინოთეატრშიც მიდიოდნენ, ასე, ათითხუთმეტი კაცი... მერე გამოცდები მოვიდა და ამ პატარა „გაჭირვებამ“ უფრო გამოაჩინა სტუდენტების ხასიათი,— ვახო ზოგიერთს უფრო დაუახლოვ-

---

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

და, ზოგი კი უფრო შეიჯავრა — ერთმა კონსპექტი არ ათხოვა —არა მაქვსო, მეორემ — მაქვს, მაგრამ რომ დამიკარგოო?.. მესამემ ათხოვა... ერთმა გოგომ, თინამ, პირველი გამოცდის წინ წუწუნი დაიწყო — რა მეშველება, არაფერი არ ვიცი, მაგრამ ხუთიანი გამოიტანა. ვახოს ეგონა, გაუმართლა და ერთადერთი ნასწავლი ბილეთი შეხვდაო, მაგრამ მეორე გამოცდაზე ისევე მოთქვამდა თინა და მაინც ხუთიანი გამოიტანა. მესამე გამოცდაზე უკვე ყველა ეჭვის თვალით შესცქეროდა თინას, როცა იძახდა — უჰ, ნეტავი ერთი სამიანი მიმაღებინა და მეტი არაფერი მინდაო... და როცა გამოცდიდან თვალცრემლიანი გამოვიდა, ყველამ თანაგრძნობით შეხედა, მაგრამ ჩქარა შეეცვალათ სახე — თურმე ოთხიანი მიეღო და ამიტომ ტიროდა: რაღა ის ერთადერთი საკითხი შემხვდა, სხვა ყველაფერი ვიცოდიო... მოკლედ, ვახომ სამუდამოდ შეიჯავრა ის ქალიშვილი, ავად თუ კარგად, ყველას დაუახლოვდა, გოგის გარდა — იმასთან შეუძლებელი იყო უფრო მეტად დაახლოება: საბავშვო ბაღში ერთად დადიოდნენ, სკოლაც ერთად დაამთავრეს. გოგი თავიდანვე კვიმატი ყმაწვილი იყო, სულ ეშმაკობაზე ეჭირა თვალი. მეხუთე-მეშვიდე კლასამდე უხდებოდა კიდევაც ცელქობა, მერე კი ვახოს ცოტათი მოსწყინდა მისი გაუთავებელი ოინები... ახლაც ისეთივე იყო გოგი და იმდენი წლის განუყრელი ამხანაგობა რომ არა, ვახო ახლოსაც არ გაეკარებოდა, მაგრამ რა ექნა... გოგი ისევ ისეთი იყო, ოღონდ უცნაური თავდაჭერაც ისწავლა და ყალბი სიდარბაისლით გაიჟღინთა. ეს აშკარად ეტყობოდა, როცა შედარებით უცხო ხალხთან მოხვდებოდა. ყოველთვის ცდილობდა, რაიმე ჭკვიანური ეთქვა და ღირსეულად დაეჭირა თავი, მაგრამ მას მოხარშულს იცნობდა ვახო. პირველ კურსზე დაეტყო ეს ახალი თვისებები გოგის; ვახოს ერთ ხანს გაეხარდა, იქნებ გამოიცვალოსო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული გარდაქმნა იყო, უცხო თვალის მოსატყუებელი. ვახოსთან ისევ ისეთი იყო; იცოდა, არაფერს რომ არ ჰკარგავდა — საოცრად უყვარდა ვინმეს გამასხარავება, აბუჩად აგდება, სხვების ნაკლის ხაზგასმა და ამის შემდეგ თავს „გამარჯვებულად“ გრძნობდა. თავდაჯერებულს, ყველაფერში ეტყობოდა ხაზგასმული სიამაყე — მაღლიდან დაჰყურებდა უცნობებს, თეატრალური ჟესტით მიჰქონდა ტუჩებთან პაპიროსი, ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით წრუპავდა გაზიან წყალს და პაუზებში ამაყად გასცქეროდა გამვლელ-გამომვლელს. „გამარჯვების“ სიხარული დიდხანს არ ჰყოფნიდა, ჩქარა ისევ აცეცებდა თვალებს და სასაცილო შემთხვევებს ეძებდა. ტროლეიბუსშიც კი არ ჰკარგავდა დროს — აი, ვთქვათ დგას გოგი საფეხურზე, ზედ კართან და უკან მდგომ კაცს ეუბნება: „ბოდიში, შემდეგზე ჩაბრძანდებით, ბატონო? გამატარეთ, თუ შეიძლება...“ კაცი იბნევა: „კი, მაგრამ...“ და გაკვირვებისაგან ველარ ამთავრებს: „მე რას გიშლით, მე ხომ თქვენს უკან ვდგავარ...“ გოგი აღტაცებით შესცქერის მის დაბნეულ სახეს — ამხნევებს სხვების დაბნეული სახეების თვალიერება...

იყვნენ ისეთებიც, ძალად რომ წამოეგებოდნენ გოგის ანკესზე — ტრაბახა სპორტსმენები, მატყუარა ბიჭები და ამგვარი ხალხი... ერთხელ ვახო და აშკარად მოწყენილი გოგი უნივერსიტეტის ბაღში ისხდნენ, უეცრად მათ გვერდით, გრძელ მერხზე, ვილაც ხანშიშესული, უცნაურად აცეტებული კაცი დაჯდა და მაშინვე გოგის გამოელაპარაკა:

— გაგითავდათ, ბიძიებო, ლექცია?

— დიახ, — გამოცოცხლდა გოგი და კაცი შეათვალიერა.

— რომელ ფაკულტეტზე სწავლობთ?

— ჩვენ? — ერთ ხანს მოტყუება მოუნდა გოგის, მაგრამ მერე სიმართლე უთხრა: — ფილოლოგიურზე, მესამე კურსზე.

— ძალიან კარგი, ძალიან, რა სჯობია ფილოლოგიურს, „ცა —ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“.

— ვისია და აკაკის! — მიახალა გოგიმ და ვახოს თვალი ჩაუკრა.

— არა, გამოსაცდელად კი არა ვთქვი, — იუარა კაცმა.

— აბა, თქვენ თუ მიხვდებით, საიდანაა... — შეტევაზე გადავიდა გოგი — „არა, — ჯიუტად თქვა მან...“

— რა ვიცი, ბიძია... თქვენ რა გიჭირთ, ისწავლით, აბა რა, ნაირნაირი ტანსაცმელი გაცვიათ, მე რომ თქვენი ხნისა ვიყავი, სულ შინელით დავდიოდი, მამაჩემი ღარიბი კაცი იყო.

— სულ შინელით დადიოდით?

— სულ, მაშ!

— ზაფხულშიც?—შეაპარა გოგიმ — რას მეუბნებით!

— აბა! — არ დაიხია კაცმა — ზაფხულშიაც შინელით დავდიოდით.

— მაისური გეშოვათ, არ ჯობდა?

— სად იყო, თვარა კი.

— აჰა! — გოგი მშვენიერ ხასიათზე დადგა — სადაური ბრძანდებით, ბიძია, თქვენ?

— ხიდისთავიდან.

— მჯერა, — უთხრა გოგიმ.

ვახო საყვედურით შესცქეროდა გოგის, თან ის კაციც არ მოსწონდა.

— თუმცა, გაჭირვებაც კარგია ხანდახან, — თვალები მოჭუტა კაცმა, — ყველაფერი უნდა გამოსცადო ადამიანმა.

— ყველაფერი არა, როგორ გეკადრებათ, ზოგიერთი რამე მაინც უხერხულია.

— მე იმაზე არ მოგახსენებ, ყმაწვილო.

— რაზე, ბატონო?

— არა, არაფერი... ცხელა დღეს...

სიჩუმე ჩამოვარდა და გოგიმ, „ტემპი რომ არ შეენელებინა“, სხვათაშორის იკითხა:

— ბოდიში, მამათქვენი კულაკი ხომ არ იყო?

— რა იცი, ბიჭო, შენ ? — კინაღამ გადაირია კაცი. გოგიც დაიბნა ერთ ხანს:

— რა ვიცი, არ ვიცი, ისე ვიკითხე...

— არა, ბიძია, როგორ გეკადრება... მართლა უცაბედად მკითხე?

— აბა რა, ბატონო.

— ჰოო... ცხელა დღეს...

— აბა?! მისწრება იქნებოდა ახლა ერთი შინელი.

კაცმა დაცინვა იგრძნო და თვალი შეავლო გოგის, მაგრამ იმან ისეთი სერიოზული სახე მიიღო, მომეყურაო, გაიფიქრა კაცმა და ისევ გამხნევდა:

— სინათლე რომ სინათლეა, ისიც არ გვქონდა. თორმეტზე ვიღვიძებდი, შვიდზე კი ღამდებოდა. დაღამდება და მერე იჯექი ბნელში და რამდენიც გინდა აპარპალე თვალები.

— ახლა ზოგჯერ დღისითაც ანთია ქუჩაში ნათურები, — მიეშველა გოგი.

— აბა?! მაშინ გვქონოდა, არ გვერჩია?

— კი მაგრამ დღისით რად გინდოდათ, მზე არ იყო?

— მზე კი იყო, მარა... გვწვავდა.

— მაწონი უნდა წაგესვათ სახეზე, თუმცა... ალბათ, არც მაწონი გქონდათ, არა?

— მაწონი რავა არ გვქონდა, — თავმომწონედ განაცხადა კაცმა, — მამაჩემს ასოცი ძროხა ჰყავდა...

გოგიმ ეშმაკურად შესცინა და კაცი დაფაცურდა:

— არა, ბიძია, თავისი კი არ იყო, მწყემსად მუშაობდა.

— აბა, გეწვებოდათ სახე?

— კი.

— ტანიც?

— ტანიც!

— კი, მაგრამ იმსისქე შინელში როგორ ატანდა ის შეჩვენებული მზე! — თავი ვეღარ შეიკავა გოგიმ და გადაიხარხარა.

— ხულიგან! — ფეხზე წამოდგა კაცი, — არამზადა!

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

— ჩვენ რაღა გვეშველება ამ ნეილონის პერანგებში, — ხითხითებდა გოგი — შეგვიცოდე, ბიძია...

— შენზე თუ არ დავწერო, სადაც საჭიროა, იმასაც ნახავ, რა გვარი ხარ?

— მე? — ხითხითებდა გოგი, — მე ვარ სილონ ნეილონაშვილი, ყველაფერს გაფიცებ, თუ არ დაწერო...

პატარა ხნის შემდეგ გოგი ამაყად მიაბიჯებდა სახლისაკენ, გზად გაზეთი იყიდა, ტრამვაიში სერიოზული სახით ათვალიერებდა განცხადებებს და ვერავინ წარმოიდგენდა, იმ დღეს „დიდი გამარჯვება“ რომ მოიპოვა. რომ ხუთიოდე დღით ეყოფოდა ეს გამარჯვება, ამ სამეოდე დღეს თვითონ აღარ დაუწყებდა სასაცილო შემთხვევებს ძებნას, რადგან ხანდახან დამარცხების სიმწარეც განუცდია—ერთხელ ტროლეიბუსში ჩვეულებისამებრ ვიღაცას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ბოდიში, ხომ არ ჩაბრძანდებით?

ის კაცი მიუხვდა და ასეთი პასუხი გასცა:

— ახლა? სამს უკლია ოცი წუთი...

გოგის ცუდად უგრძნო გულმა, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა:

— არა, ხომ არ ჩაბრძანდებით?

მერე მოხდა, რაც მოხდა, იმ კაცმა ისეთი ღირსეული პასუხი შეაგება:

— ორი და სამი იქნება ხუთი, იქაც შვიდი, თორმეტი, არა, არ ჩავალ.

გოგის დამარცხება... ვიღაც-ვიღაცეების მომღიმარი, დამცინავი სახეები... რაღა ის კაცი შეხვდა... მაინც გაიკეთა გული — „ის კაცი, ალბათ, ნიანგის რედაქციაში მუშაობს და პროფესიონალია...“

ვახო ხვდებოდა გოგის ფუქსავატობის მიზეზს — ეს იყო უწიგნურობა. ანდა სად უნდა წაეკითხა რაიმე, შინაც კი მშვენიერი „გასართობი“ მოევლინა— გოგის ბებიას სკლეროზი დაემართა. ეს მაშინ დადასტურდა, როცა დედაბერმა განაცხადა, შვილიშვილებში ყველაზე მეტად ჩემი სიძე ვალიკო მიყვარსო. აღტაცებული გოგი ყველაფრით სარგებლობდა, სასაცილო სიტუაცია რომ შეექმნა — შუა ზაფხულში პალტოს აცმევდა, არ გაცივდეო, თავისი ძველი ქუდი დაახურა თავზე, უნივერსიტეტში როცა მიდიოდა, ბებიას ეუბნებოდა, პრაქტიკაზე მივდივარ ორი თვითო. იმავე საღამოს, ნალაზღანდარევი რომ დაბრუნდებოდა შინ, გახარებული ბებია მის დანახვაზე ტაშს შემოკრავდა და მეზობლებს ყვირილით გასძახოდა — „გოგია ჩამევიდაა, გოგია! ჩვენი ბიჭი, ჩვენი ოჯახის ბურჯი...“ გულიანად იცინოდნენ მეზობლები, გოგი თავის დამსახურებად თვლიდა ამას და სწორედ იმ დარბაისლურ გამომეტყველებას იღებდა, ვახო რომ ვერ იტანდა.

ხანდახან საოცარი შურით ივსებოდა — ერთხელ თანაკურსელის დღეობაზე წავიდნენ, გოგიმ პალტოს სარჩულზე ვარსკვლავი ამოაქარგინა ბებიას — ბევრი ხალხი იქნება და პალტო არ დამეკარგოსო. მშვენიერ ხასიათზე იყო, მაგრამ იქ, სუფრაზე, ძალიან გაუფუჭდა გუნება. სტუმრებში ერთი ახალგაზრდა პოეტი ერია და იმას აშკარად უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე გოგის. პოეტს მშვენივრად ეჭირა თავი— მორიდებულად ხუმრობდა, ინტერესით უსმენდა ყველას; ამას კიდევ აიტანდა გოგი, მაგრამ როცა შესვენება გამოაცხადა გოგი-თამადამ და ტვისტი გაჩაღდა, გაწვიმდა.

წვიმა!

თითქოს რაღაც შეიცვალა ოთახში, რა — კაცმა არ იცოდა. ზოგს ცეკვის იშტა გადაუვიდა, სხვები ისევ ცეკვავდნენ. პოეტმა ასანთს გაჰკრა და სიგარეტს მოუკიდა. ნელი ნაბიჯით მივიდა ფანჯარასთან. გოგი მიხვდა, რომ თვითონ მას შერცხვებოდა ასე თამამად მისვლა ფანჯარასთან და წვიმის ასე დემონსტრატიულად ყურება. ვახომ იცოდა, რომ გოგის ძალიან შურდა... პოეტი კი ფანჯარასთან იდგა, ნესტიანი ჰაერი იყლინთებოდა მისი სიგარეტის კვამლით და სიგარეტიც ისე ფრთხილად ეჭირა ხელში, როგორც გაპიპინე-

ბული ჭიქა. რაღაც უცნაური სიფრთხილე შეეპარა პოეტს... წვიმდა...

გოგიმ იმ დღეს ვერ გაბედა ფანჯარასთან მისვლა და მაშინვე სუფრასთან მიიწვია ხალხი.

გოგოების ერთ ნაწილს გოგი ძალიან მოსწონდა. ქუჩაში თვალს მოჰკრავდნენ თუ არა, მაშინვე ეცვლებოდათ სახე, მერე იმნაირად მიესალმებოდნენ, რომ გოგი ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ ძალიან აღარ უხაროდა — შეეჩვია. ისე, სიამოვნებდა, რა თქმა უნდა. მთავარი ის კი არ იყო გოგოებისათვის, გოგი ერთ კინომსახიობს ძალიან რომ წააგავდა; როგორ შეიძლებოდა არ მოგწონებოდა ის, ვინც სულ სხვნაირად, ცინიკურად და ამასთანავე მხიარულად აღიქვამდა მოვლენებსა და საგნებს — ამ ციხიზმში გოგონები აშკარა „ძალას“ ხედავდნენ. ჯერ მხოლოდ მისი ჩაცმულობა და მიხრა-მოხრა რად ღირდა! გოგი ცნობილ მკერავთან დადიოდა — შარვალი ბარძაყებზე მჭიდროდ შემოტმასნოდა, მუხლიდან ასფალტამდე კი ძალიან განიერდებოდა. მიდიოდა გოგი ქუჩაში და ნელა, მძიმედ ირწეოდა მისი შარვლის ტოტები. პერანგი ხაზგასმულად ამოეჩაჩა, სახელოებს არასოდეს არ იკრავდა და გოგონებისათვის აშკარა იყო — ძალდაუტანებელი, ხალასი ბიჭი იყო გოგი. ამგვარი ჩაცმულობა გამოუცდელ თვალს შეიძლება დაუდევრობაში ჩამოერთმია, მაგრამ გოგის ყოველთვის პრიალა, გაკრიალებული ფეხსაცმელი ეცვა —იქვე, მისი სახლიდან ორიოდ ნაბიჯზე, ფეხსაცმლის მწმენდავის ჯიხური იდგა, ამასთანავე, საყელო ისე მაგრამ ჰქონდა შებნეული, სახეზე გულგრილი და ამაყი გამომეტყველება რომ არა, შეგეშინდებოდა (კარგი ადამიანი თუ ხარ) — არ დაიხრჩვესო. ხანდახან მოკლე ჰალსტუხი ეკიდა კისერზე, ამ დროს უფრო შეგნებული გამომეტყველება ჰქონდა. ეს სიამაყე რომ არ შელახულიყო, არასოდეს დაინტერესდებოდა ხოლმე, რაც არ უნდა გაეგონა და დაენახა.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, ასეთი სტუდენტები იშვიათად სწავლობენ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ გოგი ამ მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენდა — განა შეიძლება, ადამიანი ფილოლოგიურზე სწავლობდეს და ნაკითხი არ იყოს? არა, ზოგიერთ საკითხში გოგოები „არ სცდებოდნენ“ — გოგის სავალდებულო ლიტერატურის გარდა წაკითხული ჰქონდა „რობინზონ კრუზო“, ჯეკ ლონდონის ის მოთხრობები, კრივზე როა, „უთავო მხედარი“, „დეკამერონი“, „ბალთაზარ კოსა“, ჰემინგუეის პატარა მოთხრობები და ზოგიერთი ადგილი „დიონისეს ღიმილიდან“. ფეხბურთი ისე ძალიან არ აინტერესებდა და ამიტომაც მოსწონდათ გოგოებს — სხვებს კი არა ჰგავსო. სამაგიეროდ, ძალიან უყვარდა კინოხელოვნება, რა სჯობია ხელოვნების ამ **დარგს — წახვალ** კინოთეატრში, თანაც ლამაზ გოგოსთან ერთად, გადაწვები სკამზე, მუხლს გაშლი და უყურებ ლამაზ ადამიანებს და ღირსშესანიშნავ ამბავს, ნაყინსაც მიირთმევ და თან ხელოვნების მოყვარულ კაცად ჩაგთვლიან.

ერთი რამ კანონად ჰქონდა გოგის — როგორც არ უნდა მოგეწონოს რაიმე, აღფრთოვანება არ უნდა გამოხატო; ჯერ ერთი, იქნებ არ ვარგა, და გინდაც ვარგოდეს, მით უკეთესი — ესე იგი, უფრო მაღლა დგახარ, უფრო მეტის ღირსი ხარ. ვახოსთან იგი ასეთი არ იყო, რაც პირზე მოადგებოდა, ყველაფერს ამბობდა — ბავშვობის ამხანაგთან აზრი არა აქვს შენიღბვას.

უცნაური ის იყო, ხანდახან ასე თუ ისე ჭკვიან გოგოებთანაც რომ ახერხებდა „საქმის დაჭერას“. ამ შემთხვევაში მშვენიერი გარეგნობა ძალიან ეხმარებოდა, თუმცა, რა იცი... ხანდახან ისეთი მშვენიერი მსჯელობა იცოდა...

იმ დღესაც გამოიჩინა თავი: ჯერ ჩვეულებრივი გოგი იყო — ხუმრობდა,

---

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

გამვლელებზე ქილიკობდა და ამით აცინებდა მზიას. ძალიან სასიამონო ბიჭად გამოიყურებოდა, მზია მშვენიერ ხასიათზე დადგა და უეცრად გოგიმ საშინლად მოიწყინა. ჯერ ვერც შენიშნა მზიამ ეს, მაგრამ ორიოდე წუთში გოგის დანაღვლიანება აშკარა გახდა. შეშფოთებული გოგონა თანაგრძნობით უყურებდა და ეკითხებოდა:

— რა იყო, გოგი?

— არა, არაფერი.

— მითხარი, მითხარი რა?

რა ადვილი იყო თავისმოკატუნება:

— არა, არაფერი...

ეჭვიანი აზრები ჩალიჩობდნენ მზიას გონებაში — რა უნდა ყოფილიყო გოგის დაღვრემილობის მიზეზი, თუ არა ვიღაცის სასტიკი უსამართლობა — ის ხომ ისეთი მხიარული და საზრიანი ბიჭი იყო... მზიას უხაროდა, გვერდით რომ მიჰყვებოდა გოგის, — ეს ხომ ნამდვილი მხარდაჭერა იყო, ნამდვილი ვაჟკაცობა. თავისი თავით აღფრთოვანდა მზია, თითქოს ღონეც მოემატა, რწმენაც:

— გოგი, ვინ გაწყენინა?

— არა, აქ ადამიანზე არ არის საქმე. სულ სხვა რამეა...

— რა? მითხარი გოგი, მითხარი.

— ეჰ, გაგეცინება... — ნაღველი ბჟუტავდა ხმაში.

— არ გამეცინება, რა არის სასაცილო?

— შენ ხომ ჯერ არ იცი.

„მართლა, მე ხომ ჯერ არ ვიცი?“— მითხარი რა, გოგი, რაშია საქმე?

— ენა, — ამბობდა დამწუხრებული გოგი, — ჩვენი ენა.

— რა ენა?

— ჩვენი, ქართული...

მზია ცდილობდა, სასწრაფოდ გარკვეულიყო, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. გოგი ერთხანს იცდიდა, მერე დამაჯერებლად იწყებდა (სჯეროდა კიდეც იმ წუთში, რომ მართლა აწუხებდა ეს საკითხი):

— ეჰ, რომ იცოდე, რა ცუდ დღეშია ჩვენი ენა. იცი, რა ძნელია რომელიმე სხვა ენიდან ქართულზე თარგმნა? იდიომები არ გვაქვს...

მზია თანაგრძნობით შეჰყურებდა.

— აი, მაგალითად, რუსულში არსებობს შესანიშნავი გამოთქმა: круглая сирота, რაც უდედმამოს ნიშნავს. ქართულში კი მრგვალ ობოლს ვერ იტყვი, არადა, ობოლი რომ თქვა, ვერავინ გაიგებს, მარტო მამა არა ჰყავს ადამიანს, თუ დედ-მამა... ბევრი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება.

— მართლა, ხომ იცი... — ეთანხმებოდა მზია და ძალიან სწყდებოდა გული: — რა კარგი იქნებოდა, ქართულში უდედმამოს აღმნიშვნელი სიტყვა რომ მოიპოვებოდეს.

— კარგი იქნებოდა, რა თქმა უნდა, ეჰ.

მზია გამომცდელად აცქერდებოდა, გოგი კი ვითომ ვერ ამჩნევდა ამას და თან ძალიან აინტერესებდა, რას ჰკითხავდა გოგო.

— გოგი, შენ თარგმნი?

— არა, — ისეთი ღიმილით პასუხობდა, მზიასათვის აშკარა იყო — „თარგმნის, აშკარად თარგმნის!“

ალერსიანად შესცქეროდა გოგის — ღამით, როცა სხვებს სძინავთ, იგი მუშაობს... როცა ადამიანის ჭაჭანება არ არის ქუჩებში და ყველა ფანჯარა ჩაბნელებულია, იგი ზის და გონებრივად მუშაობს, თანაც (მზიამ ახედ-დახედა)... როგორი თანამედროვეა...

გენიალურია, როცა ბიჭი კარგი გარეგნობისაა, ჭკვიანიცაა და როცა მასთან ძალიან საინტერესოდ გადის დრო. ხომ ასეა, გოგოებო?

5

ნელა მიჩაქჩაქებდა ტრამვაი, ვახო ფანჯარასთან იჯდა და ქუჩას გასცქეროდა. დასაჯდომი ადგილი აღარ იყო, რამდენიმე ახალგაზრდა ფეხზე იდგა.

ვახო ლევანთან მიდიოდა, ძალიან მოენატრა ლევანი. ფანჯარაში თავი გაეყო და ნიავი სიამოვნებდა. როგორც იქნა, აგრილდა. მთელი ზაფხული საშინლად ცხელოდა, დარაბებს კეტავდ-

ნენ და ასე ინახავდნენ ღამის შემორჩენილ სიგრილეს. მაინც ცხელოდა, არაფრის თავი აღარ ჰქონდა ვახოს. შვიდი საათისათვის ცოტათი აგრილდებოდა ხოლმე, მეზობლები შვებას გრძნობდნენ და უმიზეზოდ უღიმოდნენ ერთმანეთს.

შემოდგომა დადგა და საგრძნობლად აგრილდა, მაგრამ ნაშუადღევს მაინც ცხელოდა. ესეც არ იყოს, ვახომ ბევრი იარა დღეს — დეიდა ახალ ბინაში გადავიდა და ეხმარებოდა. მიშიკომ დიდი წვეულება გამართა და მასაც დაჟინებით სთხოვა **დარჩენა, მაგრამ** ვახოს არ უნდოდა იქ ყოფნა. რატომღაც ცუდ ხასიათზე დადგა, **გახარებული** მიშიკოს შემყურე. მერე ლევანი მოენატრა და გზაც აღარ ეშორებოდა — ძალიან სიამოვნებდა ჯდომა და გრილი ნიავი. ფეხები უბჟუოდა — მთელი ზაფხული არ უვარჯიშია და სიცხისაგან მოთენთილი სულ შინ იჯდა, დღეს კი ბევრი იარა და ფეხები სტკიოდა. მთელი დღე მუშებს დაჰყვებოდა — დეიდას ძალიან ეშინოდა, გაუფრთხილებლობით რაიმე არ გაეფუჭებინათ მტვირთავებს და დისშვილს ზედამხედველობა დაავალა. ვახო ერთ ხანს თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას. ისინი შუახნის კაცები იყვნენ და ვახოს თავისი უმოქმედობისა შერცხვა. მერე მოეხმარა მათ და სკამები და წვრილ-წვრილი ნივთები თვითონ აიტანა კიბეზე, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ეკალებოდა. დაიღალა, სამაგიეროდ აღარ რცხვენოდა. თავისუფლად გრძნობდა თავს, მხოლოდ ფეხები ეტკინა, ეს იყო და ეს. ცოტათი მოსწონდა კიდეც ეს ტკივილი, რადგან ახლა იჯდა და დიდად სიამოვნებდა, რომ ისვენებდა.

ტრამვაიში მოხუცი ქალი ამოვიდა. ადგილები შეათვალიერა და აშკარად შეეტყო, გული რომ დასწყდა. პატარა საფულე გახსნა, ცოტა ხანს თითები აფათურა და ბილეთი აიღო. მაგრამ ჩასჭიდა სახელურს თითები.

მოხუცი იდგა და არავის უყურებდა. ვახო შეიშმუშნა. იგი საკმაოდ შორს იჯდა ქალისაგან. წესით იმ ახალგაზრდებს უნდა დაეთმოთ მოხუცისათვის ადგილი, იქვე რომ ისხდნენ, მაგრამ ისინი ფანჯარაში იყურებოდნენ და ნაღდად ეტყობოდათ, იმ ქალის შემჩნევა რომ არ უნდოდათ. ვახო ერთ ხანს მაინც იცდიდა — ეუხერხულებოდა, იმ ახალგაზრდებისათვის რომ დაესწრო. მერე, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, ადგილის დათმობას არავინ არ აპირებსო, ფეხზე წამოდგა და მოხუცს უთხრა:

— დაბრძანდით, ქალბატონო.

— გმადლობთ, შვილო...

ვახო ფეხზე იდგა და რატომღაც რცხვენოდა. ალბათ, ეუხერხულებოდა, სხვებს რომ დაასწრო. კიდევ კარგი, რომ ამ უხერხულობას საოცრად დამამშვიდებელი გრძნობა ახლდა — სიმართლე საკუთარ თავთან... და კიდევ პატარა სიკეთის სიხარული...

პატარა სიკეთე... დიდი ხნის წინათ გაჩენილი, ძალიან პატარა სიკეთე...

ბავშვობაში ძალიან სძულდა წვნიანი. დედა ღრმა თეფშით მიუტანდა ხოლმე ბოსტნეულის წვნიანს და ეუბნებოდა — „აბა, ჩქარა“... ვახომ იცოდა, რომ იმ ღრმა თეფშის ფსკერზე გოგო და ბიჭი ეხატა. „ჩქარა, ვახო, თორემ დაიხრჩვებიან“, ეუბნებოდა დედა. პასუხისმგებლობას აყოლილი ბავშვი სასწრაფოდ ყლაპავდა უგემურ სითხეს და გაცრეცილი ნახატის დანახვაზე გულმოცემული იღიმებოდა. „ოო, ყოჩაღ“, ეუბნებოდა დედა. გოგო-ბიჭს ხელი ჩაეკიდათ ერთმანეთისათვის და დიდი ბუშტები ეკავათ. „ხედავ, არ დაიხრჩვენ“, — უღიმოდა დედა და ძალიან უხაროდა ვახოს...

მაშინ ძალიან უჭირდა ხალხს, ომი იყო. ვახო დაბადებულიც არ იყო, მამის დაღუპვის ცნობა რომ მიიღო დედამ... მძიმე, უსათამაშოებო ბავშვობა... სათაყვანებელი ჭინჭის ბურთი — დაბადების დღეს... უცნაურად დანაღვლიანებული ხალხი... დედების სევდა,

მამების სევდა, ძმების, დების, ამხანაგების სევდა და შიში...

მერე — ნამდვილი სათამაშოები და დაბურული, იმედიანი ზღაპრები — ხავსმოდებული სამყარო... კეთილი და გაიძვერა ცხოველები, წყლის ლამაზი ქალების გამჭვირვალე სხეულები და ოქროსფერი, ტალღად ჩამოშლილი თმა, ნაბოლარა შვილები, შეყვარებული მეფეები და ვეზირები, გზასაცდენილი მონადირეები და დალმეჭილი მკითხავები, ბრიყვი დევები და მოტაცებული მზეთუნახავები, სრა-სასახლეები და ამაყად გაჯგიმული ბროლის კოშკები, ცისკენ დამიზნებული ისარივით რომ ამოეზიდა კლდეს...

მერე — ახლადშეღებილი მერხების მკვეთრი და მიმზიდველი სუნი, შემაშფოთებელი და საზეიმო — პირველი სექტემბერი...

უცნაური მწვანე ქალი, მშვიდი და გამძლე...

მერე — ძალოვანი, ახირებული ეჭვები... უამრავი საიდუმლო, რომელსაც ჯიუტად ებრძვის ბავშვის გონება... ყოველდღე რომელიღაც ახალი საიდუმლოს ამოხსნა, მაგრამ ახალი ეჭვები, უფრო მძიმე და შემაშფოთებელი... დროდადრო ლახტი და თავაწყვეტილი სირბილი... თითქმის ყოველდღე მეორდება ძალაუნებური არჩევანი ორ მაცთუნებელ სიამოვნებას შორის, მათგან ერთი სიკეთეა, მეორე — რაღაც სხვა... შინ მარტოდ დარჩენილი ბავშვი და სამსახურში წასული დედა, რომელიც სახლში მეთვალყურედ ბავშვის უფროს დას სტოვებს —ის სიკეთეა... ჩუმი, ხმისამოუღებელი და, ხელიხელჩაკიდებულს რომ დაჰყავს ბავშვი... ანცი და მოუსვენარი ბიჭუნა, რომელსაც ასე ძალიან უნდა ცელქობა... დაღლილი და გაოფლილი, ისევ უბრუნდება დის გრილ, პატარა, მშვიდ ხელს... არავითარი საყვედური, „არ გააფუჭო, იკითხე... იფიქრე...“

მეთექვსმეტე წელი, მივიწყებული დარაბა, უცნაური სევდა...

დედა, მაღალი და გამხდარი, ნაზი ქალი, შუაღამისას გამოდიოდა საერთო სამზარეულოდან, თვალდახუჭულ ვახოს გადახედავდა, და ისე იყო დაღლილი, ტანსაცმლის გასახდელად ღონე აღარ ჰყოფნიდა, ხუთიოდე წუთით სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე. ვახომდე აღწევდა მისი მოარიდებული ოხვრა და თითქოს დამნაშავედ გრძნობდა თავს... ორივემ იცოდა, რომ ჩქარა დაკვრას დაიწყებდა მათი მეზობელი, შუახნის მამაკაცი. ის კაცი კი იცოდიდა, სანამ ყველა ნათურა ჩაქრებოდა სამსართულიან სახლში, მერე მაინც იცდიდა კიდევ ათიოდე წუთს და ბოლოს სახლიდან გამოჰქონდა გიტარა და ნაძვის ხის ქვეშ, მიწაზე ჯდებოდა; ხეს ზურგით ეყრდნობოდა და ჩუმად აწყობდა ინსტრუმენტს. ისმოდა პირველი ბგერები და მანამდე უმოძრაო, დამძიმებული ჰაერი რხევას იწყებდა. ბგერები თრთოლვით მიიწევდნენ მაღლა, ღია ფანჯრებიდან მიცოცავდნენ ჩაბნელებულ ოთახებში, უსინათლოს თითებივით ეპოტინებოდნენ საგნებს, ფათურით პოულობდნენ მთვლემარე ადამიანებს და მძიმედ იღვრებოდნენ მთელ სხეულში.

დედა ყურს უგდებდა იმ კაცს და ისევ აკვირვებდა სიმღერის ნაცნობი, ახირებული ტექსტი, სადაც ხშირად მეორდებოდა სიტყვები: „წახვედი“, „რატომ“, „მოდი“...

ეს იყო სიმღერა უიღბლო სიყვარულზე, მაგრამ დედა თავს ძალას ატანდა და არ იგონებდა იმას, რაც გულს მოუკლავდა და ამიტომ იხსენებდა შედარებით პატარა, სულში უთავბოლოდ მოხეტიალე სევდას — დედას ახსენდებოდა თავისი მიტოვებული, გვერდზე გადახრილი სახლი სოფელში და ცუდი ბალახით დაფარული ეზო, ახსენდებოდა მსხლის უბრალო ხეები და დიდი, ხავსით დაფარული ლოდები, სახლსუკან რომ ეყარნენ. ახსენდებოდა მიმქრალი, მთვლემარე ნაკვერჩხლებით სავსე ძველებური უთო და ახლადგამოჩეკილი წიწილების სითბო ლოყაზე...

იგი დგებოდა და ფრთხილად, ფეხის-

წვერებზე მიდიოდა ვახოსთან. ყურადღებით დასცქეროდა თვალდახუჭულ, თითქოსდა მძინარე, გატრუნულ ვახოს.

— გძინავს, შვილო?

ვახო ხმას არ იღებდა.

— დაიძინე, შვილო... გააჭირა საქმე.

კაცი ისევ უკრავდა.

მეჩვიდმეტე წელი... ისევ „იკითხე... იფიქრე...“ და უეცრად მესამე, ყველაზე ძლიერი, ბავშვობისდროინდელი ცნება: „იოცნებე!“

მაშინ თექვსმეტი წლისა იყო ვახო. ერთი შორეული ნათესავი მოვიდა მათთან, პაპიროსი გააბოლა და საფერფლე ითხოვა. ვახომ ნიჟარა მიუტანა, საფერფლედ ხმარობდნენ. კაცმა გაუღიმა:

— გახ ეს საფერფლეა?

— დიახ, როგორ არა, —გაუკვირდა.

— საფერფლე, დიახ, როგორ არა, — ხუმრობით გამოაჯავრა კაცმა, — აბა, ყურთან მიიტანე.

ვახომ იცოდა, ნიჟარიდან გუგუნი რომ ისმოდა. ათასჯერ ჰქონდა გაგონილი და წაკითხული. კაცი ღიმილით შესცქეროდა და მანაც გაუბედავად მიიტანა ყურთან ნიჟარა. ნაცხობი გუგუნი შემოესმა.

— გესმის? — ჰკითხა კაცმა.

— დიახ.

— ეგ საფერფლე კი არა, ზღვის მოციქულია, — გაუღიმა კაცმა,—ეგ ზღვის ამბებს ჰყვება, შენზეა დამოკიდებული, როგორ ამბავს მოისმენ.

ვახო დაიბნა, ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა სტუმარი. სიხარულით გააცილა, შინ დაბრუნება ეჩქარებოდა, მაინც ნელა, გაუბედავად ამოიარა კიბე.

ფრთხილად აიღო ხელში ნიჟარა, ემსუბუქა, არ გამივარდესო, გაიფიქრა, ნელა მიიტანა ყურთან. ერთგული გუგუნი შემოესმა, რა უნდა ეამბნა ნიჟარას?

მაშინ თექვსმეტი წლისა იყო ვახო, ნანახი ჰქონდა ზღვა; მოყოლით არაფერი მოუყოლია ნიჟარას, ოღონდ ნაცნობი სურათი წარმოუდგა ვახოს — ტალღები, ნიჟარა, ზღვა... ნიჟარას უსმენდა ვახო... ზღვის იდუმალი, ჩუმი გუგუნი მძიმედ იღვრებოდა ნიჟარიდან და რაღაც შორეულ, გამოუცნობ ამბავს ჰყვებოდა ზღვა... რა უნდა ეამბნა, თექვსმეტი წლისა იყო მაშინ ვახო...

...პატარა ბიჭმა ყურძნის წვენი დალია. მერე ნაპირთან მიირბინა, ხელი მოიქნია და ცარიელი ბოთლი ზღვაში გადააგდო. დინებამ ძალიან შორს წაიღო იგი, ბოთლმა იცურა, იცურა, ბარბაცით გადაიარა ბევრი ტალღა და...

მშვენიერმა გოგომ თავი მოაცილა კარგი ბიჭის მკერდს და მოულოდნელობისაგან შეჰკივლა. ბოროტი კაცი ნელა უახლოვდებოდა მათ და ბრაზიანად იღიმებოდა. ბნელოდა, ისინი ზღვის ნაპირთან იდგნენ და გახევებულნი შესცქეროდნენ ბოროტ კაცს, ის კი ღვარძლიანად იღიმებოდა და თან ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა. მშვენიერმა გოგონამ ერთი კი ამოიოხრა და იქვე ჩაიკეცა. ბოროტი კაცი კი ისევ მოდიოდა და თან სახელოებს არხეინად იკაპიწებდა, რადგან ღონიერი იყო და ადვილად მოგუდავდა ვაჟს. ვაჟი უმოძრაოდ იდგა და უხმოდ ელოდებოდა სიკვდილს. უკვე ყველაფერზე ჩაქნეული ჰქონდა ხელი, რადგან ქვაც კი არ ეგდო სილიან ნაპირზე, ხელში რომ აეღო და თავი დაეცვა. და ასე უიმედოდ იდგა ხელებჩამოყრილი ვაჟი, როცა ქუსლზე ტალღასთან ერთად რაღაცის შეხება იგრძნო. დაიხედა და... რას ხედავს — ბოთლი! სწრაფად დაიხარა, მაგრად ჩაბღუჯა ხელში. ბოროტი კაცი შეჩერდა; ის უკვე ძალიან ახლოს იდგა ჭაბუკთან და, შეშინებული, ბოთლს მიჩერებოდა. გულმოცემულმა ვაჟმა თავსზემოთ შემართა ხელი და დაუყვირა — „აბა, წაეთრიე!“ ბოროტი, ღონიერი და მშიშარა კაცი იქითკენ წალასლასდა, საიდანაც მოვიდა, მიდიოდა თან ბრაზისაგან ზლუქუ-

---

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

ნებდა, ვაჟმა კი პეშვით ამოიღო ზღვის ლურჯი წყალი და ლამაზ სახეზე დაასხა გოგონას. გოგონა გამოფხიზლდა და გაუღიმა. შორს, ზღვაში, უკვე ჩანდა თეთრი ნავი, მათ წასაყვანად რომ მოდიოდა... ნავში ჭაბუკისა და გოგონას მეგობრები ისხდნენ. ისინი ჩქარობდნენ და მთვარის შუქზე ლაპლაპებდა სველი ნიჩბები და წვეთები ბრჭყვიალა მძივებივით ცვიოდა ნიჩნებიდან. თეთრი ნავი ნაპირს მოადგა, ვაჟი და გოგონა მეგობრების გვერდით დასხდნენ. მთვარე განათებულ ზოლს ტოვებდა ზღვაზე და ამ ოქროსფერ გზაზე მიცურავდა ნავი... და როცა ნავი თვალს მიეფარა, ღრუბლებში დაიმალა მთვარეც და ძალიან დაბნელდა, არ ჩანდა აღარაფერი, უზარმაზარი ზღვაც კი. ისმოდა მხოლოდ ზღვის იდუმალი, ჩუმი გუგუნი და წყნარი ტალღები ჩუმი შხუილით აწყდებოდნენ ნაპირს და...

...და ნიჟარიდანაც სწორედ ასეთი ხმაური გამოდიოდა, თექვსმეტი წლისა იყო მაშინ ვახო... ყოველთვის არ შეეძლო ნიჟარის მოსმენა, ხანდახან... რცხვენოდა.

მეთვრამეტე წელი... შეცდომების, ნაჩქარევი დასკვნების ასაკი, ხანდახან ყველაფერში ეჭვი გეპარება... მივიწყებული მწვანე ქალი... მობეზრებული ძველი ნივთები... მაგრამ ნიჟარა ყოველთვის გუგუნებდა, მაშინაც კი, როცა არავინ უგდებდა ყურს. იშვიათად ესმოდა ეს გუგუნი ვახოს, იგი სწავლობდა, კითხულობდა, კინოთეატრებში და სტადიონზე დადიოდა, მაგრამ ხანდახან, როცა რაღაც იდუმალი უნდებოდა... — მოგუგუნე ნიჟარა... ერთგული ნივთი... რაღაც შორეულზე ჩურჩულებდა ზღვა... წყალი თბილი და გამჭვირვალე იყო. მზის სხივები ტივტივებდა ზღვაზე და, ტალღის მოძრაობას აყოლილი, კაშკაშით იწელებოდა. წყალი გამჭვირვალე იყო, სხივები ფსკერამდე აღწევდა... ფსკერზე ზღვის სამკაული — მარგალიტები ეყარა და ალაგ-ალაგ ლამაზად ბჟუტავდა ფსკერი. მარად მთვლემარე წყალმცენარეები საჩრდილობელივით ირხეოდნენ მარგალიტებზე. სხივები ფსკერამდე აღწევდნენ, პოულობდნენ ზღვის სამკაულს და, მისი სილამაზით დარეტიანებულები ბარბაცით ამოდიოდნენ ზღვის ზედაპირზე. ასეთი თბილი და გამჭვირვალე მაშინ ხდებოდა წყალი, როცა კარგ ხასიათზე იყო ზღვა. ხანდახან კი, როცა მოიწყენდა, წყალი იმღვრეოდა და ვერავინ იფიქრებდა, ასეთი ლამაზი სამკაულები თუ ელაგა ფსკერზე. მაგრამ ერთხელ საიდანღაც დიდი გემი მოვიდა და მისი მძიმე ჩრდილი ყველაზე ლამაზ მარგალიტებს გადაეფარა. გემიდან ნავები ჩამოუშვეს, მყვინთავები ხტებოდნენ წყალში, მიცურავდნენ ქვევით, ფსკერისაკენ და მარგალიტებს პოულობდნენ. მათი პატრონები გახარებულნი იდგნენ ზევით, გემბანზე და, კმაყოფილნი, ნავებს დასცქეროდნენ. მყვინთავები დილიდანვე იწყებდნენ. ზღვის ძარცვას—ღრმად შეისუნთქავდნენ ჰაერს, წყალში ხტებოდნენ და კარგახანს აღარ ჩანდნენ. მერე ნავის შორიახლოს ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს, ხარბად ისუნთქავდნენ ჰაერს და ნავში მარგალიტებს აგდებდნენ. ჩქარა ისევ უჩინარდებოდნენ და მათი მსუნაგი პატრონები მოუთმენლად უცდიდნენ ახალი მარგალიტების გამოჩენას. ნავი კი ოდნავ ირწეოდა გამჭვირვალე წყალზე, რადგან გაძარცული და გაბრაზებული ზღვა თავს იკატუნებდა. ნავები ივსებოდა, მერე ივსებოდა ტომრები და ნელა, ძალიან ნელა ივსებოდა გემის ბნელი სათავსოები, სადაც მარგალიტებს აგროვებდნენ. და როცა გახარებული ადამიანები გემბანზე შეიკრიბნენ და მილიდან შავი ბოლი ამოვიდა, ზღვა ისევ წყნარად ჩურჩულებდა რაღაცას თავისთვის და ადამიანები კმაყოფილი სახით ათვალიერებდნენ ცას. მზე კი აცხუნებდა, წყალი ორთქლდებოდა და, ყველასათვის შეუმჩნევლად, ღრუბლებად იქცეოდა ცისკენ აწვდილი ზღვის უჩინარი ხელები. ასე იცურა გემმა ორ დღეს, მესამე დღეს კი უფრო ხმამაღლა აბუტბუტდა ზღვა, მისი

ზელები დიდ მუშტებად შეიკრა ცაში და ადამიანები შიშით შესცქეროდნენ ჩაშავებულ ღრუბლებს და მილიდან ამოსული ბოლი აღარც ჩანდა, ისე ბნელოდა. და უცებ განათდა... ყველაფერი განათდა — შეშინებული ადამიანების მოღრეცილი სახეები, დაჭიმული აფრა, კასრები და ზარბაზნებიც განათდა და ისიც დაინახეს ადამიანებმა, როგორ ჩაესო ზღვაში დაკლაკნილი ელვა და სამაგიეროდ, როგორ აიზიდა უშველებელი ტალღა და ადამიანები აყვირდნენ... მაგრამ მათი ხმა არ ისმოდა, რადგან ყველაზე მეტად გაჰყვიროდა ზღვა. ტალღამ ჩაბღუჯა გემი, მოიქნია და დიდ კლდეს შეანარცხა, მარგალიტები მიმოიფანტა და ზღვის ფსკერზე, სადაც არასოდეს არ ღელავს, საოცრად ლამაზად, მარგალიტებით წვიმდა. ზემოთ კი ზღვა ისევ შფოთავდა და ტალღები ერთმანეთს სტყორცნიდნენ გემის ნაფოტებს. შურისძიების სიმღერას გაჰყვიროდა ზღვა, მერე ცოტათი დაწყნარდა, მაინც ბორგავდა; მერე, როგორც იქნა, საბოლოოდ დამშვიდდა და ნაპირზე ზიზღით გადმოაფურთხა მარგალიტის მაძიებელთა გაბერილი სხეულები...

წყალი ისევ სუფთა და გამჭვირვალე გახდა, მზის სხივები ფსკერამდე აღწევდა, პოულობდა ზღვის სამკაულს, მათი სილამაზით დარეტიანებული, რხევითა და ბარბაცით უბრუნდებოდა ზედაპირს და იქ კაშკაშით იწელებოდა. წყალი ბრჭყვიალებდა და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ზღვა ისევ რაღაცას ჩურჩულებდა თავისთვის, რაღაც საოცრად იდუმალი ამბავი ისმოდა ზღვის გუგუნში და...

და ნიჟარიდანაც სწორედ ასეთი გუგუნი იღვრებოდა, ჩვიდმეტი წლისა იყო მაშინ ვახო...

მერე უნივერსიტეტი, ლექციები, გამოცდები, მეცადინეობა, კითხვა.

კითხვა... წიგნის ფურცლებიდან შენს არსებაში გადმოსული, გაცოცხლებული ხალხი, დიდი ადამიანების გონებითა და ხელით შექმნილი... უაღრესად საინტერესო ადამიანების მთელი არმია, რომელსაც წინ მიუძღოდა ხმალამოწვდილი, გაძვალტყავებული იდალგო, სიკეთისა და სიმართლის მაძიებელი და დიდებული მოლაპარაკე...

ჩუმი აღტაცებით გადაკითხული დიდი და უძლეველი წიგნები, საიდანაც ზოგიერთი ადგილი სამუდამოდ ჩაიბეჭდა ვახოს მეხსიერებაში — მრავალტანჯული იდალგოს მიერ ოქროს ხანის გახსენება და კუპრიანი ტბის რაინდის თავგადასავალი... რუსი თავადის ქალიშვილი გლეხებში ინსტიქტით ცეკვავს... ახალგაზრდა კაცი გამოქვაბულში შეყუჟულა და სიმარტოვით ტკბება... ჯუნგლებში გატარებული უცნაური მეჩვიდმეტე გაზაფხული და „თეთრკოჭება დელგმა“... ძლიერი ქესტების მქონე კაცით აღტაცებული ახალგაზრდა — ავადმყოფი ბურჟუა და შემაშფოთებელი კარის ჯახუნი... დიდებული ანდერძი კაცისა, ვინც იცოდა მეგობრობის ფასი... ბუნების წიაღში გასული მეძავები, ხარბად რომ ისუნთქავენ სუფთა ჰაერს... შურის საძიებლად ამხედრებული, მოხეტიალე სამურაი... მხედართმთავარყოფილი, უბოროტესი კაცი, რომელსაც უცნაურად მოუნდა სიკეთე და ამისათვის წიხლებით სცემენ... უდრტვინველი ქალი, რომელიც საოცრად სწორად ცხოვრობს... სილაში... სეირის მოყვარული ხალხის ორომტრიალში მუხლმოყრილი ახალგაზრდა ბოროტმოქმედი, რომელიც ატალახებულ მიწას კოცნის... დასაქცევი სახლის გაბზარული კედელი, რომელშიც მთვარე მოსჩანს, და ყოველივე ამის ანარეკლი მდორე, უსიცოცხლო მდინარეში... გულგაუტეხელი, ყოჩაღი ჯარისკაცი მშვიდად ელაზღანდარება ექიმებს... ორი მომღერლის თავდავიწყებული შეჯიბრი და მათი უცნაური მსაჯული, მოღუშული კაცი... თემიდან გაძევებული, გუდააკრული, ვაჟკაცი, რომელიც კაცთმოყვარეობის დიდ სა-

---

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

იდუმლოს მიხვდა... ჩასუქებული, მოეშმაკო ხეპრიკუნა „კუნძულს“ განაგებს... ისევ მრავალტანჯული იდალგო, გასაოცარი ენაწყლიანობით ერთმანეთს რომ ადარებს გონებრივ მუშაობასა და სამხედრო ხელოვნებას და თავდავიწყებით რომ მსჯელობს სიკეთეზე...

უცნაური მწვანე ქალი, ხელმეორედ შენიშნული; ბავშვობისდროინდელი, დაბზარული ქანდაკება...

მერე ყოვლისშემძლე ფირფიტა — „პასაკალია...“ უცნაური აზრები მოსდიოდა ვახოს, როდესაც ბახს უსმენდა. იგი მიდიოდა ფანჯარასთან და გამჭვირვალე ფარდის მიღმა ქუჩაში იყურებოდა. ზურგსუკან ისმოდა საოცარი, ერთმანეთში შერეული, რამდენიმე ურთულესი მუსიკალური აზრი, მაინც ყველაფერი ეს იყო იმ ერთადერთი დიდი ცხოვრების ხმა, რომელსაც ახლა იგი ქუჩაში ხედავდა. ყოველი ადამიანის დანახვაზე უფრო მკაფიოდ იგრძნობოდა, რომ თვალწინ და ზურგსუკან ორი სიცოცხლეა, ერთი — უბრალო და ჩვეულებრივი, ქუჩის პირობებში გამარტივებული სიცოცხლე, რომელიც ნახევრადცარიელ ტრამვაიში და ფორთოხლის გამყიდველთან გაჩენილ რიგშიაც კი იგრძნობოდა, ხოლო მეორე — დიდი ხნის წინათ გარდასული სიცოცხლის ხმა. მადლიანი, მტკიცე და უკვდავი მაჯისცემა ყველაზე უფრო ღრმად მოაზროვნე ადამიანისა... და ის, ვინც ფანჯარასთან იდგა, საოცარ სიმძიმესა და აღტაცებასთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც გრძნობდა.

— დაბრძანდით, ქალბატონო...

მძიმედ, ნელა მიხრიგინებდა ტრამვაი.

6

დილით ადრე უნდა გაიღვიძოს, ლევანს მიჰყვება მივლინებაში ორიოდე დღით. ექვს საათზე თუ ვერ მოასწრო სახლიდან გასვლა, ავტობუსზე დააგვიანდება. ერთი-ორჯერ კი მოუნდა გამოღვიძება, მაგრამ ბურანშივე დაიმშვიდა თავი — „ჯერ ადრეა... ადრეა ჯერ“... მერე თითქოს კარგახანს ეძინა და შეშფოთებული წამოჯდა, საათი ქუჩიდან შემოპარულ სუსტ სინათლეს შეუშვირა და დამშვიდდა — ათი წუთი აკლდა ოთხს. ახლა აღარ ღირდა დაძინება, ძლივს ერეოდა დამძიმებულ ქუთუთოებს და თვალს მაინც არ ხუჭავდა. დრო ნელა, ძალიან ნელა გადიოდა. ვახო დაძაბული იწვა და ჯიუტად, მაგრამ ზანტად იმეორებდა: „არ დავიძინო, არ დავიძინო...“ კარგახანს ებრძოდა თავს... მერე უეცრად ჩასთვლიმა, გულმა რეჩხი უყო, შეშფოთებულმა თვალები გაახილა და გაეხარდა, რომ არ აჰყვა მაცთურ სურვილს, ისე გაეხარდა, რომ დამშვიდდა, დაწყნარდა და... ჩაეძინა.

ვახო პირქვე იწვა და საოცრად მარტივ და მუხთალ სიზმარს ხედავდა — თითქოს იწვა და არ ეძინა...

და როცა დედა ფრთხილად შეეხო მხარზე და წყნარად დაუძახა — „ვახტანგ, ვახტანგ,“ ჯერ ეგონა, რომ დედა ტყუილუბრალოდ გაისარჯა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, დაგვიანებას რომ გადარჩა.

ის ავტობუსი გათენებისას გადის თბილისიდან, შვიდის ნახევარზე. ახლადგამოღვიძებულს კიდევ უნდა ძილი, მაგრამ გუნებაში ბურტყუნებს, ნაღვლიანად იცვამს გრილ ტანსაცმელს და გული წყდება იმ გემრიელ სითბოზე, ლოგინში რომ დარჩა. ეჰ, მაინც რა ადრე გადის ავტობუსი... პირის დაბანაც კი არ ეხალისება, წყალი ძალიან ცივია, უზმოზე საჭმელსაც არა აქვს გემო, ისე უსიამოვნოდ ამოძრავებს ყბებს, თითქოს ხეს ღეჭავდეს.

ქუჩა ჩაბნელებულია, ორიოდე ნათურა ბჟუტავს, ტრამვაი რომ ტრამვაია, ჯერ ისიც არ მუშაობს. რაღა დარჩენია, ავტოსადგურისაკენ ფეხით მიდის. ბედად თავისუფალი ტაქსი წამოეწია.

— ავტოსადგურში წავიდეთ, თუ შეიძლება.

— როგორ არ შეიძლება, ჩვენი ნება არ არი? — ყოჩაღად პასუხობს შოფერი.

ქუჩები ცარიელია და მანქანა სწრაფად მისრიალებს ასფალტზე, მკვეთრ მოსახვევებში კი სიჩქარეს კარგავს და საბურავები საბრალო ხმით წივიან. სალაროებთან სახეშეშუპებული ხალხი დგას, ლევანიც უცხოდ გამოიყურება— სვანური ქუდი ახურავს.

— ეს მანქანაა?

— კი.

— ჩქარა ჩავალთ?

— საათნახევარში.

ავტობუსში ათიოდე კაცი ზის, ფიქრობენ თუ ბურანში არიან, ვერც გაიგებ.

— ფანჯარა გავაღო?

— გააღე, თუ გინდა.

მანქანაში მძღოლი ამოდის და მგზავრებს უხალისოდ ათვალიერებს. ისინიც გულგრილად შესცქერიან.

— გამარჯობათ.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს.

— წავიდეთ?

— რა ვიცი, შვიდს კი ოცი წუთი აკლია და...

— კარგი, წავიდეთ.

ბინდი იფანტება, პატარა ავტობუსი სადგურიდან გამოდის. ჯერ კიდევ მთვლემარე, ნაცნობი ქუჩები... ეჰ, ეძიებება ვახოს... გუშინ ძალიან უნდოდა ნიჩბისში წასვლა, მშვენივრად წარმოედგინა საუცხოო ავტობუსით მგზავრობა, დიდებული გათენება... გუშინ ყველაფერი რიგზე იყო, გამოძინებული რომ გახლდათ, იმიტომ... ახლა კი ძლივს იმაგრებს თავს, თანაც, ეს დანჯღრეული ავტობუსი...

მერე მცხეთის ძალიან ნაცნობი გზა, ჯვარი, სვეტიცხოველი, და ვახო აღარ ნახობს, რომ წამოვიდა... არმაზში უკვე დილაა, თითო-ოროლა კაცი ჩანს გზაზე... უკვე იგრძნობა სოფელი, ვახო ინტერესით ათვალიერებს ყველაფერს, რასაც თვალი მისწვდება. სიმწვანე მატულობს, დილის მზეზე წაგრძელებული ჩრდილებით დასერილია გზა, მთებზე გადმომდგარან ძველი ციხეები და სამეთვალყურო კოშკები, ნახირი გზაზე, დინჯად მიმავალი ბატები, მამლების ხრინწიანი ყივილი, ღობეები, ხეები, ყვითლად მოლივლივე პურის ყანა...

— ეს რა სოფელია?

— ძეგვი.

ალმართს ხროტინით ებრძვის ავტობუსი... უშველებელი კაკლის ხე, კაკლის ხის მათრობელა სუნი...

— ეს ქვემო ნიჩბისია, ჩვენ შუა ნიჩბისში უნდა დავბინავდეთ.

შემოდგომა დაწყებულა ქართლში. აქა-იქ სიყვითლე და სიწითლე შეპარვიათ ფოთლებს, ჯერ მაინც მწვანე ფერი სჭარბობს. მაღალი ბუჩქებით მოფენილა მთები, მზე უკვე აცხუნებს და ნამიანი ბუჩქების სამი ფერი ლაპლაპებს მთებზე. მარცხნივ უშველებელი გალავანი მოჩანს, ლოდებითა და რიყის ქვით ნაგები, შედუღაბებული.

ავტობუსი ჩერდება და საათნახევრიანი მგზავრობის შემდეგ ვახოს მაინც ეჩვენება, თითქოს მისკენ მოცურავს უხეში, მაგარი, ძველებური გალავანი... წყაროა იქვე...

— დალიე, ნახე, რა კარგი წყალია. ვახო პირველად სვამს წყაროს წყალს.

— მოგეწონა?

— ძალიან.

●

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მაჯის საათს ქოქავდა, ლევანი და ვახო მის ოთახში რომ შევიდნენ. თავმჯდომარეს ეუცხოვა სტუმრები: — დაბრძანდით, რაშია საქმე?

ლევანმა მორიდებულად გაუღიმა:

— თბილისიდან ვართ, ისტორიის ინსტიტუტიდან, ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებიდან. თქვენი მხარე უნდა შევისწავლოთ, თქვენი მხარის ისტორიული წარსული, ჩვენ...

— ძალიან სასიამოვნოა, ძალიან კარგია, — თავმჯდომარემ ხელი ჩამოართვა ორივეს.

— ჩვენ უნდა შევკრიბოთ ძველი

ხელნაწერები, უნდა ჩავიწეროთ გადმოცემები, უნდა შევადგინოთ ტოპონიმიკა...

— დიახ, დიახ, — თავი დააქნია თავმჯდომარემ.

— უნდა შევისწავლოთ ისტორიული ძეგლები, ციხეები, ნაციხარები, ძველი სამლოცველოები, ნიშები, ძველი არხები, რუები...

— რუების მეტი რა გვაქვს.

— დიახ, ძველ სასაფლაოთა წარწერები და ასე შემდეგ.

— ძალიან კარგია, ძალიან, ბარაქალა. უკვე დაბინავდით?

— დიახ.

— ვისთან?

— გაიანე როა, მასწავლებელი... იმის სახლში.

— ოო, მშვენიერი ოჯახია.

— დიახ. თქვენ ორი მიზეზის გამო შეგაწუხეთ. პირველი...

— რა შეწუხებაა, რასა ბრძანებთ.

— დიახ,—ლევანმა ისევ გაუღიმა, — მივლინების ბარათზე ხელი უნდა მოგვიწეროთ და რამდენიმე მოხუცის გვარი უნდა ჩაგვაწერინოთ — მოხუცებს უფრო ემახსოვრებათ ძველი ამბები და გადმოცემები...

— რა თქმა უნდა, მეც მანდა ვარ. ჯერ ხელს მოგიწერთ... ჰო, ახლა კი მოხუცები....

ლევანმა ფანქარი მოიმარჯვა.

— ძულიაშვილი მათე...

— მამის სახელი?

— მათე... რა ერქვა, კაცო... ჰო, თევდორეს ძე! კიდევ?

— დიახ, კიდევ ორი-სამი კაცი.

— გოჩიაშვილი გიორგი სიმონის ძე... კიდე... ჰო, მართლა, კენჩხაძე ვანო დავითის ძე! იმაზე უკეთ ვერავინ გესაუბრებათ.

— რამდენი წლის იქნებიან?

— ეგენი? იქნებიან ასე... ოთხმოცი-ოთხმოცდაათისა... მართლა, ვანო კენჩხაძის პაპას ბატონი მოუკლავს, იმასაც მოგიყვებათ.

— დიდი მადლობა, — ფეხზე წამოდგა ლევანი.

— არაფერს, რისი მადლობა, რამე თუ დაგჭირდეთ, მე აქა ვარ, შემოიარეთ.

— დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

— იცოცხლე, იცოცხლე.

●

ნიჩბისი, ნამდვილი ქართლი...

ქვის ყორეები, დინჯად მიმავალი ნახირი, ჩრდილები გზაზე... სალმის მოყვარული ხალხი, ვაშლით დატვირთული ღრჭიალა ურმები... უცნაური წისქვილები; გარედან — კოხტა შენობა და გამჭვირვალე, ჩხრიალა წყალს აყოლილი ბორბალი; შიგნით კი ფქვილში ამოგანგლული, ბნელი და იდუმალი, მოგუგუნე... ეზოებში — გავარვარებული თონეები და ახლადგამომცხვარი პურის სურნელი... ცივი წყარო და თიხის კოკები... პურის, საქონლისა და კაკლის ხის სუნი...

სოფლის განაპირას ძველებური სასაფლაო გულუბრყვილო წარწერებით და უგუმბათო, დაქცეული ეკლესია... პატარა მდინარე, ერთი ბეწვა, სადღაც, მთებში შეკოწიწებული და მერე ქვებიან ხეობაში დამსხვრეული... ტყე, ტყე სოფლის განაპირას... ყვითელი ფოთლებით მოფენილი აღმართი, დამჭკნარი ფოთლები — მუხლამდე და ფეხის ნებას აყოლილი შრიალი... დაბურული, უცნაურად ჩუმი ტყე, უზარმაზარ, ჩაშვებულ ფუღურეებში გატრუნული ღრიალი დაგუბებულა თითქოს... ფოთლებისა და ხავსის სუნით გაჟღენთილი შეურყვნელი ჰაერი და მაინც სუნთქვაშეკრული სიარული ტყეში... ტოტებგადახლართული, გრილტანა ხეები... მოცახცახე ფოთლებზე დამსხვრეული სხივების ლტოლვა მიწისაკენ და ამ განათებულ სვეტებში მწერების ბოდიალი... უცნაური კაკუნის ხმა, ჩუმი და შემაშფოთებელი; ლოყაზე — აბლაბუდა... უზარმაზარი ჩრდილის სიმძიმე მხრებზე და ნანატრი სულისმოთქმა — ალაგ-ალაგ მწვანედ

ანთებული მდელო... უეცარი მზე — მკერდსა და თავზე, მზე — თვალებში და მერე ისევ ტყე, ქართლის ტყე, გრძელი, განიერი, დალოცვილი... ჩამკვრივებული, ბებერი ხეები და აქა-იქ შინდი და ასკილი, თითქოს პეშვით მიმობნეული, ჰაერში მოტივტივე... ძველებური კოშკი... ძველებური კოშკის ნანგრევები, რომელიც ათას მივიწყებულ საიდუმლოზე აგუგუნდება, ხელისგულს თუ მიადებ და თვალებს დახუჭავ... ტყე — იდუმალი, შემაშფოთებელი, დამამშვიდებელი და გაუთავებელი გამეორება გონებაში იმ ადგილის სახელწოდებისა, რომელმაც ესოდენ დიდი ბედნიერება მოგგვარა — ნიჩბისი, ნიჩბისი...

* * *

დიასახლისის ბიჭმა, თერთმეტი წლის გუჯამ, აღარ იცოდა რითი ესიამოვნებინა სტუმრებისათვის. ოთახში გახვითქული შემოვიდოდა, გამობერილ ჯიბეებში წვალებით ჩაიყოფდა ხელს და კაკლებს მაგიდაზე მორიდებულად დაყრიდა... დილით თბილი რძე ამოჰქონდა და მერე კმაყოფილი მიდიოდა სკოლაში. თუკი მოიცლიდა, ყველგან დაჰყვებოდა ლევანს და ვახოს, ფოტოაპარატის ტარება ეამაყებოდა და ფრთხილად მიაბიჯებდა იმ გზებზე, ადრე ციკანივით რომ დახტოდა. საღამოობით მძიმე პატეფონი შემოჰქონდა ოთახში და ლევანი და ვახო ღიმილით ისმენდნენ საოცრად თვითკრიტიკულ სიმღერას: „მე, რეგვენმა პატარძალმა“...

გუჯას ფირფიტებში ვახოს საყვარელი სიმღერაც ერია. ეს იყო ძველებური, ნაღვლიანი სიმღერა — „ისევ შენ და ისევ შენ“... საოცრად უხდებოდა დანჯღრეულ პატეფონს ესოდენ ძველი სიმღერა, უცნაურად თრთოდა მომღერლის ხმა, გაცვეთილი ნემსის ფხაჭუნიც ერთვოდა მუსიკას და გაურკვევლად, ბუნდოვნად მოისმოდა ვახოსათვის კარგად ნაცნობი, შეჩვეული, ერთგული სიტყვები: „ისევ შენ და ისევ შენ“...

ვახო იატაკზე იჯდა და ნიჩბისის მიდამოებს გასცქეროდა.

უცნაურია, ამ ერთგული სიტყვებისა და ლამაზი მელოდიის გაგონებაზე ვახოს ახსენდებოდა ის... ქვაზე მშვიდად ჩამომჯდარი, ხელმოღერებული, მწვანე ქალი...

„ისევ შენ და ისევ შენ“...

ცალი ხელით ქვას ეყრდნობოდა, მეორე კი თავსზემოთ შეემართა, სამთითის ნატეხიღა შერჩენოდა ხელში... მზე აცხუნებდა დამსკდარ, გლუვ მხრებზე...

ისევ შენ...

წვიმა, გულისწამღებად წვრილი, გაუთავებელი წვიმა აწვიმდა ჩაფიქრებულ ქალს, წვიმდა...

„ისევ შენ და ისევ შენ“... ერთგული, კეთილშობილი სიტყვები... ნაღვლიანი, ძველებური სიმღერა...

მისი მუქი სილუეტი ზამთრის გრძელ, ცივ, ბნელ ღამეში... მისი ნაცნობი, იდუმალი სილუეტი...

თოვლი დნებოდა მწვანე ქალის თავსა და მხრებზე, ლოყებზე, ნიკაპზე, პატარა მკერდზე წვეთები სდიოდა — დნებოდა თოვლი...

დიდი, დამჭკნარი, ყვითელი ფოთლები ცვიოდა ირგვლივ, მიწაზე ცვიოდა დამჭკნარი ფოთლები, გაუთავებლად ცვიოდა და თითქოს ნელა სცილდებოდა მიწას... და ზევით მიცურავდა მწვანე ქალი, მაგრამ ის ისევ ერთგულად, მშვიდად, ჩაფიქრებული იჯდა...

ისევ შენ და ისევ შენ...

დაბზარული, უერთგულესი ქალი...

* * *

— გუჯა,—ბლოკნოტი გადაშალა ლევანმა, — ძულიაშვილი მათე შინ იქნება?

— აბა რა, — გაიკვირვა გუჯამ, — სად უნდა წავიდეს რო...

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

— ახლოს ცხოვრობს?

— აგერა, იმ სახლში...

— დაუძახე ერთი, თუ არ გეზარება.

„რას ამბობ, როგორ მეზარება“, მორცხვად გაუღიმა გუჯამ:

— მათე პაპაა!

თმაჩამოშლილი ქალი მოადგა ჭიშკარს, ხელი მოიჩრდილა:

— მობრძანდით, გამარჯობა.

— გამარჯობათ, მათე ძულიაშვილის ნახვა გვინდოდა.

— მათესი? — გაიკვირვა ქალმა — მობრძანდით, მობრძანდით... შენთან არიან მათე.

— რაო?

— შენთან არიან, შენთან!

— ჩემთანა? — საწოლზე წამოჯდა ბერიკაცი, — რაღაც ვერა ვცნობ... თედოსი ხომ არა ხარ?

— არა, ბატონო, — გაუღიმა ლევანმა, — ჩვენ თბილისიდან ვართ, ისტორიის ინსტიტუტიდან, თქვენი სოფლის წარსული გვაინტერესებს.

— მართლა? — გაეხარდა მათეს.

— დიახ. თქვენ, ხნიერ ადამიანს, უფრო გემახსოვრებათ ძველი ამბები...

— როგორ არა, როგორ არა, ვიცოდი...

ლევანმა ფანქარი მოიმარჯვა.

— აი, სკოლის იქით რომ ყანებია, იმ ადგილს რას ეძახით?

— იმასა? — ქალს შეხედა მათემ, — რა ვიცი... ყანებს ვეძახით.

— სხვას არაფერს ეძახით?

— სხვასა? რა ვიცი... რაღაცას კი ეძახდნენ, მაგრამა... ეეჰ, მათე, მათე... დავბერდი კაცი, გული აღარა მაქ, გული... ავსტრიის ფრონტზე ვიყავი, აი, იდაყვში დამჭრეს, — მოხუცმა სახელო ძლივს აიწია და ვახო სიბრალულით შეაცქერდა მის შიშველ მკლავს.

— დიახ, ჩვენ... — გააწყვეტინა ლევანმა, მაგრამ მოხუცმაც გააწყვეტინა:

— კაცო! ფერდინარდი რო მოკლეს, რა ჩემი საქმე იყო, ჰა?

— დიახ, დიახ, — ლევანმა მიმოიხედა, — აი, კოშკი რომ დგას, იმ მთას რას ეძახით?

— რა ვიცი... მთას ვეძახით...

— აჰა! — ფეხზე წამოდგა ლევანი,— დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

— რა გეჩქარება, ბიჭო, — გაიკვირვა მათემ, — კიდევ მკითხე რამე...

ეზოს როგორც გასცდნენ, გუჯა აღშფოთდა:

— კაცო, ჩემთვის გეკითხათ, რატომ მიდიოდით იმასთან, იმას რაღა ახსოვს...

ლევანმა ბლოკნოტში ჩაიხედა და ნაღვლიანად მიუტრიალდა ბიჭს:

— ეს კენჩხაძე ვანო რამდენი წლისა იქნება?

— ეგა? — გუჯამ რატომღაც ეშმაკურად ჩაიცინა, — ეგა ყველაზე უფროსია ჩვენს სოფელში. მამაჩემი იძახის, ოთხმოცდაშვიდი წლისააო.

— უჰ, ეწყინა ლევანს, — მათეზე მოხუცია? კარგად ყოფილა ჩვენი საქმე.

— რათა?

— რათა და არც იმას ემახსოვრება არაფერი.

— ვისა, ვანოსა? ვანოს არ ემახსოვრება? — კინაღამ გადაირია გუჯა და დაქადნებით ჩაილაპარაკა: — იმას არ იცნობთ თქვენა...

ლევანმა ნაბიჯს მოუმატა:

— კენჩხაძის სახლისაკენ მივდივართ?

— ჰოდე, აი, იქა ცხოვრობს, სულ მაღლა... მაგაზე იძახიან, რუს ალმართში აიყვანსო...

მწვანეში ჩაფლულიყო ვანო კენჩხაძის სახლი.

— მაგისმა პაპამ თურმე ბატონი მოკლა.

— მართლა?

— ჰო. მაგას რომ ყურძენი აქვს, ტყუილია. ბიჭები გადავდივართ ხოლმე... ყველაზე ძნელი მაგის ყურძნის მოპარვაა. სულ ვენახშია და... გუშინ სანაძლეო მოვიგე, ისეთი მტევნები

გადმოვიტანე ამ ვენახიდანა, რომა... მაგას ვენახის ბოლოში ეძინა...

ვახომ გაიღიმა.

— მამაჩემი იძახის, ეგა და აგრონომი ერთად რო გაუშვა მინდორში, ვანო უკეთესად იტყვის, სად ხორბალი ამოვა, სად სიმინდი და სად ქერიო... ანგრა, ეს ქალი მაგისი ცოლია. დეიდა კატო! ძია ვანო სახლშია?

— გამარჯობათ, ვენახშია, ეხლავე მოვიყვან, დაბრძანდით...

ქალი ფეხშიშველი იყო. თუმცა მოხუცი იყო, თავი ამაყად ეჭირა და ძალიან უხდებოდა გრილ მიწაზე ფეხშიშველი სიარული.

დაბალ, სამფეხა სკამზე ჩამოსხდნენ; ძალიან გრილოდა ვანო კენჩხაძის ეზოში. კაკლის ხეზე დიდი უნაგირი ეკიდა.

— ცხენი ჰყავს?

— აბა ეგა უცხენოდ გაძლებს?

ქვემოთ ნიჩბისი მოჩანდა, ქართლის სოფელი, ალაგ-ალაგ ბოლი ამოდიოდა სახლებიდან. წყალი მიჰქონდა ვიღაცას, მთაზე ნახირი შეფენილიყო, რაღაც გაეხარდა ვახოს.

— შვილები თუ ჰყავს...

— კი, ხუთი შვილი ჰყავს, სულ ბიჭები. ქალაქში არიან... აგერა, მოსულა.

მოხუცმა გოლიათმა ჭიშკარი შემოაღო. დინჯად წამოვიდა სტუმრებისაკენ, ლევანი და ვახო ფეხზე წამოდგნენ. უზარმაზარი მოხუცი ახლოს მივიდა მათთან, ხელი ჩამოართვა და ვახოს პირველად შერცხვა თავისი ნაზი თითებისა.

— დაბრძანდით, — თქვა ვანო კენჩხაძემ და ცოლს მიუბრუნდა: — წყალი მომიტანე.

უცნაური სიდარბაისლე და სიმართლე იგრძნობოდა მის ყოველ მოძრაობასა და სიტყვაში, გაკვირებული შესცქეროდა ვახო.

პატარა დოქით ზედ თავზე დაისხა წყალი, თვალები მოიფშვნიტა, ლოყაზე ჩამოისვა თითები და ღიმილით მიუგდო გაკვირვებულ სტუმრებს:

— გლეხკაცი ვარ, მეპატიება.

სკამზე დაჯდა, დიდი ხელები მუხლებზე დაილაგა, სულგანაბული მიჩერებოდა ვახო. დედაბერიც შორიახლოს ჩამოჯდა.

— ჩვენ თბილისიდან ვართ, ისტორიის ინსტიტუტიდან, — დაიწყო ლევანმა, — თქვენი სოფლის წარსული გვაინტერესებს, ადგილების სახელწოდება...

მოხუცი დუმდა.

— თქვენ, ხნიერ ადამიანს, უფრო გემახსოვრებათ ძველი ამბები.

— კი.

— აი, იქით რომ მიწებია, — ხელი გაიშვირა ლევანმა, — იმ ადგილს რას ეძახით?

— სახასოს.

— აჰა, საინტერესო სახელია, — ბლოკნოტში ჩაიწერა ლევანმა, — იმ კოშკს?

— ციციაანთ კოშკია.

— იმ ეკლესიას?

— წმინდა გიორგისაა.

დინჯად, აუჩქარებლად პასუხობდა ვანო კენჩხაძე...

— უღრმესი მადლობა, — ფეხზე წამოდგა ლევანი, — დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

— დაჯე, დაჯე, — სკამზე ანიშნა ვანომ.

ლევანმა ვერ გაიგო.

— დაჯექი-მეთქი, შვილო. ჩემი სახლიდან არავინ არ გასულა, ჭიქა რომ არ აეწიოს. აბა, დედაკაცო, — ცოლს გადახედა ვანომ. ქალი ადგა და სამზარეულოში შევიდა.

— ჩვენ... გვეჩქარება... — ერთი კი შეწრიალდა ლევანი, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა — მოხუცი იჯდა და მიწას დასცქეროდა. მერე ნელა ასწია თავი, გუ-

---

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

ჯას შეაცქერდა. ბიჭს რაღაცა ცუდი უგრძნო გულმა, მორიდებულად გაუღიმა.

— ბიჭო, გუშინ ერთი ჩემებურად რო დამეჭექა, ხო გაგეპარებოდა ეგ ჩიტის გული, ჰა?

გუჯა მოიკუნტა, თავი დახარა.

— ემაგ თვალებს რო აცეცებდი, შე ჭინჭრაქა, მელასავით რო მოიპარებოდი, შე ქვეშქვეშა, რა ძალა გადგა? გეთხოვა და...

გუჯა უფრო მოიკუნტა, დაილია, მუჭისოდენა გახდა. ღიმილით დასცქეროდა ბიჭს ვანო.

— ბიჭო, საცაა ქალი უნდა შეგრთო და მძინარე კაცის მღვიძარესაგან გარჩევა აღარ შეგიძლია? ოო, შენი ცოლშვილი რა ვთქვა, შე მუზმუზელა.

ქალი მაგიდასთან მივიდა და თონის პურები დააწყო. ისიც ღიმილით უყურებდა გუჯას.

გაწითლებული გუჯა ხმას ველარ იღებდა და მობუზულიყო. ვანოს შეეცოდა, ასე რომ შეარცხვინა და დიდი, მძიმე ხელი დაადო თავზე. გუჯა გაიტრუნა.

— რა მოხდა, ბიჭო, რა დაიმორცხვე, ყურძენი ვის არ მოუპარავს.

გუჯას გაეხარდა და ქვემოდან ეშმაკურად ამოხედა.

— შენა გგონია, გიწყრები? მოდი ხოლმე ჩემთანა და რამდენსაც ზიდავ, იმდენ მტევანს მოგცემ, ოლონდ მითხარი. შენ ქურდი არ გამოხვიდე და თუ გინდა, ნახევარ ვენახს გაჩუქებ. არაყიც მოიტანე, დედაკაცო... ხომ არ მოგწყინდათ, სტუმრებო?

სტუმრები იღიმებოდნენ. ვახოს ძალიან მოუნდა, მოხუც გლეხს რაიმე მოეყოლა.

— ძია ვანო, თქვენმა პაპამ ჩატონი მართლა მოჰკლა?

— მოჰკლა.

— რატომ?

— ცუდი კაცი იყო და იმიტომ... ყველას სძულდა.

— მერე პაპათქვენს რა უყვეს?

— არაფერი, ხახვივით შერჩა... მოწმეებმა თქვეს, ბატონმა თოფში ჩაიხედა და გაუვარდაო. ექსპერტი მაშინ არ იყო და...

— სად მოკლა?

— ტყეში. ჩვენი ბატონი თავისი ჭკუით სანადიროდ წავიდა და... აბა, დავილოცოთ.

— არაყს ვერ დავლევ, რა, — სთხოვა ლევანმა.

— დალიე, შინაურია.

— ძალიან გთხოვთ.

— როგორც გინდა... მაშინ ეს დაისხი, ჩემი ვაზების სისხლია.

მართლაც მძიმე, მუქწითელი ღვინო იყო.

— როგორ შეგაწუხეთ, — თქვა ლევანმა, — სამუშაოსაც მოგაცდინეთ და...

— არა უშავს, მაინც უნდა დამესვენა. თქვენს მოსვლას გაუმარჯოს.

ერთმანეთი ადღეგრძელეს, ვანომ თვალები მოჭუტა:

— მოგწონთ?

— რა შესანიშნავია! — გულწრფელად გაიოცა ლევანმა.

— ძველი ღვინოა, ძველი. სუფთა ღვინოა, — მოხუცი რატომღაც დაფიქრდა და დიდიხნის ბოლომ უეცრად ამოხეთქა: — აბა, ზოგიერთივით ღვინოს კი არ გავრყვნი! — მუშტი დაჰკრა მაგიდაზე და თვალები ისე დააბრიალა, ვახომ. მაშინვე დაიჯერა, პაპამისმა ბატონი რომ მოჰკლა.

ვანო მიხვდა, სტუმრები რომ შეაცბუნა და იხუმრა:

— ღვინო ძველი სჯობს, ქალივით კი არ არი. აი, ესა, ისეთი ლამაზი დედაკაცი იყო...

და, საკვირველებავ, ამ დედაბერის თვალებში რაღაც სიკეკლუცემ იჩინა თავი ერთი წამით და მყის მიიმალა, თითქოს მთელ სხეულში დაურბინა — ქალი წამოდგა, ამაყად გაემართა სამზარეულოსაკენ... დარწმუნებული ნაბიჯები... ქალის თითებს გაოცებული შესცქეროდა ვახო — დაკოჟრებული, ყავისფრად დალაქული, ამტანი, რკინის გამცვეთი, არაქალური, მაინც დიდებული თითები... ვანოს თითები კი... ცო-

ლის მუშტს ჩიტის ბარტყივით დაიჭერდა ხელში ვანო.

თვალი გააყოლა ქმარმა:

— როგორ მოვუგე გული, ხედავთ?— მერე დაფიქრდა და ჩუმად დაუმატა: — არა, მართლა კარგი ბედაური ქალი იყო, მანგლისიდან მოვიტაცე...

— შენ ისა თქვი, — ოთახიდან გამოსძახა ქალმა, — პირველი ცოლი რო გყავდა.

— ხედავთ? — გაიღიმა ვანომ. რაღაც უცნაურად ხუმრობდა — თავხედი კაციც კი ვერ წაელაზღანდარებოდა: — ხედავთ? ვერ მოუნელებია... თითოც დავლიოთ. ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს.

დალიეს. ვახომ პური და ყველი დააყოლა ღვინოს.

— მამაჩემი ლონიერი კაცი ყოფილა, — თქვა მოხუცმა და ვახოს გაეხარდა, მასპინძელი ლაპარაკის გუნებაზე რომ დადგა: — რო შეგეხედათ, არც დაიჯერებდით, მე კი არა მგავდა, ჩია კაცი იყო.. ისე, ერთ ჩემისთანას კი მოერეოდა. იმისი წამქცევი ახლო-მახლო არავინ იყო. ერთხელ ვიღაცა კაცი მოუყვანიათ ქვიშხეთიდან და ჩვენი სოფლის თავმომწონე ბიჭები სულ წაუქცევია... მაშინვე მამაჩემთან კაცი აფრინეს. მამაჩემი კი ამ ვენახში იდგა თურმე, — ხელი გაიშვირა ვანომ, — თვალები დახუჭა და ერთიანად ცახცახებდა. რა მოგვიდაო, გაგზავნილმა ჰკითხა. აი, ჭიდაობა მამინდა და ამაკანკალაო.

იმ ფალავანს მამაჩემისთვის რო შეუხედია, უთქვამს, კიდევ მე ვარ მასხრად ასაგდები, მთელი სოფელი გაგილახეთო? რათაო, ჰკითხეს... აბა, ამ კრუხის პალოსთან უნდა მაჭიდაოთ ვაჟკაცი კაციო? მამაჩემი გაფითრებულა და ხალხი დაუთვალიერებია. ერთი კაცი მდგარა, შვიდ ფუთს იწონიდა თურმე, იმასთან მისულა, ხელები ჩაუჭიდია და მაღლა აუწევია. მაშინ კი უკადრია იმ ფალავანსა... ნეტაი არ ეკადრა... წაქცევას ვინ ჩივის, მთელი ზურგი გადაუყვლეფია. მამაჩემს ამ სახლიდან — თავი შეატრიალა ვანომ — მალამო გამოუტანია და მიუცია... ის კაცი ურმით წაუყვანიათ, მამაჩემი კი ისევ ვენახში ამოსულა.. .აი, ამ ვენახში, — ხელი გაიშვირა ვანომ.

დიდებულად ეჭირა თავი ლაპარაკისას — თვალები მოეჭუტა, ხელები მუხლებზე დაეწყო, გამართული იჯდა.

— პირველ ომში თუ იყავით, ძია ვანო?

— არა, ავად ვიყავი, ვერ წავედი.

სტუმრებს გაუკვირდათ — რა უნდოდა ამ დევკაცთან ავადმყოფობას.

— ჰე, — ნაღვლიანად ჩაიცინა ვანომ, — ნათქვამია, მტერი იმდენს ვერ დაგაკლებს, რამდენსაც მოყვარეო... ძმამ ისეთ დღეში ჩამაგდო, რომა... ვიღაც ლოთსა და ოხერს აეკიდა, ვეუბნებოდი, თავი გაანაბე-მეთქი, არაო... სოფელში რომ ჩამოივლიდნენ, ნასვამები, ხალხი ერიდებოდა...

თავი გაანებე-მეთქი, ისევ — არაო... თანაც ჩემი შიში ჰქონდა ხალხსა — ეს რო ცემით გავასიოთ, ვანოს ვიღა გადაურჩებაო... არა-მეთქი, ვიძახდი, რაც გინდათ, ის უყავით-მეთქი... არა სჯეროდათ, მაინც ძმააო. ერთხელ ისევ იმ კაცთან ვნახე, ქალაქში მიდიოდნენ საღლაბუცოდ და შინ დაეგდე-მეთქი, ვუთხარი... შენაო, ვისი ტიკი-ტომარა ხარო... ხალხში მითხრა... ხელი წავავლე და მიწაზე დავახეთქე... ის კაციც გვერდით მივუწვინე, პატარძალივითა... მერე დავლონდი, შემრცხვა, ამდენ ხალხში ძმებმა როგორ ვიჩხუბეთ-მეთქი, დავლონდი, ქვაზე ჩამოვჯექი, თავი ჩავღუნე... მერე ერთი კი მეტკინა და სხვა აღარაფერი მახსოვს... მომპარვია და ლოდი ჩაურტყამს თავში... ძლივს მოვედი გონზე, მკვდარივით ვიყავი თურმე, ორი თვე პირში წყალს მასხამდნენ და იმითი ვცოცხლობდი... გონზე მოვედი, ვხედავ, სხვა ვარ, ჩია, დალეული... ხუთჯერ ავდექი, ხუთივეჯერ წავიქეცი... რა მექნა, ვიწექი. ვიღაცეები

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

მოვიდნენ, დაჭერილი გვყავდეს თუ გამოვუშვათო... ეჰ, ჯანდაბას მაგისი თავი და ტანი, გამოუშვით-მეთქი... ეგ რო დაიჭიროთ, მაგისი შვილები ისევ ჩემი სარჩენები გახდებიან და გამოუშვით-მეთქი... გამოუშვეს, ახლოს აღარ გავიკარე. აი, ამ ჭიშკართან იჯდა ხოლმე და ტიროდა, შემომიშვი, მთვრალი ვიყავიო... ბოლოს შემოვუშვი, მაინც ძმა იყო, რა მექნა.. ორი წელიწადი ვიწექი, ცოლიც გამექცა.. აღარ იქნებოდა წოლა — ომში ბევრნი წაიყვანეს და ვეღარავინ მეხმარებოდა, ვენახი გავერანდა, აღარ იქნებოდა წოლა, ავდექი... რა ვიცი, რამ მომარჩინა.. მუშაობა უქუდოდ მიყვარდა, იქნება მზემ მიშველა... რა ვიცი, გლეხკაცი ვარ... ორ წელიწადში ისეთი გავხდი, მანგლისელებს ყველაზე ლამაზი ქალი მოვტაცე... გესმის, დედაკაცო? — უცებ გაიღიმა ვანომ. კეთილი გოლიათის სიცილი ჰქონდა, საღი კბილები მოუჩანდა, თვალები ეჭუტებოდა.

— ეს ჩვენ მშობლებს გაუმარჯოს, — ღვინო დაისხა ვანომ, — ცოცხლები გიცოცხლოთ, მიცვალებულების შენდობა იყოს, — ნელა გამოცალა ჭიქა, დაფიქრებული, ვინ იცის, მერამდენედ უსინჯავდა გემოს.

მერე ხელისზურგით მოიწმინდა ტუჩები:

— მარტოკა ვარ, მიჭირს...

— შვილები არ გეხმარებიან, ძია ვანო?

— ეჰ, სუყველა ქალაქში გაიქცა, ქალაქი ურჩევნიათ. წელიწადში ორჯერ თუ ამოვლენ... ერთი კი ხშირად დადის, მანქანა ჰყავს, შაბათობით ამხანაგები ამოჰყავს საქეიფოდ, ამოაგრუხუნებს ამ აღმართში მანქანას და, სანამ ხელს ჩამოგართმევდეს, ჯერ ბორბლებს დახედავს — ხომ არ გაცვდაო...

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეჰ, ახალგაზრდებს გული ქალაქისაკენ მიუწევთ. წავლენ, იბოდიალებენ, მერე მაინც დაუძახებს ესა, ეს... ტიალი, — წამოდგა და ფეხი დაჰკრა მიწაზე, მერე რაღაც რბილი და უცნაური შეეპარა ხმაში, ჩამოჯდა და ისე გაიმეორა: — ეს ტიალი...

ვახო მიჩერებოდა იმ ადგილს, ვანო კენჩხაძემ ფეხი რომ დაჰკრა. ეს იყო მიწა, მოხუცი გლეხის მიერ „ტიალად“ მონათლული, სიყვარულით გალანძღული.

— ეს იმ ხალხს გაუმარჯოს, — ჭიქა ასწია ვანომ, — ვისაც ამ ხეობაში უცხოვრია, ვისაც ამ მიწა-წყლისთვის უბრძოლია, ვინც ეს სოფელი შეგვინარჩუნა. დავით აღმაშენებელი ამ ხეობით ასულა დიდგორში, იმას გაუმარჯოს... ბევრი არ ვიცი, მაგრამ, მე მგონი, ეგეთი კაცი ქართველებს არა გვყავდა... იმას გაუმარჯოს. ცუდი ხალხიც ბლომად გვყოლია და ამიტომ პაპაჩემისთანებსაც გაუმარჯოს. თქვენც გაგიმარჯოთ, შვილებო, ეს ქალაქელი ხალხი ჩვენი გულისთვის სოფელ-სოფელ რო დადიხართ...

მშვიდად ლაპარაკობდა მოხუცი, ასეთი მშვიდი სახე შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ იმ კაცს, ვინც იცოდა ისეთი დიდი საიდუმლო, როგორიცაა...

მზის ფასი...

წვიმის ფასი...

და მიწის, მიწის ფასი...

7

გათენებისას თბილისის სადგურში რომ ჩამოვიდა, თავის თავს ვეღარ სცნობდა ვახო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეძინებოდა, რაღაც ახირებულ მოუთმენლობასა და მოჭმედების აუცილებლობას გრძნობდა. ტროლეიბუსს სულ ორიოდე წუთი უცადა, მაგრამ მაინც აფორიაქდა... ერთი სული ჰქონდა შინ მისვლამდე.

მაინცდამაინც აკაკი შეხვდა კიბეზე:

— ოჰ, ვერ გიცანი უცებ, გამდიდრდები, როგორა ხარ, ბიძია?

— კარგად, კარგად.

— კაცო, მელიქ-კაზარიანცის სახლს ანგრევენო, მართალია?

— არ ვიცი, აქ არ ვიყავი.

— სად იყავი? რატომ იყავი? — და-

აყარა აკაკიმ, მაგრამ ვახომ სწრაფად აირბინა კიბე. ოთახს თვალი მოავლო, საათს დახედა და მაშინვე ლექციაზე გაიქცა.

ლექტორი ფრანგ მწერლებზე ჰყვებოდა რაღაცას: — „როდესაც რომენ როლანს ჰკითხეს, თუ რატომ...“

ვახო გრძელ მერხზე იჯდა ფანჯარასთან. იქიდან კარგად მოჩანდა უნივერსიტეტის მშვენივრად მოვლილი ბაღი და ვახოს უკვე საშინლად ენატრებოდა ნიჩბისის მიშვებული, თავისთავს მინდობილი ტყე. აუდიტორიაში მხოლოდ ლექტორის დინჯი ლაპარაკი ისმოდა. სიწყნარე სუფევდა დიდ და ნათელ ოთახში, ვახოსთვის აუტანელი იყო ეს სიმშვიდე და უეცრად ძალიან დიდი ხმაური გაახსენდა: ეს იყო გაბმული ტაშისცემა, აღფრთოვანებული ხალხის მადლობა — ნიკოლა გიაუროვის მიმართ. ეს იყო დიდებული აქტი — მადლიერების ასე საქვეყნოდ გამოხატვა. ვახოს ხშირად ახსენდებოდა ამ მომღერლის ნაღვლიანი მადლობა აღტაცებული ხალხის ტაშისცემის პასუხად... იგი დაფიქრებული შესცქეროდა პარტერს და იარუსებს... ხუთიოდე წუთის წინ კი მან ისე იმღერა ერთი ცნობილი არია, როგორც არავინ — ეს იყო ნამდვილი, ცოცხალი, გაქნილი, ბომარშე-როსინისეული დონ-ბაზილიო, რომელსაც ამასთანავე დიდებული ხმა ჰქონდა. ხალვათ და შავ ტანსაცმელში გამოწყობილი, მაღალი, გამეჩხრებული თმითა და ძლიერი, თავზარდამცემი ხმით, დონ-ბაზილიო ჩია კაცს დასდევდა და ჭორების გავრცელების საშიშროებას უხსნიდა. იგი ამას უხსნიდა საოცრად ძლიერი, ლამაზი, ზემამაკაცური ხმით და თან სახელოებს იკაპიწებდა და მთელ სცენაზე დასდევდა შეშფოთებულ ჩია კაცს, სადმე კუთხეში მიიმწყვდევდა და მერე უზარმაზარი ყოირანივით დასტრიალებდა თავზე. და როცა არია დამთავრდა და ტაშისცემამ მთელი ხუთი წუთით შეაჩერა სპექტაკლი, დაღლილი და გამარჯვებული ნიკოლა გიაუროვი ნაღვლიანი ღიმილით ათვალიერებდა აღფრთოვანებულ პარტერსა და იარუსებს და თავს მძიმედ უკრავდა ხალხს.

ქუჩაში გასვლა ეჩქარებოდა ვახოს, ზარი რომ გაისმა, გოგის თავი აარიდა და მარტოკა წამოვიდა შინისაკენ. რაღაც უცნაურად ათვალიერებდა ხალხს, ყველას აკვირდებოდა... დარეტიანებული მიაბიჯებდა — უძილობა, ყურებში — ტაშისცემა, უცნობი ადამიანები, რაღაცა კარგის ჩადენის სურვილი...

ჯერ ფართო პროსპექტზე მიაბიჯებდა, მერე რატომღაც თავი დაადო და მაღლა აუყვა ქუჩას. მრგვალ ბაღში შევიდა და სკამისათვის სული აღარ შეუბერავს, ისე დაჯდა.

შორიახლოს არავინ ჩანდა, მხოლოდ მეეზოვე გვიდა ქუჩას. ვახო ცოტათი დამშვიდდა და რადგან ძალიან ეძინებოდა, ნაძალადევი ინტერესით დაიწყო ყველაფრის თვალიერება — ბუჩქებს გადახედა, ურნას შეაცქერდა, შეყვითლებულ ხეებს ააყოლა თვალი. მაღალი შენობის კუთხეში დიდულვაშა მეეზოვე ისევ საქმიანად გვიდა ვიწრო ქუჩას... რატომღაც შეჩერდა, ალბათ ვინმეს უნდა გამოევლო.

მოსახვევიდან ორი კაცი გამოვიდა, ერთი თეთრწვერიანი მოხუცი იყო, მეორე — შუახნისა, არაფრით გამოირჩეოდა. იმათ უკან ახალგაზრდა ქალი მოდიოდა, ხელში ჩვილი ბავშვი ეკავა. ქალის გვერდით მაღალ-მაღალი, ქუდიანი კაცი მოაბიჯებდა, ძალიან გულგრილი სახე ჰქონდა. უკან ორი დედაკაცი მოჰყვებოდა, ერთს ფრთა გაერჭო ქუდში, მეორეს ტუჩ-ნიკაპზე შემოეჭიდო თითები და რაღაცას ფიქრობდა... მოდიოდა ხალხი...

მეეზოვე მშვიდად იდგა, აღარ აპირებდა ქუჩის დაგვას, ცოცხისაკენ აღარც იხედებოდა, არაფრისმაქნისი, დაცლილი თოფივით ეკავა ხელში.

მოსახვევიდან ისევ გამოდიოდნენ ვიღაცეები — სათვალიან კაცს პატარა ბი-

---

გურამ დოჩანაშვილი
შენი მწვანე და

ჭისათვის ჩაეჭიდა ხელი, ბავშვი სათამაშო მანქანას ხმაურით მოაპროწიალებდა. მათ უკან მომავალი პორტფელიანი მამაკაცი ფრთხილობდა, უნებურად მანქანაზე რომ არ დაედგა ფეხი და ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა თანამგზავრს — მაღალ, ლამაზფეხება ქალს, რომელსაც ზურგიდან აღტაცებით ათვალიერებდა ვიღაც ხელჯოხიანი კაცი.

მათ დანახვაზე ვახომ უნებურად ჯიბეში ჩაიყო ხელი, მაგრამ ვაშლები აღარ დახვდა.

ხელჯოხიანის გვერდით აჩაჩულ-დაჩაჩული ახალგაზრდა კაცი მოდიოდა. მის გასვრილ ზურგს საყვედურით შესცქეროდა ვიღაც ხანშიშესული ქალი, ალბათ, დედა თუ იყო მისი. ქალს ორი მამაკაცი მოჰყვებოდა ფეხდაფეხ, ამაყად ეჭირათ თავი, დინჯად გაჰყურებდნენ წინ მიმავლებს. იმ დარბაისელი კაცების უკან კი ვიღაც ყმაწვილი ისე უთავბოლოდ იქნევდა ხელებს, ვახოს კინაღამ გაეღიმა. ყმაწვილი ხანდახან ხვდებოდა, ნამეტანი რომ მოსდიოდა და ხელებს ისე აღარ იქნევდა, სამაგიეროდ, ამ დროს ძალდატანებისაგან უფრო გაჯგიმული მიაბოტებდა, ცოტა ხანში კი ისევ ავიწყდებოდა ყველაფერი — მხრებს ჩამოყრიდა, მოეშვებოდა და ხელებიც ნება-ნება ქანაობდნენ. მის უკან ორი გოგო მოდიოდა და იღიმებოდნენ — იმ ყმაწვილს კი არ დასცინოდნენ, უბრალოდ, ეღიმებოდათ. იმ გოგონებს პატარა, დალეული, მუჭისოდენა დედაბერი მოსდევდა, წელში გალუნულიყო საცოდავი, ძლივს ადგამდა ფეხს... მის უკან ორი კაცი მოდიოდა, ერთი — მაღალი, გამხდარი, მეორე — მაღალი, მსუქანი...

მეეზოვემ ცოცხი მოიმარჯვა და თავისი საქმე განაგრძო.

მოსახვევიდან აღარავინ გამოდიოდა. ვახომ თვალი გააყოლა ხალხს, უყურა, უყურა და ნებადაურთველმა, თავისთავად მოსულმა სურვილმა ააფორიაქა — ძალიან მოუნდა, რაღაც კარგი და სასარგებლო გაეკეთებინა ამ უცნობი, ჭრელი ხალხისათვის, სადღაც რომ მიდიოდა (ვახომ საათს დახედა) თორმეტის ათ წუთზე...

სახლისკენ საჩქაროდ გაემართა, გრძელი და ფერადი, ოლროჩოლრო ნავი კი სადღაც ზურგსუკან, შორს მიცურავდა. მაინც კარგად ახსოვდა ისინი ვახოს, კიბეზე რომ ადიოდა, მაშინაც ახსოვდა, მერეც, კარი როცა გამოაღო, ოთახი რომ გაიარა და დაკეტილ დარაბასთან მივიდა, ყველანი ძალიან კარგად ახსოვდა...

დარაბა გამოაღო და შეაცქერდა...

ის თითქოს იყო სიკეთე, ქვაზე მშვიდად ჩამომჯდარი და ხელმოღერებული...

ის იყო სიკეთე, მისი უფროსი და, რომელიც ხელიხელჩაკიდებულს დაატარებდა ბავშვობაში... და რომელიც შეცდომების, აღმოჩენებისა და ნაადრევი დასკვნების ასაკში დროებით გადაივიწყა...

„ისევ შენ და“...

ის იყო სიკეთე, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდნენ ისინი, ვინც აღაფრთოვანებდა ვახოს... ყოველგვარი ტაშისცემის გარეშე...

ვახოს საოცრად სიამოვნებდა მათი გახსენება, მათი სახელების ჩამოთვლაც კი უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა:

ნელა იმეორებდა მათ სახელებს, უხაროდა და მაინც გრძნობდა, როგორ ართმევდა თავს ძილი... დიდი-დიდი, ხუთიოდე წუთი კიდევ გაეძლო... ახლა აუცილებელი იყო დასვენება. ტახტზე ჩამოჯდა, მერე ადგა და ნიჟარა აიღო. ემსუბუქა, ფრთხილად მიიტანა ყურთან.

ჩუმი, ნაცნობი გუგუნი შემოესმა, ტახტზე წამოწვა...

ზღვა გუგუნებდა, მშვიდად იძინებდა ვახო, ნელა ირწეოდა ტალღებზე, საოცარ ზღვას ყურს უგდებდა ვახო, უცნაურ, ყოველნაირ ზღვას... ჩუმად შიშინებდნენ ტალღები...

ზღვა — იდუმალი და მოგუგუნე, გამჭირვალე... და ამღვრეული წყალი, ზღვა — თავაწყვეტილი, ღონიერი, ამა-

ყი და ნაპირთან მაინც ყველას ფეხქვეშ გაგებული, ზღვა — კეთილი, თევზით სავსე და ზღვა — გონებაჩლუნგი, ყალყზე შემდგარი... ზღვა — ზედაპირზე დამპალი ფიცრებითა და ზღვა — მარგალიტებით ფსკერზე... ზღვა — იდუმალი, მოგუგუნე...

გუგუნი... გუგუნი... ისევ გუგუნი და...

ის კი ისევ მშვიდად, ფეხმოკეცილი იჯდა თავის ქვაზე. დაფიქრებული იცქირებოდა მღვრიე წყალში და სამთითი მოემარჯვებინა. თითქოს რაღაცას ეძებდა, ფიქრობდა რაღაცას... სხივი ცელქობდა ქალის სახესა და გლუვ მხრებზე, დამსკდარ საღებავს აჩენდა, პატარა მკერდზე ელამუნებოდა, სამთითში სხლტებოდა, თავაწყვეტილი ეთამაშებოდა მთელ მის მწვანე სხეულს, მაგრამ ქალს თავისი საქმე ჰქონდა და დაფიქრებული დასცქეროდა წყალს... ჩვეული სიდინჯით გადიოდა დრო, ერთმანეთს დინჯად მოჰყვებოდა ოთხი გოლიათი. მძიმე ნაბიჯით გადადიოდნენ ისინი მწვანე ქალის თავსა და მხრებზე, სიცივე ამკვრივებდა მის სხეულს, სიცხე დადნობით ემუქრებოდა, მკვდარი ფოთლები შემაშფოთებელი მაგალითივით დაფარფატებდნენ ირგვლივ და შხაპუნა წვიმა როკავდა მის სხეულზე, მაგრამ მთას ეფარებოდა დაღლილი მზე, მძიმე წვეთები იმსხვრეოდნენ ქალის მხრებზე და მის ფერხთით გუბეში ცვიოდნენ. ერთმანეთს აძევებდნენ გოლიათები, ერთ წრედ შეკრულნი, ზურგით გრძნობდნენ ერთმანეთის ცივ და ცხელ სუნთქვას, მათ დინჯ ჭიდილში გადიოდა დრო, მაგრამ მივიწყებულ ქალს საღებავი გაუხუნდა მხოლოდ.

„ისევ შენ და ისევ შენ...“

ცალი ხელით ქვას ეყრდნობოდა, მეორე კი მაღლა შეემართა, სამთითის ნატეხიღა შერჩენოდა ხელში... მზე აცხუნებდა დამსკდარ, გლუვ მხრებზე...

„ისევ შენ“...

წვიმა, გულისწამღებად წვრილი, გაუთავებელი წვიმა აწვიმდა ჩაფიქრებულ ქალს, წვიმდა...

მისი მუქი სილუეტი ზამთრის ბნელ, ცივ, გრძელ ღამეში... მისი ნაცნობი, იდუმალი სილუეტი...

თოვლი დნებოდა მწვანე ქალის თავსა და მხრებზე, ლოყებზე, ნიკაპზე, პატარა მკერდზე წვეთები სდიოდა — დნებოდა თოვლი...

დიდი, დამჭკნარი, ყვითელი ფოთლები ცვიოდა ირგვლივ, მიწაზე ცვიოდა დამჭკნარი ფოთლები, გაუთავებლად ცვიოდა და თითქოს ნელა სცილდებოდა მიწას და ზევით მიცურავდა მარადმწვანე ქალი...

ვახოს ეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარიელ ჭანგურია

სექტემბერი

ჩაბღუჯული მაქვს მოკლე სადავე —
თეთრი ფაფარი, დაწნული ბირკით,
თითქო არც მახსოვს, ვინ ვარ, სადა ვარ —
ცხენმა ფლოქვებით გათელა ფიქრი.

მთიბველმა იცნო არწივის ჩრდილი
და მოუქნია ელვარე ცელი,
ცელს უღერებენ სექტემბრის დილას
მკლავღონიერი ადამის ძენი,

და ჩემი ხსოვნა, ვით მრუდე სარკე,
ან დაწყვეტილი და ძველი ფირი,
ძლივსღა იგონებს შენს ვიწრო სარკმელს
და სექტემბერში გარინდულ თბილისს.

* * *

გაიღო ღამე, როგორც კარები
და შემოვიდა ქერათმიანი დღე —
ცალთვალა დედამიწის
მშვენიერი მეორე ნახევარი...
მისი ორკეცად დაგრაგნილი
მდინარეები,
მის ცისფერ თვალში ჩარჩენილი
თეთრი ღრუბელი,
კენარი ალვის წამწამები,
მხურვალე მკერდი
გულებს და მზერას
ღიმილით ავსებს,
და ამაყად თავაწეული
მიდის ჭალაში თმების სწორებით
მაღალი დღე —
ცალთვალა დედამიწის
მშვენიერი მეორე ნახევარი...

* * *

გაიღო ნისლის თეთრი კარები
და როგორც ზუსტი შედარება —
მე დავინახე შენი ეზოს კიპარისები.
ყრია ნეშოში
ეკლიანი ნაყოფი წაბლის —
ათასი მოუკარებელი გული.
ჩიტის კვერცხივით ჰერმეტული
და სათნო გული
დახურულია სიყვარულისთვის,
მაგრამ მზე-კრუხი დააცხუნებს
მის ცისფერ ნაჭუჭს,
რომ იშვას გრძნობა უწმინდესი
და უმაღლესი.
ჯერ კი... ჯერ შენს თავს ისევ მახსენებს
ეს ეკლიანი წაბლის ნაყოფი —
მიუკარებელი გული...

მტვერი გარდაცვლილი მეგობრის როიალზე

ბუნებამ თითქო ლაღობით შეგქმნა,
რათა ჯერ მტვრად ექციე,
მერე კი ამ მტვერზე თითით დაეწერა:
„ვიყავი შენთან,
არ დამიხვდი“...

ტოლოგა და უტოლოგა

ღმერთმა ქნას,
შეხვედრაც იმდენი იყოს ამქვეყნად,
რამდენიც განშორებაა...

ღმერთმა ქნას,
შეყვარებული გოგოც იმდენი იყოს ამქვეყნად,
რამდენიც შეყვარებული ბიჭია...

ღმერთმა ქნას,
სიცოცხლე
სიკვდილზე მეტი იყოს ამქვეყნად...

შეფუან ცვაიგი

სახლი ფლოვის პირას

პიესა სამ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

გოტჰოლდ კრიუგერი — მოხუცი ლოცმანი
თომასი — მისი ძმისწული
კატარინა — თომასის ცოლი
ქრისტინა — მათი ქალიშვილი
ახალგაზრდა მეზღვაური ოფიცერი — რომელიც მსახურობს ერთ-ერთ გერმანელ მთავართან
სერჟანტი
გზირი (ჯარის ჩამომკრებები)
პეტერი — კატარინას მეორე ქმარი
მღებავი
შავწვერიანი რეკრუტი
ჯარისკაცები, რეკრუტები

მოქმედება მიმდინარეობს მეთვრამეტე საუკუნეში გერმანიის ერთ-ერთი სანავსადგურო ქალაქის მახლობლად. ეს ის პერიოდია, როცა იწყება ომი ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის.

სამივე მოქმედების მანძილზე ერთი დეკორაციაა: მოხუცი ლოცმანის სახლის ერთი ოთახი.

მოქმედება პირველი

სცენაზეა კატარინა, შემოდის მღებავი.

კატარინა — დაახლოებით ოცი წლისაა, გამომწვევი სილამაზისა, ფუშ-ფუშა, წითური თმა აქვს. მოძრაობს სწრაფად და მოქნილად. ლაპარაკობს ჩქარი, შემპარავი, რბილი ხმით. ჩაცმულია საკმაოდ სადად, მაგრამ მკაცრად და აკურატულად. უკეთია თეთრი წინსაფარი. თავისი მოხდენილობის გამო უცხოდ გამოიყურება ამ ძველებურ სახლში.

მ ღ ე ბ ა ვ ი — ღმერთი იქნება ჩვენი მოწყალე!
იმ კრონშტეინზე დავკიდებთ აბრას
და იგი, როგორც გაწვდილი ხელი,
მოიპატიჟებს გამვლელ-გამომვლელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ტ ა რ ი ნ ა — აბრაზე უნდა დავწეროთ: „ცეცხლი“.
დე, ელვარებდეს ყოველი ასო.
ნავსადგურიდან, ხომალდებიდან
მეზღვაურები ყველაზე უფრო
აქეთკენ უნდა მოიჩქაროდნენ.

მ ღ ე ბ ა ვ ი — ეს თავისთავად ასე იქნება!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — აბა, იჩქარე!

მ ღ ე ბ ა ვ ი — ახლავე დავწერ.
თქვენ ოღონდ ღვინო მომართვით მალე,
რომ გამიმაგროს, გამითბოს ხელი.

კ ა ტ ა რ ი ნ ა — (სიცილით უვსებს კათხას ღვინით)
აჰა, მიირთვით.

(მღებავი სწრაფად იღებს კათხას, სვამს. შემოდის მოხუცი ლოცმანი გოტ-ჰოლდ კრიგერი. იგი დაახლოებით სამოცი წლისაა, მაგრამ მხნედ გამოიყურება. ჭაღარა თმა მოკლედ აქვს შეკრეჭილი. მეზღვაურთა წესისამებრ ულვაშგაპარსულია, დატოვებული აქვს მხოლოდ წვერი. ქარდაკრული, მზეზე დამწვარი სახე აქვს. სხეული სწორად უჭირავს და ნამდვილად რკინის ნებისყოფის ადამიანი უნდა იყოს. თვალები ფოლადივით ნაცრისფერი აქვს, ხმა — გამოკვეთილი. ლაპარაკობს მტკიცედ და უხეშად. უფრო ხშირად დუმს და თითქმის ყოველთვის პირში გაჩრილი აქვს თიხის ჩიბუხი).

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (უსიამოვნოდ გადახედავს მღებავს, შემდეგ ხელს დაავლებს აბრას). ეს რაა?

მ ღ ე ბ ა ვ ი — აბრა.

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — რად გინდა მერე?

მ ღ ე ბ ა ვ ი — თქვენი სახლისთვის.
თვალისმომჭრელად ავაელვარებ
ამ სამიკიტნოს სახელწოდებას.

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (გულმოსული)
აბრა ამ სახლზე?! რაში მჭირდება?!
მთელს ნავსადგურში ვის ნახავ ისეთს,
ლოცმანის სახლი რომ არ იცოდეს?
წადით, ხალხს ჰკითხეთ სანაპიროზე,
ბავშვებიც მყისვე მოგასწავლიან.
წადით, გამშორდით!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — (მორიდებით) რატომ, ბატონო?!
მომეცით ნება, ეს სახლი მოვრთო.

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — არ საჭიროებს ეს სახლი მორთვას.
ასეთი დახვდა მამაჩემს იგი,
სწორედ ამგვარი გადმომცა მანაც,
და ასეთივე გადაეცემა
ეს სახლი შვილებს და შვილიშვილებს
წადით, გამშორდით!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — კი მაგრამ, აბრა
ხომ საჭიროა აუცილებლად,
რათა იცოდეს ყველა გამვლელმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ელოდება მათ მასპინძელი,
ლხინი, ღვინო და თავშესაფარი.

გოტჰოლდი — ეს ყველამ იცის. ლოცმანის სახლი
ცნობილი არის დიდი ხანია.
და ვისაც შია, სწყურია, სცივა,
ის თავშესაფარს ჩემთან იპოვნის.
და ვინც არ იცის... ნურც მოვა ჩვენთან,
ასი წელია იცნობენ ამ სახლს.

კატარინა — გვეყოლებოდა მეტი სტუმარი...

გოტჰოლდი — მეტი სტუმარი არა მჭირდება.
რომ ვყოფილიყავ მართლა მდიდარი,
ამ სახლის ნაცვლად აქ მექნებოდა
ღარიბ-ღატაკთა და დავრდომილთა
თბილი და მყუდრო თავშესაფარი.

კატარინა — ეჰ, თქვენ რა გიჭირთ! თქვენ ყოველ დილით
ნავით გადიხართ შუაგულ ზღვაში.
ხალხს ხვდებით, ცხელ-ცხელ ამბით ერთობით.
საღამოობით ზიხართ ღუმელთან,
უსიტყვოდ, წყნარად აბოლებთ ჩიბუხს.
მე მარტო ვრჩები და მეშინია,
წაღიღინებაც ვერ გამიბედავს,
რომ არ დაირღვეს ეს მყუდროება.
ო, როგორ მინდა ვიხილო ხალხი,
მათგან ვისმენდე საოცარ ამბებს,
თუ სად რა ხდება ამ ქვეყანაზე.

გოტჰოლდი — ბედნიერება არ მოაქვთ სტუმრებს. (მღებავს)
წაიღე აბრა. ჰა, გასამრჯელოც.
აჰა, ეს ფული...

კატარინა — ნება მომეცით...

გოტჰოლდი — ვიდრე ცოცხალ ვარ, ამ სახლს სახელი
არ შეეცვლება, რჩება იგივე,
რაც ერქვა უწინ მამა-პაპის დროს. (მღებავს)
თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ ახლა.
(მღებავი გაკვირვებული შეჰყურებს დიასახლისს)

კატარინა — (მღებავს ანიშნებს, წავიდეს. მღებავი იღებს ქუდს და
გადის. კატარინა მიდის კარადასთან. გამოაქვს ხელსაქმე-
სიჩუმე პაუზის შემდეგ).

გოტჰოლდი — (უახლოვდება კატარინას).
მოვხუცდი ალბათ და ამ ქვეყნისა
ბევრი რამ უკვე არ გამეგება.
მაგრამ თქვენ უნდა გესმოდეთ ჩემი:
ამას გთხოვთ ყველას — ნუ შეეხებით
მას, რაც წმინდაა მარადჟამს ჩემთვის.

კატარინა — ვიცი, რომ პირველ დღიდანვე გძულვართ.

გოტჰოლდი — რაზე მეტყობა? მითქვამს კი რამე?

კატარინა — ეჰ, უსიტყვოდაც ვგრძნობ ყოველივეს.

გოტჰოლდი — (ძალიან რბილად).
როცა ჩემს ძმისწულს, მემკვიდრეს ჩემსას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰყევით ცოლად, მე გადმოგეცით
ეს მშობლიური, ძვირფასი სახლი.
გულით გისურვეთ ბედნიერება.
და არ მიკითხავს, რა მოგყვათ მზითვად,
ვინა ხართ, ანდა საიდან მოდით!

(კატარინა თავს ჩაქინდრავს ხელსაქმეზე და დუმს. გარედან ისმის ფეხის ხმა. სწრაფად შემოდის თომასი. მას აცვია მაღალყელიანი საზღვაო ჩექმები. მხრებგამართული ვაჟკაცია, გოტჰოლდს ჰგავს, მაგრამ ბევრად უფრო ახალგაზრდაა. წვერიც კი მოხუცი ლოცმანივით აქვს მოშვებული. მისი ხმა ომახიანად, დამაჯერებლად ეღერს. სჭარბობს ხალისიანი ინტონაციები).

თ ო მ ა ს ი — ღმერთი გწყალობდეთ!
(კოცნის კატარინას და თმაზე ხელს გადაუსვამს)

კ ა ტ ა რ ი ნ ა — სალამი თომასს!

თ ო მ ა ს ი — აგერ, მღებავი შემომხვდა გზაზე,
ეტყობა, ღვინო აქ გადაუკრავს.
რაღაცა აბრა ახსენა, მგონი.
ამბობდა: ჩერჩეტ მოხუცებულებს
ჭკუა თანდათან უთხელდებათო.

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — ჩემზე იტყოდა, რაღა თქმა უნდა.

თ ო მ ა ს ი — რას ამბობ! როგორ გაგიბედავდა!

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — მე ავუკრძალე გაეკრა სახლზე
უშნოდ ნათითხნი, ჭყეტელა რაღაც...

კ ა ტ ა რ ი ნ ა — აბრაზე ამბობს. არ დაგვრთო ნება...

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (კატარინას).
მოცდა მოგიწევთ ჩემს სიკვდილამდე,
შემდეგ როგორც გსურთ, როგორც გენებოთ...

თ ო მ ა ს ი — ასე სასტიკად ნუ მოექცევი,
ქალი ახლახან შემოგვეკედლა,
ახლა შემოდგა ჩვენს სახლში ფეხი,
ჯერ ჩვენს გარემოს არ შესჩვევია,
მაგრამ ვგრძნობ უკვე, რომ შეეჩვევა
და შეიყვარებს ყველაფერ იმას,
რაც სანუკვარი გამხდარა ჩვენთვის.
(კატარინას) ხომ მართალს ვამბობ, შენ უკვე გიყვარს
ეს სახლი, ზღვაზე გადასახედი!

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — ღმერთმა გისმინოს... ღამე ნებისა.
(ადის კიბეზე, ზედა ოთახში)

თ ო მ ა ს ი — რა მოგივიდათ? ისევ იჩხუბეთ?
უჯიათია... ყურსაც არ გიგდებს.
აბრა მეტ მუშტარს მოიზიდავდა
და საქმეც უკეთ წაგვივიდოდა.

კ ა ტ ა რ ი ნ ა — ახალ, ლამაზ სახლს ავაშენებდით...
მაგრამ ჯიუტობს. არაფერს გვითმობს...
ალბათ შინიდან გამაგდებს მალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ო მ ა ს ი — და ნურც დასძრახავ. საწყალი კაცი
აქ გაიზარდა, აქვე დაბერდა,
შეესისხლხორცა აქაურობას,
შენ კი ჯერ ისე არც შესჩვევიხარ.

კ ა ტ ა რ ი ნ ა — აქაურობა მაგისი გახლავს,
მე კი უცხო ვარ და ჩემს სურვილებს
უფრო ნაკლები აქვს მნიშვნელობა,
ვიდრე ქარს, აგერ ძველ საკვამურში.

თ ო მ ა ს ი — ნეტა რას ამბობ! მოხუცდა კაცი,
რასაც აქ ხედავ, მაგისი იყო,
შენ, უთვისტომოდ გაზრდილი ქალი,
ვერც კი გაიგებ მის გულისნადებს.

კ ა ტ ა რ ი ნ ა — არ გედავები.

თ ო მ ა ს ი — მადლობელი ვარ.
(კოცნის კატარინას)

(ღია კარში გამოჩნდება მეზღვაური — სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, საზეიმოდაა გამოწყობილი. ოდნავ შემთვრალია).

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — სალამი!.. მგონი, გზა არ შემშლია,
აქ მომასწავლეს — დალევა თუ გსურს,
სასმელს ლოცმანის სახლში ჰპოებო.
ეს არის, მგონი, ლოცმანის სახლი.

კ ა ტ ა რ ი ნ ა — ხომ ხედავ, თომას, აკი გითხარი,
შემთხვევით მოხვდა ჩვენთან ეს კაცი.

თ ო მ ა ს ი — (ერთდროულად)
მობრძანდით ჩვენთან, როცა გენებოთ!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — რა გსურთ მოგართვათ?

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — მაგარი რამე!
(კატარინა უდგამს ღვინით სავსე დოქს. მეზღვაური ლალევს და კათხას მაგიდაზე დადგამს)
დღეს გულით უნდა ვიმხიარულო.
ეს რა ხალხი ხართ? რას დგახართ განზე?
გეპატიჟებით! დაბრძანდით!.. მოდით!
როდესაც სამი ქეიფობს ერთად,
სულშიაც თბილა, ღვინოც ტკბილია.
(თომასი და კატარინა გვერდით მიუსხდებიან)

კ ა ტ ა რ ი ნ ა — სანაძლეოს ვდებ, დღეს თქვენ მოიგეთ!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — თითქმის ასეა.

თ ო მ ა ს ი — მაშ, იქორწინეთ?

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — იქორწინეო?.. ხუთი წლის წინათ!
არც ვნანობ, შემხვდა ისეთი ქალი,
სანთლით ეძებო, ვერსად იპოვნი!
მყავს ერთი გოგო და ორი ვაჟი.
თქვენ უშვილო ხართ?

თ ო მ ა ს ი — (სიცილით) ჰო, ჯერჯერობით!
იქნება ღმერთმა ჩვენც მოგვივლინოს!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — გაჩუმდი, თომას. არა გრცხვენია?

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — რისი გრცხვენიათ! ვაჟზე უტკბესი
რა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ო მ ა ს ი — სიმართლეს ამბობთ. მოდით და შევსვათ,
შვილების იყოს ეს სადღეგრძელო!
(სვამენ)
ახლა გვიამბეთ, თუ რა შეგემთხვათ.
მას შეუძლია იცინოს ასე,
ვინც სიხარულით არის გამთბარი.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ალბათ გსმენიათ პარაგვაული
ვერცხლით დატვირთულ გემის ამბავი, —
ბისკაის ყურის სანაპიროსთან
ხელთ როგორ იგდეს ინგლისელებმა.

თ ო მ ა ს ი — ო, როგორ არა! ასეთი დავლა
ჩვენს დროში, მგონი, არავის ახსოვს.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — იქ გახლდით სწორედ. დამჭრეს კიდევაც
და ჯილდოც მომცეს ამ ჭრილობისთვის.

თ ო მ ა ს ი — თქვენ იქ იყავით?

კ ა ტ ა რ ი ნ ა — როცა ქონებას
ანაწილებდნენ?

თ ო მ ა ს ი — ალბათ დიდძალი
ფული გხვდებოდათ თვითეულს წილად!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ერთი ათასი ტალერი ვერცხლი.
და ისიც სუფთა, კრიალა ვერცხლი.
დიდი ფულია. მომწყვიტა წელი,
მაგრამ ერთხელ არ დამიკვნესია.

კ ა ტ ა რ ი ნ ა — (სიხარბით) ბედნიერი ხართ! ათასი ვერცხლი!

თ ო მ ა ს ი — ფრთხილად იყავით. აქ ბევრი დაძრწის
მძარცველი, ქურდი და გაიძვერა,
სხვის ჯიბეებში უყვართ ფათური...

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — რას დამაკლებენ. კარგად დავმალე:
მთელი ის ფული მიწას მივანდე...

კ ა ტ ა რ ი ნ ა — რამ გაგაგიჟათ, როგორ თუ მიწას!
მერე, უცებ რომ წააწყდეს ვინმე?!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ვერვინ წამართმევს. რაც ფული მქონდა,
მიწად ვაქციე. ვიყიდე სახლი,
ყანა და მდელო, ძროხა და ბაღი...
მიწად ვაქციე მთელი ის ვერცხლი
და ახლა ღმერთს ვთხოვ მოსავალს მხოლოდ.

თ ო მ ა ს ი — (გულაჩუყებული)
მიწა ასკეცად მოგიზღავთ ამაგს!
გვიამბეთ, ბარემ, თავს რა გადაგხდათ.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — როგორც ჩამოველ, მინდოდა სწრაფად
შინ მიმეტანა ნადავლი ვერცხლი,
უეცრად გზაზე მეზობელს შევხვდი,
ამბავი ვკითხე და გამოირკვა —
ამერიკაში აპირებს წასვლას.
მით უკეთესი! გზა მშვიდობისა!
მე კი ამ სახლს და მიწას ვყიდულობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეყო სიკვდილთან მუდამ თამაში.
მსურს მტკიცედ მედგას მიწაზე ფეხი,
მინდა ვცხოვრობდე შვილებთან ერთად.
მიყვარს მამული, და მინდა შრომით
მშობელ მიწაში გავიდგა ფესვი
და სამუდამოდ ჩავუშვა ღუზა.

თომასი — (მხარზე ხელს დაჰკრავს)
ეს მართალია. ჩვენ, ზღვის სულებმა,
ვიცით მშობლიურ კერიის ფასი.
შინ ყოფნა არის ბედნიერება.
ღამით სახლში ხარ, გარედან გესმის:
ბობოქრობს ქარი, შხაპუნობს წვიმა,
შინ კი ბრიალებს ლამაზად ცეცხლი,
თბილად ანათებს იმათ სახეებს,
საკუთარ თავზე უფრო ვინც გიყვარს.
(მაგრად ართმევს ხელს)
ნეტავ რა ქარმა გადმოგისროლათ...
მოიცათ ცოტა, ბიძას შევძახებ,
მან ჩვენთან ერთად უნდა იხაროს.
ეჰეი, ბიძავ!

გოტჰოლდი — (ზემოდან) მოვდივარ, შვილო!

თომასი — აგერ სტუმარი გვყავს სასურველი,
ჩამოდი ბარემ და მოვილხინოთ;
მან ზღვაში ჰპოვა ბედნიერება
და შესანახად მიწას გადასცა, —
აქვე, ჩვენს ახლოს იყიდა სახლი.

გოტჰოლდი — (გულთბილად)
ღმერთმა გაცოცხლოს. შორსა ხარ ჩვენგან?

მეზღვაური — ორიოდ მილზე. ერთიც დავლიოთ.

გოტჰოლდი — ეს გაუმარჯოს ჩვენს მეზობლობას!

მეზღვაური — ხმა ჩამეხრინწა, ბევრი ვიყბედე. (სვამს)
მაგრამ, მართალი თუ გინდათ გითხრათ, —
ცოლმა არც იცის ჯერ ეგ ამბავი,
და საქმეებში გართულს რომ მხედავს,
იმას ჰგონია, ძველებურადვე
ახალ და ახალ გოგოებს დავდევ.
თქვენ ნახეთ, როგორ გაუკვირდება,
როცა ახალ სახლს ვაჩვენებ უცებ,
თან ვეტყვი: მოდი, დალეწე ღობე,
ფანჯარა, კარი და სახურავი...
ხმას ვერვინ გაგცემს, ჩემო ძვირფასო,
ეს ყველაფერი შენია, შენი,
და საუკუნოდ შენი იქნება!
შენ იმ მიწაზე დადიხარ ახლა,
რომელიც მარად ჩვენ გამოგვკვებავს.
ხედავ, ნაყოფით დახუნძლულ ხეებს,
ეს ყველაფერი შენია, შენი!
გაუკვირდებათ ცოლსა და შვილებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, მეწვია ბედნიერება!
სიხარულისგან ჭკუა დავკარგე,
აღტაცებისგან ირყევა მიწა,
ვით ქარიშხლის დროს ჩვენი ხომალდი.
კიდევ დამისხით, დავლიოთ ღვინო.
ეს იყოს ჩვენი გამარჯვებისა...

კატარინა— ჩვენი ოჯახის!
(სვამენ)

თომასი— ჩვენი მამულის!
(გარედან ისმის ბრახუნი, ჯარისკაცის ხმა)

ჯარისკაცი— (კულისებიდან) ჰე, რომელი ხარ, გააღე კარი!

თომასი — (ფანჯარას გამოაღებს)
რა გნებავთ?

ჯარისკაცი— ბინა!

კატარინა— შემოდით, მერე!

ჯარისკაცი— ოფიცრისაგან მაქვს ნაბრძანები,
ღამის გასათევ ბინას დავეძებთ,
ასე, ნახევარ ასეულისთვის,
რეკრუტებისთვის, რომელნიც ჰასენს
და კიდევ სხვაგან გვყავს შეგროვილი.
ჩვენი თავადის განკარგულებით
შორს, ოკეანის გადაღმა მხარეს
სასწრაფოდ უნდა გადავაგზავნოთ.

გოტჰოლდი— (ყვირის)
არა გვაქვს ბინა და არც იქნება!
ფულს არ ავიღებ მე ცოდვილთაგან,
ხალხით ვაჭრობა რომ გაუმართავთ.
გესმის თუ არა! ასე უთხარით!

კატარინა— (გაბრაზებული)
გაჩუმდით ერთი, რა გვენაღვლება!
ჩვენი ფარდული მეტსაც დაიტევს,
პატივცემული ოფიცრისათვის
ზემოთ ოთახიც მოიძებნება!

გოტჰოლდი— მაგას არ ვიზამ!

ჯარისკაცი— ფულს ბლომად მოგცემთ!

გოტჰოლდი— არ მინდა, არა!

კატარინა— რატომ?

ჯარისკაცი— არ მესმის.

კატარინა— რა მოხდებოდა...

გოტჰოლდი— ქრისტიანი ვარ.
ქრისტიანულად მინდა ვიცხოვრო.
კაცით ვაჭრობას ზეცა გვიკრძალავს.
არა, არ მინდა ცოდვილი ფული.

კატარინა— თავადი იღებს სიამოვნებით,
ჩვენ კი რადა ვართ წინააღმდეგი?
ჩვენ ხომ თავადზე ღარიბები ვართ?

შტეფან ცვაიგი ● სახლი ზღვის პირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტჰოლდი — გაჩუმდი ერთი!
კატარინა — სისულელეა!
თომასი — მისმინე, ბიძავ, თუ ჩვენ ამაღამ
იმ საბრალოებს არ შემოვუშვებთ,
ცის ქვეშ მოუწევთ ღამის გათევა.
კატარინა — მეც ამას ვამბობ.
გოტჰოლდი — (გულმოსული მიდის, კუთხეში ჯდება)
როგორც გენებოთ!
კატარინა — (ჯარისკაცს) მოიყვა სწრაფად!
ჯარისკაცი — ახლავე... არის!..
კატარინა — (სიცილით)
რა სისულელეს ვიზამდით, თომას,
თავშესაფარი რომ არ მიგვეცა
ორმოცდაათი რეკრუტისათვის.
უჭკუობაა, ახირებაა!
შენ ამდენ მუშტარს ნუ ეხუმრები,
განა ყოველდღე გამოგიჩნდება!
დე გადიხადოს თავადმა ფული,
რაკიღა სისხლით აქვს მოხვეჭილი.

(თომასი და მეზღვაური ფანჯარასთან მივლენ, გამოაღებენ და გზას გასცქერიან, რომელზეც ზანტად მოემართება რაზმი. ცოტა ხანს ფანჯარასთან დუმილით დგანან. შემდეგ...)

თომასი — ვაი, სირცხვილო! ისე, ვით მკვლელებს,
ერეკებიან ბორკილგაყრილებს.
რატომ და რისთვის? მხოლოდ იმიტომ,
რომ ვიღაც ბატონს მოუნდა ომი.
ეგერ, ყმაწვილი! სახეზე ღინღლიც
არ ამოსვლია ხეირიანად.
დედის კალთაში ლაღობდა გუშინ,
დღეს კი პატარა ბავშვური მხრებით
ის თავისსავე სიკვდილს მიათრევს.
ვაი ჩვენს დღესა და ჩვენს მოსწრებას!
მეზღვაური — ჩვენ საკუთარ ძმებს, დაუნდობელნი,
პირუტყვებივით ვყიდით ცალობით
და სასიკვდილოდ მივერეკებით!
თომასი — შეხედე, როგორ ერეკებიან...
მეზღვაური — ო, საბრალონი და უბედურნი,
ჩვენ დავიძინებთ მშვიდად და წყნარად
საკუთარ ჭერქვეშ, თბილ საწოლებში.
მათ კი ჩაყრიან გემის ტრიუმში
პირუტყვებივით და საცოდავებს
გააქროლებენ ბობოქარ ზღვაზე...
როცა მიწაზე ფეხს დაადგამენ,
მყისვე ბრძოლაში უკრავენ თავსა
და ზარბაზნების ლუკმად გახდიან.
რად ხდება ასე? მხოლოდ იმიტომ,
რომ გაისქელოს თავადმა ჯიბე!
თომასი — ო, გერმანიავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — რა დრო დაგვიდგა?!
რა საშინელი და მძიმე წლები!
ღმერთმა ჰქნას, შევხვდეთ უკეთეს დღეებს!

თ ო მ ა ს ი — ველირსებით კი?

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — მწამს, ველირსებით.

თ ო მ ა ს ი — ღმერთმა გისმინოს. წამო, წავიდეთ,
რა გული მოგცემს, მითხარი ერთი,
ხელდაკრეფილი იდგე დუმილით
და სამარცხვინო სურათს უცქერდე.

(შემოდის ოფიცერი. მაღალი და წარმოსადეგი კაცი. ჩაცმულობასა და მანერებზე ადვილად მიხვდებით, რომ გერმანელი აზნაურია. მისი ასაკი ძნელად მისახვედრია. შეიძლება მისცეთ ორმოც წელზე მეტი. ხშირი თმა ოდნავ შეეერცხლია. მასთან ერთად შემოდის სერჟანტი. მკვრივი აღნაგობისა და ველური გარეგნობისაა. აწითლებული სახე აქვს, ყვირილისა და თამბაქოს წევისაგან ხმა ჩახლეჩია. ფანჯრიდან მკრთალად მოსჩანან რეკრუტები. ისმის ბორკილების ჟღარუნი, ჯარისკაცთა ყვირილი, კონდახების კაკუნი. რეკრუტები ჩერდებიან კარის გასწვრივ. გაისმის გაურკვეველი ხმაური. დროდადრო ხან ერთი, ხან მეორე მოდის კართან და ოთახში იჭყიტება. მათი იქ ყოფნა უნდა იგრძნობოდეს მუდმივად).

ო ფ ი ც ე რ ი — (სწრაფად მიდის თომასთან)
გწყალობდეთ ღმერთი! სახლის პატრონი
თქვენა ბრძანდებით?..

თ ო მ ა ს ი — დიახ, გახლავართ.

ო ფ ი ც ე რ ი — როგორც გადმომცეს, თქვენ თანახმა ხართ,
რომ ბინა მოგვცეთ ჩვენ და რეკრუტებს.

თ ო მ ა ს ი — საუკეთესო ოთახს დაგითმობთ.

კ ა ტ ა რ ი ნ ა — ჩვენი ფარდული მთელ ასეულსაც
მგონი დაიტევს. ჩალაც ბლომად გვაქვს,
გაიფენენ და იოლას გავლენ.

ო ფ ი ც ე რ ი — ერთი მითხარით, თქვენი ფარდული
გარედან კარგად ხომ იკეტება?

თ ო მ ა ს ი — რაღა თქმა უნდა!

ო ფ ი ც ე რ ი — სარკმელი, ხვრელი
ხომ არ აქვს სადმე?

თ ო მ ა ს ი — კარი აქვს მხოლოდ.

ო ფ ი ც ე რ ი — სერჟანტო!
(სერჟანტი წინ დაუდგება)
რაზმი უნდა ჩაკეტოთ!
კართან კი ორი გუშაგი იდგეს!
თქვენ და მან (უჩვენებს გზირზე)
უნდა ადევნოთ თვალი,
რათა არავინ არ გაგეპაროთ,
თორემ ხომ იცით, რა დღე მოგელით?

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — არის. შესრულდეს თქვენი ბრძანება! (გადის)

ოფიცერი — (გზირს)
არ მოაშოროთ წუთითაც თვალი.
უნდა მივგვაროთ გემზე უკლებლივ
ორმოცდაათი. აბა თქვენ იცით!

გზირი — თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ! ვინ გამექცევა?!
(განზე გადგება)
(ხმალს შემოიხსნის და მაგიდაზე დებს. მიმართავს თომასს)
ნავსადგურშია უკვე ხომალდი?

გოტჰოლდი — ინგლისის ხომალდს კითხულობთ მგონი?

თომასი — დიახ, ხომალდი მზად არის უკვე
და თქვენს მისვლასღა ელოდებიან.

გზირი — დღეს ხომ ძლიერი ქარი მძვინვარებს.

თომასი — სჩანს, რომ ხვალამდე მოგიწევთ დაცდა.

ოფიცერი — (ამოოხვრით)
მაშ, ხვალ დილაზე გავემგზავრებით!
(კარებში უყვირის რეკრუტებს)
ბიჭებო, გასწით დასაძინებლად!
ნუ დაღონდებით! გაზეთში სწერენ,
რომ აჯანყებას ამერიკაში
ჩქარა დასძლევენ და ჩააქრობენ
და მაშინ მალე შინ დავბრუნდებით.

ხმები — (გარედან, არეულად)
ღმერთმა ქნას! ნეტავ! ღამე მშვიდობის!
(ოფიცერი ბრუნდება მაგიდასთან ხმლის ასაღებად. მეზღვაური გზას უჭრის).

მეზღვაური — ნება მიბოძეთ, მოგმართოთ თხოვნით.

ოფიცერი — გისმენთ.

მეზღვაური — არ ვიცი, როგორ დავიწყო!
აი რა... მე ხომ ბედი მწყალობდა.
და მათზე მინდა ახლა ვიზრუნო,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.
ნება მომეცით ამ საბრალოებს
დავემშვიდობო, მივართვა ღვინო
დარდის და სევდის გასაქარვებლად.

გოტჰოლდი — ყოჩაღ, ჭაბუკო!

ოფიცერი — მე თანახმა ვარ!

თომასი — (კატარინას)
აბა, ძვირფასო, საუზმე ჩქარა!
მიართვი სწრაფად ამ საბრალოებს,
რომ გერმანია შორეულ გზაზე
არ მოიხსენონ ცუდად და ავად.

ოფიცერი — (ორივეს ხელს ართმევს)
ყველა რომ თქვენებრ ფიქრობდეს ქვეყნად,
მაშინ ბევრი რამ შეიცვლებოდა!
(კარს იქით გასძახის)
ბიჭებო! კეთილ ადამიანებს
სწყურიათ თქვენი გამასპინძლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა ეს ღამე უკანასკნელი
ჩვენს სამშობლოში იყოს ლამაზი.

(რეკრუტები უწესრიგოდ შემოცვივდებიან, თვალისდახამხამებაში ოთახი ივსება. ყველა ახალგაზრდაა. უმეტესობას ტანსაცმელი შემოხევია. ზოგიერთს აქა-იქ სამხედრო ფორმის ნიშნები ემჩნევა. ზოგს ფეხზე ბორკილი ადევს. რეკრუტები დახლთან შეჯგუფულან. თომასი მათ კათხებს აწვდის. სვამენ და კათხას ერთმანეთს აწვდიან. კარს დარაჯობს ხიშტშემართული ორი ჯარისკაცი. მოულოდნელი სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა ყველას ახარებს. ხმაური მატულობს).

რ ე კ რ უ ტ ე ბ ი — (ერთმანეთს არ აცლიან)
ო, გმადლობთ, გმადლობთ.
მასპინძლებს ვაშა!
ღმერთი მოგიზღავთ სამაგიეროს!
იყავ დღეგრძელი! იყავ დღეგრძელი!
ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ჩვენც გვინდა შევსვათ.
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — შესვით, გაამოთ.
ო ფ ი ცე რ ი — ჰეი, ეს სუფრა გემრიელია?
მ ე ო რ ე ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — გემრიელია! თქვენის წყალობით!
ე რ თ-ე რ თ ი რ ე კ რ უ ტ ი — (თომასს)
ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეთ!
მ ე ო რ ე რ ე კ რ უ ტ — ბედნიერება ნუ მოგიშალოთ!
(აძლევს მონეტას)
ესეც თქვენ ჩვენი დალოცვისათვის!
(სასოწარკვეთილი გამომეტყველების ერთ-ერთი შავწვერიანი სარგებლობს არეულობით. გზას იკაფავს გოტჰოლდისაკენ და აჩქარებული ჩურჩულით ეუბნება).
შ ა ვ წ ვ ე რ ი ა ნ ი — ლოცმანო კრიუგერ! თქვენ გეხვეწებით...
თქვენ მამაჩემის მეგობარი ხართ.
მამას უყვარდით... მიშველეთ რამე
და ჰასენის გზა გამაგნებინეთ.
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — რაში გჭირდება შენ ჰასენის გზა?
შ ა ვ წ ვ ე რ ი ა ნ ი — ცოლ-შვილს და ოჯახს დავუბრუნდები.
იქ თავს დამესხენ მოულოდნელად
და კურდღელივით მახეს გავები.
მინდა გავიქცე და თავს ვუშველო.
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (ჩუმად)
მდინარის გაღმა მინდორში გადი,
ტყეს მიადგები... იარე ასე
და ორ საათში საზღვარს გადახვალ,
მეც შევეცდები, რომ დაგეხმარო.
გ ზ ი რ ი — (ჩადგება მათ შორის)
რაზე საუბრობთ? აბა, ფარდულში!
იმხიარულეთ — გეყოფათ, გასწით!
მოუსვით ფიცხლად!
(სერჟანტი აგდებს რეკრუტებს)

ოფიცერი — (ხმალს იღებს)
ჩაკეტეთ ყველა!
და საგუშაგო არ მიატოვოთ!
(გზირი და სერჟანტი გადიან)

ოფიცერი — (მიუბრუნდება დანარჩენებს)
ღამე მშვიდობის.

თომასი — ღამე მშვიდობის.

მეზღვაური — ძილი ნებისა!
(ოფიცერი კიბეზე ადის, მისთვის განკუთვნილ ოთახში)

გზირი — (მუქარით)
სერჟანტო, აქეთ!
მანდ გუშაგები ისედაც კმარა.
ესღა გვაკლია, ოხრების გამო
უკანასკნელი ღამე ჩაგვშხამდეს!
გვეყო, რაც ვსდიეთ. გვიბრძანა რაღა:
„საგუშაგოზე იდექით ფხიზლად!“
ჩვენ გაგვეყინოს კონდახზე ხელი,
ის კი ლოგინში იწვეს ნებივრად.
არა, ბატონო! მაცალე ცოტაც.
იქ ჩავალთ, სადაც არც თავადები,
არც იუნკრები აღარ არიან...
მოდი, დავლიოთ.

სერჟანტი — მაგრამ ბრძანება?

გზირი — ფეხზე მკიდია. მოდი, დაჯექი.

სერჟანტი — იცოდე, მხოლოდ ერთი საათით...

გზირი — (ხელს ურტყამს მაგიდაზე)
მოიტა ღვინო! ლხინი გვწყურია!

თომასი — რატომ ხმაურობთ. ახლავ მოგართმევთ!

მეზღვაური — მიგვიანდება, შინ წასვლის დროა,
მითხარ, რამდენი გერგება ჩემგან?

თომასი — ახლავე, ამ წამს ვიანგარიშებ
(კატარინას უთითებს გზირზე და სერჟანტზე)
მიართვი ღვინო.

კატარინა — (ავსებს კათხებს და მიართმევს)
მეგერგოთ, შესვით!

სერჟანტი — რა მომდის! თვალი ხომ არ მატყუებს!
ეს გოგოც თითქოს სადღაც მინახავს.

გზირი — (ეხვევა კატარინას)
კატარინა, ჩემო ლამაზო გოგო!

სერჟანტი — კატარინა!
მოდი, დაჯექი ჩვენთან!
აი შეხვედრაც ასეთი უნდა!
(კატარინა შეშინებული უკან იწევს. თომასი წამოხტება და კათხებს გადადგამს).

თომასი — გადაირიეთ?..

გზირი — მაინც რა მოხდა!

თომასი — თქვენ ჩემი ცოლი ვინა გგონიათ?
მომშორდით, თორემ ჭკუას გასწავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ზ ი რ ი — (უნდობლად)
ცოლი? (იცინის)
კატარინა?!

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — გილოცავთ რაღა! (ხარხარებს)

თ ო მ ა ს ი — (გაცოფებული)
რა გაჭიხვინებთ, ძაღლის შვილებო?!

გ ზ ი რ ი — (დამშვიდებით)
თქვენ რა გაყვირებთ... მე მომეჩვენა...
(დამცინავი ხმით, ფამილარულად)
რომ თითქოს თქვენს ცოლს... ვიცნობდით კარგად.
(კატარინას)
და არცთუ ისე დიდი ხნის წინათ...

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — (სულელური სიცილით)
მეც ვიცნობ, მგონი...

თ ო მ ა ს ი — (მაგიდას ურტყამს მუშტს)
რა თავხედური.
რა საზიზღარი სიცილი მესმის...

კ ა ტ ა რ ი ნ ა — ღმერთო მართალო!

თ ო მ ა ს ი — შენ იცნობ ამათ?
(კატარინა შეშფოთებულია, ორჭოფობს)

გ ზ ი რ ი — ვნახოთ, სერჟანტო, რას უპასუხებს?

კ ა ტ ა რ ი ნ ა — (გონს მოეგება და თავისუფლად ამბობს)
ფრანც!.. ეს შენა ხარ?! ძლივს შეგიცანი.
ეს ბიძაჩემის ვაჟია, ფრანცი!
დიდი ხნის წინათ გადაიკარგა.
ერთი უქნარა ბიჭია მხოლოდ
და ჩხუბისთავი ჩვენი უბნისა.
აქ როგორ გაჩნდა!
(ისევ თავისუფლად, გზირს)
რარიგ შეცვლილხარ!
ათი წელია, არ მინახიხარ.

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — (ბრიყვული, ტუტუცური ხითხითით)
თანაც რა ტურფა, პატარა ბალღი!

თ ო მ ა ს ი — (შეშფოთებით და ეჭვით) საკვირველია!

გ ზ ი რ ი — (ნაძალადევად) ჰამბურგში მგონი
არ გვაკლდა ლხენა! ხომ მართალია?

თ ო მ ა ს ი — (სწრაფად) რაო, ჰამბურგში? განა ერფურტში
არ დაიბადე?

კ ა ტ ა რ ი ნ ა — ცამეტის ვიყავ,
იქიდან აქეთ რომ გადმოვსახლდით.

გ ზ ი რ ი — ცამეტნახევრის, შენ შეგეშალა.

(ხანგრძლივი, უხერხული დუმილი. თომასი სწრაფად აიტაცებს დოქს და ისევ უკანვე დგამს სუფრაზე).

თ ო მ ა ს ი — ო, მაპატიეთ... რას ვიფიქრებდი,
ნათესავები თუ იქნებოდით.
ახლა გავიგე, და სწორე გითხრათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებული ვარ ერთი ორად.
კეთილი იყოს სტუმრობა თქვენი.
ეს ჩემი სახლი თქვენი სახლია!
(სუფრას მიუჯდება)

გზირი — (კარგა ხნის დუმილის შემდეგ)
ძალუაჩემი ხომ ცოცხალია?

კატარინა — კი, ცოცხალია.

გზირი — ისევ იქ ცხოვრობს,
იმ კოხტა სახლში, სადაც ჩვენ ხშირად
მოგვილხენია?

კატარინა — (მკვახედ, გაჯავრებით).
(დუმილის შემდეგ) მგონი იქ ცხოვრობს!

გზირი — დიდი ხანია, რაც წამოხვედი?

კატარინა — (უფრო მკვახედ) ჰო?

გზირი — (დაუნდობლად) შენი ქმარიც იქ გაიცანი?

კატარინა — (იგივე კილოთი)
არა, აქ.

გზირი — (ოდნავ დაცინვით) ოჰო, მაშ ეგრე, ეგრე!
გრეტა იქ არის? კლარაც და ელზაც?
დანარჩენები როგორ არიან?

კატარინა — არ ვიცი, არა. დროა ძილისა,
უნდა წავიდე დასაძინებლად.
თომას, წავიდეთ...

გზირი — ძილი ნებისა!

(ამ დროს სცენის უკნიდან იჭექებს თოფი. ისმის ყვირილი, ხმაური. ყველანი წამოიშლებიან. სერჟანტი და გზირი გარეთ გაცვივდებიან. კიბეზე ოფიცერი ჩამორბის. მუნდირი უკვე გაუხდია. გოტჰოლდი დინჯად შემოდის).

ოფიცერი — (სწრაფად კითხავს)
რა ამბავია?

გოტჰოლდი — რა მოგახსენოთ!

სერჟანტი — (შემოდის)
დავაგვიანეთ, უკვე გაიქცა.

ოფიცერი — ვინ გაიქცაო?

სერჟანტი — გახსოვთ, შავწვერა,
აი, გუშინწინ რომ ავიყვანეთ.

გზირი — ჰასენს გაიქცა, ის არამზადა.
ჯანდაბას მისი ოხერი თავი!

სერჟანტი — ეს რა მითხარი! (გადის)
ვერა ხარ კარგი მახარობელი!

გზირი — როგორც ჩავხედე თვალში შავწვერას,
ხელად გითხარით — ამ არამზადას
ბორკილი უნდა დავადოთ-მეთქი.
თქვენ დამიშალეთ.

ოფიცერი — (ოთახში შემოსულ ჯარისკაცს)
თქვი, როგორ მოხდა?

ჯარისკაცი — ფარდულში ყველა შევყარეთ ერთად,
ის მოდიოდა ყველაზე ბოლოს.

როცა ოდნავად ძირს დავიხარე,
მძიმე ურდულის გამოსაწევად,
ვიღაცამ თავში ძლიერი მუშტი
ჩამცხო და უცბად ძირს წავიქეცი.
ის კი გაიქცა. წამოვხტი უმალ,
თოფი ვესროლე, ვერ მოვახვედრე.

ოფიცერი — სერჟანტი მაშინ სად ბრძანდებოდა?

ჯარისკაცი — არ დამინახავს.

ოფიცერი — (სერჟანტს) თქვი, სად იყავი?
(სერჟანტი დუმს)
ჰა, მიპასუხე! (მაგიდაზე ღვინოს შეამჩნევს)
აჰ, თქვენ ქეიფი გამართეთ აქა?!
გარეწრებო და სალახანებო,
სამსახურის დროს მოჰყევით ქეიფს?!
ო, თუმცა ეს რა ჩემი საქმეა!
(გზირს)
აკი გიბრძანეთ, საგუშაგოზე
ფხიზლად გჭეროდათ თვალი და ყური.
ეურჩეთ არა, იმ ჩემს ბრძანებას?
პასუხი მკაცრად მოგეთხოვებათ.
თუ გაქცეული შავწვერას ნაცვლად
სამაგიერო არ გეყოლებათ
და სათვალავში დაგაკლდათ ვინმე,
ხვალ დილისათვის თქვენ პასუხს აგებთ
და ორ წელს უნდა იხადოთ ფული.

მეზღვაური — (იცინის)
კარგა ძვირი კი დაგიჯდათ ღვინო!

გზირი — (გაცოფებული, მეზღვაურს)
სხვების საქმეში ცხვირს რატომ სჩრი?!
(ოფიცერს)
სად უნდა ვდიო ამ შუაღამეს,
აქამდე ცხრა მთას გადაირბენდა.

ოფიცერი — როგორც გენებოთ. ღამე წინა გაქვთ.
იქნებ ქალაქში, მეზღვაურებში
მოახერხოთ და იპოვოთ ვინმე,
რომ მოხალისედ გამოდგეს ჩვენთან.
სხვა მე არ ვიცი. ხვალ დილით უნდა
ორმოცდაათი რეკრუტი გყავდეთ.
თქვენივე ხელით წამხდარი საქმე
თქვენ თვითონ უნდა გამოასწოროთ.
მაშ ასე, ახლა მშვიდობით გნახეთ!
(ზურგს აქცევს, სხვებისკენ მიტრიალდება)
გთხოვთ მაპატიოთ. ომი—ომია!
(თავს უკრავს და კიბეზე ადის)

გზირი — წყეული ძაღლი! (მეზღვაურს)
რას იჭყანები?

ხომ არ გგონია, ეშმაკის კერძო,
რომ მე ადვილი მაქვს სამსახური!
(თავზე აჩვენებს)
შეხედე კარგად ამ ნაიარევს?
ეს არამზადა რეკრუტისაგან
დამრჩა სახსოვრად, გამექცა იგი,
ჩამოკრეფილი ფული წაიღო,
თან გაიტაცა.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — კარგიც უქნია!
რა გაწუწუნებს? ეს სამუშაო
აკი შენ თვითონ ამოირჩიე?!
ფულს ხომ შოულობ არამზადობით.

გ ზ ი რ ი — (ბოროტად)
ენა ჩაიგდე, პირუტყვო, თორემ...
(სერჟანტს ხმადაბლა)
ნეტავ ვიცოდე, რა ემასხრება,
რა დროს ესაა... გამობრუჟულა! (პაუზა)
ჩუ! ჩინებული რამ მოვიფიქრე:
აჰა, იმ კაცის სამაგიერო!..
მაგას დავიჭერთ. შენ მომეხმარე,
ვნახოთ, მაშინაც თუ იხითხითებს.
(ერთბაშად კილოს იცვლის და გულმხიარულად ეუბნება მეზღვაურს).
ნეტავი რა გვაქვს ჩვენ საჩხუბარი!
შენ დაგვპატიჟე, ახლა მე მინდა
გადაგიხადო სამაგიერო.
რა თავში ვიხლი ჯამაგირს, ნეტა,
სულ ერთი არის, გინდ წაგიგია,
გინდ კახპებისთვის გიჩუქებია.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — არა, არ მინდა.

გ ზ ი რ ი — მოიცა, ძმაო.
კიდევ მიყრია ჯიბეში ვერცხლი.
დავლიოთ, დავთვრეთ, ბუღი ვადინოთ.
წუთისოფელი ვის შერჩენია.
მოიტათ ღვინო, რაც სარდაფში გაქვთ!
(მეზღვაურს სუფრასთან ეპატიჟება)
ახლოს მოიწი! კარგი ბიჭი ხარ!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — (ცოტა შეჭიკჭიკებულია)
რაღა დროსია ამ შუაღამეს!

გ ზ ი რ ი — ასე ქალები იტყვიან ხოლმე,
როცა ფუსფუსით ქსელსა ბეჭავენ
და სიბნელეში თვლებს ვერ არჩევენ.
ვაჟკაცი არ ხარ!
(ხელს გადახვევს)

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — კარგი, დავლიოთ!

(სამივენი ღუმელთან სხდებიან, მაყურებლისაგან ზურგშექცეული, ისე, რომ სხეულები ძლივსღა ჩანან სანთლის მბჟუტავ შუქზე).

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — ტურფა ქალების ვსვამ სადღეგრძელოს!

გ ზ ი რ ი — ეს შენი ტურფა ქალისა იყოს!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ჰო, ჩემი ცოლის. ღმერთმა აცოცხლოს! (სვამს)
გ ზ ი რ ი — ბოლომდე, აბა, ბოლომდე შესვი!
იქნებ აქ არის ისეთი რამე,
რომ სასიმღერო დაუკრას კაცმა?
მხიარულებას მუსიკა მოგვგვრის.
(ისმის სიმღერა)

(სერჟანტი ბანს აძლევს)

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — ჰეი, ჭაბუკნო, ხძას დაუწიეთ,
ოფიცერს სძინავს...
გ ზ ი რ ი — ერთი მაგისი!
ახლა ვქეიფობ. (მეზღვაურს)
შენც ხომ ქეიფობ!
მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — (უკვე საკმაოდ მთვრალია)
მე? კი, კი... ჰა, ჰა...
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — საცაა მალე ათი იქნება!
გესმის ჭოტის ხმა, ჭოტის კივილი?
გიჯობს წახვიდე და დაიძინო!
გ ზ ი რ ი — შენ თვითონ გიჯობს, რომ დაიკარგო...
სანამ ღვინოა... ო, ღმერთო ჩემო,
ეს კათხა მგონი გახვრეტილია.
ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — თქვენს ხახაშია ღვინო ჩაღვრილი.
გ ზ ი რ ი — დიასახლისო, კვლავ თითო დოქი;
ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — ორ-ორი იყოს.
მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — (ღრიალებს) სამი აჯობებს.
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (მეზღვაურს, ხმადაბლა)
მე გამიგონე...
მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — თავიდან მომწყდი!
ეშმაკის კერძნო! ფულს ხომ მე ვიხდი!
ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — ჩვენ გადავიხდით...
გ ზ ი რ ი — თავიდან მომწყდით!
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — ეყოფათ უკვე! (კატარინას)
მეტს ნუღარ მისცემ!
გ ზ ი რ ი — (ჩუმი მუქარით, ხმადაბლა ეუბნება ცარიელი ჭურჭლის
წასაღებად მოსულ კატარინას)
შენ გეუბნები,
იცოდე, ღვინოს თუ არ მოიტან,
აქ რაღაცეებს მოვყვები, გესმის?
კ ა ტ ა რ ი ნ ა — (უმწეოდ ეუბნება ლოცმანს)
თითო კათხასაც მოვუტან კიდევ.
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — არ გინდა!
გ ზ ი რ ი — აბა?
კ ა ტ ა რ ი ნ ა — (შიშით კანკალებს გზირის შეხედვაზე და ეუბნება)
მომაქვს, ახლავე!
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (გაბრაზებული ეუბნება თომასს)
თომას, შენა ხარ სახლის პატრონი,
გამოფხიზლება გჭირია, თომას!

ამ მაწანწალებს რაღაც სწადიათ.
თავი იმგვარად უჭირავთ, თითქოს
ავაზაკების ბუნაგში იყვნენ.
ხმას რად არ იღებ? რამ გაგაშტერა?

თ ო მ ა ს ი — (თითქოს გამოფხიზლდაო)
ჰო, რა მითხარი?..

გ ზ ი რ ი — მუდამ მჯეროდა,
რომ კატარინა არ იზამს იმას,
მე — „ნათესავი“ წყურვილმა მომკლას.
მოიტა ღვინო. ო, ყოჩაღ, ქალო,
ისევ ისეთი ტურფა ხარ, ტურფა!

(თომასი შეჩერდება. მძიმედ სუნთქავს. შემდეგ შეშფოთებული არტყამს ბოლთას წინ და უკან).

გ ზ ი რ ი — ღვინო დადგი და შენც მოგვიჯექი.
გაგვართე ერთი.

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — გვიმღერე რამე.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — იცეკვე, ქალო!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — არ მინდა, არა!

გ ზ ი რ ი — მაშინ გიამბობთ... შენ, კატარინა...

თ ო მ ა ს ი — (შეშფოთებული უთვალთვალებს, როგორ ეჩურჩულება გზირი კატარინას. ბოლოს მიუახლოვდება მათ და სუფრაზე მუშტს დასცხებს)
კმარა, გეყოფათ! რა მოგვიდათ?
თქვენ სტუმრები ხართ და საჭიროა,
რომ ანგარიში ჩვენც გაგვიწიოთ.

გ ზ ი რ ი — (უხეშად)
როგორც გენებოთ. თუკი ასე გწყინთ,
არ შეგაწუხებთ, არაფერს მოგთხოვთ.
(ბოროტი სიცილით მიუბრუნდება ძმა-ბიჭებს)
მისმინეთ, ისეთ რამეს გიამბობთ,
ოღონდაც ფრთხილად, რომ სიცილისგან
არ გაიჭაჭოთ!

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — მიდი, დაიწყე!

(გზირი თავს ხრის და რაღაცას უყვება ორივეს. ეტყობა, ეს ამბავი თომასსა და მის ცოლს ეხება. ვინაიდან დროდადრო სიცილით გახედავენ ხოლმე. შიგადაშიგ კათხებს უჭახუნებენ ერთმანეთს. შემდეგი სცენის განმავლობაში მათი სიცილი ისმის, თუმცა მთლად გარკვევით არა. ხან ხმას უმაღლებენ, ხან მარტო გზირი ლაპარაკობს. სერჟანტი უვსებს კათხას მეზღვაურს და ძალით ასმევს. თომასი ხელით ანიშნებს კატარინას, წინა მაგიდასთან დაჯდეს. შეურაცხყოფილი და განაწყენებული გოტჰოლდი სცენის სიღრმეში დარაბებს ხურავს. დროდადრო ჩერდება და ეჭვიანად გახედავს სამეულს, რომელიც მაგიდასთან ღრეობს).

თ ო მ ა ს ი — (ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ეუბნება კატარინას)
დიდი ხანია, რაც ამ კაცს იცნობ?

კ ა ტ ა რ ი ნ ა — (უდარდელად)
ვისზე კითხულობ?

თ ო მ ა ს ი — (მკვახედ, ხაზგასმით) ვისზე და აგერ
შენს ბიძაშვილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატარინა — სიმართლე გითხრა,
დიდი ხანია რაც არ მინახავს.
ჩვენ ვიზრდებოდით ერთად და მერე
იგი შორს, სადღაც გადაიკარგა...
მუდამ ასეთი საშიში იყო.

თომასი — რატომ ერთხელაც არ გითქვამს ჩემთვის!

(კატარინა დუმს. ამ დროს სამი ძმაბიჭის ხარხარი ისმის)

სერჟანტი — ჰა, ჰა, კარგია, დიდებულია!

მეზღვაური — (შემთვრალი კაცის ხმით)
უჰ, დედაკაციც ამას მიქვია!

(გზირი ისევ იხედება მათკენ და კვლავ რაღაცას უამბობს)

თომასი — (დამშვიდებული)
ეჰ, კატარინა, დამიგდე ყური,
მას შემდეგ, რაც მე გადამეყარე,
ხომ არასოდეს მიკითხავს შენთვის,
საიდან გაჩნდი და რა მიზეზით
გადმოიხვეწე ამ ჩვენს მხარეში.
თავად მიამბე, საკუთარ მამას
და დედინაცვალს გამოვექეცო.
მე აგიყვანე მოსამსახურედ,
მერე გაგხადე დიასახლისი
და სამუდამოდ დაგაბინავე.
ჩემი ოცნება მხოლოდ და მხოლოდ
შვილები იყო, ჩვენი შვილები...
მაგრამ დღეს უნდა პასუხი გამცე.

კატარინა — (სწრაფად)
ჩემი არ გჯერა?

თომასი — (გულითადად)
ეს სხვა საქმეა!
ნუ გეშინია. რასაც დღეს მეტყვი,
გამიმხელ შენი წარსულის ამბავს,
ის მყისვე გულში ჩაიმარხება.
წარსული მხოლოდ კვამლია ჩემთვის,
და მას არ ძალუძს, რომ ამ ცხოვრებას
ნისლად და ღრუბლად გადაეფაროს!
გულწრფელი იყავ, მე დამიჯერე,
მას ჩემი შიში რად უნდა ჰქონდეს
ანდა, საიდან უნდა სცოდნოდა,
რომ შეირწყმოდა სიცოცხლე ჩვენი.

კატარინა — შენ ვისზე ამბობ? მაგ ლოთზე ფიქრობ?
ნეტა რა მოგდის, რა გემართება?
მასეთებს ღვინო სულ ატუტუცებს...
ჩემი არ გჯერა? აღარ მენდობი?

თომასი — (მშვიდად)
აბა, თვალებში შემხედე, ერთი,
შიგ სიბოროტეს ვერ დაინახავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვარ ისეთი კაცი, რომელსაც
ეჭვი, წამწამის ერთ შერხევაზე
შემოენთება, თვალს დაუბნელებს.
ზღვამ მიმაჩვია დიდი ხანია,
რომ გავუსწორო აუღელვებლად
ჩემს ბედისწერას გულცივად თვალი...
არ მეშინია, თუ გინდა მოდგეს
და შენთან წოლა დაიტრაბახოს.
რამე მითხარი, ნუ დადუმდები.

კატარინა — რა უნდა გითხრა?

თომასი — ეგ ვაუბატონი,
რომ ბიძაშვილი არ არის შენი.
იქნებ, ცოტა ხნით? დაახლოება
იყო ხანმოკლე და წუთიერი?

კატარინა — აბა, რას ამბობ?

თომასი — ან ჰო, ან არა!

(კატარინა წუთით ყოყმანობს. ისმის სამეულის ხორხოცი, მეზღვაურის ხმა).

მეზღვაური — აფერუმ, ქალო!

კატარინა — არა, არასდროს...
ნეტავი ეგ რამ გაფიქრებინა.
იმ ლენჩ თვალებში ჩახედე, ერთი,
ხელებს შეხედე, რას უგავს, ნახე,
ან ბოროტ ტუჩებს... როგორ სტყუიან.
ყური დაუგდე, როგორ ხარხარებს.
(გოტჰოლდს)
შენ წააქეზე! გსურდა ჩვენს შორის
მტრობა და შუღლი რომ ჩამოგეგდო.
(ლაქუცით ეუბნება თომასს)
ავიდეთ ზემოთ, არ გეძინება?!

თომასი — (პირქუშად) არა, მე ვრჩები.

კატარინა — თომას, წავიდეთ!

თომასი — მალე ამოვალ.

კატარინა — ფრთხილად იყავი
მაგ ყაჩაღებთან. ღვინო მათ თავში
აქვთ ავარდნილი. ჩხუბი სწადიათ.

თომასი — ნუ გეშინია.

კატარინა — ღამე მშვიდობის.

(ნელა გადის, თან შეშფოთებული უცქერის გზირს. თომასი და გოტჰოლდი უსიტყვოდ სხედან ერთმანეთის პირისპირ, მაგიდასთან. გოტჰოლდი ისევ ჩიბუხს აბოლებს. ამ სიჩუმის წყალობით სცენის სიღრმიდან კვლავ ხმამაღლა ისმის სამი ძმაბიჭის ლაპარაკი, უფრო მეტად მათი ხარხარი და ცალკეული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები. გზირი და სერჟანტი სულ ახლოს მისჩოჩებიან მეზღვაურს. მეზღვაური უკვე უგონოდ მთვრალია და მაგიდას მუშტს უბრახუნებს. გზირს მხრებზე მოუხვევია მისთვის მკლავები).

გზირი — ასეთი მარდი და გაბედული
შენ გლეხი უნდა გახდე ერთბაშად?!
ყანა ჯაგლაგით უნდა გადახნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კარტოფილის ტომრები ზიდო,
ვინემ წელში არ მოიკაკვები?!
ეს ხვედრი უნდა იყოს იმათი,
ვინაც მოსჭამა წუთისოფელი.
შენ უკეთესის ღირსი ხარ, ძმაო.

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — მე? რა თქმა უნდა! დიახ, სწორს ამბობ!

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — შენ შეგიძლია იყო ისეთი,
ვისაც ენდობა ბოლომდე კაცი.
წამოდი, აბა, რა დაგრჩენია
იმ კარტოფილის ტომრებში ნეტავ?
ოღონდ ისურვე და ქვეყნის დოვლათს,
მჯერა, ჯიბეში ჩაიდებ ხელად.

(მეზღვაური იღრიჭება. ჯიბეში იტაცებს ხელს. იქიდან ხურდა ფული ამოუცვივდება. ლენჩივით ამბობს).

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ამ ჯიბეში კი... ფულია, ფული...

(ფულს გადაყრის. გზირი იცინის. სერჟანტი ფულს კრეფს).

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — შეხე! მდიდარი ყოფილხარ მართლა!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — შენ გქონდეს, შენთან ცხრა მთას გადვივლი!

გ ზ ი რ ი — შენ თუ გგონია, ომში მივდივარ
და მკერდს მორჩილად მივუშვერ ტყვიას.
არა, ძმობილო, მაგას არ ვიზამ.
სხვებს მინდა ქედი მოვახრევინო,
თუკი კარეტა და ლაქიები
ყველა ტილიან იუნკერსა ჰყავს,
მე რაო, ვითომ რით ვარ ნაკლები?!

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (ერთდროულად თომასს),
შეხედე, როგორ ატყუებს საწყალს,
ის კი მთვრალია.

თ ო მ ა ს ი — (თავისთვის) ვერ დავიჯერებ.
(გონს მოდის)
რა თქვი?.. ჰო, ახლავ ჩავაქრობ სანთლებს.

გ ზ ი რ ი — მსურს ლაქიები მეხვიოს ირგვლივ,
მეყო, რაც დიდხანს სხვებს ვემსახურე.
მაშინ კი, ძმაო, მე და შენ ერთად
კარეტით სწრაფად გავიჯირითებთ
და ვინც გზიდან არ ჩამოგვეცლება,
(ხელით უჩვენებს)
მათრახი ჩავცხოთ პირდაპირ დრუნჩში!

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — დიახ, მათრახი, პირდაპირ დრუნჩში!

(ხელს იქნევს და წონასწორობას ჰკარგავს. სერჟანტი ხელს მოხვევს და აკავებს).

გ ზ ი რ ი — ო, ეს იქნება მართლა ცხოვრება!
ჩვენ წამოგვყევი. ჰა, დაჰკა ხელი!

(გზირი ხელის გულს უშლის. მეზღვაური გამოიქნევს ხელს და უაზრო სიცილით დაჰკრავს).

მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — მაშ, მოვრჩით რაღა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ზ ი რ ი — (გახარებული ხელს არ უშვებს)
გაჩარხულია!
ს ე რ ჟ ა ნ ტ ი — კარგაა საქმე! დიდებულია!
(სერჟანტი მეზღვაურს ჩამოეცლება. მეზღვაური ხან აქეთ, ხან იქით ბანცალებს).
მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — ჰო, ზღვის მოქცევა უკვე დაიწყო...
(მძიმედ დაეხეთქება იატაკზე)
გ ზ ი რ ი — (სწრაფად ეუბნება სერჟანტს)
იჩქარე!
(ხელის ანაბეჭდს ულებს)
მარდად ჩაუდე ქისა!
(სერჟანტი უაზროდ ახარხარებულ მეზღვაურს ეხმარება წამოდგომაში და ამ დროს ფულიან ქისას უჩრის ქურთუკის ჯიბეში).
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (განრისხებული ჩადგება შუაში)
არამზადებო! რასა სჩადიხართ!
გ ზ ი რ ი — (სწრაფად გადაულაპარაკებს სერჟანტს)
ჰა, გაიყვანე!
(სერჟანტს ბანცალ-ბანცალით გაჰყავს მეზღვაური. გზირი ზურგით ეფარება მათ. ფეხებს გაჩაჩხავს, გოტჰოლდს გადაეღობება და ეუბნება).
შენ რას ეჩრები?
მ ე ზ ღ ვ ა უ რ ი — (ბარბაცებს. ჩაიბურტყუნებს)
რას ეჩრებიო?.. (იცინის)
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (გაიწევს მეზღვაურისაკენ. უნდა რომ უკან გაჰყვეს)
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — არამზადებო, გინდათ დაღუპოთ?!
გ ზ ი რ ი — (გზას უღობავს მუქარით)
ეგ ახლა მიდის დასაძინებლად!
შენც ამას გირჩევთ! შუაღამისას
უხეში ვხდები. სჯობს, მომერიდო!
სხვის საქმეებში შენ ნუ ეჩრები,
თორემ კარგი დღე არ დაგეყრება!
გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (მტკიცედ)
მე მემუქრები? აქ მოდი, თომას
გ ზ ი რ ი — გამოუძახე! გამოუძახე!
რას მომაშტერდი, ჩემო ძმობილო?!
თ ო მ ა ს ი — (ამ სიტყვებზე ბრაზი ერევა. გაშმაგებული)
გაფრთხილებთ, წადით ახლავ აქედან!
გ ზ ი რ ი — (დაცინვით)
ნუ იღრიალებ, ჩემო კეთილო!
კარგად მენახეთ, ჩემო ძმობილო!
(კართან გაჩერდება)
ესეც გახსოვდეს, სჯობს ჩუმად იყო,
როცა ნეხვსა და ფუნაში ზიხარ.
თ ო მ ა ს ი — (მივარღება)
რაო, ეგ რა სთქვი?
გ ზ ი რ ი — შენს ცოლსა ჰკითხე.
თ ო მ ა ს ი — (სულ მთლად გაცოფებული)
უჰ, არამზადავ, ნეტავი ერთი
მისი სისხლ-ხორცი არ იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ზ ი რ ი — (გესლიანი სიცილით) ჰა, ჰა!..
მისი სისხლ-ხორცი! ჰო, როგორ არა!
როგორც ხვადი და დედალი კატა!

თ ო მ ა ს ი — (გაოგნებული. მკლავებს უღონოდ ჩამოჰყრის)
მაშ, ბიძაშვილი არა ხარ მისი?

გ ზ ი რ ი — რის ბიძაშვილი, რა ბიძაშვილი!
მე ბიძაშვილი რომ ვიყო მისი,
მაშინ დედ-მამა მეყოლებოდა.
რისი მშობლები, რისი დედ-მამა!
მე ვიღაც ქალმა ღობესთან მშობა,
დღესაც არ ვიცი მისი სახელი,
სად დაიკარგა ან სად ჩაძაღლდა!
არც და მყოლია, არც ძმა მყოლია
და უმათობა არ მინანია...

თ ო მ ა ს ი — (დაბნეულად)
მან დაიფიცა...

გ ზ ი რ ი — თავს რატომ იგდებ!
ნურც კომედიას ნუ გამიმართავ!
ამას უყურე! თავს იკატუნებს!
მშვენივრად იცის ცოლის ამბავი!
(თომასი დარეტიანებული უყურებს)

გ ზ ი რ ი — (გულგრილად)
რაო, არ იცი? მაშ, ამას ჰკითხე,
(სერჟანტზე უჩვენებს)
თუ გინდა სხვებსაც. მე არც პირველი
ვიყავი მისთვის... და არც ეს იყო
უკანასკნელი...

თ ო მ ა ს ი — (მწუხარებისგან გაგიჟებული, მუშტებს კუმშავს)
შენ სტყუი, სტყუი!

გ ზ ი რ ი — (კვლავ დაუნდობელი დაცინვით)
მაინც არ გჯერა? მაშინ ამ მსაჯულს
ჰკითხე, ის გეტყვის, თუ ჰამბურგიდან
ეგ ქალი რისთვის გამოასახლა.
ეჰ, მეგობარო, გამოიღვიძე!
ღამე მშვიდობის მისურვებია!

(მანამ გაოგნებული თომასი განძრევას მოასწრებდეს, გზირი სწრაფად გადის და კარს მოიჯახუნებს. რამდენიმე წამს თომასი დაბნეული დგას. მერე უცებ გაშოფხიზლდება და თავგამოდებით ეცემა დაკეტილ კარს. გოტჰოლდი მივარდება და ძალით იჭერს).

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — შენ საით, თომას?

თ ო მ ა ს ი — (სასოწარკვეთილი)
ეს სიცრუეა!
ეს ყველაფერი მოგონილია.
ვერ დავიჯერებ! ვერ დავიჯერებ!

(შეშინებული შეჰყურებს გოტჰოლდს სახეში. გოტჰოლდი გაუნძრევლად დგას).

შტეფან ცვაიგი ● სახლი ზღვის პირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

 თ ო მ ა ხ ი — (ხმაჩაწყვეტილი)
არ მჯერა, არა!
რაც იმას ვკითხე
შენ გაიგონე?
(გოტჰოლდი თავს უქნევს)
ო, ღმერთო ჩემო!

(მაგრამ ლოცმანი ვერ მოასწრებს მის დაკავებას, თომასი ოთახიდან გარბის. ხელებს მთვრალივით იქნევს. შეძრწუნებული გოტჰოლდი კარგა ხანს გასცქერის, შემდეგ კარს კეტავს).

გ ო ტ ჰ ო ლ დ ი — (გასძახებს)
თომას, ო, თომას!.. მობრუნდი, ბიჭო!
კარგად ვიცოდი უცხოებს ჩვენთვის,
აროდეს მოაქვთ ბედნიერება!

(სანთლებს ჩააქრობს. მხოლოდ ერთ სანთელს დატოვებს წინა მაგიდაზე. კარადიდან ბიბლია გამოაქვს, მძიმე ნაბიჯით მიდის მაგიდასთან, ჯდება, ბიბლიას გადაშლის).

(ფ ა რ დ ა)

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა **რევაზ მარგიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ღასკოვი

ცოცხალი ხმები

I

მე ვარ მამონტი.
უღრან ტყეში დავეხეტები
ხმელი ტოტების მტვრევა-მტვრევით,
მარტო, სულ მარტო...
ნაწვიმარ ხეებს წამდაუწუმ სცვივათ წვეთები, —
შიშისგან ვყვირი —
სულიერთან შეხვადრას ვნატრობ.
მე ველარავის ვერ ვხვდები გზაზე,
გაქრობაზეა ჩვენი ჯიში უკვე მიმდგარი.
ყელში მაწვება ბოღმა და ბრაზი,
გაშმაგებული მირტყამს გრიგალი.
ტანზე მოვიხვევ ჩრდილოეთის გაყინულ ღამეს,
დავდივარ მძიმე ნაბიჯებით ავდარში, დარში.
დიდი ხანია დამეღუპა საწყალი მამა,
მას დედაც მიჰყვა და...მარტო დავრჩი.
თითქმის ფსკერამდე გაყინულა ყველა მდინარე,
ზოგი სულ დაშრა,
წყალი ვძებნე, ამაოდ დავშვრი.
თვალთაგან დამდის წვეთები მლაშე
და მთელი სახე უღვთოდ მეწვის სუსხიან ქარში.
მე დავეცემი ლოდინში, ცდაში, —
ჩემს ღრმა ნაკვალევს უცებ წაშლის ქარი და თოვლი.
ადამიანო!
შენ მიპოვი ყინულთა ქვეშე,
ადამიანო! —
უმაღლესო ყოვლისგან ყოვლით!
წარმოიდგინე:
მამონტთა ჯიში
უძველეს დროში ცხოვრობდა მართლა,
ერთად ვიყავით ლხინში თუ ჭირში,
მაგრამ მაინც ვერ გადავურჩით სუსხიან ზამთარს.
შენ არ ეძებო ნატყვიარი ჩვენს მაგარ ძვლებზე, —
ჯერ ადამიანს მარტოდენ ქვა უჭირავს ხელში,
ადამიანი, ჯერჯერობით, თავისთავს ეძებს, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახეტიალობს უგზო-უკვლოდ კლდეში და ღრეში.
ის ჯერ სუსტია,
ის ჩვენსავით გაბურძგნულია...
და ჩემს სიკვდილში, თუ დამიჯერებთ,
ადამიანებს არ მიუძღვით ბრალი სრულიად, —
მე მოვკვდი, რადგან დადგა ჩემი სიკვდილის ჯერი.

II

მე მამლაყინწა გახლავართ.
ვყივი
გამთენიისას, —
ვყივი და ვმღერი.
მე უკან დამდევს დედლების გროვა, —
ლენჩი ქათმები—სხვადასხვა ფერის.
მე ზოგჯერ დედლებს თავს ვუყადრებ,
და ძლიერ ვნანობ,
მაგრამ...პატივი ხომ უნდა სცე
ბუნების კანონს.
მე ვარ მამალი,
დაუდეგარი,
მოუსვენარი,
ფიცხი და ჩქარი;
როცა ინათლებს—
ერთს შევიყივლებ
და შევსკუპდები ღობეზე მკვირცხლად,
მეც ლამაზი ვარ და მოლივლივე,
ვით დასაწყისი მზიანი დღისა.
მე ვარ მამალი.
კარგი მამალი,
ყივილით კარგ ხალხს ვაღვიძებ დროზე,
ეზოში ვარ თუ გზაზე გადავალ—
უკან ქათმების ამალა მომდევს...

III

მე მგელი ვარ.
        ულრან ტყეში ვღმუი,
ვყმუი, —
ირგვილვ მხოლოდ სიჩუმე და თოვლია,
ჩემს განწირულ ყმუილს ვისმენ ჩემივ ყურით
და ნელ-ნელა გონსაც ვკარგავ, მგონია.
აჰა, ალყა ვიწროვდება, ვიწროვდება, —
ახლოვდება თანდათან ნაბიჯების ხმა,
საზარელი გრგვინვა მესმის
ზეციდანაც,
მიწიდანაც...
და არ ვიცი, — რა იქნება ხვალ.
ბევრჯერ შიშის ჟრუანტელმა დამიარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუყველაფრის გახსენება არ ღირს;
მეჯავრება ძაღლი და... ადამიანი,
უფრო მაინც — მეჯავრება ძაღლი.

IV

მე ვარ აქლემი...
ფეხქვეშ წყალივით
მეცლება სილა, —
მზესავით ცხელი.
ჩემგან გასავლელ გზას მე გავივლი
აუჩქარებლად, ნაბიჯით ნელით.
მზეზე გზა ბზინავს უზარმაზარი,
ზანზალაკები ზრიალებს ქარში,
ადამიანი მე კუზზე მაზის
და ისე ვწრუპავ გუბის წყალს მლაშეს.
მე ძლიერი ვარ.
არაფერს ვუფრთხი.
მე მურდალ კაცებს პირში ვაფურთხებ.
კეთილი კაცი მიყვარს ძალიან,
ასეა, —
რა ვქნა, — ჩემი ბრალია?!
მე ძალმიძს ათ დღეს არც ვჭამო, არც ვსვა,
მაგრამ სხვას მაინც ვერაფერს ვერ ვთხოვ...
საქსაულს ვღეჭავ და მეწვის სასა,
რა ეკლები აქვს საქსაულს, ღმერთო!
სიმაძღრისაგან გადასდის ხვითქი
ადამიანს და ჩემზე არც ფიქრობს,
არც არაფერზე ბოდიშს არ მიხდის
და გულის დარდებს გულშივე ვიქრობ.
გზა არ ილევა,
დღე კი — მოკლდება,
მესმის ქარიშხლის შხუილი ხშირად,
ადამიანის ხელში მოვკვდები
და მომეყრება ხრეში და სილა.

V

მე ვარ შიმშერი, — სხივივით ჩქარი,
გაელვება და...იქვე ნაპირი.
წყლის ზედაპირი ჩემთვის ცა არი,
თქვენთვის კი—მხოლოდ წყლის ზედაპირი.
რატომ, ო, რატომ გეგონეთ მუნჯი, —
მეცა მაქვს სმენა,
მეცა მაქვს ენა...
წყალიც ცასავით კამკამებს ლურჯი,
ტანზე სიგრილე მეთამაშება.
და განა ყველა თევზი თევზია?

ზოგს არრა ძალუძს ლივლივის გარდა.
ზოგი კი მხდალზე უმხდალესია, —
რასაც იპოვის—იმასაც კარგავს...
...როცა ჩემი ცა გააპო გემმა, —
ამოვიხედე უეცრად ზევით;
მე დავინახე თქვენი ცის ფერი
და ჩავისუნთქე ჰაერი თქვენი.
მიქანაობდა ჩემს ცაზე ღუზა,
გემი ნაკვალევს ტოვებდა დაღად,
ზღვას ზურგზე ჰქონდა ათასი კუზი
და ათასივე გარბოდა სადღაც.

VI

მე ვარ მერანი. ჩემივე სისხლის
მესმის გაბმული ზუზუნ-წკრიალი;
აჰა, თეთრებზე მიდიან რისხვით, —
ისმის წითლების გუგუნ-გრიალი.
მაგარი მკერდი ჯახა-ჯუხს უძლებს,
გვერდზე გავხტები, — ჩემს მხედარს ვიხსნა.
ისევ მოქნევა...და მე შავ ზურგზე
თბილად მეღვრება წითელი სისხლი.
მივაპობ სივრცეს... ავარდა ქარი...
დაჭრილი კაცი კისერზე მეკვრის,
ორივე ხელში უჭირავს ხმალი,
ცხელი ფოლადი ზარივით რეკავს.
დაუმარცხებელს აურაცხელი
ცხელი ტყვიები დამცხრილავს უცებ...
გახელებული თეთრი ცხენები
გადამირბენენ ჭიხვინით გულზე.
მე მეცოდება ადამიანი, —
არ ეყოლება ერთგული ცხენი.
მე მეცოდება ადამიანი,
ცხარე ბრძოლაში შეურცხვენელი...
ჩემმა ფლოქვებმა სისხლიან ქვებზე
უკანასკნელად გაჰყარეს ბწკალი:
ადამიანმა, დე, თავის ბედზე
იპოვოს ჩემი წკრიალა ნალი.

VII

მე ადამიანი ვარ!
        და მე ვიპოვე ნალი,
რომელიც აღსავსე არი
        მაგიურ ძალით.
გზაზე უეცრად ვიპოვე იგი —
მოულოდნელად მოვკარი თვალი...
მე ჩამოვჯექი მომაღლო ბორცვზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე ცა მადგა — ხელშეუხები.
დროთა სიღრმიდან მომესმა უცებ,
ვით ზარის რეკვა, ცოცხალი ხმები:
ყიოდა მამალი.
ბურდღუნებდა დაღლილი აქლემი.
ხვიხვინებდა ბედაური, —
ერთ დროს პატრონის გამხარებელი.
მამონტები გმინავდნენ და თავს ძლივს აქნევდნენ.
ბებერ ნაძვივით ხრჭიალებდა გამხდარი მგელი.
რამ შეაშფოთა,
რამ ააღელვა,
რამ ააბღავლა ერთბაშად ყველა,
იქნებ სიცოცხლის წყურვილმა მძაფრმა
გამოაღვიძა ყველანი ხელად!
რა გადაწყვიტეს,
რა განიზრახეს,
რატომ ხანდახან ხმას არ იღებენ,
ო, რატომ, რატომ გამოვიძახე
დროთა სიღრმიდან ცოცხალი ხმები!
წკრიალა ნალო! —
შენ ყველაფრის მიზეზი გახდი,
ოილისმაა და ჯადოა შენში...
მე შენ გიპოვე, ვით სიტყვა ნაღდი.
რომ იპოვი და ჭკუიდან შეგშლის.
თურმე ყველაფერს უნდა იღბალი,
(კარგისგან ავი ხომ განირჩევა!)
ქვეყნად ყველაფერს ეღება ბოლო,
ხმები კი, —
ხმები ცოცხალი რჩება!
გაღმიდან მგლები ყმუიან ისევ,
ტალღები ტალღებს ენარცხებიან,
წამით სიჩუმე დგება და ისმის
ძლიერი ექო ცოცხალი ხმების:
მე — ადამიანს — ხელს ვერვინ მახლებს,
მე ვკრძალავ:
მტრობას, სიხარბეს, ძარცვას, —
რათა არასდროს დაკარგოს ხალხმა,
რაც მოიპოვა სიცოცხლის ფასად;
რომ არასოდეს ატომის ჩრდილი
არ ჩადგეს შუქით სავსე თვალებში,
რომ ქვეყანაზე ადამის შვილი
იღწვოდეს შვებით, შიშის გარეშე;
რომ არ აფეთქდეს უეცრად წამი
და დრო და სივრცე არ გადაბუგოს, —
საბედისწერო არ მოხდეს რამე, —
ყველა ცოცხალი ხმა არ დადუმდეს!

თარგმნა გივი ძნელაძემ

თამარ ბახტაძე

ძმის გახსენება

ვალია ბახტაძე დაიბადა ხონში (ახლანდელ ქ. წულუკიძეში), 1896 წლის 27 ივნისს. ჩვენს მშობლებს 7 შვილი ჰყავდათ — 6 ქალი და ერთი ვაჟი.

იმ უბანში, სადაც ვცხოვრობდით, მამაჩემის ოჯახი უღარიბესად ითვლებოდა. ჩვენი მშობლები, როგორც იტყვიან, წელზე ფეხს იდგამდნენ, შრომაში აღამებდნენ და ათენებდნენ, მაგრამ სიღარიბისთვის თავი ვერ დაეღწიათ.

მამაჩემი, სამსონ ბახტაძე, იძულებული გამხდარა ლუკმა-პურის საშოვნელად ბათუმში წასულიყო. იქ მას რამდენიმე წლის განმავლობაში უმუშავნია მანთაშევის ქარხანაში.

მრავალსულიანი ოჯახის მოვლა-პატრონობა კისერზე დასწოლია დედაჩემს — ტასია ტაბიძე-ბახტაძეს. დედაჩემი მტკიცე ხასიათის ქალი იყო, მაგრამ შვილებისა და შვილიშვილების დაკარგვამ გატეხა, იგი 1955 წელს გარდაიცვალა.

მამაჩემს, რასაკვირველია, მანთაშევის ქარხნიდან ცარიელი ჯიბე ჩამოუტანია. „ჩემი ახალგაზრდობა თავიდანვე აღიბეჭდა გაჭირვებისა და ეკონომიურ ვაი-ვაგლახის ბეჭედით“, მოგვითხრობს ვალია თავისი ბავშვობისა და ყრმობის წლებზე.

ვ. ბახტაძე ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭი გასცნობია არალეგალურ ლიტერატურას, რამაც კიდევ უფრო შეაძულა არსებული ეკონომიურ-პოლიტიკური სისტემა.

მინდა მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრო და გავიხსენო ვალიას მონაწილეობა თებერვლის რევოლუციაში.

1916 წლის შემოდგომა იყო, ვალია მობილიზაციის წესით გაიწვიეს მეფის ჯარში და, როგორც სტუდენტი (მაშინ იგი ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა), „პრაპორშჩიკების“ სკოლაში განაწესეს. მეცადინეობის დაწყებისთანავე ვალიამ გააჩაღა რევოლუციური მუშაობა. მისი ინიციატივით დაარსდა სოც. დემოკრატთა არალეგალური ვიწრო წრე, რომელმაც კავშირი დაამყარა მოსკოვის კომიტეტთან. წრე მძიმე პირობებში მუშაობდა.

1917 წლის 24 თებერვალს ვალიამ საიდუმლოდ მიიღო ცნობა პეტროგრადში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ღამით ის და მისი სამი ამხანაგი სკოლიდან გაიპარნენ. სუსხიან ზამთარში, თოვლში, ყინვაში ფეხით გაიარეს 40 კილომეტრზე მეტი და შეუერთდნენ პეტროგრადში მიმავალ აჯანყებულ პოლკს; ვალიამ მონაწილეობა მიიღო პეტროგრადის ქუჩებში გამართულ ბრძოლებში და ბოლოს, მეფის სასახლეში, მისი უშუალო მონაწილეობით დააპატიმრეს ნიკოლოზ II მთავრობა.

მახსოვს, 1922 წელს ვალია გურიაში ჩავიდა. ცნობილმა გლეხმა-ბოლშევიკმა პარმენ ცინცაძემ მიტინგზე მყოფთ მიმართა: ეს ის ვალია ბახტაძეა, რომელმაც რევოლუციის სახელით ნიკოლოზ II მინისტრები დააპატიმრაო. მეფის მოძულე გურული გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ ცნობას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვალია მუშაობდა პეტერგოფის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ. შემდეგ კი გაგზავნეს ავსტრიის ფრონტზე. როგორც ცნობილია, ბოლშევიკები ომის გაგრძელების წინააღმდეგი იყვნენ და ფრონტზე მიმავალი პოლკი აჯანყდა. ვალიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ აჯანყებაში. აჯანყებულებს სასტიკი დევნა დაუწყეს. ბევრი ხელში ჩაიგდეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს. ვალიამ მოახერხა საქართველოში გამოპარვა.

ვალია თავიდანვე დიდი ოპტიმისტი და მხნე პიროვნება გახლდათ.

მართალია, ოპტიმიზმი დამახასიათებელია ყველა რევოლუციონერისათვის, მაგრამ იგი რაღაც განსაკუთრებული „დიდი დოზით“ იგრძნობოდა ვალიაში.

სიყვარული ადამიანებისადმი, თავისიანებისადმი, ამხანაგ-მეგობრებისადმი, მათზე ზრუნვა ვალიას ყრმობის ასაკიდანვე დასჩემდა. ეს კეთილშობილური გრძნობები უმწიკვლოდ ატარა მან თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე.

ვალიას უყვარდა ამ ფრაზის განმეორება: „Не тот живет больше, кто живет дольше“.

ვალია ბახტაძეს 15-16 წლის ასაკში მთლიანად გადაეკითხა დაბა ხონის მდიდარი ბიბლიოთეკა. რამდენჯერ დასთენებია წიგნზე, ჭამის დროსაც ხომ ერთთავად ხელში ეჭირა წიგნი, ჟურნალი თუ გაზეთი. ჩვენს ოჯახში ყოველთვის უხვად იყო ორი რამ: სიღარიბე და წიგნები!

თოხთან ერთად მას ყანაში მუდამ თან მიჰქონდა წიგნი.

ჩვენ, პატარებიც, მთელ ოჯახთან, უფროსებთან ერთად ბარით თუ თოხით ხელში ვებრძოდით მიწას. შრომაში აღზრდილ ვალიას ჭირივით ეჯავრებოდა ზარმაცი ადამიანი. მალე თოხი შაშხანამ შეცვალა, ნაჭრის ჩანთა — საველე ჩანთამ, ყანა — ბრძოლის ველმა, წიგნი და კალამი კი არასოდეს გაუშვია ხელიდან საბრძოლო შეტევების დროს და... სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულსაც კი.

ვალიას საგზლის ჩანთაში ცხენის ძუასაც ნახავდით. ეს მახეებისათვის იყო საჭირო. ვალიას ძალზე უყვარდა მწყერაობა და არც ერთი მახე არ გაუცუდებდა.

ხონის პროგიმნაზიიდან ვალია ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გადავიდა.

რა დამავიწყებს ზამთრის იმ ცივ დღეებს: ხონის „ბირჟა“, ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრი დგას და ხელში პატარა ბოხჩა ან დაწნული კალათა უჭირავს, შიგ აწყვია დედის გამომცხვარი მჭადი, ყველი, ცოტა რამ ხილეულიდან, უმთავრესად თხილი, რომელიც ვალიას განსაკუთრებით უყვარდა. დგას და რიდითა და კრძალვით თხოვს ნაცნობ მედილიჟნეს ან მეეტლეს, ბოხჩა ქუთაისში ჩაიტანოს გიმნაზიელი ვარლამისათვის (როგორც ჩვენ მას ოჯახში ვეძახდით) გადასაცემად.

ქუთაისიდან ვალია ხშირად ჩამოდიოდა, მოგვინახულებდა და მეორე დღეს წავიდოდა. მეტად ძნელი იყო 25 კილომეტრიანი გზის ფეხით გამოვლა და გავლა. ვალია იყო ჩვენი ოჯახის დარდი და სიხარული, სევდა და ნუგეში, „ბედიც“ და „უბედობაც“. ჩამოდიოდა და მოჰქონდა სიხარული, სინათლე. წავიდოდა და გვიტოვებდა იმედს მომავალზე.

მოყვარული შვილი მეტად ფაქიზი და საყვარელი მამა გახდა შემდეგში. თუმცა მკაცრმა ბედმა მამობა ძალიან ცოტა ხნით არგუნა!..

ხონის აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხანაში 60-70 ქალი მუშაობდა. ახალგაზრდა ქალებს მიეტოვებინათ ოჯახები, ბავშვები და ქარხანაში წამოსულიყვნენ გროშების საშოვნელად. დღეში 14-15 საათს მუშაობდნენ. აქვე მუშაობდნენ ძცირეწლოვანი ბავშვებიც. მუშის დღიური ხელფასი 15-20 კაპიკი იყო.

აივსო მუშების მოთმინების ფიალა და... 1915 წლის ზაფხულში ისინი გაი-

---

თამარ ბახტაძე
ძმის გახსენება

ფიცნენ. შეიძლება ოდესმე რომელიმე საარქივო ფონდში აღმოჩნდეს ამ გაფიცვის მასალები. გაფიცვას ვალია ბახტაძე ხელმძღვანელობდა.

მახსოვს, გაფიცულთა ერთ-ერთ კრებაზე (ჩვენს სახლში) ვალიამ ბათუმის სტამბის მუშა მოიყვანა. იგი ხონელი იყო, გვარად ხაინდრავა. მან გაფიცულებს ბევრი რამ მოუთხრო მუშათა ცხოვრებაზე, მათს ბრძოლებზე...

ქარხანაში მუშაობა შეჩერდა, დაზგები დადუმდა. „ხაზეინები“ აღშფოთდნენ. მათ გადაწყვიტეს, მუშათა მოთხოვნილების არც ერთი მუხლი არ მიეღოთ, არც ერთი გაფიცული მუშა სამუშაოზე არ დაებრუნებინათ. ახალ მუშახელს დაუწყეს ძებნა. გაფიცვა 10 დღეზე მეტხანს გაგრძელდა. რაკი მუშახელის შოვნა გაჭირდა, გაფიცულთა დაბრუნება აუცილებელი გახდა. გაფიცულები მტკიცედ იდგნენ. მათი მოთხოვნილებები ასე თუ ისე დააკმაყოფილეს. ვალია ძალზე გაახარა ამ გამარჯვებამ. გაფიცვის შემდეგ, ზაფხულის ერთ უმთვარო ღამეს, ვალიამ ქუთაისის არალეგალური სტამბისთვის ორი ყუთი შრიფტი მოიტანა ეტლით.

ყუთები შევინახეთ საიმედო ადგილას, სამზარეულოში. დედამ კონსპირაციის განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა. ყუთები საქონლის „საპირეს“ პირდაპირ მოათავსეს. ყუთებზე „ბუჯერი“ მოაწყვეს. ვალია აღფრთოვანებული ამბობდა: — ღმერთმანი, დიდებულია! ეშმაკიც ვერ მიიტანს ეჭვს!

შემდეგში, მენშევიკების ბატონობის პერიოდშიც, ამავე მეთოდით ვმალავდით ბოლშევიკურ ლიტერატურას, შრიფტსა და იარაღს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მშობლები არასოდეს არ უწევდნენ წინააღმდეგობას ვალიას, პირიქით, ეხმარებოდნენ კიდეც.

* * *

ჩვენი ეზო ზაფხულობით სავსე იყო ახალგაზრდებით. ისინი ვალიას მოწაფეები იყვნენ. ვალია მათში აღვივებდა ახალ აზრებს, რევოლუციურ იდეებს, ნათელ იდეალებს.

სასკოლო საგნებს ვალია ოსტატურად, მოხდენილად გადაბამდა რევოლუციურ პროპაგანდას, სანუკვარი მერმისისა და წამებულ მებრძოლთა მომჯადოებელ სურათებს დახატავდა. ჯერ კიდევ ყრმებსა და ჭაბუკებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ყოველივე ეს ახლო მომავლის საქმე გახდებოდა.

ვალია თითქმის ყველა საგანში ძლიერი იყო, განსაკუთრებით უყვარდა ლიტერატურა და ისტორია. მათზე შეეძლო საათობით ელაპარაკა. ამ დროს უნდა გენახათ იგი, — სახეგანათებული, გაღიმებული, გაცისკროვნებული. საოცრად უხდებოდა ღიმილი, სიცილი.

უცხო ენებიდან ფრანგული იცოდა, გერმანული — სუსტად. ძალიან უყვარდა მუსიკა. ყრმობის ასაკში ლექსებსა და მინიატურებს წერდა... მახსოვს, 1924 წელს ბევრი ეძია ვალიამ, მაგრამ მათ კვალს ვერსად მიაგნო. შემონახული აღმოჩნდა მხოლოდ ერთი პატარა ლექსის ნაწყვეტი სათაურით „დედას“.

ვალია სცენაზეც თამაშობდა. მაშინ ხონში მშვენიერი დრამწრე იყო.

ვალიას გარშემო ყოველთვის თავს იყრიდნენ მოწინავე ახალგაზრდები. მე ბევრჯერ გამიგონია ჩვენი თაობის ახალგაზრდებისაგან: — თუ კარგი რამ არის ჩემში — ვალიასეულია. „იგი გასაოცარი, ნათელი ადამიანია, დაჯერებული თავის რწმენაში და შეყვარებული მასზე“, — თქვა ერთხელ მიხა გახოკიამ,— ამ უსპეტაკესმა ადამიანმა და ბობოქარმა რევოლუციონერმა. და მართლაც, ვალიას გასაოცრად სწამდა მომავალი და ეს მომავალი სულ ახლოს ეხატებოდა. ფანატიკურად უყვარდა ლენინი. როგორ განიცდიდა მის ავადმყოფობას და როგორ ჩაიფიქრა მისმა სიკვდილმა!..

ვალია ყრმობიდანვე ისე ზრუნავდა ოჯახზე, როგორც მამა—შვილებზე. ახლაც თვალწინ მიდგას, — „კოდს“ რომ ჩახედავდა, რათა დაენახა, რამდენი ხნის საზრდო ჰქონდა ოჯახს. თვითეული ჩვენგანის ფეხსაცმელსაც კი დაათვალი-

ერებდა. უმცროსი დები შვილებად მივაჩნდით, უფროს დებს დედასავით შესცქეროდა.

ფეხსაცმელებზე გამახსენდა: ჩემს უფროს დას ჟენიას და მე ზოგჯერ ერთი ფეხსაცმელი გვქონდა და რიგრიგობით დავდიოდით სკოლაში.

ვალია თითქო გრძნობებისაგან ნაქსოვი ადამიანი იყო — ადამიანებზე უზადოდ შეყვარებული, მათი კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი.

ხალხისათვის ბედნიერების მოპოვებას იგი მხოლოდ რევოლუციაში ხედავდა.

ასეთი იყო ვალია ოჯახში და მის გარეთ, მაგრამ მის ხასიათში ყველაზე მეტად რევოლუციური ფანატიზმი ჩანდა. საკუთარ თავს არ ზოგავდა, ოჯახსაც საფრთხეში აგდებდა რევოლუციის საკეთილდღეოდ. როგორც უკვე ვთქვით, ამ სახიფათო გზაზე ოჯახიც გატაცებით და უყოყმანოდ მიყვებოდა.

1915 წელს ვალიამ დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. როგორც წარჩინებულმა მოსწავლემ, გიმნაზიის დამთავრებისას ფულადი ჯილდო მიიღო — 25 მანეთი.

ჩვენი ღარიბი ოჯახისათვის ძნელი იყო არამცთუ ხარკოვში, არამედ ახლომახლო ქალაქებშიც კი გაეგზავნა შვილი სწავლის მისაღებად. მაგრამ ჩვენს მშობლებს — თავად უსწავლელთ და სწავლის დამფასებელთ — უნდოდათ სწავლით დაეწყვიტათ სიღარიბის მარწუხები.

ვინც უნივერსიტეტში შედიოდა, პირველ რიგში, ქუდს გამოიცვლიდა. მაშინ სტუდენტს ქუდით ცნობდნენ. რაც უნდა დიდი თავყრილობა ყოფილიყო, ასეთ ქუდიანს ორიოდეს თუ დაინახავდით. აბა, წარმოიდგინეთ, ახლა ასეთი გამოსაცნობი ქუდი რომ ეხუროს ყველა სტუდენტს!

სტუდენტი ტანსაცმელსაც განსაკუთრებულს ატარებდა.

როგორც აღვნიშნე, ვალიამ ყრმობის ასაკიდანვე დაიწყო მოწაფეთა მომზადება-გადამზადება და ხარკოვში გასამგზავრებლად ამ გზითაც შეაგროვა ცოტაოდენი თანხა. მოწაფეთა მომზადებაში მას ჩემი უფროსი და ჟენია შველოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მთლად ღარიბ მოსწავლეთაგან ვალია გასამრჯელოს არ იღებდა.

იმ ზაფხულს (1915 წ.) ხონის მშრომელი ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა ვალიას სასარგებლოდ ფასიანი „საღამო“ გამართა.

საერთოდ, „საღამოები“ სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით იმართებოდა. მდიდართა შვილები აღნიშნულ „საღამოზე“ შეგნებულად არ გამოცხადდნენ.

ასეთი იყო ჩუმი, „მშვიდობიანი“, ფარული სახე კლასობრივი ბრძოლისა.

ვალიას მდიდარი ნათლია ჰყავდა — დიდი მრეწველი, კაპიტალისტი, მაგრამ არც მას მოსვლია აზრად, დახმარების ხელი გაეწოდებინა ვალიასათვის. იმ დროისათვის ქართველ ბურჟუებს უკვე მოესწროთ ეროვნულ-პროგრესული იდეების მივიწყება და აბუჩად აგდება.

მაგრამ მაშინდელი პირქუში ცხოვრების ფონზე ნამდვილი, ნათელი ადამიანებიც იყვნენ. როგორ შეიძლება დავიწყოთ ვალიას მასწავლებელი ქუთაისის გიმნაზიაში, გვარად ბოგდანოვი, ეროვნებით რუსი. ეს ბოგდანოვი ვალიას ქუთაისიდან ხარკოვში ყოველთვიურად უგზავნიდა 15 მანეთს. აქვე უნდა მოვიგონო მასწავლებელი ხონის გიმნაზიიდან, გვარად ლობაჩევსკი, ისიც რუსი. მან ერთხელ მამაჩემს უთხრა, — ქამარი შეიხსენი, გაყიდე და შენს შვილს სწავლაში ხელი შეუწყვე, შენთვისაც და ქვეყნისათვისაც სასარგებლო კაცი დადგებაო.

მახსოვს: როცა ვალიამ საქალაქო 6-კლასიანი სასწავლებელი დაამთავრა და გიმნაზიაში შესვლა გადაწყვიტა, მამას „გულშემატკივრები“ აღმოუჩნდნენ და ურჩევდნენ, ვალიას სწავლა ამით დაესრულებინა. — რა ვქნა, შვილო, მე მოვ-

---

თამარ ბახტაძე
ძმის გახსენება

ხუცდი, ბავშვები საპატრონო და აღსაზრდელია, — უთხრა ერთხელ „გულშემატკივართა“ გავლენით მამაჩემმა ვალიას. დედაჩემიც იქვე იდგა, მას ძალზე შეწუხებული სახე ჰქონდა.

— განა არ ვიცი, მამაჩემო, რომ ბავშვები აღსაზრდელები არიან? — მაგრამ მე თვით თუ არ აღვიზარდე, როგორ დავზარდო ესენი? — თქვა ვალიამ და ჩვენ გადმოგვხედა. ჩვენ კი ამ დროს მოშორებით ვიდექით სულგაკმენდილნი.

ვალიამ მშობლები მალე დაიყოლია და გიმნაზიაში ამოჰყო თავი.

შემდეგში მამაჩემი გულისტკივილით მოიგონებდა ხოლმე ამ შემთხვევას, — რა სისულელეს ჩავდიოდი — იტყოდა დანანებით, — სწავლაზე უარს როგორ ვეუბნებოდიო.

ერთხელ ვალიას სკოლის და უნივერსიტეტის ამხანაგმა, იმჟამად ჩვენმა მასწავლებელმა ამბროსი ბახტაძემ გვიამბო:

— ქუთაისის გიმნაზიის VIII კლასში (ახლანდელი XI) ვიყავით. ერთ დღეს რუსული ლიტერატურის მასწავლებელმა გასწორებული რვეულები შემოიტანა კლასში. იგი, ჩვეულებრივ, თავის მაგიდასთან შეჩერდა. პედაგოგმა კმაყოფილი, ნათელი სახით კლასს თვალი გადაავლო, შემდეგ თავი დახარა, ერთი რვეული ხელში აიღო და დაიწყო: — როდესაც ამ რვეულს ვასწორებდი — და რვეული მაღლა ასწია — მზად ვიყავი დამეკოცნა იმ გიმნაზიელის თითები, რომელმაც საკლასო რვეულში რუსული პოეზიის შესახებ ასეთი ბრწყინვალე სტრიქონები ჩასწერა, — მან რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა, ვალიას მერხის წინ შეჩერდა, ჩვენ უმალ ვიგრძენით, ვის თითებზე იყო ლაპარაკი. მასწავლებელი აღტაცებას ვერ მალავდა. ვალია წამოდგა. მისი ნათელი სახე კიდევ უფრო განათებულიყო. მასწავლებელი შუბლზე ეამბორა და გადაშლილი რვეული გაუწოდა. კლასში უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა: — ცხოვრების გზაზეც ასეთი ნიშნით იარე! — გაისმა მასწავლებლის ხმა.

პირველი მსოფლიო ომი იყო. ვალია ხარკოვში სწავლობდა. ჩვენს ქუჩაზე, ვანო ბახტაძის სახლში, მდგმურად იდგა ერთი კაცი — გვარად გალდავაძე. ბევრმა არც იცოდა მისი სახელი და გვარი. მას ახალთაობის კაცს ეძახდნენ. „ახალთაობა“ მაშინ სხვა გაგებითაც იხმარებოდა. ახალთაობას ეკუთვნოდა ის, ვინც რევოლუციურ იდეებს ქადაგებდა, მიუხედავად იმისა, ახალგაზრდა იყო იგი თუ ხანდაზმული. ამ კაცს გრძელი, უკან გადავარცხნილი თმები ჰქონდა. ეს „ახალთაობელთა“ სტილი იყო.

ერთხელ სკოლიდან მოვდიოდი და სწორედ ამ კაცის ბინაზე პოლიციელები შევნიშნე. ხასიათი გამიფუჭდა. ვიაზრე, რაღაც არასასიამოვნო ამბავი ხდებოდა. საჭირო იყო საჩქაროდ შინ მისვლა. მაგრამ ამხანაგი მახლდა, ჩვენი ქუჩიდან. თავის ტკივილი მოვიმიზეზე და რაც ძალი და ღონე მქონდა სახლისაკენ მოვკურცხლე.

დედაჩემმა აღელვება რომ შემამჩნია, ცომის ზელა მიატოვა და სამზარეულოდან საჩქაროდ გარეთ გამოვიდა. მეც ყველაფერი სხაპასხუპით მოვუყევი.

სასწრაფოდ მივვარდით სტამბის შრიფტის ყუთებს. „ბუჯერი“ კიდევ უფრო გავაფართოვეთ. იქვე „საპირეზე“ ხბო მივაბით, ჩალა და ბალახი ბლომად დავუყარეთ, წყლით ქვაბიც დავუდგით. არ გასულა დიდი დრო და პოლიცია ჩვენს ჭიშკარს მოადგა. ყველაფერი გაჩხრიკეს, იატაკის ქვეშაც იხოხეს, ყველაფერი დაათვალიერეს, დაყნოსეს. მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

ასე ხელცარიელი გავისტუმრეთ დაუპატიჟებელი სტუმრები. შემდგომში, როცა ეს ვუამბეთ, ვალიამ ბევრი იცინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1916 წლის შემოდგომაზე ვალია ჯარში გაიწვიეს და პეტერგოფის საოფიცრო სკოლაში განაწესეს. ამავე წლის დეკემბრის ბოლოს ვალია თავის გულითად მეგობარს, მოსე გოგიბერიძეს, შემდეგში ფილოსოფიის პროფესორს, სწერდა: „ნა-

პერწკალია საჭირო, რევოლუციამ რომ იფეთქოსო". ეს სტრიქონები მაშინ იწერებოდა, როცა მისი თანამედროვენი მემარჯვენე პოზიციებიდან გაიძახოდნენ, მართალია, თვითმპყრობელობა დაავადებული კბილია, მაგრამ ისე მაგრად აქვს ფესვები გამდგარი, ჩვენი თაობა მას ვერ მოაძრობსო. ნაპერწკალი გაღვივდა და ორი თვის შემდეგ მართლაც იფეთქა რევოლუციამ.

გავიხარეთ. პირველ რიგში სტამბის შრიფტით გატენილ ყუთებს მივცვივდით და ზედ მოწყობილი „ბუჯერი" მივყარ-მოვყარეთ. ისე წარმოგვედგინა მაშინ, თითქო ციხის კარები გავაღეთ და პატიმარი გავათავისუფლეთ. მოვიდნენ ამხანაგები სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან და ყუთები ზეიმითა და მარსელიოზის სიმღერით წაიღეს. ჩვენს მშობლებს რევოლუციის სახელით მადლობა გადაუხადეს.

1917 წლის ზაფხულს ვალია საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროს ჩვენში დიდი ბრძოლები იყო გაჩაღებული სოციალისტური რევოლუციისათვის. ჩვენს სახლში ხშირად იმართებოდა კრებები, თათბირები, სჯა-ბაასი.

ვალია ბახტაძეს, როგორც პიროვნებას, ხშირად ამსგავსებდნენ საშა წულუკიძეს.

ცხოვრებაში ორივეს ერთი საზომი ჰქონდათ. ორივე მგზნებარე და რომანტიკული პიროვნება იყო. ორივეს მახვილი კალამი ეპყრა ხელთ რევოლუციის დასაცავად. უდიდესი შინაგანი სულიერი ძალა უშრეტ ფიზიკურ ენერგიას წარმოშობდა მათში.

ამბობენ, ახალგაზრდებს გატაცებით უყვარდათო მგზნებარე საშა. ასევე უყვარდათ ვალია. ორივე ნაადრევად დაიღუპა ერთიდაიმავე სენით.

ერთხელ ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა ვალია ბათუმში ჩასულიყო და მეტად ღრმაშინაარსიანი რეფერატი წაეკითხა ესთეტიკისა და ფილოსოფიის საკითხებზე. ვალიას საფუძვლიანმა ცოდნამ გააკვირვა უკვე წვერულვაშიანი ახალგაზრდები. უკვირდათ, როდის მოასწრო ამდენი ცოდნის შეძენა ამ ყმაწვილმა კაცმაო.

1921 წლის 29 აპრილს ქუთაისში, ღამით, შავრაზმელები თავს დაესხნენ ავტომანქანას, რომელშიც ისხდნენ ს. გეგეჭკორი, დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე და სხვები, ესროლეს რევოლვერი და ყუმბარებიც.

იმ ღამეს ბინაზე გვიან დაბრუნებულმა ვალიამ გაზეთ „მუშა და გლეხისათვის", რომლის რედაქტორი თვითონ იყო, ვრცელი წერილი დაწერა პირველ მაისზე. საწერ მაგიდაზე ტყვიებით სავსე რევოლვერი ედო. ასე იწერებოდა მებრძოლი სტრიქონები. ასევე წერდა ვალია ბრძოლის ხაზზეც, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა საკითხზე. მკაცრი დრო იყო, მოუცლელი, დამქანცველი, მომთხოვნი. ვალიას საქმიანობაში, მოქმედებაში ესთეტიკა მაინც ყოველთვის პოულობდა ადგილს. — უყვარდა ხელოვნება, სილამაზე... მაგრამ მას ყველგან და ყოველთვის ერთი საზომი ჰქონდა — რევოლუციის საზომი.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებით ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ხონის ბაღში მიტინგი გამართა. ილაპარაკეს კ. ქაცარავამ, ვ. ბახტაძემ, პ. ბახტაძემ და სხვებმა. მიტინგს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. მიიღეს ვალია ბახტაძის მიერ შედგენილი, პეტერბურგში გასაგზავნი მისასალმებელი დეპეშების ტექსტები: ერთი — საბჭოთა ხელისუფლების, მეორე — ლენინის სახელზე.

როგორც ვიცით, საქართველოში სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გამო ძალაუფლება ხელში ჩაიგდო წვრილბურჟუაზიულმა მენშევიკურმა პარტიამ. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი გამოეყო რუსეთს და საქართველოს „დამოუკიდებლობა" გამოაცხადა. მახსოვს, ერთ კრებაზე ვალიამ თქვა: საქართველოს მენშევიკური მთავრობა გამოეყო არა

თამარ ბახტაძე
ძმის გახსენება

რუსეთს საერთოდ, არამედ ოქტომბრის რუსეთს, ლენინის რუსეთს, რევოლუციურ რუსეთს, ახალ. რუსეთს. კერენსკისა და როძიანკოს რუსეთს, ძველ რუსეთს იგი არასოდეს არ გამოეყოფოდაო.

ხონში საბჭოთა ხელისუფლებამდეც არსებობდა სტამბა. იგი სახელმწიფო ბანკის გვერდით იყო. ვალია სტამბის ხშირი სტუმარი გახლდათ.

— როდესაც ვალია წერილს მოიტანდა სტამბაში, ყველა სამუშაოს გადავდებდით და პირველ რიგში მას ავაწყობდით, — იგონებდნენ შემდეგში სტამბის მუშები. მაშინ ისეთი დრო იყო, ყველას ეჩქარებოდა. მიჰქონდათ დასაბეჭდი მასალები: პროკლამაციები, პლაკატები, მოწოდებები, წერილები, ბიულეტენები. ზოგი იხვეწებოდა, ზოგი იმუქრებოდა, რომ შეკვეთა სასწრაფოდ შესრულებულიყო. არჩევნების პერიოდი — ეს ხომ ნამდვილი ციებ-ცხელება იყო. ახალგაზრდა სტუდენტს (ასე ეძახდნენ ვალიას) მაინც ურიგოდ უბეჭდავდნენ მასალებს. ამის გამო მუშებს სტამბის ადმინისტრაციისაგან საყვედურიც ბევრჯერ მიუღიათ, მაგრამ საყვედურსაც იტანდნენ და საქმესაც აკეთებდნენ.

ერთხელ ხონში თბილისიდან სამხედრო მინისტრი, მენშევიკი გიორგაძე ჩამოვიდა. მიტინგი ბაღში გაიმართა.

ეს იყო 1918 წელი.

მინისტრი ბათუმში გასაგზავნად ხალხს მოითხოვდა — თურქების წინააღმდეგ. ვალია ახალი ჩამოსული იყო ბათუმიდან. ახალგაზრდობამ ერთხმად შესძახა, მენშევიკების ხელმძღვანელობით ბრძოლებში არსად არ წავალთო. ტრიბუნაზე ვალია ბახტაძე ავიდა. მან განაცხადა: „ჩვენ, ბოლშევიკებს, დაგვანებეთ ბათუმის დაცვა და ჩვენ დავიცავთ მას. აი, დღესვე ეს ახალგაზრდები, — და ორატორმა ხელი ხალხისაკენ გაიშვირა, — იარაღს აისხამენ და ბათუმს საკუთარი მკერდით დაიცავენ“.

— სწორია, სწორია, — იგრიალა ახალგაზრდობამ.

1918 წელს, ლეჩხუმისა და სამეგრელოს გლეხთა აჯანყებების ჩაქრობის შემდეგ ვალია იძულებული გახდა არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყო. იგი ერთ ღამეს მალულად გავიდა ხონიდან. რამდენიმე დღე ქვიტირში გაატარა, გათხოვილი დის ოჯახში. მალე იქიდანაც გაეპარა მენშევიკ ჯაშუშებს და გადავიდა აფხაზეთში, აფხაზეთიდან — ჩრდილოეთ კავკასიაში...

ხონში ამბავი მივიდა, ვალია არალეგარულად თბილისში დაბრუნდაო.

მამაჩემმა, ვალიას ამხანაგების რჩევით, გადაწყვიტა თბილისში წასულიყო. გამგზავრების წინა ღამეს ჩვენსას მოვიდნენ: ლ. ნადარეიშვილი, გ. ბახტაძე, იპ. ბახტაძე და შ. მდივანი. მამაჩემს საჭირო რჩევა-დარიგება მისცეს.

ოთახის კუთხეში იდგა ოთხფეხა, დაბალი სუფრა, რომელზედაც მამის საგზალი ელაგა. ის-ის იყო ამხანაგები წასასვლელად წამოიშალნენ, რომ ფანჯრიდან ვიღაცის ლანდი გამოჩნდა. დედაჩემმა წამოიძახა: — ეს ჩემი ვარლამიაო, — და კარებს ეცა.

კარებში ნაბადმოსხმული და თერთჩაბალახიანი ჩვენი ვალია იდგა გაღიმებული... თავზე დაბალი ფაფახი ეხურა.

ვალიამ გულში ჩაიკრა ხელებგაწვდილი დედა, შემდეგ სათითაოდ ყველა გადაგვკოცნა. ამხანაგები დიდხანს დარჩნენ. მეტად საინტერესო ამბებზე ილაპარაკეს.

დენიკინის შემოტევას ჩვენები ორ ნაწილად გაეყო. იძულებითმა უკანდახევამ ერთი ნაწილი დარიალისკენ გადმოისროლა, მეორე — რუსეთისკენ. ვალია პირველ ნაწილში მოხვედრილიყო.

დენიკინელთაგან დევნილები, დარიალთან საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დაატყვევა. ერთმა ნაწილმა გაქცევით დააღწია თავი ტყვეობას. მათ შორის იყო ვალიაც. იგი გამოექცა მენშევიკურ ხელისუფალთ და მალულად მცხეთამდე მიაღწია. მცხეთის სადგურზე გამოვიდა წვერულვაშმოშვებული, ნაბდით და ფაფახით; თბილისში მიმავალი მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო.

ვაგონის ღია ფანჯრიდან ერთმა ახალ-

გაზრდამ თავი გამოჰყო, ხალხს ათვალიერებდა. ეს ჩემი ბიძაშვილი, სტუდენტი მ. ბახტაძე იყო. იგი ვაგონიდან ჩამოვიდა და ბაქანზე გაიარ-გამოიარა. ანაზდად ნაცნობი ხმა მოესმა და თავისი სახელიც გაიგონა. ნაბდიან კაცს მოკრა თვალი და მისკენ გაექანა.

— ვალ... — უნდოდა დაეყვირა და გადახვევოდა საყვარელ ბიძაშვილს, ბავშვობის მეგობარს, მაგრამ წვეროსანნაბდიანმა ანიშნა — გაჩუმდიო, და მანაც სიტყვა შუაზე შეაჩერა. ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

— სახელს ნუ მეძახი. კავკავიდან მოვდივარ. თბილისში ოთახი თუ გაქვს... ერთი დღით...

ვაგონში ავიდნენ და რამდენიმე წუთს უხმოდ ისხდნენ. მოუთმენლად მოელოდნენ თბილისში ჩასვლას...

ცოტა რამ იმაზეც, თუ როგორ დააღწია თავი ვალიამ დენიკინელების ტყვეობას.

როდესაც ვალია ბახტაძის რაზმი ბრძოლაში დამარცხდა, იგი ტყვედ ჩაიგდეს დენიკინელებმა. ვალიამ მოასწრო მოესპო დოკუმენტები, რომლებიც მის ვინაობას ამხელდნენ. იგი რიგით ჯარისკაცად მიიღეს.

ღამე ცივი იყო. ტყვეს ტანისამოსი გახადეს და კუთხეში მიაგდეს. „გამარჯვებულები" არყის სმას შეუდგნენ. „წითელ ურჯულოს" ანგარიშს მაშინ გაუსწორებდნენ, როცა შეზარხოშდებოდნენ. მართლაც, კარგად შეთვრნენ. ტყვეც ამას ელოდა. წუთებს ითვლიდა, მანძილსა და დროს ზომავდა. მომენტიც დადგა... იდროვა და შეუმჩნევლად გახოხდა. ყაზარმას საკმაოდ რომ გაშორდა, წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და აჩქარებით გაუდგა გზას.

თოვდა. ვალია კი ფეხშიშველი მიდიოდა. იმ ღამეს 60 კმ გაიარა: ყინვაში, თოვლში, გაუვალ ადგილებში. დიდი წვალების შემდეგ ჩავიდა კავკავში, სადაც ჯერ კიდევ წითლები იყვნენ გამაგრებულნი.

ვალია ავად გახდა ფილტვების ანთებით, მაგრამ ამხანაგ-მეგობრების განსაკუთრებულმა ზრუნვამ მალე წამოაყენა ფეხზე.

ბრძოლები გრძელდებოდა.

თერგის მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების შემდეგ ვალია ბახტაძე და მისი ამხანაგების ერთი ნაწილი დარიალში მოემწყვდნენ. აქ მათ მენშევიკები კარგ დღეს არ დააყრიდნენ. უკან დენიკინელები იყვნენ, წინ მენშევიკები. ვალიამ და მისმა რამდენიმე ამხანაგმა ეს რკალიც გაარღვიეს და ახალ ტყვეობას დაუსხლტნენ. ამაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი...

ვალია მწვავედ განიცდიდა ახლობლების, მეზობლების, ამხანაგ-მეგობრების დაკარგვას. მახსოვს, როცა თერგზე ბრძოლებში დაღუპულ სახელოვან მებრძოლს შალვა ასკურავას მოიგონებდა, თვალები აენთებოდა, ნესტოები დაებერებოდა. შალვა ასკურავა ვალიას უახლოესი მეგობარი და ამხანაგი იყო.

ვალია ბახტაძემ ორი წერილი უძღვნა შალვა ასკურავას ხსოვნას.

1961 წელს გამოვიდა წიგნი, „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში". ამ წიგნში შალიკო ასკურავას გვარი და სახელი ამოვიკითხე. თვალწინ დამიდგა ვალია და მისი სიტყვები მომაგონდა: „როდესაც, მომავალში, გამარჯვებული კაცობრიობა თავის დიდ წითელ წიგნში ოქროს ასოებით აღბეჭდავს რევოლუციისათვის თავდადებულთა ხსოვნას, შენც იქნები მათ შორის, ამხანაგო შალიკო! მანამდის კი, სანამ ეგ წიგნი არ დაწერილა, შენი ხსოვნის სამარე შენი ამხანაგ-მეგობრების გული იქნება".

ეს სიტყვები 1920 წელს დაიწერა.

ვალიას უყვარდა ახალგაზრდობა. „სპარტაკის" ორგანიზაციის წარმომადგენლებს მ. ბახტაძეს, ვ. ნადარეიშვილს, ს. ბახტაძეს, დ. გვაზავას, ვ. კაკაბაძეს, ვ. ხობუას, ვ. წულაიას დანახვაზე ძალზე გაიხარებდა. შემდეგში, როცა თვითონ თითქო გაცდა სიყმაწვილის წლებს,

---

თამარ ბახტაძე
ქმის გახსენება

კიდევ უფრო ახარებდა ახალგაზრდებთან შეხვედრა და მათთან საუბარი. ვალიას ახალგაზრდობის საყვარელ და საიმედო წინამძღოლად თვლიდნენ.

1920 წლის ზაფხული იდგა. ვალია ხონში ჩამოვიდა. მას თან ახლდა ცნობილი ბოლშევიკი მეძმარიაშვილი (გუბელი).

ჩვენ აივნიანი პატარა ფიცრული სახლი გვედგა; ვალია და სტუმარი ფარდაფარებულ აივანზე იძინებდნენ.

მახსოვს, აივნის ჭერზე შაშვის გალია გვეკიდა. იმ შაშვმა უცნაური გალობა იცოდა. ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს იწყებდა გალობას.

შაშვი ვალიას საყვარელი ჩიტი იყო. დაჭერაც ეხერხებოდა მისი, ამიტომაც შაშვი ყოველთვის გვყავდა. ლამაზი და მოხერხებული გალიის გაკეთებაც იცოდა. ის გალიაც მისეული იყო...

ვალიას ჩამოსვლიდან სამი თუ ოთხი დღე გავიდა. ვალია და მისი ამხანაგი გუბის წყალზეც იყვნენ სათევზაოდ. თევზიც ბლომად მოიტანეს...

მშვენიერი დილა გათენდა, ცას ზეთი ჩამოსტირისო, რომ იტყვიან, ისეთი. შაშვი ჩვეულებრივზე ადრე აჭიკჭიკდა.

— ერთი ჰკითხე, ბიჭო, მაგ შაშვს, რას ამბობს? — შეეკითხა ახალგაღვიძებული სტუმარი ვალიას.

— რას და, თოხი ხელში აიღე და მამას მიეხმარეო, — თქვა გაღიმებულმა ვალიამ, წამოდგა, თოხი მოძებნა და ეზოში, სიმინდის აბიბინებულ ყანაში გავიდა — ჩემთვისაც ნახე თოხი, — მიაძახა გუბელმა...

მალე ჩვენს ჭიშკართან ორი ეტლი გაჩერდა. ერთში მარტო მეეტლე იჯდა. მეორეში გვარდიელები ისხდნენ.

გვარდიელები რისხვასავით შემოიჭრნენ წინა კარიდან. საცოდავი დედა გაფითრდა, გაყვითლდა, კაბა შეისწორა, თავსაფარი ნიკაპთან შეინასკვა და სახლში უკანა კარიდან მხნედ შევიდა, თან ახალი თევზის სუნი შეიტანა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეეკითხა გვარდიელი.

— დედა! — მხოლოდ ეგ ერთი სიტყვა თქვა დედაჩემმა და გვარდიელებს ამაყად გადახედა. გულზეხელებდაკრეფილი იდგა ქანდაკებასავით.

ვალია სახლში რომ ვერ ნახეს, ეზოში გაიჭრნენ. გვარდიელმა გუბელს უბრძანა, ჩაიცვიო. ამასობაში ვალიაც გამოჩნდა. თოხი იქვე, კიბესთან მიაყუდა და გვარდიელის თანხლებით სახლში მშვიდად შევიდა.

ჩხრეკა დაწყებული იყო. ვალიამ და გუბელმა უფროსს საბუთი მოსთხოვეს, მანაც გაუწოდა რაღაც ქაღალდები, ალბათ — დაპატიმრების ორდერი.

არც ვალიასთვის და არც გუბელისთვის პატიმრობა პირველი ხილი არ იყო. ამჟამად ვალიას მესამეჯერ აპატიმრებდა მენშევიკური ხელისუფლება. ერთხელ, 1919 წელს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის დარბევის დროს დააპატიმრეს.

ჩვენს სახლში ჩემოდნები, ყუთები, კალათები, წიგნები თავდაყირა ეყარა. ვალიას ერთი ტყავის ჩემოდანი ჰქონდა, მასაც ძირი გაურღვიეს. მაგრამ არ იქნა და არა, საკბილო ვერაფერი ნახეს. მშიერი ძაღლებივით ყნოსავდნენ ყველაფერს, მაგრამ ამაოდ.

ჩემს დას ჟენიას მოესწრო ახალი ბროშურის გადამალვა, რაც შემოსვლისთანავე ანიშნა ვალიას. სხვა თითქოს არაფერი იყო ისეთი, მაგრამ შევნიშნე, რომ ვალია ხელში რაღაცას აწვალებდა. მინდოდა ჟენიასათვის მენიშნებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

ჩხრეკა მთავრდებოდა. წასვლის დროც დადგა. მე პირველი გადავეხვიე ძმას თითქოსდა გამოსამშვიდობებლად. ვალია ჩემს განზრახვას მიხვდა და ხელი „მაგრად“ ჩამომართვა. ჩემს ხელში პატარა ქაღალდი აღმოჩნდა. ვალია შუბლზე მეამბორა და თან ჩამჩურჩულა, თუ ვისთვის უნდა გადამეცა ის ქაღალდი.

ვალია ყველას გამოემშვიდობა. მამა არ ჩანდა. ვალია თვალებით, უსიტყვოდ ეძებდა, ის კი, თოხის ტარს დაყრდნობილი, ეზოში, დიდი კაკლის ხის ქვეშ იდგა და ელოდა... ელოდა შვილის გამოსვლას. მამა არ შემოსულა სახლში.

იქედან დაემშვიდობა თავის პირმშოს, მოხუცებულობის იმედსა და ოჯახის ბურჯს.

ამ ამბის შემდეგ ოთხნახევარ ათეულ წელზე მეტი გავიდა. მაგრამ დღესაც, იმ კაკლის ხეს რომ შევცქერი, იმ ადგილს რომ დავინახავ, სადაც მოხუცი მამა გატანჯული სახით, დარდისაგან ბეჭებში მოხრილი იდგა, ყველაფერი გაცოცხლდება, ყველაფერი თავიდან იწყება... ასე მგონია, გუშინ მოხდა ეს ამბავი... გუშინ იყო, ჩვენს საფიცარ ვალიას რომ დავემშვიდობეთ, ჭიშკრამდე მივაცილეთ გვარდიელებით გარშემორტყმული...

ვალია ამჯერადაც ქუთაისის ციხეში მოათავსეს.

შემოდგომა იყო (1920 წ.). ციოდა. მამაჩემი ქუთაისში „კაჭკით" წავიდა. ეტლით მგზავრობა ძვირი ჯდებოდა. მეორე დღეს უკან რომ ბრუნდებოდა, „კაჭკა" გადაბრუნებულა. სახე სულ დალურჯებული ჰქონდა ბედშავს. ხელი მაჯაში გადატეხოდა. ლოგინად ჩავარდა.

აქ არ შემიძლია არ მოვიგონო მეტად კეთილშობილი ექიმი, ხონის მკვიდრი პლატონ ჯაში — ღარიბი ხალხის გაჭირვების ტალკვესი. ის ღარიბებისაგან გასამრჯელოს არ იღებდა და ამიტომ ღარიბთა ექიმს ეძახდნენ. პლატონი ამჟამად პერსონალური პენსიონერია. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენს ოჯახს, განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

1922 წელს მამაჩემი გარდაიცვალა.

...ვალია სისტემატურად ათავსებდა პუბლიცისტური და პოლემიკური ხასიათის წერილებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, სხვადასხვა ფსევდონიმით.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ მის კრიტიკულ წერილებზე, რომელიც „რჩეული წერილების" სახელწოდებით წიგნად გამოიცა 1961 წელს. მასში შესულია მხოლოდ 19 სტატია, დანარჩენი ელოდება გამოქვეყნებას.

ვალიას პუბლიცისტური და პოლემიკური ხასიათის წერილები, რომლებიც დაწერილია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ახლაც ცხოველი ინტერესით იკითხება.

1919-20 წლებში „ვინ-ბანი" ვალია ბახტაძე, ცხარედ ეკამათებოდა თეკლათელს გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნებული წერილების გამო. თეკლათელი მენშევიკ ვიქტორ თევზაიას ფსევდონიმია.

1921 წლის იანვარში ვ. ბახტაძე, სხვა ბოლშევიკებთან ერთად, მენშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოდან გაასახლა. იგი ბაქოში ჩავიდა. ბაქოში ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება იყო.

დადგა დაძაბული 1921 წელი. თანდათან იზრდებოდა ხალხის უკმაყოფილება. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა.

რევოლუციური და კონტრრევოლუციური ძალების თანაფარდობა რევოლუციის სასარგებლოდ შეიცვალა. რუსეთიდან სასიხარულო და საიმედო ამბები მოდიოდა. ინტერვენციამ კრახი განიცადა. ჩაიფუშა თეთრი გენერლების ვარაუდები.

მახსოვს, 1918 წელს ვალიამ კედელზე გაგვიკრა რუსეთის დიდი რუკა და ქინძისთავებით წითელი ძაფი გაბა. ამ ძაფით შემოფარგლა ყველა ის ქალაქი, სოფელი თუ მხარე, სადაც წითელი დროშა ფრიალებდა. მაშინ რუსეთის ქალაქები და სოფლები კვირაში რამდენჯერმე იცვლიდნენ დროშის ფერს. ამიტომ ქინძისთავების გადაადგილ-გადმოადგილება ხშირად გვიხდებოდა. რა სიხარული იყო ოჯახში, როცა წითელი ძაფის „რადიუსი" დიდდებოდა. მაგრამ იყო პირიქითაც. ვალია ხონში რომ ჩამოვიდოდა, ვაჩვენებდით რუკას და ვეკითხებოდით: — ხომ სწორად ვაკეთებთ? — ისიც კმაყოფილებით იღიმებოდა.

1921 წლიდან უკვე აღარ იყო საჭირო ქინძისთავებისა და წითელი ძაფის გადაადგილ-გადმოადგილება: ახალი ერა დადგა.

მამუკა ნიკლაური

გაეყვეთ იდრისს...

ძნელია ქართულ ბიოგრაფიულ რომანზე ლაპარაკი. გამოჩენილ ადამიანებზე დაწერილი რამდენიმე კარგი წიგნი თუ მოგვეპოვება (კ. გამსახურდიას „გოეთეს ცხოვრების რომანი“, ვ. ჭელიძის „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“, ლ. ასათიანის „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“). ქართველი მკითხველი კი მოელის რომანებს რუსთაველზე, სულხან-საბაზე, დავით გურამიშვილზე, ვაჟაზე, ივანე ჯავახიშვილზე, გალაკტიონ ტაბიძეზე...

და აი, ბაზარზე გამოჩნდა აკაკი გელოვანის „სვეტი ნათლისა“ (გამომცემლობა „განათლება“), რომელსაც მოკლე ანოტაცია აქვს წამძღვარებული: „აკაკი გელოვანის „სვეტი ნათლისა“ — ესაა მხატვრული ბიოგრაფია, რომელშიც ასახულია შავ ბედზე ამხედრებული (!) გენიალური ქართველი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და მისწრაფება, დარდი და იმედი, საუკუნის ფართო სურათის ფონზე გაშლილია მღელვარე სულისკვეთება ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებლისა.

წიგნი გათვალისწინებულია მოსწავლე ახალგაზრდობისა და ფართო მკითხველისათვის“.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ წერის კულტურასა და მკითხველის გემოვნების ზრდაზე. მას, ვინც მთვარეზე საოცარ მანქანებს გზავნის, ვინც ხვალინდელი დღის უდიდეს აღმოჩენებს ამზადებს, ვერ დააკმაყოფილებს ის სქემატური და დაბალმხატვრული წიგნები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ხშირად გვთავაზობენ გამომცემლობები.

მწერალი და გამომცემლობა უნდა უფრთხილდებოდეს მკითხველს, რომელიც ხშირად ბრმად ენდობა დაბეჭდილ სიტყვას, განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდეს მისი გემოვნების ზრდაზე. ჩეხოვი წერდა: „გოგოლი კი არ უნდა დავიყვანოთ ხალხამდე, ხალხი უნდა ავამაღლოთ გოგოლამდე“.

ამ დროს გადამწყვეტი სიტყვა კრიტიკამ უნდა თქვას. ხშირად ნაწარმოების მხატვრული დონე არ სცილდება მოკითხვის წერილების დონეს, მათზე დაწერილ რეცენზიებში კი ლაპარაკობენ რაღაც ხასიათებზე, კონფლიქტებზე, გავლენებზე... ეს ფიქრები, სამწუხაროდ, სწორედ ა. გელოვანის აღ-

ნიშნულმა წიგნმა გამოიწვია და აი, რატომ:

ამ წიგნის ავტორს დიდი შრომა გაუწევია. იგი ცდილა ფართოდ ეჩვენებინა ბარათაშვილის საუკუნე, ის გარემო, რომელშიც ცხოვრობდა დიდი პოეტი, მაგრამ სურვილი ერთია... სინამდვილეში, რასაც ავტორი ისტორიულ ფონად თვლის, მხოლოდ სხვა ავტორების მიერ შექმნილი დეკორაციების ნარევია, ხასიათები კი ნეგატივებს ჰგვანან. ერთი სიტყვით, წიგნში არა ჩანს ავტორის პოზიცია, შეხედულებები, ლიტერატურული ალღო, არ ჩანს ის, რასაც ასე რიხიანად გვპირდება წიგნის ანოტაცია, არ ჩანს ის, რასაც, უბრალოდ, შემოქმედება ჰქვია.

წიგნში ლაპარაკია ბარათაშვილისა და ეკატერინეს სიყვარულზე, პოეტის დამსხვრეულ იმედებსა და „მერანზე", 1832 წლის შეთქმულებაზე, დაღესტნის ომებზე, არსენა ოძელაშვილზე, უტუ მიქავაზე... მაგრამ ყოველივე ამას დამაჯერებლობა და სიმართლე აკლია. მწერალი ყოველთვის რაღაც დისტანციიდან ლაპარაკობს საგნებზე, ვერ ბედავს მოვლენებთან ახლოს მისვლას და მათ გაანალიზებას. ბარათაშვილის ცხოვრების ფაქტები ოდნავღა მოსჩანს, — მას იმდენი არაფრისმთქმელი პათეტიკა და „ისტორიული გარემო" აწევს ზედ.

ავტორმა რატომღაც გრძნობამოჭარბებული ორატორის პოზიცია აირჩია. და თუ მკითხველი მწერალს არ გაჰყვა, ამის მიზეზი, პირველ რიგში, ავტორის იოლი გზით სიარულია. მან ვერ შეძლო ბარათაშვილის შინაგანი სამყაროს გახსნა და მოვლენების ხან აღტაცებულ, ხან დაღონებულ, ხან კი გახარებულ მაყურებლად დარჩა. მკითხველი პირველი თავებიდანვე ხვდება, რომ ყალბია მწერლის აღტაცება, სიხარული თუ დაღონება, ყალბია მის მიერ დახატული ნიკოლოზ ბარათაშვილი, ეკატერინე, მელიტონი, ილია ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, შამილი...

ზემოთ ნათქვამი ძალიან მძიმე, მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან სამართლიანი ბრალდებაა, მე შევეცდები, ავტორიც და მკითხველიც დავითანხმო ამ ბრალდებაში.

აი, ალექსანდრე ორბელიანი მიდის ტატოსთან და ეუბნება:

„— ილია შამილს დაუტყვევებია.

— ილია შამილს დაუტყვევებია? თუ ილიას შამილი? ხუმრობაგაშვებით..

— ხაროში ჰყავს, თურმე.

— ვაი ჩვენს მტერსა! აკი ვეუბნებოდი, ახლა რაღა ვქნათ? მაგის საქმე თავში ბოსტანია და გულში სიყვარული. ახლა აღარც ერთი და აღარც მეორე! აჰ, ერთი მერანი მომცა და გამაქროლა იმ შაითანზე ხმალშემართული!

— მერანი კი არა, არწივიც ვერ აფრინდება იმამის აულში.

— მე ისეთი მერანი მინდა, გაჰკვეთოს ქარი, მთას გადაევლოს... ვინ მოიტანა ეს ამბავი?"

ავტორმა იცის, რომ „მერანის" დაწერა დაკავშირებულია ილია ორბელიანის დატყვევებასთან. იცის, რომ საჭიროა ამ ფაქტის რომანში შემოტანა. მაგრამ იქ, სადაც ლიტერატურათმცოდნე მწერალმა უნდა შეცვალოს, ავტორი ისევ ლიტერატურათმცოდნედ რჩება. აქ მას ღალატობს ტაქტი, გემოვნება, ბუნებრიობის გრძნობა.

მაგრამ მხოლოდ აქ?..

„გაფითრებული მიხეილი, ყველაფერს რომ პირველი გაიგებდა ხოლმე, ტატოსთან გავარდა.

— მომისმინე, ტატო! ბევრი რამ უნდა გითხრა!

— თუ სათქმელი გაქვს მხოლოდ სიმართლე, საკმარისია ორი სიტყვაც.

— მაშ მისმინე: შეთქმულება გაუციათ!

— გაუციათო? შეთქმულება? განდობის ღირსადაც არ გაგვხადეს მე და შენ".

როგორ მოგწონთ? ბარათაშვილი თავის საუკეთესო მეგობარს მიხეილ თუ-

---

მამუკა წიკლაური
გავყვეთ იდრიხს...

მანიშვილს ეუბნება: „თუ სათქმელი გაქვს მხოლოდ სიმართლე, საკმარისია ორი სიტყვაც“. და თუმანიშვილიც უცებ პასუხობს ამოცანის მოცემულ პირობას:

„— შეთქმულება გაუციათ!“ ტატოც უცებ შეიცხადებს: — „გაუციათო? შეთქმულება? განდობის ღირსადაც არ გაგვხადეს მე და შენ“. როგორც ხედავთ. ბარათაშვილს არაფერი სცოდნია შეთქმულებაზე და საინტერესოა, როგორღა მიხვდა, თუ თუმანიშვილი ქართველების 1832 წლის შეთქმულებაზე ელაპარაკება? აკი განდობის ღირსადაც არ გახადეს თურმე ისინი. მსგავს შეუსაბამობებს, რამდენსაც გნებავთ, იმდენს შეხვდებით წიგნში.

ა. გელოვანი თავგამოდებით ცდილობს დახატოს ბარათაშვილის „სიმპათიური და მიმზიდველი“ სახე. აი, ბარათაშვილი მოხელის სკამზე. კაცი თუ მოხელეა, ქრთამის აღების საშიშროებაც ჩნდება, „მაგრამ ეს რა სპეტაკი მოხელეა! ვიღაცას ქრთამი შეუძლევია, მრისხანედ გადაუხედავს, პალატიდან გაუბრძანებია“. ავტორი თავგამოდებით იცავს ბარათაშვილის მორალურ პრინციპებს. პოეტი ვერც მოლაყბეებს იტანს:

„— დიდად პატივცემულო თავადო ნიკოლოზ მელიტონის-ძეო, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომა მე, თავადი მირმანოზ ქაიხოსროს-ძე დიდებულიძე, რომელიცა რომა წელსა ქრისტეს აქეთ...

— კმარა, — მოთმინება ეკარგება ტატოს, — თუ მართლა ქრისტეს აქეთ დაიბადეთ, ქრისტეს იქით ნუღარ წახვალთ.

— რათა, თქვენო კეთილშობილებავ? მე...

— ბატონო, თქვენ ცუდად კითხულობთ სულხა-საბას და შექსპირს. თოკი გრძელი ჯობს, ენა მოკლე. ილაპარაკეთ მოკლედ და უბრალოდ. საერთოდ, გირჩევთ ილაპარაკეთ ნაკლები და ისმინეთ მეტი“.

თუნდაც ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ საწყალ მირმანოზს მაშინ შექსპირის არც ცუდად და არც კარგად წაკითხვა არ შეეძლო, უბრალო მიზეზის გამო — შექსპირი თარგმნილი არ იყო ქართულად, მაგრამ რა ვქნათ, რომ ამ დიალოგში ბარათაშვილი ეთიკის ელემენტარულ ნორმებსაც არღვევს. ამის მიზეზი კი ისევ სიყალბე, სქემატურობა და იქნებ გულუბრყვილობაცაა. მივყვეთ ტექსტს: „გრიგოლი ხან გორშია, ხან გურიაში, ხან ალექსანდროპოლში, ხანაც სტუმრად — თბილისში, 1842 წლიდან კი — დაღისტანში, თავის ოლიმპზე. ალექსანდრე ჭავჭავაძეც 1834 წლიდან შამილთან მებრძოლი მილიციის სათავეშია, ასე რომ ახალგაზრდა ტატოს არსებითად თვითონ უხდება დიდი ლიტერატურის ჭაპანის გაწევა.

არც დაიზარებს ტატო ბარათაშვილი“.

ხედავთ, რა მძიმე მდგომარეობაა. ორბელიანს და ჭავჭავაძეს მიუტოვებიათ „ლიტერატურის ჭაპანის გაწევა“, მაგრამ ტატო ბარათაშვილი ყოჩაღი ბიჭია და არ დაიზარებს... (ამ დროს თბილისში არ გამოდის არც ჟურნალი, არც გაზეთი და თითქმის არავინ იცნობს პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს).

ავტორი უცნაურ ასოციაციებს მიმართავს, ერთობა რითმების თავისებური ძიებით:

„ჯემალ-ედინის სიტყვამ დაღისტნის ყინვარი გატეხა (შამილი დაითანხმა, რომ ტყვეები გაეცვალა, მათ შორის ილია ორბელიანიც. მ. წ.) და ამით შამილის ბრძენმა მასწავლებელმა ნაწილობრივ დაფარა ის უსაშველო დანაშაული, რაც თავს დაატეხა თბილისს ოდესღაც ჯალათმა ჯალალედინმა, რომლის კრული სახელი ასე ზედმიწევნით ერითმება მის სახელს“.

„მაღალაშვილი გონებამახვილი კაცია, ბარათაშვილის მეგობარი. ტყუილად არ ერითმებიან ერთმანეთს მათი გვარები“ (ისარლიშვილი ალბათ ტყუილად ერითმება!).

„ო, პოზიცია თქვენი მაოცებს, თავადო! ოპოზიცია ხომ არ არის ეს?“

„ტატომ ხელახლა ნახა ცისიერი: „აღარც ის სისავსე, აღარც ის იერი“.

„...თუ უზდენიშვილი?

— არავითარი უზრდელის შვილი! ალექსანდრე ბატონიშვილის შვილი ყოფილა თურმე“ (ლაპარაკია შამილზე. მ. წ.).

„— საქონელს მანეთად ვინ მოგცემს, შვილო? — ჩაერია მელიტონი.

— სკოტი საქონელი არაა, მამა! სკოტი მწერალია...“

„გენერალმა გრაბემ უკვე სცადა დარღოს აღება და აიღო მხოლოდ „გრაბე“.

მერანი — მარანი, ტატო — კაკო, ბედი ქართლისა — ყბედი ქართლისა, გასტრონომია — ასტრონომია... და ასე, დაუსრულებლად.

ასეთი „ეფექტები“ გამიზნულია ისევ და ისევ დაბალი გემოვნების მკითხველისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ აცინებს „სკოტი და სკოტი“.

წიგნის ერთი ქვეთავი ასე იწყება:

„მტარვალთა ჩამოსვლაზე ბუნება ტირისო, ნათქვამია.

რაღაც ჰადესური დღეებია. ქვეყანა დანისლულია, ბნელა, ცივა, პირშეუღებლად წვიმს, თითქოს მიწის ცოდვა უნდა ჩარეცხოს.

როცა ნიკოლოზ პირველი საქართველოს საზღვრებს მოადგა, ცამ პირი შეიკრა, შფოთავდა შავი ზღვა, კავკასიის მთებში ჯანღი ჩამოწვა“.

თავი დავანებოთ იმას, რომ, როცა ძლიერად წვიმს, ამბობენ, ცამ პირი გახსნაო და არა პირი შეიკრაო; საინტერესოა, ვინ თქვა, ან სად გაიგონა აკაკი გელოვანმა, მტარვალთა ჩამოსვლაზე ბუნება ტირისო. ბუნების მოვლენების აღწერასაც თავს დავანებებდით, მაგრამ მწერალს ხანდახან ავიწყდება, რა თქვა წინა გვერდზე:

„მაგრამ ხდება ის, რაც ხშირად მომხდარა იმპერატორთა სტუმრობის ჟამს: ცამ პირი შეიკრა და ისევ დაუშვა კოკისპირული, პირშეუღებელი, ბაბილონური წვიმა...

— ტყუილად არ აგიმეტყველებია ბუნება, ტატო, — ეუბნება წყნარად ლევანი მეგობარს, — ხედავ, როგორ ეგებება ცა თვითმპყრობელის მობრძანებას?“ თურმე ეს „პირშეუღებელი, ბაბილონური“ წვიმა სულ ტატოს დამსახურება ყოფილა.

უდავოა, მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა ძნელია ამ რომანის გმირთა ხასიათებზე, კოლორიტზე, მოქმედების დინამიურობაზე მსჯელობა...

მაგრამ მაინც „გავყვეთ იდრისს და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან“.

„1832 წლის 22 მარტს ვაიმარში კვდება ცისა და მიწის მესაიდუმლე, საუკუნის უდიდესი პოეტური გენია — გოეთე. იმავე წელს, და იქნებ იმავე დღეებშიც, ბარათაშვილმა მოიტეხა ორივე ფეხი“. ძალიან საინტერესო ფაქტია, ავტორი ამით, ალბათ, რაღაც სულიერ მემკვიდრეობაზე „მიგვანიშნებს“:

ცოტა ქვევით ვკითხულობთ:

„მაინც საოცარი დამთხვევაა: იმავე ხანებში იტეხს ფეხს ილია ორბელიანი...“ ეს უკვე მოვლენათა „ფანტასტიკური“ კავშირია, თუმცა რა დანიშნულება აქვს ასეთ კავშირს, გულწრფელად რომ ვთქვათ, ჩვენთვის გაუგებარია.

კიდევ ერთი ადგილი:

„ბარათაშვილის სახელთან დაკავშირებულ გვარშიც იელვებს მაღალი ნიჭის ნაპერწკალი, ოღონდ არა პოეზიაში, არამედ ჰადრაკში: დაკარგულ სამთავროს გვირგვინის ნაცვლად ანდრია დადიანის შუბლს ამშვენებს უფრო უჭკნობი გვირგვინი საჰადრაკო დიდებისა“ (ავტორი ეკატერინე ჭავჭავაძის ქმრის გვარს გულისხმობს. მ. წ.).

„დაღისტანში სასტუმროები არაა. არც ლუდია, არც ღვინო. ყველაფრით ჩანს, რომ მიჯაჭვულია ამირანი და ახსნილია შამილი“.

აი, კიდევ ერთი ფრიად „ორიგინალური“ მაგალითი იმისა, თუ სადამდის

შეიძლება მივიდეს მწერალი სათქმელზე კონტროლის დაკარგვისას.

კომენტარები ზედმეტია, თუმცა... ამ უკანასკნელ წლებში ა. გელოვანმა კიდევ ორი „მხატვრული ბიოგრაფია“ გამოსცა — შოპენსა და ბრუნოზე. წიგნები სწრაფად გაიყიდა, სწრაფად გაიყიდა აგრეთვე „სვეტი ნათლისა“. აქ, რა თქმა უნდა, დიდი როლი შოპენის, ბრუნოსა და ბარათაშვილის სახელებმაც შეასრულეს, მაგრამ სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ანსხვავებს ნამდვილ ლიტერატურას ლიტერატურის სუროგატისაგან. სწორედ ამ რანგის მკითხველს სჭირდება „კომენტარები“, მაგრამ კომენტარები არ უნდა სჭირდებოდეთ იმ გამომცემლობებს, რომლებიც ზოგჯერ ვერ გრძნობენ, თუ რა მიუტევებელ შეცდომებს უშვებენ.

ისევ „გავყვეთ იდრისს და ვნახოთ, რა გამოვა რისგან“...

ამ წიგნს აკლია ბუნებრიობა და გულწრფელობა. ავტორმა პირველი გვერდებიდანვე აირჩია მწიგნობრული ფრაზებისა და გაცვეთილი შტამპების გზა. მაგალითად: „— მაშ გირჩევ: შენ შამილი შეაშინე, უშამილოდ მისი ლაშქარი დაიშლება, შინ მიაშურებს“. აქ უკვე ახალ მხატვრულ ხერხთან გვაქვს საქმე. იქნებ მისთვის ყურადღება არც მიგვექცია, მაგრამ მსგავს ალიტერაციებს ავტორი განმეორებითაც გვთავაზობს: „ეს ქალი უყვარდა გიორგი ერისთავს, რომელსაც უძღვნა „შეშლილი“, დანიშნა კიდეც, მაგრამ მშობლებმა საქმე ჩაშალეს და პოეტი ლამის შეშალეს“.

„როდის დაქორწინდა მელიტონი ეფემიაზე?“ — კითხულობს ა. გელოვანი და ასახელებს რამდენიმე სავარაუდო თარიღს, მერე უცებ წყვეტს დავას და შვებით ამბობს: „მაგრამ მთავარია, რომ შეუღლება მოხდა“. და კიდევ:

„თვით ტატოს დაბადების თარიღზე უკანასკნელ დროამდე გრძელდებოდა დავა, რომელშიც მონაწილეობდა პოეტის ახლო მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი. საბედნიეროდ, სადავო არ ყოფილა მთავარი: რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა“.

შემდეგ კი ცნობილი ტრივიალური მოტივიც მომძლავრდა:

„ცხოვრება მხოლოდ ეკლებს თესავს მის გზაზე? მერე რა, ის ვარდებს მოწყვეტს და ხალხს გაუწოდებს, თუნდაც ხელები დაუსისხლიანდეს... „იცის „შუქმომფინარემ“: ბარათაშვილი სამკაულია, მაგრამ მამის სახლი ისედაც სავსეა სამკაულებით, ისეთ სამკაულს კი, როგორიც ტატოა, ტიტანის ადგილი უნდა“.

აი, ასოციაციების საინტერესო ჯაჭვი.

„ქვეყნად ასეა: ზოგი კვდება, ზოგი იბადება, ზოგი ჭკუაზე ცდება, ზოგი თხოვდება... ქაიხოსროს ქალი გაუგიჟდა, მელიტონი კი ქალს ათხოვებს. სექტემბერში შეუსრულდა ეკატერინე ბარათაშვილს ოცდასამი წელი, დროა ბედს ეწიოს. ქსნის ხეობაშია მისი ბედი“.

„მთავარმართებლები იცვლებიან, პოეტები რჩებიან“ — ეს ფრაზა რომანის ლეიტმოტივი გახლავთ...

„ასეა ქვეყნად: სიყვარულში ჩააქსოვს ხოლმე ადამიანი თავის განცდებს, იმედსა და მწუხარებას. შემოქმედის განწყობაც ხშირად განსაზღვრავს პოეტის მარცხსა და წარმატებას“.

ავტორს თავისი წიგნისათვის უცხო სიტყვათა ლექსიკონი დაურთავს; ასეთი წინადადებების გასაგებად არც განმარტებითი ლექსიკონი იქნებოდა ზედმეტი. ზემოთ ჩამოთვლილ „ჭეშმარიტებებში“ კი მას ვერ შევედავებით...

„წუთისოფელი ზღვასავით ბორგავს, ბარათაშვილი კი ხმელეთზე დგას. მას სურს, მღელვარე ზღვაში იყოს, **დადგეს იქ, სადაც ქარიშხალია“.**

ამ სტრიქონებმა გალაკტიონის ერთი ლექსი გაგვახსენა. ჩვენი აზრით, ავტორს სხვათა სიტყვა ბრჭყალებით მაინც უნდა გამოეყო.

რამდენიმე სიტყვა ა. გელოვანის

სტილის შესახებ. წიგნს არ ახასიათებს ერთი სტილი. იქ ბევრი ქართველი მწერლის წინადადებათა კონსტრუქციას იპოვით: „და-ძმებს არ უმადლოდა: ერეკლე მეფეს გადაუდგნენო, შურით ავსილნი. ასე ამბობდა: რუსთა მთავრობა საჭირო იყო ჩვენთვის, ამაოდ აბრალებენო ჩემს ძმას, გიორგი მეფეს „ქვეყნის გაცემასა და სამეფოის დაცემასო“, ოღონდ ეს კია, რუსთ ხელმწიფეს არ ეკადრებაო ჩვენი ასე გაწბილება და ულუკმაპუროდ დატოვება“.

„შენი სეხნიის თხზულება გალექსეო ბარემ“, ურჩევს ტატო, და ლუკას საბარებაზე უთითებს“.

„კახეთსა ჰგავსო, ბაღ-ვენახებით დამშვენებულს“...

ბევრგან კი საერთოდ გაურკვეველია, რა პრინციპითაა აგებული ესა თუ ის ფრაზა:

„დაღისტნელების ხელით საბარათიანო და საორბელო კვლავ აშენდება მნგრეველთა თავებისაგან“.

„შენ რაღა გრჯის, ბედშავო? — შესძახა კონსტანტინემ (დადეშქელიანი. მ. წ.), გადმოიღო და ხანჯალი მკერდში გაუტარა.

მოზღვავდნენ მსახურნი, როგორც ზვიგენები, რომელთაც სისხლის სუნი იგრძნეს. ლილიპუტებივით დაძვრებიან, დარბიან, ყვირიან, იმალებიან და ეჯახებიან ერთიმეორეს, თავს კი ვეღარავინ ესხმის ნამდვილ გულივერს, რომელიც უკვე კიბეზე დაეშვა. აი, მზარეული მაქსიმე მხარზე დაახტა. კონსტანტინემ კატასავით გადმოიღო, დასცა ხანჯალი, ბურთივით გადაისროლა და რიონს მიმართა“.

ა. გელოვანის სტილის ერთგვარი სამკაულებია ნაცვალსახელი „თვით“, სუფისტური სიბრძნე „რა გამოვა რისგან“ (საიათნოვას ლექსიდან), აღტაცების თუ სინანულის წამოძახილები: „ო, ოჰ, აჰ, ეჰ“ და სხვა.

„აქ პოულობს ისიც (ა. ა. სტოცკი) მეორე სამშობლოს და თვით პოეტის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ მიწისმზომელად ვხედავთ ერევანში“.

„თვით ალექსანდრე დიუმას მოხიბლავს ამ ქალის სილამაზე ოციოდე წლის შემდეგ“.

„თვით დიუმას აოცებდა ილიას სიმტკიცე და სიმამაცე“.

„ასეთი სიურპრიზი აღტაცებაში მოიყვანდა თვით გასტრონომიის დიდ ოსტატს ალექსანდრე დიუმას“.

„მაგრამ ეს იყო გაბედული შეთქმა თვით ჩაგვრის, თვით დესპოტი მეფის წინააღმდეგ“.

„სამთავეს ერთად კიცხავენ, სამთავეს ელის გაროზგვა, გარიცხვა, და ვინ იცის, რა გამოვა რისგან“.

„რამდენიმე დღე მაინც გაიარონ თავისუფლად და მერე ვნახოთ, რა გამოვა რისგან“.

„ამიტომ გავყვეთ იდრისს და ვნახოთ, რა გამოვა რისგან“.

„ეჰ, მამუკა, ვინ რა იცის, რა გამოვა რისგან!“

„აჰ, ერატოსთენ ალექსანდრიელივით ვადიდოთ მფარველი პტოლემეოსი“.

„ო, დელფინა მეტისმეტად მიწიერია...“

„ო, ეკატერინეს მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს“.

„ეს გმირობაა“.

„კომიკური დეტალია“.

„კლასიკური ჟესტია“.

„ოჰ“.

მაგრამ საკმარისია.

წიგნში საკმაოდ სოლიდური ადგილი უკავია ფრაზებს: „ხდება რაღაც ამდაგვარი“ და „ეს თითქმის ერთი და იგივეა“...

ცუდად არ გაგვიგოს მკითხველმა. ან ავტორმა. ზემოთ მოყვანილი ციტატების თავმოყრით მხოლოდ ერთი რამის თქმა გვინდა: მწერალს რომ წიგნის წერის დროს შემოქმედებითი ბრძოლა გადაეხადა, გულამდე მიეტანა ყველაფერი, რაზეც წერს, არა გვგონია, ამდენი „აჰ და უჰ“ დასჭირვებოდა.

ზემოთმოყვანილ ფრაზებში „თვით...“,

მამუკა წიკლაური
გავყვეთ იდრისს...

„ოჰ“ და „უჰ“, „ლიტერატურშჩინის“ გზით არიან შემოსული და ამიტომ თავისი ადგილი არა აქვთ მოძებნილი; თავი რომ გავანებოთ მოსაბეზრებელ ერთფეროვნებას, ისინი თითქმის ყოველთვის უადგილოდაა ნახმარი.

ენის სტიქია იოლად როდი ემორჩილება მწერალს, სწორედ ამ სტიქიასთან ბრძოლაში იჭედება მწერლის სტილი, მყლავნდება მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და გემოვნება.

აკაკი გელოვანი წერს: „ციური ცვარი დაჰყვება თურაშაულისფერ ღაწვებს“ (ტირის ეკატერინე ჭავჭავაძე). მწერალი ვერ გრძნობს იდუმალ დამოკიდებულებას სიტყვებს შორის, ამიტომ ერთ კომპლექსში მოაქცია: ციური ცვარი და თურაშაულისფერი ღაწვების — უაღრესად განსხვავებული ინტონაციისა და აზრის სიტყვები.

ასეა წინადადებებში: „მე ქალში მშვენიერ სულს დავეძებ, ხორცი ბაზარშიც იყიდება“ (და ამას ბარათაშვილი ამბობს!).

...„ვაჟკაცთა ქუხილში იზრდება ბარათაშვილი“.

„მიღმა ბნელ წყვდიადიდან მოდის და მოდის ყორანთა გუნდი“.

„უფრთხილდი იმ ხეებიდან დაკიდებულ მახვილებს“.

„სიტყვა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმის, ქარს მოაქვს და ეს აძლევს ფრაგმენტების სახეს“.

„...თუმცა შეფაკლულია ნეიდჰარდტი დეკაბრისტებისა და მეამბოხე პოლონელთა სისხლითაც“.

მსგავს პლეონიზმებს და არაზუსტ გამოთქმებს წიგნში უხვად შეხვდებით. საჭიროა კი, კვლავ გავიმეოროთ არაერთგზის ნათქვამი ჭეშმარიტება, რომ მწერლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზომიერების გრძნობას — მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევას, დროზე შეჩერებას და, საერთოდ, უტყუარ მხატვრულ ალღოს?

...„გვაქვს საშუალება ავწეროთ ეს ფეოდოროვი (ფეოდოროვი ბარათაშვილთან დაკავშირებულ ერთ სახუმარო ლექსშია ნახსენები და ჩვენი ავტორიც მზადაა „აწეროს“ იგი. მ. წ.), მაგრამ რა საჭიროა! უმჯობესია წაიკითხოთ გოგოლის ან შჩედრინის სატირები და მსგავს ეგზემპლარებს უხვად ნახავთ (მაგრამ როგორ გავიგოთ, ფეოდოროვს რომელი ჰგავს? მ. წ.) დაბინდული კანცელარიის ორწოხებში“.

მაგრამ მიუხედავად ამ „რა საჭიროასი“, ავტორი თავს მაინც ვერ იკავებს და ერთ გვერდს უძღვნის ფეოდოროვის სხვადასხვა მდგომარეობაში „აწერას“: „როცა ნასვამია...“, „სხვა დროს, როცა მთვრალია...“

„ვინ ანუგეშოს მისი ერთგული მეგობარი ბარბარე, ილია ბატონიშვილის მშვენიერი ასული, ერეკლეს შთამომავალი?“

ცალკე გვინდა შევჩერდეთ საზღვარგარეთული სახელებისა და ციტატების ნიაღვარზე. არა მგონია დარჩენილი იყოს მსოფლიოში ასე თუ ისე ცნობილი პიროვნება, ან პოპულარული ლიტერატურული გმირი, რომელმაც ადგილი ვერ ჰპოვა გელოვანის წიგნში.

წიგნის თითქმის ყველა პერსონაჟს გამოძებნილი ჰყავს საზღვარგარეთული ეტალონი:

ბარათაშვილი ქართული სიტყვის ფილოქტეტეა, თოთხმეტი წლის „პატარა ბრუნოა“, ის „არმიას ადგენს, რათა რაიმონდ მონტეკუკულის მსგავსად გაუძღვეს ბოროტებასთან სალაშქროდ“. ის აგრეთვე „სოკრატის მემკვიდრეა და არა არისტონის“, „პოეტი მზადაა ემპედოკლესავით ვულკანის კრატერში გადაეშვას“.

მარიამ ორბელიანი „თუთუნს ეწევა ჟორჟ სანდივით“.

„ეკატერინე არჩევანს აჩერებს დადიანზე... ასე მოექცა ჰაინეს ამალია, ლასალს — მშვენიერი ელენე, ბალზაკს — მარკიზის ქალი დე კასტრი, პუშკინს — ნატალია (ვიდრე სახელს მოიხვეჭდა)“.

„მამუკა ბარათაშვილი — „ჭაშნიკის“ ავტორი — ჩვენი ბუალო“.

„ბარათა და ჯამბაკური იყვნენ ის დიოსკურები, მამულის ღირსებას რომ ბურჯად უდგნენ“.

„ყორღანოვი კი დუმს, როგორც ბაბილონის დამხობილი მეფე“.

„საქართველოს მადამ რეკამიეს — მანანა ორბელიანის სალონი — ნამდვილი პარნასია ჩვენი მოღვაწეების და სავანე ზრდილობისა“.

გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები აიანტი და ოდისევსია“.

„ვორონცოვი იულიუს კეისარია, ოღონდ არა სარდლებში, არამედ მმართველებში“.

„ასპაზია მილეთელივით მშვენიერი და ჭკვიანი მაიკო“.

„შამილი დარბაისელი კაცია. ზაფხულობით მახვილით იცავს მაჰმადს, ზამთრობით — სიტყვით, ქადაგებით. ზაფხულში კეისარია, ზამთარში — ციცერონი“.

„— მახვილი თვალი გქონია, ჩემო ილია (ორბელიანი. მ. წ.) ნამდვილი ლინკევსი ხარ“.

„მარიამი და გენერალ ჭავჭავაძის ქალიშვილები ევროპულად იცვამენ და ბურბონთა პატარძლებს მოგვაგონებენ“...

...და დაუსრულებლად მეორდება: როდოსის კოლოსი, აფროდიტე, ოლიმპი, შოპენი, პარნასი, ტორკვატო ტასო...

— კიდევ „გავყვეთ იდრისს, ვნახოთ, რა გამოვა რისგან?“

— ვფიქრობ, ეს საჭირო აღარაა.

* * *

ჩვენი ხალხი წმინდად ინახავს თავისი ეროვნული გენიის ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას. ბევრი დაიწერა ამ საოცრად ტრაგიკული ბედის პოეტზე და კიდევ ბევრი დაიწერება, ამის საწინდარი ხალხის უკვდავი სიყვარულია.

დარწმუნებული ვარ, — „სვეტი ნათლისა“ აკაკი გელოვანს სწორედ დიდმა სიყვარულმა დააწერინა. — წიგნის ყველა გვერდზე იგრძნობა ეს სიყვარული; მაგრამ კარგ წიგნებს მხოლოდ სიყვარული არ წერს.

გურამ კანკავა

პრობლემა უნინარეს ყოვლისა

თუ ვინმე ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის ნაკლოვან მხარეთა ერთი საერთო ნიშნით გამოხატვას შეეცდებოდა, მას პირველ რიგში უნდა ის ფაქტი აღენიშნა, რომ ქართველი მწერლები (ძირითადად ვგულისხმობთ ასპარეზზე 50-ან წლებში გამოსულ ლიტერატორებს) უმნიშვნელო პრობლემებით არიან დაკავებულნი. ამ მხრივ შეიძლებოდა ისინი „დაგვეჯგუფებინა“ კიდეც: ზოგი მწერალი საერთოდ ვერ აზროვნებს პრობლემურად, ზოგისათვის მთავარ პრობლემას მესამეხარისხოვანი საკითხის დაყენება წარმოადგენს. შესაძლოა, ზოგი მწერალი ვერ აკვლევს „პრობლემას“, უჭირს მისი სრული სახით ჩამოყალიბება ან გააზრება, ზოგს კი, გავკადნიერდებით და ვიტყვით, საერთოდ არ ესმის პრობლემურად აზროვნების მნიშვნელობაც კი.

ნამდვილი (ჩვენ ძალაუნებურად გვიხდება ამ ზედმეტი ეპითეტის ხმარება) პრობლემის წვდომა, გაცნობიერება, ობიექტივაცია და, საერთოდ, მხატვრულად ჩამოყალიბება მწერლისთვის უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ნაწარმოები სანახევროდ მზადა აქვს: პოემის, მოთხრობისა თუ რომანის შესაქმნელად საფუძველი მყარია.

ჩვენ არ გვინდა დავსვათ საკითხი, თუ სად ან როგორ უნდა ეძებდეს მწერალი საკუთარ პრობლემებს, ეს თითქოს თავისთავად გარკვეული საკითხია. ვიტყვით მხოლოდ, რომ „საკუთარი პრობლემის“ ანდა პრობლემის ინდივიდუალური დასმა, გარდა ნიჭიერებისა, იმთავითვე მოითხოვს მხატვრული კვლევის მეთოდურობასა და დიდ შრომას. მიუხედავად იმისა, რომ მწერლობაში, საერთოდ, „ახალი“ პრობლემები თითქმის აღარ არსებობს, მაინც ყოველი პრობლემა ინდივიდუალურია, თუკი ავტორი განიცდის მას, როგორც ორგანულად საკუთარს, მისთვის აუცილებელს და გადაუდებელს. მწერლობის თავისებურებაც ისაა, რომ ყოველ მწერალს (რაღაც შინაგანი კანონზომიერების წყალობით) შეუძლია, საუკუნეების მანძილზე ლიტერატურაში დაყენებული ესა თუ ის საკითხი თავისებურად გააშუქოს და ამით იგი მხოლოდ მისეულ, განუმეორებელი ხასიათისა და სიმწვავის მქონე პრობლემად აქციოს.

რას ნიშნავს, იაზროვნო ლიტერატურაში პრობლემურად? ძალიან ბევრს. რადგან ძირითადად ნაწარმოების ამ მხარეზეა დამოკიდებული, თუ რა სიმწვავის კონფლიქტი უდევს მას საფუძვლად, როგორია დრამატიზმის სათავე და ამოსავალი წყარო, რანაირი ხასიათები თუ მხატვრული სახეებია შერჩეული ნაწარმოებისთვის, რათა მთავარი

პრობლემა ამომწურავად იქნეს რეალიზებული. შემდეგ: მკითხველი პრობლემის სისწორისა თუ სიღრმის მიხედვით მსჯელობს ამ ნაწარმოების შემეცნებით ღირებულებაზე, მისი ფილოსოფიის დონეზე და სხვ... ასე რომ სწორი პრობლემების გამონახვასა და მის მაღალმხატვრულ გადაჭრაზე, ჩვენი ფიქრით, დიდად არის დამოკიდებული დღევანდელი ქართული მწერლობის ღირსება.

გურამ გეგეშიძის მრავალი ნაწარმოები გამოსარჩევი მხატვრული თვისებებით არის შემკობილი და როგორც მკითხველთა წრეებში, ისე ლიტერატურულ კრიტიკაში მოწონებითა და ყურადღებით სარგებლობს. ამჯერად ჩვენ მისი ზოგი ნაწარმოების (მათ შორის 1967 წ. „მნათობის“ № 1, 2, 3-ში გამოქვეყნებული რომანის „ცოდვილის“) განხილვა გვინდა ძირითადად ერთი კუთხით — მისი აშკარად გამოხატული პრობლემურობისა და ამ პრობლემურობის რაობა-შეფასების თვალსაზრისით.

გ. გეგეშიძის როგორც მოთხრობებში, ისე რომან „ცოდვილში“ საქმის ცოდნითა და გულისყურით არის ჩახატული აღსაწერი გარემოს ყოფითი მხარეები. არ გვგონია, ავტორს პროფესიული სიამოვნება არ ეგრძნოს, და ერთგვარი ლიტერატურული „გურმანის“ თვალით არ შეეხედოს მეგრელი გლეხის კარ-მიდამოსთვის, როცა იგი ამ გლეხის შრომით საქმიანობას, აზროვნების წესსა თუ დამახასიათებელ სასაუბრო კილოს აღწერდა („ეუ“, „ეშმაკის მოსახვევი“). ჟანრული სურათებით ამ ზომიერმა გატაცებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე; ჩვენ ვიგრძენით, რომ ავტორს კოლორიტის მშვენიერი გრძნობა აქვს და დიდ ყურადღებას აქცევს ამბის ფერადოვნად დახატვას, მაგრამ ყველაზე არსებითი მაინც სხვა რამ იყო; მწერალმა დაგვარწმუნა, რომ გამოსახატავი საგანი კეთილსინდისიერად ჰქონდა შესწავლილი, და მკითხველის ნდობა, პირველ ყოვლისა, ამით დაიმსახურა.

თანამედროვე დონეზე დგას გურამ გეგეშიძის მოთხრობებში ფსიქოლოგიზმი. ამაში დაგვარწმუნა მისმა მოთხრობებმა „ნავსადგური“ და „შურისძიება“. მოვიგონოთ, როგორი ოსტატობით იყო დახატული მოთხრობა „ნავსადგურში“ ნახევრადგაუცნობიერებელი განცდები პატარა ბიჭისა, რომელსაც ბაბუა უკვდება. ბიჭს უყვარს თავისი ბაბუა და ამიტომ ვერ მიუტოვებია ვერც სახლკარი, სადაც ახლა ბაბუა სიკვდილს ებრძვის, და ვერც ფიქრი მისი გარდუვალი სიკვდილის გამო; მეორე მხრივ კი შიში, რომელიც ადამიანს სიკვდილის პირისპირ დგომისას ეუფლება, ბიჭს აიძულებს დროდადრო დასტოვოს სახლი, სულის ამოსათქმელად გაინავარდოს სანაპიროზე და შემდეგ ისევ მიბრუნდეს შინ იმ გრძნობით თუ იმედით, იქნებ ყოველივე გათავდა, იქნებ მოეღო ბოლო არა მარტო ბაბუას, არამედ მის ტანჯვასაც; ფსიქოანალიზმში ამგვარ ორმნიშვნელოვან განცდას გრძნობის ამბივალენტობას უწოდებენ.

„ნავსადგურში“ იმდენად ოსტატურად არის აღწერილი გრძნობის ეს ამბივალენტობა, რომ ჩვენთვის ჭირს იმის დადგენა — ავტორი უშუალოდ ფსიქოანალიტიკური მოძღვრების ჩვენებით ხელმძღვანელობდა მოთხრობაში, თუ არა. ასეთივე ამბივალენტურია უფროსი ძმის უმცროსისადმი დამოკიდებულება მეტად საინტერესო მოთხრობაში „შურისძიება“. ამ მხრივ გ. გეგეშიძემ ახალი ანალიტიკური კუთხე შესძინა ჩვენს სამწერლო ხელოვნებას.

სწორი ფსიქოლოგიური ხედვა ავტორისთვის ადამიანისადმი ფხიზელი და გულისხმიერი დამოკიდებულების თავდებია. შესაძლებლობის ფარგლებში ამ პრინციპს ის არ ივიწყებს და სავსებით აშკარად იყენებს, ანალიზის მთავარ მეთოდად აქცევს. მიუხედავად ფსიქოლოგიური ძიების ერთგვარი სიმ-

---

გურამ კანკავა
პროგლემა უწინარეს ყოვლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდრის თუ სიღრმისა, მაინც გ. გეგეშიძის მოთხრობაში ყველაზე თვალშისაცემი თუ გამახვილებული მხარე — ეს ეთიციზმია. ეთიკური საკითხები მისი მწერლურ-მოქალაქეობრივი შთაგონების არსებითი მხარეა, ეს არის ის, რის გამოც, ავტორის აზრით, ღირს წერო, მწერალი იყო. „პათოსი" მისი მოთხრობისა მათ ზნეობრიობაში, მათ ზნეობრივ აზრშია. ეთიკა ფილოსოფიის ყველაზე კონკრეტული, „გასაგები" ადამიანური ნაწილია, ცხოვრებაში კი ყველაზე „განყენებული" თუ გართულებული საკითხების წყაროა. ამიტომ ლიტერატურა ის ოქროს შუა ხაზია, რომელიც ფილოსოფიასა და ემპირიულ-ცხოვრებისეულ კონტრასტებს მოარიგებს და ზნეობრივ არსებას მხატვრულ ხორცს შეასხამს. ავტორის ღრმა კეთილშობილური რწმენით, ლიტერატურული მერიდიანი ზნეობრიობის სიბრტყეში გადის.

„— გახსოვს, ლევან, რა ბიჭი იყო საწყალი ასტამური? — ამბობდა ძუკუ და ელამი თვალები უბრწყინავდა. სახეც გაწითლებოდა.

— კარგი ბიჭი იყო, — უდასტურებდა ლევანი.

— ისე, კაცმა რომ თქვას, არც კოჩია იყო ცუდი ბიჭი, ა?

— რა უჭირდა... არა, ცუდი კაცი არ იყო.

— მითხარი, თუ ძმა ხარ, არ არის უცნაურად მოწყობილი კაცის ცხოვრება? — თქვა ძუკუმ.

— მაგათი სიკვდილი ნამდვილად უცნაური იყო... ისე დაემთხვა ერთმანეთს..."

ეს გახლავთ ამონაწერი გ. გეგეშიძის რომანიდან „ცოდვილი"; რომანის ორი პერსონაჟი სვამს კოჩიასა და ასტამურას შესანდობარს, რომლებიც, როგორც მკითხველს ახსოვს, მთავარი მოქმედი პირებია გ. გეგეშიძის მოთხრობისა „ეშმაკის მოსახვევი". მკითხველმა არ იფიქროს, რომ ლიტერატურული გაუცნაურების ეს ხერხი (ერთი ნაწარმოების გმირები საუბრობენ ავტორის მეორე ნაწარმოების გმირებზე...) მწერლის პარადოქსული განზრახვით იყო გამოწვეული. ამ ორ ნაწარმოებს მართლაც მჭიდრო ლიტერატურული ნათესაობა აკავშირებთ. ჩვენ არ ვიცით, რატომ გაიხსენა ავტორმა თავისი მოთხრობის გმირები რომანში, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ამით სურდა ხაზი გაესვა მათი ლიტერატურული კავშირისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ „ეშმაკის მოსახვევი" ესკიზია რომანისთვის „ცოდვილი" (მხოლოდ მოცულობითი შეფარდების თვალსაზრისით, რადგან მხატვრული ხარისხის მხრივ სულ სხვა სურათია. ამ საკითხს ქვევით შევეხებით კიდეც). თუ პირობითად დავუშვებთ, რომ „ეშმაკის მოსახვევი" ერთგვარ ლიტერატურულ მოდელს წარმოადგენდა ხსენებული რომანისათვის, მაშინ ისიც უნდა ითქვას, თუ რა აერთიანებთ მათ და როგორ აერთიანებთ.

„ეშმაკის მოსახვევი" ღრმა მორალური აზრის შემცველი ნაწარმოებია, რომელიც, საბოლოო ანგარიშში, ავტორის ჰუმანისტურ სულისკვეთებას გამოხატავს, რადგან მორალურობა სწორედ კაცთმოყვარეობისკენაა მიმართული. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ნაწარმოების ჰუმანისტური სულისკვეთება შიშვლად და სწორხაზობრივად კი არაა ნაჩვენები, არამედ საკმაოდ რთულად და ფსიქოლოგიური მოტივების გაღრმავების და ურთიერთშეპირისპირების ფონზე. მთავარი გმირის, ასტამურის სახე მოთხრობაში კარგად გამონახული ფსიქოლოგიური ხერხებით არის შესრულებული; მისი პიროვნება გვარწმუნებს, რომ ჰუმანურობის პრობლემა მწერლობაში მარტივად გადასაწყვეტი პრობლემა არაა; ის, შეიძლება, ერთგვარ გარეგნულ წინააღმდეგობასაც შეიცავდეს. მაგალითად, ამ მოთხრობაში ჩანს, რომ მხოლოდ მატერიალურად ხელის შეწყობა ადამიანს ყოველთვის როდი ანიჭებს სიკეთეს, — არც იმას, ვინც აძლევს და არც იმას, რომელიც ამაზე თანხმდება.

ასტამურისა და მისი ბიძაშვილის, კო-

ჩია დარასელიას დამოკიდებულება მოთხრობის მიხედვით ასეთი იყო: თუ კი ადამიანს მართლაც სჭირდება სადიდებელი კერპი, ასეთი კერპი იყო კოჩია დარასელია ათი წლით მასზე უმცროსი ასტამურისთვის. ასტამურის ყმაწვილურ წარმოსახვაში არცერთი კუნჭული უქმად არ დარჩენილიყო, რომ კოჩიასთვის ლეგენდარული თვისებები არ მიეწერა: შემდეგ კოჩია ჯარში გაიწვიეს; კოჩია დაოჯახდა, კოჩიამ ცხენოსნობაზეც კი აიღო ხელი და შოფრის ხელობა ირჩია; კოჩია დაძაბუნდა, ოჯახმა გატეხა და საბოლოოდ, ასტამურს საკუთარი გმირიდან დემორალიზებული, ნახევრადგაწუწკებული თუ გაფლიდებული კოჩია შერჩა ხელთ... რა თქმა უნდა, კოჩიას პიროვნული დაცემის პროცესი სინამდვილეში უფრო ბუნებრივად და თანმიმდევრულად მიმდინარეობდა. ვიდრე ასტამურის აზრის შეცვლა მასზე, ე. ი. შეგუება იმასთან, რომ სათაყვანო და მისაბაძი გმირისგან ახლა ხელში მისი მახინჯი ფიტულიღა შერჩენოდა. ავტორი არაა შორს იმ აზრისგან, რომ ასტამური ფსიქოლოგიურად „არ აპატიებდა" იმედის ამ გაცრუებას კოჩიას. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური მოტივი იმდენად არა აქვს წინ წამოწეული. მთავარი აქ სხვაა. როგორც ითქვა, მთავარი ასპექტი აქ ეთიკური ხასიათისაა.

საქმე ისაა, რომ თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე ასტამური. მორალურად თუ ფიზიკურად (მატერიალურად) თან გადაყვა ბიძაშვილის ოჯახს, მის მშობლებს, მათი შენახვის საქმეს თუ მოვლა-მწყემსვას (განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა კოჩია ან საავადმყოფოში იწვა, ან ციხეში იჯდა). თან გადაყვა ამ ოჯახს და ბოლოს კი პირში მიაფურთხა კოჩიას. შეფურთხების საბაბად უბრალო პაპიროსი იქცა: ასტამურმა პაპიროსი თხოვა, კოჩიამ კი არ მოაწევინა. ასტამურმა ხელიც აღმართა დასაწყლებულ კაცზე, რომელსაც პაპიროსი ვერ გაემეტებინა თავისი ბეჩავობით და მხოლოდ იმიტომ არ გაარტყა, რომ ზიზღი იგრძნო ამ ნახევრად განადგურებული კაცის მიმართ... ძეორე დღეს სვანეთის გზაზე დატვირთული მანქანით მიმავალი კოჩია დარასელია ერთერთ მკვეთრ მოსახვევთან, რომელსაც „ეშმაკის მოსახვევს" უწოდებდნენ, გადაიჩეხა და სასიკვდილოდ დაიმტვრა.

ასტამური საოცრად შეძრა კოჩიას დაღუპვამ; გაუანგარიშებლად სულის სიღრმემდე შეაშფოთა და ზნეობრივმა ეჭვებმა შეიპყრო. რას ნანობს ასტამური? თითქოს დამნაშავედაც თვლის თავს?

უდავოდ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ პაპიროსის ინციდენტის შემდეგ დღესვე კოჩია იღუპება: ავტორი იმ აზრისაა, რომ ეს კეთილი და მუდამ გულუხვი ასტამური მორალურ მკვლელადაც გამოაცხადოს: ასტამურის გაცხარება უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც გადაავსო მოთმინების ფიალა და მთლად გამოიყვანა წონასწორობიდან გაოგნებული კოჩია; კოჩია ხომ საოცრად აღელვებული გამოემართა მისგან და თითქმის უაზროდ ეუბნებოდა ასტამურს და გზადაგზა იმეორებდა: „კაცი არ ვიყო, თუ არ გადაგიხადო..."

კოჩიამ თითქოს სამაგიეროს გადახდის ამ ერთადერთ ფორმას მიაგნო; კოჩიას დაღუპვის საათიდან ეს სიტყვები კიდევ უფრო გაუცხოველდა ასტამურს მეხსიერებაში, გონებიდან აღარ ამოდიოდა, აგონდებოდა, თავში უცნაურად უტრიალებდა და, ჩანს, აშინებდა კიდეც. ასტამურს სინდისი ქეჯნიდა, მოსვენებას არ აძლევდა. ამ ფიქრით აფორიაქებული ასტამური კოჩიას დაღუპვის მეორე დღეს იმავე „ეშმაკის მოსახვევთან" კლდეზე გადაიჩეხა. ასეთია ავტორის მკაცრი განაჩენი; ასე განსჯის მისი სუბიექტურად მომართული მორალური კანონი და მხატვრის ხასიათი.

ჩვენ შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ. რომ კოჩიას დაღუპვა ბრმა შემთხვევის

გურამ კანკავა
პროგლემა უწინარეს ყოვლისა

შედეგი იყო. შესაძლოა, ერთმანეთთან არავითარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ ჰქონდა ზემოხსენებულ ინციდენტსა და კოჩიას კლდიდან გადაჩეხვას. ამაზე არც ავტორი გვეუბნება კონკრეტულად რაიმეს. მაგრამ ასტამური მაინც გრძნობს თავს დამნაშავედ. თუნდაც იმიტომ, რომ მან მთელი არსებით შეურაცხყო კოჩია, მორალურად ჩაწიხლა ის და უკანასკნელი იმედის ნაპერწკალი ჩაუქრო, უკანასკნელი შემბრალებელი (მისივე, ასტამურის სახით) გამოაცალა. კოჩია იმდენადაა დაცემული სულიერად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მისი უფრო მეტად დამცირება წარმოუდგენელია; იგი იმდენად პასიური გახდა საზოგადოების მიმართ, რომ თითქმის ყოველივე კავშირი აქვს გაწყვეტილი ადამიანებთან, ვერ ახერხებს მათთან ურთიერთობის შენარჩუნებას; შაგრამ მისი ბიძაშვილის მიერ მიყენებულ შეურაცხყოფას კიდევ ერთი საფეხურით დაბლა ჩაჰყავს კოჩია პიროვნული გათელვის და დამცირების უსახურ სიბნელეში. ამის შემდეგ გასაგები და ნათელია ასტამურის განადგურებაც: მან, მრავალი სიკეთის შემდეგ, ერთხელ დაამცირა და შეურაცხყო თავისი ძველი მეგობარი, ნათესავი თუ იდეალიც კი, და დაისაჯა. ერთმა თითქოსდა უმნიშვნელო ინციდენტმა არა თუ გააწონასწორა, არამედ გადასწონა კიდეც ადრე ქმნილი ყოველი სიკეთე. ეს საბედისწერო „გადაწონვა“ ავტორის მორალურ სასწორზე მოხდა და, როგორც ვნახეთ, ამბის შემდგომი განვითარება შინაგანი მორალური კანონის დაკმაყოფილებით დამთავრდა.

* * *

...„და რქუა უფალმან: რაი ესე ჰყავ? რამეთუ ხმაი სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამო ქუეყანით. და აწ წყეულ იყავ შენ ქუეყანისაგან, რომელმან განიღო პირი თვისი შეწყნარებად სისხლსა ძმისა შენისასა ხელისაგან შენისა. რაჟამს შვრებოდი ქუეყანასა, არა შესძინოს ძალი თვისი მოცემად შენდა: კვნესით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა.

და რქუა კაინ უფლისა მიმართ ღუთისა: უფროს არს ცოდვა ჩემი, მოტევებისა ჩემისა. და უკეთუ განმაძებ მე დღეს პირისაგან ქუეყანისა და პირისაგან შენისა დავიმალო, და ვიყო მე კვნესით და ძრწოლით ქუეყანასა ზედა: დეიყოს. ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე...“ (შესაქმე, IV, 10-14).

რომან „ცოდვილის“ ძირითად დრამატულ ვითარებას, რომლის გარშემოც სხვა მხატვრული კონფლიქტები თუ კოლიზიებია თავმოყრილი, ჰქმნის კაენის ცოდვა. იგი ავტორმა მთავარ გმირს, ვამეხ გურამიშვილს არგუნა ტვირთად. კაენის ცოდვა — ძმისმკვლელობა — წარმოადგენს ნაწარმოების მთავარ დრამატულ კოლიზიას, და მისი მხატვრული გახსნა, მთელი სიღრმით მისი ჩვენება იტევს კიდეც რომანის ეთიკურ-ფსიქოლოგიური თუ მხატვრულ-ფილოსოფიური მოტივების ძირითად მხარეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება ერთი რამ, რითაც საერთოდ გამოირჩევა გ. გეგეშიძის ნაწარმოებები და განსაკუთრებით რომანი „ცოდვილი“: მათში პირველ პლანზე დგას ან წინ წამოწეულია გონებაჭვრეტითი, ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ნაწილი. თუკი „შესაქმეთა“ წიგნში კაენის მიერ აბელის მოკვლა ნაკარნახევია ძმისადმი აღძრული შურით, რომელიც ძმისმკვლელში უფალი ღმერთის თითქოსდა უგუნური ნებით აღიძრა, აქ, ქართველი ავტორის ამ ნაწარმოებში, ვამეხ გურამიშვილის მიერ უფროსი ძმის მოკვლა ბრმა შემთხვევას მიეწერება. მაგრამ სანამ ვიტყოდეთ, თუ რაა მკვლელობის აქტის გარდა საერთო ამ ორ არაკში (ფაბულაში), გვინდა აღვნიშნოთ, თუ რატომ დავუკავშირეთ ერთმანეთს მოთხრობა „ეშმაკის მოსახვევი“ მისივე ავტორის ზემოაღნიშნულ რომანს.

როგორც ვთქვით, მოთხრობაში ასტამური ადამიანის (ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ადამიანი მისი

ბიძაშვილია) მორალური მკვლელია და ძირითადად კონფლიქტიც ამ საკითხთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ვამეხ გურამიშვილს, მას შემთხვევით თოფით შემოაკვდება ღვიძლი ძმა. რა შეიძლება იყოს საერთო ამ ორი ნაწარმოების თემატურ-კონცეპციურ ნაწილში, თუ „მკვლელობის თემას“ ორი სხვადასხვა ხასიათი აქვს? აკი თვით რომანის სხვა პერსონაჟებიც თვლიან, რომ ვამეხი „მკვლელი“, „ცოდვილი“ არაა?

ისევე, როგორც ასტამური „ეშმაკის მოსახვევში“, რომანშიც ვამეხი იღუპება. მკითხველი ხვდება, რომ მიუხედავად ვამეხის ქცევის საეჭვო ხასიათისა, (მისი ქცევები — სიკვდილიც კი — თვითმკვლელობას ჰგავს) ვამეხი თავს კი არ იკლავს, ის ნადგურდება, მას სიცოცხლის ძარღვი აქვს გადაკვეთილი. არც ასტამური, არც ვამეხი თვითმკვლელები არ არიან; მათ ანადგურებს მორალური კანონი, რომელიც მათშივეა მოცემული: ავტორი არც იმ აზრისგან უნდა იყოს შორს, რომ ამგვარი სიკვდილი შედარებით ღირსეულთა ხვედრია. ადამიანის პიროვნების გათელვა (მისი მძიმე შედეგებით) ანდა მკვლელობა — ასეთია სულიერი ტანჯვის წყარო, ზოგჯერ მწვავე რეფლექსიების თუ თვითგვემის საფუძველი ორივე ნაწარმოებში.

ბიბლიური მითი კაენის ცოდვის შესახებ ყველაზე მეტად უახლოვდება ამ ორ ნაწარმოებს მის ბოლო ნაწილში, სადაც კაენი ღმერთს მიმართავს („ღმერთი“, ე. ი. მორალური პრინციპი ამ შემთხვევაში ადამიანში კი არაა, არამედ მის გარეთაა, გარეშე ძალაა) და შესჩივლებს: ჩემი ცოდვა (სასჯელი) უფროს არს (უფრო მეტია), ვიდრე ატანა შეიძლება, „და ვიყო მე კვნესით და ძრწოლით ქუეყანასა ზედა... ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე...“

სამივე დასახელებული გმირის დანაშაული სხვადასხვაგვარია, საგრძნობლად განსხვავებულია, მაგრამ სასჯელი — ერთი აქვთ. სასჯელი კი ერთი აქვთ იმიტომ, რომ მათი დანაშაული — ეს არის დანაშაული ადამიანის პიროვნებისა და სიცოცხლის მიმართ.

მაინც ვფიქრობთ, რომ „ცოდვილის“ მთავარი კონფლიქტის „შერჩევისას“ ავტორს ერთგვარი შეცდომა აქვს დაშვებული. დავიწყოთ იქიდან, რომ „ცოდვილი“, ეს არის კიდევ ერთი ცდა ქართულ მწერლობაში ინტელექტუალური პროზის შექმნისა. ამ ჟანრისათვის კი, როგორც ცნობილია, ნიშანდობლივია ნაწარმოების ანტურაჟის, პერსონაჟის მოქმედებისა თუ სხვა ცნობილ ლიტერატურულ მოვლენათა და ხერხების (კომპოზიცია, ფაბულის ორმაგობა, საკვანძო კონფლიქტების პირობითობა...) ორმაგ პლანში წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში, ლიტერატურულ-მხატვრულ მასალას აქვს დამოუკიდებელი, მაგრამ შედარებით „ემპირიული“ მნიშვნელობა და სიცოცხლე, ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი, ეს მასალა განყენებულ ფილოსოფიურ-მჭერმეტყველობით სიბრტყეშიცაა გადაჭრილი. ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ გარკვეულ პერსონაჟთა მეტყველება, დიალოგები, ფიქრთა წყება და ა. შ. ძირითადად მაღალი მატერიების დონეზე და შესაბამისად ვითარდება. აქვე დავძენთ, რომ შესაძლებლად მიგვაჩნია „ინტელექტუალური პროზის“ წინამორბედად ჩავთვალოთ ანტიკური საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოსი პლატონი, კერძოდ მისი უჭკნობი „დიალოგები“ (და, უწინარეს ყოვლისა, „ნადიმი“).

თუ რამდენად გაართვა „ჟანრის“ ამ მოთხოვნებს ავტორმა თავი, ამაზე ცოტა ქვევით შევჩერდებით, ახლა კი ვიტყვით, რომ რომანი „ცოდვილი“ სწორედ ამგვარი ხასიათის ნაწარმოებია; მართლაც, მისი პერსონაჟების ერთი ნაწილი თავისი მოქმედებით თუ სულისკვეთებით გამოხატავენ ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ეს ერთი დანახვით ჩანს და მათი ცხოვრების ფაქტოლოგია ხშირად ფილოსოფიურად მჭერმეტყველია, ფილოსოფიური ქვეტექსტითაა აღჭურვი-

---

გურამ კანკავა
პროგლემა უწინარეს ყოვლისა

ლი და ინტელექტუალურ კონტექსტშია განხილული. ასეთებია, მაგალითად, თაურიას სიცოცხლე და სიკვდილი, ანტონის ქვიეტიზმი, მისი ბოლო სასიცოცხლო ოცნება და სიკვდილი, მეირას სიგიჟე ანდა თვით ვამეხის სულიერი ვნებანი და სხვა... ამ დოქტრინერული ნაწილის თავისთავადობის გამო მთავარი კონფლიქტის „შერჩევაც" (როგორც ზევით აღვნიშნეთ) გონებაჭვრეტითია და ზედმეტად პირობითი ხასიათისა. მაგრამ ჩვენ ამჟამად მთავარი კონფლიქტის („კაენის ცოდვის") ეს მხარე არ გვაინტერესებს. ჩვენ გვინდა შევედავოთ ავტორს იმ მხრივ, რომ ნაწარმოების მთავარი კონფლიქტის მიერ გამოწვეული მორალური აზრი მთლად არ შეესაბამება ამ კონფლიქტის შინაარსს, მის მხატვრულ-ეთიკურ ხარისხს. შევეცდებით უფრო დაწვრილებით განვმარტოთ ჩვენი შეხედულება.

საერთოდ, კულტურულ პირობებში, ზნეობრივი ხასიათის კრიზისი ან განცდათა სიმძიმე, პირობითად რომ ვთქვათ, იმდენადაა მორალური, რამდენადაც მორალური განცდის სიღრმე და სიძლიერე აღემატება მის წარმომშობ საფუძველს. მორალურია ის გრძნობა, როდესაც ცოდვის თუ დანაშაულის მონანიებისთვის ადგილია დარჩენილი. ასტამურს საკუთარი დანაშაულის მონანიებისათვის ავტორმა არ დაუთმო ზნეობრივი ასპარეზი, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ეს არაა. ავტორის ეს მკაცრი განაჩენი (ასტამურის დაღუპვა) მისი სუბიექტური განაჩენია, რაზეც მწერალს უფლება ჰქონდა. მთავარი მაინც ისაა, რომ პრინციპში ასტამურს, მისი დანაშაულის ხარისხის მიხედვით, ჰქონდა მორალური უფლება ეცოცხლა. ასტამური ხომ იმიტომ არ იღუპება, რომ მას „ტანჯვის უფლებაც" წაართვეს? ე. ი. მოთხრობაში მორალურ განზომილებათა სიღრმე და სიძლიერე აღემატება მის წარმომშობ საფუძველს.

სხვაგვარია საქმის ვითარება ვამეხის „დანაშაულისა". ძმის მოკვლა (თუნდაც უნებური), ჩვენი აზრით, ისეთი მორალური ტრამვაა, რომ მხატვრული გადაშუქების კანონებს არც ექვემდებარება. დღევანდელ პირობებში (განსხვავებით ბიბლიური მითების ნახევრადბარბაროსული ვითარებისგან) უნებლიეთ ჩადენილი ძმისმკვლელობა ცოდვა ან დანაშაული კი არაა, არამედ — უბედურება, გამოუსწორებელი უბედურება, ტრაგიკული შემთხვევა. მას არ „ინანიებენ", მას გლოვობენ. მით უმეტეს, გაუმართლებელია ავტორის მიერ ამგვარი „კონფლიქტის" აღება, რომ მას მეორე, ეთიკურ-ფილოსოფიური პლანიც აქვს. ვიმეორებთ, ეს ავტორის, სულ ცოტა, მხატვრული შეცდომაა. ამიტომაც არის, ხსენებული ტრაგიკული შემთხვევა რომანში არ იძლევა სათანადო, მხატვრულად ღირებულ შედეგს, ის ემოციურადაც და მხატვრულადაც უფერულია. ნაწარმოების მთელი მხატვრული აქცენტი კი ავტორს აქეთ ჰქონდა გადატანილი (როგორც ამას თვით რომანის სათაური გვიჩვენებს).

არის საკითხები მწერლობაში, რომლებიც მხატვრულ-ლიტერატურულ დამუშავებას არ ექვემდებარებიან, და ამ შემთხვევაშიც, ძმის მკვლელობის ფაქტი და მისგან გამოწვეული მორალური ტრამვა მხატვრულ თანაფარდობაში არ იმყოფება — ფაქტი ძლიერი გამოდგა მის ზნეობრივ განსჯაზე (და არა პირუკუ). საქმეს ვერ შველის ვამეხის სიკვდილი. როგორც მკითხველმა, შემიძლია დავადასტურო, რომ მიუხედავად ავტორის ოსტატობისა, ამ ეპიზოდსაც აკლია ემოციური გულწრფელობა, „სიმართლის გრძნობა", საერთოდ, მხატვრული ზეგავლენის ძალა. დაუშვებელია, რომ ასეთ უფაქიზეს საკითხში ავტორს უღალატოს სიწრფელემ და იგი „ოსტატობით" შეცვალოს. „ცოდვილში" ჩანს ერთგვარი გავლენა გვიანრომანტიკული ლიტერატურული სკოლისა (განსაკუთრებით მისი სკანდინავიური ფრთის) აბსოლუტური მორალური მოთხოვნებით და „ძლიერი პიროვნების" უიმედოდ მოძველებული შეხედულე-

ბებით. რომანტიკის გარეშე დღევანდელი მწერლობაც წარმოუდგენელია, ოღონდ ზომიერების დაცვა აუცილებელია.

ავტორი შორსაა იმ აზრისაგან, რომ ვამეხი მონანიე პერსონაჟად გამოიყვანოს. ავტორმა, მის გმირთან ერთად, კარგად იცის, რომ „მონანიება“ ამ შემთხვევაში მორალური ქცევა არ იქნებოდა. უბრალოდ, ვამეხი გაურბის საკუთარ თავს, თავის ცხოვრებას; მას უნდა ცხოვრების რაღაც ახალი ფორმა გამონახოს (ის იცვლის საცხოვრებელ ადგილს, პროფესიას, ცხოვრებაში შეძენილ ჩვევებს და სხვ.), რომელიც მას ერთი ხელის დაკვრით გამოცვლის, სრულიად ახალ თვისობრიობას შესძენს. მას ახლა მხოლოდ სასწაული თუ იხსნის... ასეთია ნაწარმოების მოქმედების განვითარების ლოგიკა; მაგრამ რამდენად რეალისტური და ადამიანურია ის? რამდენად „ნამდვილი“ და მხატვრულად დამაჯერებელია?

ამავე მოსაზრებებით, ვამეხის დაღუპვა მხატვრულად არადამაკმაყოფილებელი პასუხია უსწოროდ შედგენილ თუ დაყენებულ საკითხზე.

ამ თვალსაზრისით „ემშაკის მოსახვევი“ ბევრად დასრულებული და მხატვრულად უფრო მთლიანი ნაწარმოებია. ამიტომ გვიჭირს, ეს მოთხრობა მასზე უფრო გვიან გამოქვეყნებული რომანის (თუმცა, შესაძლებელია, გამოქვეყნების თარიღებს ამჯერად გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს) მხატვრულ მოდელად მივიჩნიოთ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ გ. გეგეშიძე მხატვრული კოლორიტის ოსტატია. მისმა რომანმა ამაში განმეორებით დაგვარწმუნა. ამ პატარა პროვინციული ქალაქის ხასიათს, რომელშიც მოქმედება იშლება, მხატვრული თვალსაჩინოებით გადახსნის და თითქოს ხელისგულზე გაჩვენებს არა მარტო რომანის პერსონაჟებს, არამედ დაწესებულებათა დამახასიათებელ სახეს და ქალაქის დასამახსოვრებელ ლანდშაფტსაც. უდავოდ, უფრო სუსტადაა შესრულებული რომანის მესამე ნაწილი, სადაც თითქმის ყველა კვანძი გახსნილია. მაგალითად, ვფიქრობთ, ნაჩქარევად უნდა იყოს შესრულებული სცენები, სადაც შამილას, რეზოს და სხვათა „გამოსწორების“ თუ მათში ღირსების გრძნობის გაღვიძების სურათებია მოცემული. ჩვენთვის ნათელია, რომ ამ შემთხვევაშიც ავტორი ზოგადი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, რათა მკითხველისთვის ეჩვენებინა ვამეხ გურამიშვილის პიროვნების ძალმოსილება და მის მიზანსწრაფვათა კეთილმყოფელი გავლენა; მაგრამ ეს მოტივი უფრო განყენებული ხასიათისა გამოდგა, ვიდრე მხატვრულად ხორცშესხმული.

ჩვენ გვინდა დავიმოწმოთ ნოდარ ჩხეიძის სიტყვები, რომელიც თავის მხრივ იმოწმებს სხვათა აზრსაც იმის თაობაზე, რომ აზრობრივ-ინტელექტუალური ნაკადი, ჭარბი ანალიზი და ნაწარმოების ფილოსოფიურობა, საერთოდ, უსწორმასწოროა და ხშირად გაუმართავი („ლიტერატურული საქართველო“, 30 ივნისი, 1967 წ.) „როგორც უკვე ითქვა, — წერს ნოდარ ჩხეიძე, — მრავალ მკითხველზე იმოქმედა უარყოფითად ავტორის მსჯელობებმა. ყოველივეს ახსნის, სიღრმეში ჩაწვდომის, გაანალიზებისა და შეფასებისადმი მისწრაფებამ. ნაწილობრივ, ეს ტრადიციის უქონლობით აიხსნება, ნაწილობრივ — თვით რომანის ნაკლით“.

მართლაც, რომანის არსებით ნაკლს წარმოადგენს ის, რასაც, თუკი შეიძლება ასე გამოითქვას, ავტორის ფილოსოფოსობა ჰქვია. ამ „ფილოსოფოსობას“ ჩვენ არ გვინდა ვუწოდოთ არც ინტელექტუალური სნობიზმი, არც ის ტერმინი, რომელსაც გერმანელები ხმარობენ „ინტელექტუალური ავხორცობის“ სახით, თუნდაც იმიტომ, რომ რომანი „ცოდვილი“, ჩვენი აზრით, მართლაც უპრეცედენტო და უტრადიციოა

ჩვენს მწერლობაში. მაგრამ როგორღა უნდა ავხსნათ ის მრავალრიცხოვანი ტრუიზმი, რომლებიც კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ? ტრუიზმებით, რომელთა ერთ-ორ მაგალითს მაინც მოვიყვანთ, პირდაპირ აჭრელებულია ნაწარმოები და ამიტომ მათ მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება უფრო მათი რაოდენობრივი სიმრავლისაგან მომდინარეობს.

როდესაც მსგავს ფრაზებს ვკითხულობდი, თავდაპირველად მეგონა, ისინი ავტორის ერთგვარ მანერულობას (პრიმიტივიზმის კულტივირებას) გამოხატავდნენ: „ვინ არის ისეთი, რომ ყველა მადლიერი ჰყავდეს? არ არსებობს ადამიანი ყველასთვის ერთნაირად სასიამოვნო“... შემდეგ გრძელდება ამ აზრის საფუძვლიანად დამუშავება.

„არ არსებობს ადამიანი აბსოლუტურად კარგი ან აბსოლუტურად ცუდი“.

„სილამაზე საფუძველია სიყვარულის, უსიყვარულოდ კი არ არსებობს ცხოვრება, განსაკუთრებით ქალისთვის, რადგან კაცებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ქალ-ვაჟის სიყვარულზე უფრო ძლიერი ვნებებიც არსებობენ. ქალისათვის ფასი არა აქვს უსიყვარულოდ სიცოცხლეს. უაზრობაა ცხოვრება, თუ არა ხარ სიცოცხლის შემოქმედი.

თუმცა სიცოცხლე სხვაა და ცხოვრება სხვაა. ცხოვრება იგივე სიცოცხლეა, ოღონდ უფრო მაღალ საფეხურზე ასული...“ და სხვა და სხვა.

აუხსნელ გაკვირვებას იწვევს, რომ ასეთ ნიჭიერ მწერალთან შეიძლება ვხვდებოდეთ ხმარებისაგან გაცვეთილ აზრებსა და თვით ფრაზებსაც. ინტელექტუალური პროზის წარმოშობის აუცილებლობა, რამდენადაც ვიცით, იმითაა გაპირობებული, რომ მწერალს სწორედ ამგვარი (გონებისმიერი) საშუალებებით შეუძლია საკითხის ამომწურავად გაშუქება. ამიტომ მსგავს ჟანრობრივ ნაწარმოებში ფილოსოფიური დებულება ცოცხალი (სიახლის შემცველი), უნდა იყოს, როგორც მხატვრული სახე. გ. გეგეშიძის ზოგი დებულება თავის ეკლექტურობით გვაგონებს ცნობილი ავტორიტეტების ასეთივე ცნობილ დებულებებს. მაგალითად, რომანის პირველ ნაწილში მწერალი ახსენებს გიგანტურ არსებას, რომლის მთვლემარე გონების სიზმარში ჩვენ მცირე როლების შესრულება გვაკისრია: „იქნებ მთელი, ჩვენთვის ცნობილი სამყაროს ცხოვრება, — წერს ავტორი, — რომელიც დაუსრულებლად მიმდინარედ გვეჩვენება — მხოლოდ სიზმარია სამყაროს შესახებ ჩვენს წარმოდგენაზე მილიარდჯერ უფრო დიდი მასშტაბის არსების მთვლემარე გონებაში და ჩვენ ამ სიზმრის უმნიშვნელო ელემენტები ვართ?! იქნება ყველაფერი, რაც ასე გრანდიოზულად და უსასრულოდ მიმდინარე გვეჩვენება, იმ არსების შეგრძნებით ისევე სწრაფად გადის, როგორც ჩვენთვის ერთი წამი...“ ამგვარივე პარადოქსული მოსაზრება თუ „ფილოსოფიური სახე“ გიგანტური ცხოველისა დახატულია ა. ფრანსის ბრწყინვალე „ეპიკურეს ბაღის“ პირველსავე ფრაგმენტში.

მსჯელობის მსგავს და სხვა შემთხვევებშიც ავტორი ზედმეტად სერიოზულია; უფრო სწორად, ზედმიწევნით სერიოზულია მაშინაც, როდესაც გადაუჭრელ თუ შეუცნობელ საკითხზე მსჯელობს. ნაწარმოებს ამ მხრივ დიდი დატვირთვა აქვს და მკითხველს მხატვრული ჰუმორი ესთეტიკურ აღქმაში დიდად შეეშველებოდა. ამის ნიმუშად იკმარებდა იგივე ა. ფრანსის ფილოსოფიური „ეპიკურეს ბაღი“, სადაც ზოგადფილოსოფიური მსჯელობანი მაღალ და თვით შეუცნობელ მატერიებზე მახვილი ირონიით თუ მხიარული ჰუმორით არის „გაადამიანურებული“.

გიორგი ღოღიძე

სიმღერასავით ტკივილი...

ჟერარ ფილიპს სხვა სამდურავი რა უნდა ჰქონოდა ამ ქვეყნად, ბედს რომ სწორედ ადამიანური კეთილდღეობისა და შემოქმედებითი ნიჭის სრული გაფურჩქვნისას არ ემუხთლა. მან მხოლოდ 37 წელი იცოცხლა, მაგრამ მაინც დამსახურებულად გაიზიარა თანამედროვე კინოვარსკვლავთა ყველა პატივი და დიდება.

ჟერარ ფილიპი როდი იყო მხოლოდ კინოვარსკვლავი. თავი რომ დავანებოთ მის უაღრესად აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას (იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მსახიობთა კავშირს), ჟერარ ფილიპი, უპირველეს ყოვლისა, დიდი მსახიობი იყო ფრანგული თეატრისა, მაგრამ თუ მსოფლიო პოპულარობა მაინც კინომ მოუპოვა, ეს უკვე კინემატოგრაფის მაგიის ცხოველმყოფელი ძალის ბრალია.

ჩვენც ასე გავიცანით ეკრანის ეს მგზნებარე რაინდი რამდენიმე წლის წინ, როცა პირველად მოგვევლინა ქრისტიან ჟაკისა და კლოდ ოტან-ლარას ფილმებში. საერთოდ, ჟერარ ფილიპმა 28 მხატვრულ ფილმში მიიღო მონაწილეობა ისე, რომ თეატრს არ მოწყვეტია. საბჭოთა მაყურებელმა მხოლოდ ხუთი ნახა: ქრისტიან ჟაკის „პარმის სავანე" (1948) და „ფანფან ტულპანი" (1952), კლოდ ოსტან-ლარას „წითელი და შავი" (1954), ივ ალლაგრეს „საუკუთესო ბედი" (1955) და მისივე (ჟერარ ფილიპის) რეჟისორული დებიუტი „ტილ ულენშპიგელი" (1958), მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამით არც არა დაგვკლებია. ძირითადად სწორედ ამ ფილმებში გამოვლინდა მთელი სისრულით ჟერარ ფილიპის ნიჭი, მისი დიდი პოტენციური შესაძლებლობანი. ჩვენმა მაყურებელმა შეიყვარა ჟერარ ფილიპის მგზნებარე ფაბრიციო, პატივმოყვარე ჟიულიენ სორელი და ენერგიითა და სიცოცხლით სავსე ფანფან ტულპანი. დიდი და საყოველთაო იყო აღტაცება, რომელიც ამ გმირებთან შეხვედრამ მოგვანიჭა.

— სად გრძნობთ თავს ყველაზე კარგად? — ჰკითხეს ერთხელ ჟერარ ფილიპს.

— შინ, — იყო პასუხი.

კინოვარსკვლავებზე საუბრისას იშვიათად ეხებიან ხოლმე მათ პირად ცხოვრებას, მაგრამ ჟერარ ფილიპი სხვა იყო... ხომ საინტერესოა, მაინც რატომ გამოირჩეოდა ასე მკვეთრად იგი კოლეგებისაგან თავისი საოცრად მოკრძალებული ცხოვრებითა და ბედნიერი ქორწინებით, რომელიც, ერთი კრიტიკოსის არ იყოს, მართლაც რომ იშვიათია ამ წრეში! მაყურებელს, ბუნებრივია, ძალზე აინტერესებს დიდი მსახიობის ცხოვრების ასეთი მომენტები. და აი, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" რამდენიმე ხნის წინ გამოაქვეყნა ჟერარ ფილიპის მეუღლის ან ფილიპის წიგნი „დრო, სუნთქვასავით გარდასული".

კითხულობთ ამ წიგნს და თქვენს წინ მთელი თავისი ადამიანური დიდებულებითა და რაინდული შემართებით ისვეტება ჩვენგან ადრე წასული კაცის ესოდენ ნაცნობი სილუეტი. მერე კი თავად გრძნობთ იმ დიდ ტკივილს, რამაც შობა ეს სტრიქონები.

ამაოდ დაშვრებით, ლიტერატურული ნაწარმოების რომელიმე ჟანრს მიაკუთვნოთ ან ფილიპის წიგნი. თავდაპირველად თვითონაც არ იცოდა, რისთვის, რა მიზნით წერდა, მაგრამ წერდა, როგორც პოეტი, რომელსაც არ შეუძლია არ წეროს. ამიტომაც არის იგი ასე გულწრფელი და მართალი როგორც ცხოვრებისეულად, ისე ლიტერატურულად. დიდმა შინაგანმა კულტურამ უკარნახა ან ფილიპს, არ აჰყოლოდა თავისი პოპულარული ქმრის სახელით იაფფასიანი სპეკულაციის ცთუნებას. საშიშროება კი მართლაც დიდი იყო ამ მხრივ. აბა როგორ შეიძლება წერდე ჟერარ ფილიპზე და არ შეეხო მის უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებასა და აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას, მის შარავანდედით მოსილ სახელს. ხალხი სწორედ ასე იცნობდა ჟერარ ფილიპს და პირუთვნელი მეისტორიეც სწორედ ასევე აღწერს მის ცხოვრებას, მაგრამ ან ფილიპს თავისი კუთხე და თავისი საზომი აქვს. თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო, იგი მთლიანად ივიწყებს ჟერარ ფილიპს, როგორც შემოქმედს, და მხოლოდ თავის სიყვარულზე მოგვითხრობს მეტად თავისებურად, ორიგინალურად, ამაღელვებლად და ერთიანად სწვდება ჩვენი სულის უფაქიზეს ხვეულებს. დიახ, ან ფილიპის წიგნი ერთი ნაღვლიანი სიმღერაა გულდათუთქული ქალისა. ნამდვილად, იგი არც მოგონებაა, არც რომანი და არც დღიური. ჟანრობრივი ჯებირებისაგან ამგვარი განთავისუფლება თითქოს სჭირდებოდა კიდეც ავტორს, რათა მთელი სისავსით გადმოეცა ის მძიმე სულიერი და ფიზიკური ტკივილები, რომელიც მას უსაყვარლესი მეგობრის ნაადრევი და საბოლოო დაშორებით არგუნა ბედმა...

„ახალი დღე თენდება და იგი არავითარ სიხარულს არ მომიტანს. მხოლოდ შენ ერთადერთი მხედავდი, მხოლოდ მე ერთი გხედავდი. დღეს კი აღარავინ მყავს, რომ დამინახოს, დავინახო.

...მე მხოლოდ შენით ვიყავი აღსავსე. შენს მოძრაობაში, გამოხედვაში ვიძირებოდი. გიღიმოდი, რომ დამენახა, როგორ ჩნდებოდა ღიმილი შენს ტუჩებზე.

გიკოცნიდი ხელებს, რათა დამენახა, როგორ კოცნიდი ჩემსას და ვიმეორებდი ჩუმად, რომ არასოდეს, არასოდეს დავივიწყებდი ამ წუთებს. მინდოდა ყოველი შენი კოცნა სამუდამოდ აღბეჭდილიყო ჩემს სხეულზე. ჩემს ალერსს დაეჯაბნა შენი სენი. ვიბრძოდი, მაგრამ გამარჯვების იმედი არ მქონდა. დამარცხება მელოდა, რადგან დამარცხებული იყავი შენ...

...როგორ მიყვარდა შენთან ფეხშეწყობილი სიარული: აბა რა იყო ამ ქვეყნად ამაზე კარგი! დღეს კი... საით მივდივარ დღეს?

...რატომ წახვედი ჩემგან, რატომ მიმაგდე, რატომ მიმატოვე. შენი ბრალია, რომ აღარ მიტაცებს ნაცრისფერი ცა და ნოემბრის წვიმა... გავურბი განთიადს, ვერიდები ბინდს. თავს ძალას ვატან ვუცქირო მზესა და მთვარის შუქს...

...იგი მოკვდება, იგი მოკვდება.

ისეთი თავგანწირვით ვებრძოდი ამ აზრს, რომ ყველაფერი მტკიოდა... ჰო, მოკვდება. გაიხრწნება. აი რა უნდა ვიცოდე, რა უნდა შევიგნო ბოლოს და ბოლოს. იქნებ უმჯობესია უკან დავიხიო, იქნებ ამან მაინც შემიმსუბუქოს ტანჯვა. ვზივარ თეთრი კედლების ტყვეობაში. თეთრი კედლები დაუწერელი ქათქათა ფურცლებია. მინდა დავიბრუნო წინა დღეები...“

სწორედ ამ თეთრი კედლების ტყვეობაში იშვა ეს წიგნი, სწორედ ამ დაუოკებელი სურვილით წარსულ დროთა დაბრუნებისა, რადგან ეს დღეები, ეს ნეტარი, ბედნიერი დღეები თვალსადახელსშუა გაუქრა სვეუბედურ ქალს, როგორც დრო, სუნთქვასავით გარდასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტკივილი დიდ გრძნობასა და შემოქმედებით იმპულსებს შობს. ან ფილიპის წიგნს სწორედ ასეთი პოეტური შთაგონების ბეჭედი აზის. ამიტომაც მან, როგორც წლის საუკეთესო წიგნმა, ღირსეულად მოიპოვა საფრანგეთის ლიტერატურული პრემია.

* * *

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ან ფილიპის წიგნის ეს მაღალმხატვრული ღირსებანი ზედმიწევნით არის გადმოცემული ქართულ თარგმანში, რომელიც ლია თევზაძეს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ვხვდებით მცირეოდენ სტილისტურ ლაფსუსებს („მოკლედ, ჩვეულებრივი ისტორიაა, ეს წუთები მარწმუნებენ სამყაროს სრულყოფაში", „იქნებ ამაშია მთელი სიბრძნე" და სხვა, ზოგჯერ იგრძნობა ნაცვალსახელთა სიჭარბეც), მაგრამ ეს, რომ იტყვიან, წვეთია ზღვაში და ვერაფერს აკლებს ამ ნამდვილად მაღალმხატვრული თარგმანის ღირებულებას. მთარგმნელის უპირველესი დამსახურება ისაა, რომ იგი მთელი სიღრმით ჩასწვდა ამ, ჟანრობრივად სრულიად ახლებურ ყაიდაზე შექმნილი ნაწარმოების არსს, მისი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წიაღსვლების ურთულეს ლაბირინთებს და, რაც მთავარია, მოგვცა დედნის ტოლფასოვანი ქართული წიგნი.

ყოველივე ეს ნათლად იგრძნობოდა ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტებშიაც, მაგრამ ჯობს, ეს პატარა წერილი დავასრულოთ ნაწყვეტით, რომლითაც თავად ან ფილიპი ასრულებს თავის ნაღვლიან სიმღერას. ეს საშუალებას მისცემს მკითხველს, კიდევ ერთხელ დააკვირდეს, თუ რა შთამბეჭდავად ჟღერს ქართულად ეს სიმღერა.

„...არის დღეები, როდესაც სადღაც გამისხლტები ხოლმე. ნუთუ ოდესმე არსებობდა ბედნიერება და სილამაზე? ნუთუ იყო დრო, როცა ყოველ საათს აღვიქვამდით მათ? ასეთ დღეებში არაფერზე ძალმიძს ფიქრი, აზრი წარსულს ახტება, ცდილობს გვერდი აუაროს მეჩეჩებს, ლანდად იქცევა. მაშინ მხოლოდ ოცნება და ფერფლი მრჩება; ის, რაც იყო, სადღაც გასხლტება ხოლმე და ვხედავ, საიდან იწყება ეს უშნო იდეალიზაცია, ეს შელამაზებული მოგონებები, თანდათანობით რომ აუბრალოებენ და ცვლიან სიმართლეს, ეს ღალატი, რომელიც მით უფრო ადვილია, რაც შენ აღარა ხარ და ვერავინ შეედავება ამ ტკბილ ზმანებას, წარმოსახვამ რომ შეჰქმნა. მე მოჩვენებით სიმშვიდეს ვპოულობ, მაგრამ ჭეშმარიტ სიბრძეს ვშორდები, რომელიც წვაში, აზროვნების უნარში, ნათელ გონებაში გამოიხატება. შენს ხატებას ვუხმობ და რომ არ დამეკარგო, წარსულს ვებღაუჭები. მარტო ვარ ჩვენს საწოლ ოთახში და თვალს ვერ ვწყვეტ შენს საყვარელ ადგილებს, შენთვის ძვირფას ნივთებს, შენს ნაკვალევს ვეძებ, მსურს წყვდიადს გამოვტაცო შენი თავი...

დრო ნელა გადიოდა, სუფთა საცვლები მოგიტანე. შენ ცისფერი პიჟამი აირჩიე, სწორედ ის, რომელშიც უნდა მომკვდარიყავი. მზე ახლა კედელს ეთამაშებოდა. შენ მიგატოვა. სამუდამოდ მიგატოვა. მეორე დღესაც წვიმდა, მესამე დღესაც; მეოთხე დღეს დილით შენ უკვე აღარ იყავი. არასოდეს დამავიწყდება ნოემბრის იმ მზის ელფერი. არ დამავიწყდება, როგორ ელამუნებოდა იგი შენს სახესა და თმას, შემდეგ დეზერტირივით კედელზე გადაინაცვლა, მიგატოვა და ბრძოლის ველს მარტოდმარტო შერჩი...

გაზაფხულის ჰაერი მაიძულებს წარსულზე ვიფიქრო, ვიფიქრო რა გველოდა, ჩვენ რომ ერთად ვყოფილიყავით. ვიცი, ეს ოცნებაა — საერთოდ უნარი დავკარგე, არ ძალმიძს ვიცხოვრო აწმყოთი. დინებას მივყვები, არ მსურს არც შორს და არც ღრმად ჩავხედო ცხოვრებას. ველი წუთებს, როდესაც ძალა დამიბრუნდება. ვიცი, ეს დროც მოვა, ცხოვრება ჯერ კიდევ მაინტერესებს. მინდა თავი დავიხსნა, მაგრამ არ მსურს გავთავისუფლდე შენგან..."

გივი ახვლედიანი

ამორძალები ერთ ძველ ქართულ ძეგლში

ჩვენამდე მოღწეულია მე-18 საუკუნის ერთი ნაკლებად შესწავლილი ნათარგმნი ძეგლი. ესაა საგმირო თხზულება, რომელსაც ვარშაყიანი ეწოდება. იგი მთლიანი სახით ჯერ არ დაბეჭდილა და ცნობილია მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერით. ძეგლის გამოსაცემად მომზადებამ მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის განხილვა მოითხოვა. ჩვენ ახლა საუბარი გვექნება ერთ იშვიათ მოტივზე, რომელიც ფიქსირებულია ვარშაყიანში.

თხზულებაში მოთხრობილია, რომ ვარშაყმა თავისი მეგზურისაგან გაიგო ქალების ქვეყნის არსებობის ამბავი. მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ფალავანმა მიაღწია ქალთა სახელმწიფომდე. აცნობეს დედოფალს უცხო ჭაბუკის მოსვლა. შეღამებისას იგი ფალავანის კარვისაკენ გაეშურა. შეხედა თუ არა მძინარე ფალავანს, მის გულში ტრფობის კოცონი აღენთო, ხანჯალი თავთან დაუდო, მკერდზე აკოცა და უკან გამობრუნდა.

დედოფალმა ვეზირის საშუალებით გაიგო ფალავანის თავგადასავალი, წერილი გაუგზავნა და სასახლეში მიიწვია. ბოლოს ვარშაყი დაქორწინდა დედოფალზე.

ვარშაყიანის ამ ეპიზოდში ისტორიულად საინტერესო სურათია შემონახული. იგი შორეული ყოფის ანარეკლი უნდა იყოს, როცა საზოგადოება დედამთავრულ იერარქიას ემყარებოდა და მამის უფლება ჯერ კიდევ არ იყო წამოჩინებული. ქალთა ამგვარი სამეფო ძველბერძნულ წყაროებში მოხსენიებულ კოლხიდელ ამორძალებს მოგვაგონებს.

თქმულება ამორძალებზე ძველისძველია. ლეგენდა ქალთა ტომის შესახებ ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს ყველა კუთხეში. ეს თქმულება მატრიარქატის ეპოქის ბუნდოვან მოგონებას წარმოადგენს. პირველად მის შესახებ ცნობები უცხოურ-ბერძნულ ლიტერატურაში გვხვდება.

ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობებით ამორძალების სამყოფელი მცირე აზია და ნაწილობრივ კავკასიაა.

პირველ ცნობებს კავკასიაზე, კერძოდ კი კოლხეთზე, ჰომეროსის თხზულებებში ვხვდებით. „ოდისეას“ მე-12 სიმღერაში საუბარია არგონავტების ზღვაოსნობაზე, არგოსის მოგზაურობის მძიმე განცდები კოლხეთში მშვენიერმა ირამ შეამსუბუქა. ამ ქალს იასონი უყვარდაო... „ილიადას“ სქოლიასტი ახა-

სიათებს ამორძალებს. ლეგენდარული კოლხი ქალები მარჯვენა ძუძუს იჭრიან, რადგან იგი მშვილდ-ისრის სროლაში ხელს უშლისო მათ. თვით მათი სახელწოდებაც ამ ჩვეულებიდან მომდინარეობს. ევსტათე არქიეპისკოპოსის ცნობით, იმავე ამაზონებმა დაუდვეს თურმე სათავე ერთ ანდაზას: „კოჭლიც მშვენივრად მუშაობს“, ე. ი. ისინი, ამაზონი ქალები ხეიბრებითაც კმაყოფილნი არიანო.

ჰომეროსის დროიდან მოყოლებული, ამორძალების მითს ბევრი მწერალი შეხებია. აპოლონიოს როდოსელი მოგვითხრობს: „დოიასის ველზე ამაზონები სახლობენ. ისინი მამაცნი არიან და არავითარ კანონებს არ მისდევენ. მათი საზრუნავი საგანი არესის საქმეა და მთელ დროს ბრძოლებში ატარებენ. მეომარი ამაზონები არესმა და ნიმფა ჰარმონიამ წარმოშვეს. ნიმფა ჰარმონია ოდესღაც ალკმონიის ჭალაკში შეეუღლა ომიანობის ღმერთს არესს და მას შესძინა ომის მოყვარული ასულები“[1].

ამორძალების ლეგენდის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ამორძალების ალექსანდრე მაკედონელთან შეხვედრის მოტივი. ეს ეპიზოდი სხვადასხვა ვარიაციებით არსებობს. დიოდორე სიცილიელი მოგვითხრობს, რომ როცა ალექსანდრე დაბრუნდა გირკანიაში, მასთან გამოცხადდა ამორძალების მეფე ფალესტრია, რომელიც ფლობდა ჰერმოდონტსა და ფასიდს შორის მდებარე ქვეყანას. იგი სილამაზით, ფიზიკური სიძლიერითა და მამაცობით თვისტომთა განცვიფრებას იწვევდა. მეფე ქალმა ლაშქარი გირკანიის საზღვარზე დატოვა და სამასი შეიარაღებული ამორძალის თანხლებით ეახლა მაკედონელს. როცა ქალის სილამაზით მოხიბლულმა ალექსანდრემ ჰკითხა ფალესტრიას, რისთვის მობრძანებულხარო, ქალმა უპასუხა: მოვედი, რომ შენგან ბავშვი მეყოლოს. როგორც მე ვარ ქალთა შორის უპირველესი, ისე შენ მამაკაცთა შორის უმამაცესი ხარ. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ბავშვი ყველა მოკვდავს გადაამეტებსო[1].

კიდევ ერთი ნახევრად ისტორიული, ნახევრად ლეგენდარული მოთხრობა ამორძალებთან ალექსანდრე მაკედონელის შეხვედრის შესახებ შედგენილია ბერძნულ ენაზე ჩვ. წ-მდე მეორე საუკუნეში. ამ მოთხრობას, რომელიც ცნობილია „ფსევდოკალისთენეს“ სახელწოდებით, ძვ. წ-ით IV საუკუნის ბერძენ ისტორიკოსს კალისთენეს მიაწერდნენ. ფსევდოკალისთენეს მოთხრობამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ამორძალების ლეგენდის შემდეგდროინდელ გავრცელებაში.

ამორძალების ლეგენდის ვარიაციები, ანტიკური ვერსიისა და ფსევდოკალისთენეს მოთხრობის მოტივებზე, გვხვდება ზოგიერთ აღმოსავლურ — ნახევრად ფოლკლორულ, ნახევრად ლიტერატურულ ნაწარმოებში. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა მასში აისახა ასე თუ ისე ანტიკურ ლეგენდასთან რამდენადმე ახლოს მდგომი ადგილობრივი ფოლკლორული ტრადიციაც. ასეთია, ჩვენი აზრით, მოთხრობა „ათასერთი ღამისა“, რომლის მიხედვით ახალგაზრდა კაცი სასწაულებრივ კუნძულზე მოხვდება. კუნძულის მეფე მშვენიერი ქალწულია, მმართველობა და სასამართლო ქალების ხელშია. მეფის ვეზირია დიდებული მოხუცი ქალი, ლაშქარი შედგება ქალებისაგან, მამაკაცები მისდევენ მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას; ყმაწვილი ქორწინდება დედოფალზე და ა. შ.

ამორძალების ლეგენდის სხვა ვარიაციას წარმოადგენს დედოფალ ნუშაბესთან ალ. მაკედონელის შეხვედრის ეპიზოდი ნიზამი განჯელის „ისკანდერ-

[1] აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბილისი, 1949 წ. გვ. 100.

[1] В. Латышев. Известия древных писателей о Скифии и Кавказе, I, стр. 459—461.

ნამედან“. ქვეყანა ბარდა, რომელსაც გარს უვლის მდინარე მტკვარი, უმშვენიერესი მხარეა. მას მართავს მშვენიერი ნუშაბე, მისი ვეზირები ქალები არიან. ნუშაბეს პირადი დაცვა ათასი ცხენოსანი ქალიშვილისაგან შედგება. ბარდას ქალები არ საჭიროებენ მამაკაცებს, მათ დედაქალაქში არც უშვებენ.

ამავე მოტივის თავისებურ ვარიაციად უნდა მივიჩნიოთ რუსი მწერლისა და მოგზაურის ნ. პ. კარამზინის მიერ ქ. ჩამბაიში (ახლანდელი კარაკალპაკის ავტ. ოლქი) ჩაწერილი ლეგენდა. შინაარსი ამ ლეგენდისა ასეთია: შორეულ წარსულში არსებობდა დიდი სახანო, რომლის დედაქალაქი იყო სამირამი, გაშენებული მიუწვდომელ სიმაღლეზე. ამ სახანოს მართავდა ქალი ზანაი. მეფის კარის დიდებულები, ვეზირები, მოსამართლეები, მეომრები, ეკლესიის მსახურნი ქალები იყვნენ. ამ სახანოში ყველაფერს ისინი აკეთებდნენ: განაგებდნენ, ასამართლებდნენ, იბრძოდნენ, ნადირობდნენ. მამაკაცები გამოკეტილ სახლში რჩებოდნენ, სახლს ალაგებდნენ და ბავშვებს აკვანს ურწევდნენ. ქალიშვილები დედოფლის სასახლეში იზრდებოდნენ. ახალდაბადებულ გოგონებს ხელს არ ახლებდნენ, ასი დაბადებული ვაჟიდან კი ერთს ტოვებდნენ ცოცხალს. დანარჩენებს მხეცებს მიუგდებდნენ. მოვიდა ხანშას დაბადების დღე. ბრმა მოხუცმა ხანშას უწინასწარმეტყველა, შენ შობ ვაჟს, რომელიც ბოლოს მოუღებსო ქალთა სამეფოს. გადაწყვიტეს, თუ ვაჟი დაიბადებოდა, მხეცებისთვის მიეგდოთ. მართლაც, დაიბადა ვაჟი, მაგრამ ხანშამ მსახური ქალის დახმარებით, ბავშვი გადამალა და იგი ახალდაბადებული გოგონათი შესცვალა. ბიჭს ისკანდერი დაარქვეს. დავაჟკაცდა ისკანდერი, შეიკრიბნენ მამაკაცები, ხანად ისკანდერი აირჩიეს და ბრძოლა დაიწყეს ქალთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ქალებმა დაამარცხეს მამაკაცები; ისკანდერს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. იგი თვით ხანშას უნდა დაესაჯა, მაგრამ ვერ შეძლო ზანაიმ ხელი აღემართა თავის ღვიძლ შვილზე, იგი გამოუტყდა ხალხს ყველაფერში და იქვე დანით თავი მოიკლა. მამაკაცებმა იარაღი აისხეს და ბოლო მოუღეს ქალთა სამეფოს[1].

ამორძალების ლეგენდა თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც, საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ფოლკლორშიც არის წარმოდგენილი.

ეს იშვიათი მოტივი ფიქსირებულია უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის სიუჟეტში. დამარტოხელებულმა უფლისწულმა ერთგან ქალაქი — ციხე იპოვნა, რამაც თავისი საბატონო მოაგონა და გული დაუთუთქა. წყაროსთან ჩამოჯდა. ტირილი დაიწყო და ჩაეძინა. მალე წყაროსთან ქალთა გუნდი გამოჩნდა. მამაკაცის ნახვით ქალები მეტად განცვიფრდნენ. მათ სწრაფად გაავრცელეს მათივე აგებულების მქონე არსების გამოჩენის ამბავი. ცნობამ დედოფლამდე მიაღწია: „...სახე და აგებულება ჩუენგუარი აქუსო... ტუჩსა და ლოყაზედ შავი მელნისფერი წარბივით ბეწვი გადასდევსო“. ეს ამბავი დედოფლისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ვაჟსაც ეუცხოვა ისეთი საზოგადოების ნახვა, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. იკითხა: „რა თემი არის ასეთი, რომ კაცი არ ყოფილიყოს, ან არ „იყოს?“

მატრიარქალურ საზოგადოებას თავისი მმართველობა გააჩნია. ტახტზე დედოფალი ზის, ქალაქს მამასახლისი ჰყავს: არიან კარის გამრიგენი, მოხელეები, იციან შენობების აგება და სამეურნეო საქმეთა გაძღოლა. უკვდავების მაძიებელ ჭაბუკს ყველაზე უფრო ის აინტერესებდა, თუ როგორ ხერხდებოდა მოდგმის გაგრძელება და საზოგადოების შენარჩუნება, რადგან სიკვდილი აქაც ძალაში იყო და ვისაც სიცოცხლე მოყირჭდებოდა, მოხუცებულობით მოკვდებოდა. ხელმწიფის შვილის ცნობისმოყვარეობა ქალაქის მამასახლისმა ქალმა დააკმაყოფილა; მან ჭაბუკს განუ-

---

[1] Н. Карамзин. Сказка о женском ханстве, «Древняя и Новая Россия», 1875.

მარტა ადამიანთა სასწაულებრივი გამრავლების ისტორია. „მოახსენა ამ მამასახლისმა: ერთი ტბა არის ასეთი, რახან ჩვიდმეტის წლისა გათავდების, მოვა ქალი და იმ ტბაში ჩაჯდების, დაორსულდების და ისრევ ქალი მიეცემის, ერთი შვილის მეტი არა უწერია აქაურს ქალსო. სანამდი დაბერდება, ასრე არიან, ვისაც სიცოცხლე არ მოეწყინება, არ მოკუდების. რახანაც დაბერდება, დედოფალის საწოლისასა ერთი ვაშლი დგას, წელიწადში სამი ვაშლი გამოვა და იმას დაუყოფს. ბერს სულიარსა თითოს ლუკმას აჭმევს და ისევ გაქალდების, და ვისაც აღარ უნდა სიცოცხლე, სიბერით მოკვდების. ამ ვაშლს აღარა სჭამს“.

უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი ქორწინდება დედოფალზე. „მოაწვიეს სახელმწიფო და დაემზადნეს უცხოდ და. საკუირველად, და უყუეს ქორწილი: იყო ერთს თვეს სამუდამოდ ლხინი და გამოსუენება“[1].

ჩვენს ყურადღებას იქცევს ბელეტრისტ ვ. სვეტლოვის ჩანაწერი ამორძალების თემაზე. ვ. სვეტლოვს უსარგებლია ლიტერატურული წყაროებით, ზეპირი გადმოცემებით და ხელნაწერი მასალებით და ამორძალების ლეგენდა ლიტერატურულად საკმაოდ თავისუფლად დაუმუშავებია. სვეტლოვის ნაამბობის ფაბულა ასეთია: „ომში წასული მამაკაცები დიდხანს არ დაბრუნდნენ. ტომირანდამ მოიფიქრა, რომ ქალებს თავი დაეღწიათ მათთვის საძულველი ქმრების ჩაგვრისაგან. ამისათვის მან ჩამოაყალიბა ქალთა სამეფო. მშვილდისრის ხმარებაში რომ ხელი არ შეეშალა, ტომირანდამ ამოიწვა მარჯვენა ძუძუ. ასე მოიქცნენ სხვა ქალებიც. ამორძალები დაეუფლნენ სამხედრო საქმეს, ამოხოცეს ომიდან დაბრუნებული ქმრები, ქვეყნის მართვის საქმე მოაგვარეს, ააშენეს ქალაქები, წარმატებით ეომებოდნენ მეზობლებს. ტომირანდამ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც ამორძალებს ნება ეძლეოდათ, წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე, ორი თვით წასულიყვნენ მეზობელ ხალხებთან. თვითონ ტომირანდამ ქმრად შეირთო უბრალო მწყემსი. ამორძალები ახალდაბადებულ გოგონებს დედოფლის სასახლეში ზრდიდნენ, ვაჟებს კი კლავდნენ. ბოლოს, რთული რომანტიკული კოლიზიის შედეგად, ტომირანდა იღუპება, ხოლო ქალთა სამეფო წყვეტს თავის არსებობას“[1].

ლეგენდა ტომირანდაზე ქართულ ენაზეც არსებობს. ეს ლეგენდა, როგორც თვით მისი ლიტერატურულად დამუშავებელი აღიარებს, დამუშავებულია იმ მასალების საფუძველზე, რომელიც მოთავსებულია აკად. ლატიშევის, ბარონ უსლარისა და განის წიგნებში, აგრეთვე სხვადასხვა „კავკასიის კრებულში“ და უმთავრესად სვეტლოვის ლეგენდის მიხედვით.

გავიცნოთ ეს ლეგენდა. შავი ზღვის სანაპიროებიდან თითქმის ყველა მამაკაცი წავიდა აზიაში სომრად. საშინელი სასოწარკვეთილება ჩამოვარდა. ისმოდა ირგვლივ ტირილი, ბედზე ჩივილი და ოხვრა. ელოდნენ ქმრების დაბრუნებას, მაგრამ დრო გადიოდა და არაფერი სანუგეში არ ისმოდა შორეული აზიიდან.

ქალებმა მიიღეს საშინელი გადაწყვეტილება — ყველა მოხუცი და ბავშვი ზღვაში გადაყარეს.

ტომირანდას, წინამძღოლის ცოლს, არ ასვენებდა ქალების სამეფოს დაარსების აზრი. ტომირანდას თაოსნობით ქალებმა გაქლიტეს სამშობლოში დაბრუნებული ქმრები, მკვდრები ზღვა-

[1] მიხ. ჩიქოვანი, უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი, მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, მრავალთავი, I.

[1] В. Светлов. Тамиранда, Амазонская легенда Кавказского побережья Черного моря, в книге: В. Светлов. Кавказские предания и легенды, Сб. 1895.

ში გადაყარეს. ტომირანდამ ააშენა ქალაქი, რომელსაც ტელისკირი დაარქვა და ამორძალების სამეფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადა.

ტომირანდა ბოლო დროს საგონებელმა მოიცვა. რა დაემართება ამორძალების სამეფოს მისი სიკვდილის შემღეგ, საჭიროა ფიქრი შთამომავლობაზე. მან უნდა შობოს ასული, ამორძალების ძომავალი დედოფალი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეფო ამოწყდება.

ტომირანდამ ასეთი სიტყვებით მიმართა ამორძალებს: ამორძალების სამეფო რომ არ გადაშენდეს, საჭიროა გამრავლება. ამისათვის ნება გეძლევათ, მამაკაცებთან დარჩეთ ორი თვე, ოღონდ მამაკაცები უნდა მონებად აქციოთ; ვაი იმას, ვინც გადაუხვევს ამ ბრძანებას. მე თვითონ ავირჩევ ქმარს და თქვენი დედოფალი შობს მემკვიდრეს — ასულს. შემდეგ თქვენ დაბრუნდებით სახლში და დაიწყებთ ჩვეულებრივ შრომას. შვილებს გაზრდით ამორძალების წესზე. ვაჟები გადაყარეთ კლდიდან და ყოველ წელს გახვალთ ჭალაში, „ქორწილის ღამეებისათვის“.

ტერმადონის ჭალა გაივსო კარვებით. იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ამდენი მამაკაცი დაიხოცა, ახლა ახალი ცხოვრება დაიწყო. მწყემსები უკრავდნენ სალამურებს, იყო სასმელი, საჭმელი, ალერსი და მხიარულება; მთვარე დანათოდა ამორძალებს, მდინარეში რომ იბანდნენ ტანს. შორს მოჩანდა დიდებული ზღვა.

ყველაზე დიდებული იყო ტომირანდას კარავი; ლომის ტყავებით, ყვავილებით მოფენილი. მის ფეხებთან ეძინა ლამაზ მწყემსს.

ასე გავიდა სამოცი დღე.

ტომირანდამ განაცხადა, მე ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობ ბავშვის სუნთქვას და ამიტომ ჩემი მწყემსი სასახლეში უნდა წავიყვანოო. შეუყვარდა ტომირანდას მწყემსი. ტომირანდას ვერ წარმოედგინა, თუ ვინმე გაბედავდა და წინ აღუდგებოდა მის სურვილს, ამიტომ ხალხს გამოუცხადა: მინდა ჯვარი დავიწეროო ტაძარში და ხალხს ვაჩუქო ასული, — მემკვიდრეო.

ამორძალები წინ აღუდგნენ ტომირანდას ადამიანურ გრძნობებს. ტომირანდა და მისი ქმარი ჯურღმულში შეაგდეს.

ტომირანდა დუმდა, უსიცოცხლო თვალებით იმზირებოდა. „ჯურღმულში... ჯურღმულში“... ყვიროდა ხალხი. ტომარანდას ქანდაკება გამოიტანეს ტაძრიდან და ზღვაში გადაისროლეს.

საკითხავია, საიდანაა შესული ვარშაყიანში ამორძალების მოტივი?

ვარშაყიანი ამორძალების მოტივის გამოყენებაში უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლურ ნახევრად ფოლკლორულ და ნახევრად ლიტერატურულ ძეგლებთან, ბერძნულ წყაროებს კი დაშორებულია. ვარშაყიანის ზემოთმოტანილი ეპიზოდი უფრო ახლოსაა, მაგალითად, „ათასერთი ღამის“ და დედოფალ ნუშაბესთან ალ. მაკედონელის შეხვედრის ეპიზოდებთან, აგრეთვე, მე-17 საუკუნეში ჩაწერილ ქართულ ზღაპარში — „უკვდავების მაძიებელ ჭაბუკში“ ფიქსირებულ ამორძალების ეპიზოდთან, ვიდრე ბერძნულ წყაროებთან.

ასე რომ, ამორძალების ეპიზოდი ვარშაყიანში შესული უნდა იყოს აღმოსავლური წყაროებიდან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულმა წყაროებმა, განსაკუთრებით „ფსევდოკალისთენეს“ მოთხრობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამორძალების აღმოსავლური ლეგენდის გავრცელებაში. თავის მხრივ, აღმოსავლურმა სიტყვიერებამაც ამორძალების სიუჟეტი ბერძნული წყაროებიდან ისესხა და თავისებურად დაამუშავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ერჩიდან

აშშ

მოარული მუზეუმი

ხელოვნების მუზეუმს რიჩმონდში (ვირჯინიის შტატი), ისევე როგორც სხვა მუზეუმთა უმრავლესობას, ძალზე ცოტა მნახველი ჰყავდა. ამიტომ მუზეუმის კოლექციებისგან შექმნეს მოარული გამოფენები, რომლებიც მუზეუმის მუშაკებს დააქვთ მთელი შტატის სკოლებში. ყველაზე უფრო ძვირფას კოლექციებს დაატარებენ ა. წ. „არტმობილებით", — ესაა ავტომობილებზე შემდგარი სამხატვრო გალერეები. კოლექციებს ორ თვეში ერთხელ ანახლებენ. დღემდე ყველაზე დიდი წარმატება ხვდა XVIII საუკუნის ინგლისელი მხატვრის უილიამ ჰოგარტის 110 ნამუშევრისაგან შემდგარ კოლექციას.

ქისა ყიდულობს კინოფირმებს

არც ჩარლი ჩაპლინს, არც მერი პიკფორდს და არც დუგლას ფერბენკს, რომლებმაც ამ 50 წლის უკან დააარსეს დამოუკიდებელი კინო-კომპანია „იუნაიტერ არტისტს", ფიქრადაც არასოდეს მოუვიდოდათ, რომ მათი პირმშო სასურსათო მაგნატებს ჩაუვარდებოდა ხელთ. ამ კომპანიის ყველა აქცია შეისყიდა კონცერნმა „კონსოლიდეიდტ ფუდს". ამერიკული პრესის აზრით, მალე იგივე ბედი ეწვევა ორ დიდ კინო-კომპანიას — პარამაუნტისა და მეტრო-გოლდუინ-მაიერს.

გფრ

დოკუმენტი — 68

ასე ეწოდება მოდერნისტული სახვითი ხელოვნების გამოფენას, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა ხოლმე დასავლეთგერმანულ ქალაქ კასელში. გაისად ამ გამოფენას შეემატება აგრეთვე თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშებიც, კერძოდ — კასელის ახალი, საჩვენებელი რაიონის არქიტექტურა.

გამოფენა თავს უყრის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ათასზე მეტ ნიმუშს დედამიწის ყოველი კუთხიდან. დოკუმენტი — 68 აპირებს კონკურენცია გაუწიოს ვენეციის ბიენალს, თუმცა ორივე გამოფენა ფინანსიურ გაჭირვებაშია.

ესპანეთი

ლეონარდო და-ვინჩის ახალი ჩანაწერები

მადრიდში აღმოჩნდა ლეონარდო და-ვინჩის ხელნაწერის 700 გვერდი, რომლებიც დაემატება მისი განთქმული დღიურის უკვე ცნობილ 50 000 გვერდს. ხელნაწერი ძალზე ძნელი წასაკითხია, ვინაიდან ლეონარდო და-ვინჩი ცაცია იყო და წერდა მარჯვნიდან მარცხნივ, ასე რომ სარკით თუ წაიკითხება. ამბობენ, ამას განზრახ ჩადიოდა, რათა სხვებს ტექსტის წაკითხვა გაძნელებოდათ, სურათებს კი მარჯვენა ხელით ხატავდაო.

ქარის წისქვილი ძეგლად

კატალონიის დედაქალაქმა გადაწყვიტა ძეგლი დაედგა დონ-კიხოტისთვის. ვინაიდან სერვანტესის უკვდავი გმირის ხსენებისას უნებურად მუდამ ქარის წისქვილები გვაგონდება, ბარსელონის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა ლამანჩში, რაინდის სამშობლოში, ააგოს ქარის წისქვილი, რომელზეც გაიკვრება მემორიალური დაფა.

ვიეტნამი

თეატრი ჯუნგლებში

ვიეტნამში თეატრი ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ჩაისახა. მისი კლასიკური ფორმა — ხატ ტუონგი — წარმოადგენს ლექსების დეკლამაციის, სიმღერის, მუსიკის, ცეკვის და აკრობატიკის სინთეზს და ასახავს ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას ატილას შთამომავლებთან. უფრო ახალი ფორმა — ხსო — დაფუძნებულია სოფლური ხალხური ხელოვნების ტრადიციებზე და მისი უმთავრესი ნაწილია მუსიკა. ორივე ეს ფორმა, განსაკუთრებით ხალხური, გასაოცრად წააგავს უძველეს ევროპულ თეატრს: იწყება პროლოგით, მთავრდება ეპილოგით, სპექტაკლი მიჰყავს კომენტატორს. არსებობს ლექსების თეატრის კამერული ფორმებიც, 1945 წლის რევოლუციისა და დიენ ბიენ ფუსთან გამარჯვების შემდეგ შექმნილი ახალი ფორმები, სადაც დიალოგი ლექსადაა და ლაპარაკს ენაცვლება სიმღერა.

ხანოას დიდ თეატრს ჰყავს სამი დასი, რომელთაგან ორი სისტემატურად მოგზაურობს პროვინციებში, ფაქტიურად — ფრონტზე. ხშირად მრავალი ათეული კილომეტრი უნდა გაიარონ ფეხით და თვითონ გადაზიდონ ყველაფერი, რაც საჭიროა სპექტაკლებისათვის. სოფლებში სპექტაკლის წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან ამერიკელები ბომბავენ, ამიტომ თამაში უხდებათ ჯუნგლებში, ბაღებში, ზოგჯერ გამოქვაბულებშიც, ისიც მხოლოდ დღისით, რათა შუქზე ამერიკელებმა არ მოაგნონ თეატრს და მებრძოლებს. ფრონტზე იდგმება რევოლუციური ხასიათის პატარ-პატარა პიესები, რომელთაც მებრძოლები აღტაცებით ხვდებიან.

ინგლისი

გულდარდიანობის სამი მიზეზი

უდიდესი სამხატვრო გალერიის — ნაციონალური გალერეის დირექტორმა ფილიპ ჰენდიმ განაცხადა, რომ გალერეის ხელმძღვანელობას მუდამ გულდარდიანობის სამი საპატიო მიზეზი აქვს: ჯერ ერთი — ვინაიდან გალერეა ტრაფალგარის მოედანზე მდებარეობს, იქ სიარულს მოუხშირეს ბიტნიკებმა და დამნაშავე ელემენტებმა და მოსვენებას არ აძლევენ მნახველებს; მეორე — რადგან არ არსებობს მკაცრი კანონი, რომელიც დასჯიდა ექსპონატების გამტაცებლებს (ეს ცხადჰყო, ბანტონის პროცესმა: ბანტონმა მოიტაცა გოიას სურათი — „ლორდი ველინგტონი“ და სასჯელად ჯარიმა დააკისრეს, ისიც მხოლოდ იმის გამო, რომ სურათი უჩარჩოოდ დააბრუნა), მნახველები თამამდებიან და კვლავ განაგრძობენ ქურდობას; მესამე — ეროვნული მხატვრული საგანძურის ბევრი ექსპონატი საზღვარგარეთ მიდის, ვინაიდან მთავრობას ვალუტა უფრო აინტერესებს. მაგალითად, ნაციონალური გალერეის ხელმძღვანელობის პროტესტის მიუხედავად, მთავრობამ ამერიკას მიჰყიდა რუბენსის, რემბრანდტის, მათიუზისა და კიუპის სურათები.

„ფორსაიტების საგა“ 28 სერიად

ეს იქნება ყველაზე გრძელი ფილმი, რომელიც კი გადაუღია ინგლისის ტელევიზიას. ამ ფილმით სურთ აღნიშნონ ჯონ გოლზუორთის დაბადების ასი წლისთავი. მთელი ფილმის ჩვენებას 22 საათი დასჭირდება. ფილმი, რომელშიც თამაშობს 120 მსახიობი, 300 000 გირვანქა სტერლინგი დაჯდა. მთავარი როლის შემსრულებელმა ერიკ პარტერმა მე-15 სერიის შემდეგ განაცხადა: ფორსაიტად უფრო ვგრძნობ თავს, ვიდრე პარტერადო.

კიდევ ერთი ეკატერინე

ლონდონის კინოსტუდიაში ბერნარდ შოუს კომედიის მიხედვით იღებენ კიდევ ერთ ფილმს რუსი იმპერატორი ქალის შესახებ. ეკატერინეს როლს თამაშობს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კინომსახიობი ქალი, ფრანგი ჟანა მორო, ხოლო მისი პარტნიორია დიდი კინომსახიობი პიტერ ო' ტული.

იტალია

თანამედროვე ხელოვნების ახალი გალერეა

რამდენიმე წლის მანძილზე ფლორენციის ახლოს აშენდება თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა, რომელიც ისეთივე მნიშვნელობისა იქნება, როგორიცაა კლასიკური ხელოვნების სახელგანთქმული გალერეა უფიციში. მოსამზადებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობს საერთაშორისო კომიტეტი ევროპელ და ამერიკელ სპეციალისტთა და ხელოვნების მოყვარულთა შემადგენლობით. შენობის პროექტს ადგენს ფლორენციელი არქიტექტორთა ჯგუფი ლორენცო პაპის ხელმძღვანელობით. იტალიურმა ფირმებმა კომიტეტს აღუთქვეს, მასალას მტკიცე ფასებით მოგცემთო, მაგრამ მშენებლობა მაინც დაჯდება 180 000 გირვანქა სტერლინგი, რაც უნდა დაიფაროს შეწირულებათა საერთაშორისო შეგროვებით.

ვიარეჯოს პრემია

ვიარეჯოს სახელობის ლიტერატურული პრემია — 5 მლნ ლირა — მიენიჭა ჩილიელ პოეტს პაბლო ნერუდას. ჟიურის ხმები გაიყო პაბლო ნერუდასა და ჟან-პოლ სარტრის გამო.

მონღოლეთი

116 000 — 200

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა უდიდეს სოციალურ ძვრათა ქვეყნად იქცა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იურტების ტრადიციული ქვეყნის დედაქალაქში რამდენიმე მრავალსართულიანი შენობა დგას, არამედ იმიტომ, რომ 116.000 — ბუდისტი ბერიდან, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ ამ 45 წლის უკან — უმეტესად ყმაწვილი კაცები — დღეს მხოლოდ 200 შემორჩა. ბუდისტი ლამების ბატონობა ძველად კრძალავდა მიწის დამუშავებას, სპილენძის მოპოვებას, თევზის ჭერას და მხოლოდ მეცხოველეობის ნებას რთავდა. ჯანმრთელობის დაცვა და განათლებაც პრიმიტიულ დონეზე იდგა, რასაც მოწმობს უწიგნურობა და, განსაკუთრებით, ბავშვთა სიკვდილიანობა (იღუპებოდა ახალშობილთა 50%). ყოველივე ეს ახლა წარსულს ჩაბარდა.

პოლონეთი

ორჯერ დაკარგული კომეტა

ვარშაველმა ასტრონომებმა დ-რმა რუდნიცკიმ და დ-რმა სიტარსკიმ კიბერნეტული მანქანის შემწეობით იპოვნეს კომეტა გრიგ-სკიელერუპი, რომელიც მზის შორიახლოს მოძრაობს. ეს კომეტა პირველად აღმოაჩინა გრიგმა 1902 წელს; მალე კომეტა გაქრა და 20 წლის განმავლობაში ვეღარავინ მიაგნო. 1922 წელს იგი ხელახლა აღმოაჩინა ასტრონომმა სკიელერუპმა. მან მათემატიკური გაანგარიშებით დაადასტურა, რომ კომეტა მოძრაობს იუპიტერის მიზიდულობის გავლენით და მისი ორბიტა, რომელიც ძალზე არათანაბარია, მოულოდნელ ცვლილებებს განიცდის ხოლმე. მალე კომეტა კვლავ გაქრა კოსმოსურ სივრცეში.

ამას წინათ ვარშაველი ასტრონომი დ-რი სიტარსკი კვლავ მიუბრუნდა ამ კომეტას, გაანგარიშა მისი ორბიტა და 1966—67 წლების მიჯნაზე შესძლო მისი მოცულობის გაანგარიშებაც. მეორე ვარშაველმა ასტრონომმა დ-რმა რუდნიცკიმ, რომელიც ამჟამად ამერიკაში მუშაობს როგორც სტიპენდიანტი, გადაწყვიტა თავისი კოლეგის გაანგარიშებათა საფუძველზე ეპოვნა ეს მიზეზიანი კომეტა. ეს შესძლო კიდევაც და გადაუღო ფოტოსურათი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ობსერვატორიის მაუნტ პალომარის (კალიფორნია) დიდი ტელესკოპით.

საბერძნეთი

მოქალაქეობა წაართვეს

ცნობილ ბერძენ კინომსახიობ ქალს მელინა მერკურს, რომელიც ამჟამად ნიუ-ორკში იმყოფება, საბერძნეთის სამხედრო დიქტატურამ წაართვა საბერძნეთის მოქალაქეობა, ვინაიდან მან ამერიკის ტელევიზიით სასტიკად დაჰგმო საბერძნეთში მომხდარი ფაშისტური გადატრიალება. ეს ამბავი რომ აცნობეს, მსახიობმა ქალმა განაცხადა: „მე ბერძენად დავიბადე და ბერძენადვე მოკ-

ვდები. ბ-ნი პატაკოსი ფაშისტად დაიბადა და ფაშისტად მოკვდება. თუმცა მას ახლა შეუძლია მოიმოქმედოს ყველაფერი, რაც მოეპრიანება, მაინც კანონგარეშე პიროვნება რჩება".

საფრანგეთი

შოპენის ახალი ბიოგრაფია

შოპენისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიების რიცხვი არ ჩამოუვარდება ბეთხოვენისა და ნაპოლეონისადმი მიძღვნილი წიგნების რიცხვს. კომპოზიტორის ახალი ბიოგრაფია, რომლის ავტორია ანდრე გოტიე, ახლებურადაა დაწერილი და მოიცავს ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ ფაქტს. გარდა ამისა შესწორებულია ადრინდელ ნაშრომებში დაშვებული შეცდომები. სპეციალისტიცა და უბრალო მკითხველიც ამ წიგნში ჰპოვებს ბევრ სასარგებლო ცნობას დიდი კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, აგრეთვე მისი მუსიკალური ნაწარმოებების უნატიფეს ანალიზს.

უხმო პროტესტი

ცნობილმა ფრანგმა რეჟისორმა ჟან-ლუიბარომ განაცხადა, რომ არც თვითონ და არც მისი მეუღლე, მსახიობი ქალი მადლენ რეზო, არ გაემგზავრებიან ათენის თეატრალურ ფესტივალზე. მას არ დაუსახელებია ამ გადაწყვეტილების მოტივები, მაგრამ საფიქრებელია, რომ ესაა პროტესტი საბერძნეთის სამხედრო რეჟიმის წინააღმდეგ. ასეთივე პოზიციას დაადგნენ სხვა მსახიობებიც, მეტადრე მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ უმაღლესმა მთავრობამ აკრძალა ზოგიერთი ანტიკური ტრაგედიის წარმოდგენა.

ლუვრის მხსნელი

პარიზში, 72 წლის ასაკში, გარდაიცვალა ჟაკ ჟოჟარი. საფრანგეთისთვის იგი იყო ადამიანი, რომელმაც ფაშისტებისაგან იხსნა ლუვრის უძვირფასესი საგანძური. 1940 წელს იგი იყო ნაციონალური მუზეუმის დირექტორი. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ლუვრის ყველაზე უფრო ძვირფასი კოლექციები და ცალკეული ნაწარმოებები სხვადასხვა სოფელში გაზიდა და გადამალა, თუმცა ფაშისტებს რომ შეეტყოთ ეს ამბავი, სიკვდილით დასჯას ვერ გადაურჩებოდა.

ყველაზე უფრო პოპულარული

ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული მწერალია ჟორჟ სიმენონი, რომლის დეტექტური რომანები 37 ენაზეა თარგმნილი. გამომცემლობა „რანკონტრს" განზრახული აქვს მისი თხზულებების გამოცემა 48 ენაზე.

კენია

20 მილიონი წლის უკან

თეორიამ, რომ კაცობრიობის აკვანი აღმოსავლეთ აფრიკაში დაირწა, კიდევ ერთი დადასტურება ჰპოვა. ინგლისელმა პალეოლითმა დ-რმა ლიკიმ კენიაში იპოვნა ძვლების ნაშთები, რომლებიც, მისი აზრით, უნდა იყოს ის „რგოლი" მაიმუნის ადამიანად გადაქცევის „ჯაჭვს" რომ აკლდა. მეცნიერის გაანგარიშებით, ამ კენიაპიტეკუს აფრიკანუსს 14—20 მილიონ წლის უკან უცხოვრია.

ჩეხოსლოვაკია

ჯაზების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი

18—22 ოქტომბერს პრაღაში ჩატარდება ჯაზების IV საერთაშორისო ფესტივალი. ხუთი საღამო-კონცერტი ჩატარდება ლიუცერნის დარბაზში, ხოლო ღამით ჯაზები გამოვლენ ლიუცერნ-ბარში. ამ ფესტივალის თავისებურება იქნება ის, რომ ერთი კონცერტი მთლიანად მიეძღვნება საბჭოთა ჯაზს. ფესტივალში მონაწილეობისათვის მიწვეულია მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი ანსამბლი და ორკესტრი, მათ შორის კლარკ-ბოლენდის ბიგ ბანდი, მ. გრეგორის ორკესტრი გფრ-დან, მოსკოვის ლუდვიკოვსკის ორკესტრი, ამერიკელი მომღერალი მ. მერფი, ინგლისელი მომღერლის ჯ. ფეიმის ანსამბლი და ა. შ.

შინაარსი

მოგესალმებით ძვირფასო უნგრელო სტუმრებო! . . . . . 2 გვ.

შანდორ პეტეფი — სამშობლოში 3
ანტალ გიდაში — მიყვარს ზაფხული 4
იშტვან შიმონი — აკაციის ყვავილობა 4

პროზა და პოეზია

ამირან ჭიჭინაძე — ჩემი დღე (მოთხრობა) 6
ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები 48
ავეტიქ ისაკიანი — ლექსები (სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა) . . . 52
გურამ დოჩანაშვილი — შენი მწვანე და (მოთხრობა) 55
ტარიელ ჭანტურია — ლექსები 88

თარგმანები

შტეფან ცვაიგი — სახლი ზღვის პირას (პიესა. თარგმნა რევაზ მარგიანმა) . 90
ივანე ლასკოვი — ლექსები (თარგმნა გივი ძნელაძემ) 115

დიადი 50 წელი

თამარ გახტაძე — ძმის გახსენება 120

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მამუკა ფიკლაური — გავყვეთ იდრისს 130
გურამ კანკავა — პროგლემა უფინარეს ყოვლისა 138
გიორგი დოლიძე — სიმღერასავით ტკივილი 147

მეცნიერება

გივი ახვლედიანი — ამორძალები ერთ ძველ ქართულ ძეგლში . . . 150

ყოველი მხრიდან 155

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

◆

სარედაქციო კოლეგია: გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, გივი გეგეჭკორი, გურამ გვერდწითელი, მერაბ ელიოზიშვილი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, ოტია პაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ნოდარ წულეისკირი, ტარიელ ჭანტურია, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია

გარეკანი და ტიტული ოთარ ჭიშკარიანისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მგ. მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: პოეზიისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-35, კულტურისა და ხელოვნების 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IX-67 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 3073. უე 02205. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 15.000.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236